გრიშა უთქმელი კაცოა. ბევრი ღამარაკი არ უყვარს. როცა ვკითხვ, რამე მიაშვე-მეთქი შენი ცხოვრებიდან, ნამუშევარი, დასჯარალი ზეღები გამოიშვირა, რა გიამბო, აი, ჩემი ცხოვრება, შენ იშვიათად მზედავენ, მტეწილად ხამუშაო ობიექტებზე ვარო.

ჭერ კიდეც დაუშთარებელ საწყობის შენობას მიუღახლოდით. სახურავზე ერთი კაცი დგას, თოკით ძირს ედგრო ჩამოუშვია. და მეორე ნიშნით სილით ასვებს ვედროს.

— სახურავზე რომ დგას, ნიკოლოზ რაბრახაძე, — მითხრა გრიშამ, — ქვემოთ შალვა ბურჯუყარა, მჭებო არ გავცვლო, რა საქმეც არ უნდა მიანდო, ამოთგან ღალატი არ იქნება. ნიკოლოზი ანაწრთან ახლო სოფელ ზოტიკანთ კარდან ყოფილა, შალვა — სოფელ დგნალოდან. ყოველდღე სოფლიდან დადიან სამუშაოდ.

ჭერ კიდეც სახურავდაუშთარებელ შენობაში შევადით. ერთი თხელა, ორმოცამდე წლის განავადი, კუთხდასა ქალი ნიშნით ცემენტის ხანარს აკეთებდა. შარველი და წინსაფარი ცემენტით მქონდა მოთხვრილი, ისე ჩქარ-ჩქარა იქნედა ნიშნის, ოცო წლის ქანაგარი ჰაბუკი გავრნებოდა მუშაობა არც მიუტოვებია, ისე მიასხუხა საღაშზე, დამილითა და ომანიანად.

ქალებიც გყავს-მეთქი, ვკითხე გრიშას.

— ქალია ეს, შალვა? — კითხა ამ დროს გრიგოლმა კიბეზე ამოსულ შალვას.

— რა ვიცი, კაცო, — უპასუხა შალვამ, — ამოდენა საქმეს ერთი კაი ვაძულებ ვერ მოეცეოდა.

ქალმა აღმაცერად გადმოგვხედა, გაიცინა, შალვას მოტანილი ვედრო ხანარით აავსო და გაგვიღებია.

— როგორ გაიგებს ეს, — შალვაზე მითითა, — შე კაცო ვარ თუ ქალი. ხა... ხა... — გულიანად ვადიხანარა მარია.

ერთი თვე ვუყავი ამ პარტიკულზე. მერე ბევრ-ჭერ დამინახეს მარია, ხან ხად მირბოდა, ხან ხად. კი არ დადის, დარბის მარია, ოდნევი წინ წაბრალი ისე მიეჩქარება იქითკენ, საათაც გრი-



შეი გაგზავნა, თითქოს დააგვიანდა, ქარი ეღობება და გულდაგულ მობრუნდებო ქარის ტალღებს.

თვითმცოდნემა საბარგო მანქანამ ხრეში მოიტანა. ახალგაზრდა შოფერი გრივსთან მოიქრა და უთხრა, მამაშენი ცუდად გამხდარა, შენი ძმა ამოვიდა და შინ გელოდებოდა.

— გუშინ უნდა ჩავსულიყავი, — მითხრა გრივს, — ობერსაცა ვაუციტებს მამანემს, გუშინ ვეღარ მოვიცადე, უნდა მენახა, თბილისში წევს საავადმყოფოში.

შე ბოდიში მომიხდა, ამ საღამოსვე დავბრუნდებო და შოფერმა მანქანიდან ხრეში ჩამოცალა თუ არა, ჩაუღდა და წავიდა. მანქანის კაბინიდან თავი გამოყო და მარიას გადასძახა:

— მარია, ახლავე წადი გვირახთან, იქ ჩვენი ორი კაცი მუშაობს და იმით მიეშველე.

ბერძენი მარია ბორცვზე დაქანდულ ბილიეს გაუყვა და წინ წახრილი გაქანდა.

### ■ ნაძალადევი ღვინო

გზა ახალ ხილზე გადადის, გაივლის სოფელ ჩინოს, მარჯვნივ ვენახებია, საკანაფის ზევს გადაქრის და შიდადგება მთავარი მექანიკოსის უბანს. რელსებზე მორჩილიტალური ძელით შეერთებული ორი მაღალი რკინის ბოძი დგას. ეს მოძრავი ამწეა. ქვემოთ ასწორებენ შოკდანს, რომ რელსები გვირახამდე მოიყვანონ. ამ გზით იმობრავებს ეს ვებერთელა ამწე და მიწაწოდებს მიწისქვეშა ელსადგურის მშენებლებს ლითონის დიდ კონსტრუქციებს. ამწის გარშემო ახლაღ აწეული უამრავი ლითონის წყვეთილი ცალინდრები. ეს მომავალი ელსადგურის ტურბინებია, რომლებიც ჩაიდგმება ვერტიკალურ გვირახში კაშხლის ფსკერიდან ელსადგურამდე. ამ ტურბინებით ჩაქანება ზღვის წყალი და მძლავრად აამობრავებს მესის აგრეგატებს.

შიდა-შიდიან ცარიელი და მიწით დატვირთული ბელაზები. გუგუნებენ ტრაქტორები და ბულდოზერები.

მექანიკურ საამქროს ვრძელ შენობასთან დგას პატარა ვაგონი. აქ ენახე უშანგი მალრატე. ამ ვაგონშია მთავარი მექანიკოსის ოთახი და კანცელარია.

უშანგი წუხელით გავიცანი გვიე კუნიას ბინაში.

სამმართველოს დასახლების განაძირას, არაგვის გასწვრავ ჩამწკრივებულია საცხოვრებელი კოტეჯები, პატარ-პატარა ბაღრებით. ერთ-ერთ კოტეჯში ცხოვრობს გვიე.

საღამოს, მოგვიანებით შევიარე მასთან. იმ დროს მივაღდექო, როცა აივნიდან შეუბრუნდა კოტეჯის უბოში მდგარ ხმელ-ხმელ, შიით დამწვარ-საშუალო ტანის კაცს გადასძახა:

— უშანგი!

შეუბრუნდა გამოხედა.

— თუ კაცი ხარ, პურის არ შექნია შენი ფუკა ერთი ნატები ვადმოშობატენ.

გვიის ცოლ-შვილი თბილისში მყავს. აქ მარტო ცხოვრობს. სად არის იმის დრო, სოველდღე თბილისიდან იარსოს. შინ შევედიო.

— უშანგი მალრატე მშენებლობის მთავარი მექანიკოსია. ახლა ისიც ჩემსავით მარტოა შინ, — ცოლ-შვილი პიატიგორსკო ისვენებს. საინტერესო კაცია ძალიან. ძნელი გზა აქვს გაველიო.

უშანგი შემოვიდა. თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, ისე შინაურულად მომხილავდა, პურის ნატები და რამდენიმე ცალი პამიდორი მაგიადაზე დააწყო. მერე ზელი ჩამომართვა.

გვიამ საშინაო პერანგი გადაიცვა და უშანგის მიმართა:

— ვინდა, ქადრაკი ვითამაშოთ?

— ვითამაშოთ.

გვიამ მაცვიტრიდან ორი ბოთლი ღვინო გამოიღო, ეს შემობრჩენიაო, თქვა და მაგიადაზე დადო. ცოტა სველიც მქონია, ისიც გამოიტანა. მაგიადაზე ქადრაკის დაფა ვაშლია და ორადე მოქდა დაფას. დაიწყეს ფაგურების დალაგება: გვიე უცებ შეჩერდა, უშანგის თვალღმში ჩახედა და უთხრა:

— იყოღე, ტყუილა არ გეთამაშები. ვითამაშოთ სანამღლეოზე.

— რაზე? — უშანგი ფაგურების დაწყობას განაგრძობდა.

— წაგებულმა ერთი ჩაის კიჭა ღვინო დოლაოს, — შესთავაზა სანამღლეო გვიამ.

უშანგი შეჩერდა, გვიის შეხედა, გაიღმა და თქვა:

— მოვიდა!

— რის იმედით, ბეჭო? — თავისთვის ჩაილაპარაკა გვიამ და თანაც განაგრძო ფაგურების დალაგება, — ვიცი, ღვინო გულავს, ფიშერი შენ არ ხარ, რომ მე მომიგო. რა დაგაღვეთნებს ორ ბოთლ ღვინოს?

— ენახოთ ვინ დაღვეს ამ მიერ კეჭზე! — თქვა უშანგიმ და მუფის წინა თეთრი პაკი წინ გასწია.

შუა თამაშში დაფაზე თეთრებისა და შავი ფაგურების მდგომარეობა კარგად გამოიყენა. უშანგიმ სოკარტი გააბოლა. გვიე თავდახრალი კარგა ხანს დასცქეროდა დაფას. ცოტა ხნის მერე გვიამ ფაგურა დაქარგა და თეთრებმა გაბედულად შეუტოეს. პარტიის დასახრულს გვიამ თავისებური შიამიტი დიმილით შემოხედა და თქვა:

— არ მომიგო, ამ ღვინოს გლახამ!

უშანგიმ ბოთლს წააღლო ზელი, კიჭაში ღვინო ჩაასხა, გვიის წინ დაუდგა და უთხრა:

— იმეხეთ!

გვიამ დალია და დუქმან მიატანა.



ბოთლებში ჩარჩენილი ღვინის დაღვევა კი წილად უშანგის ერგო.  
 გვიმ სარკვევებელი თითო აჩვენა უშანგის და ნიშნისმოკვებით შეეკოხა:  
 — რამდენია, უშანგი?  
 — შეიღოთ ერთი, — გაიღმა შეზარბოშებულმა უშანგმა, წამოღდა, დაგვეშვიდობა და თან წაიღო შველა ჩაის კიკა ნაძალადევი ღვინო.

### მთავარი მქანნიოსი

ასე გავიყვანი უშანგი.

მაგიდაზე გაშლილ ნახაზს დასცქეროდა. შევედი თუ არა, შეომხებდა და წამოღდა:

— კი ყოფილა, თურმე, წაგებულ კაცს რომ ღვინოს დააღვევებენ ძალით, მშვენიერ ხასიათზე ვიყავი წუთელ და დღესაც ჩანებულადა ვერანაშ თავს, — უტეებთან ოდნავი ნაოკები დიმილმა შეურხია მოგრო სახეზე.

მაგიდაზე გადაშლილ ნახაზს გადახედა.

— რა გოცოქ იქნა დაეპოაერე.

— რა ნახაზია? — ვკითხე მე.

— საბურღი დაწადგარია, როცა გვირაბის გახობას ვიწყებდით, გვერდმა ორნაქუჩიანი საბურღი დანადგარი, სამ ფუნად უნდა გათხრილყო ფართო და მაღალი გვირაბი, ეს დიდ დროს მოითხოვდა. ვიფიქრე და ამ დასცვამდე მივედი, რომ შეიძლება ორა ჩაქუჩის მიმტებად, დანადგარს მივაშაგრე გვირაბის სიმაღლეზე ორა მაღალი მილი და ზედ გავმართო ორი ბურღი. მშვენიერი შედეგი მოგვეცა, დანადგარს ორი კაცი ემსახურებოდა, გვირაბი აბურღებოდა ოთხი ჩაქუჩით. ამ დანადგარს ჰქვია „თეთრმავალი საბურღი დანადგარი“. იმ ნახაზები გავკეთე და ახლა ჩავახარებ.

უშანგის რაციონალიზატორულ წინადადებათაგან ბევრი განხორციელდა, განსაუფრებით ენგურძესას მშენებლობაზე, თორმეტი თასი მანეთი აქვს მიღებული ამ წინადადებისათვის. გვირაბის დაბეტონებისათვის ავტომატური მიწოდებელი კი იყო, მაგრამ მაქანა რომ ბეტონის მოტანდა, ძირს დაერია და მერე ნახტობს ორ კაცს უნდა დაეყარა მიწოდებელი დანადგარებისათვის. უშანგი ამ ორი კაცის შემსკვლელი მოწყობილობა გააკეთა და ამის შემდეგ მანქანადან ჩამოყლილი ბეტონი მთლიანად ავტომატურად მიდიოდა სამუშაო ადგილამდე. ამანაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ენგურძესზე ათი წლის მუშაობის განმავლობაში უშანგის ბევრი ამაგარი გამოგონება დაიწერა. იქვე, ახლოს ღვინიერა კრუჩის ერთი ღაურეატი მუშაობდა, ხოლო უშანგის ხეშრობით, მისი მეგობრები „არაოციკალური ღაურეატის“ ექმანენ.

უშანგი ადრე თბილისის ფოტო-ტექნიკურ ფაბრიკის პარხანაში მუშაობდა მექანიკოსად და თან დაუწერებლად პუშკინის სა-

ხელობის ინსტიტუტის ზოგად ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა. მერსხე კურსზე რომ იყო, ერთ დღეს, მისმა შეგონებამ კარლ სტრამევი უხარა, ხვალ ზუგდიდში ზიგდიდარ, ენგურძესზე უნდა დაეწყო მუშაობაო. წავიდა კარლო, ვეღარ მოსიყვანა უშანგამ.

უშანგი ბავშვობიდან სპორტით იყო გატაცებული, კარგი ფეხბურთელიც იყო, მაგრამ მერე მანაც მსაჯობა არჩია და ახლა ის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია. სწორედ იმ დღეებში, ერთ კვირა დღეს ვალში მოუხდა წასვლა ერთ-ერთი შევიბრების მსაჯად. ღალით ჩავიდა ვალში. ფეხბურთის დაწყებაზე დაუკრავს ფეხი და ენგურძესის მშენებლობის სამმართველოში გაქცეულა.

გვირაბმშენის სამმართველოს უფროსთან, გიორგი წულუისკერთან შეხვდა და უთქვამს: მქანნიკოს ვარ და მინდა თქვენთან ვამუშაოო:

— გიორგი გულიანობიერად შეხვდა, — იგონებს უშანგი, — გამოვისუბრა. მერე თავის მანქანაში ჩაშვა, მშენებლობა დამათავლიერებინა. იმ დღეს თამაში დამთავრდა თუ არა, მანინედ თბილისში დავბრუნდა, ცოლ-შვილი წამოვიყვანე. ენგურძესზე დამაბინავებს, უბნის მქანნიკოსად დამაშენს, ჩემს მეუღლეს კი ბავშვთა ბაგის გაჩვენა მანადღეს.

ასე დიწყო უშანგის მოღვაწეობა ენგურძესზე.

უეცრად აიღდა ენგური, დრო და დრო იცის ენგურმა გადაიყვანა და გახვლება. მთების ღვირთქალები ნაწირტება ერთხანად მის კლამოტში და შორადევებს ნაპირებს, აიფოფრება და თავისი კალაშნიკი აღარ შეუფრნის.

მანუდა ვადარებელი ენგურის ქერ დაუმთავრებელ გვირაბს, წყალში მოექცა საბურღი და სხვა მანქანები, კიდევ კარგი, ცვლის მბურღავენმა გამოტკობს და გამოასწრეს... ატდა განცემა.

როგორც კი დაცხრა ენგური, ხაჟიროს გახდა გვირაბიდან წყლის გამოტუმბვა.

უშანგიმ აცხრა ეს ძნელი საქმე თავის ბიჭებთან ერთად. ესდა მოიფიქრა — გვირაბის ფსკერზე სავერტკალიო მილი იყო. ის უნდა ამოვიღოთ, გაეჭრაო და იქიდან გამოეტუმბოთ წყალი.

გვირაბის ყელთან, რამდენიმე მეტრზე, თანამედ არ იყო წყალი ჩაგუბებული. ბიჭები სახელდაბულოდ შეერული წავით შეცურდნენ შიგ უშანგი და ერთი ტრაქტორისტი კი ტრაქტორით მიადგნენ წყალს. ნავიდან მყვინთავი ჩახტა ვენტრალაციის შიღს რკინის მარცვტი მონღო და ასე ამოზადეს მილი წყლის ზედაპირზე.

შემდეგებელი მიღს გადასატრლად შეეხოთ თუ არა, ელექტრო იარაღს ნაებწყლები გასცვიდა და მანინედ თავარბანდებში ამბავი

მოხდა წყლის ზედამირს ცეცხლის აღი მოედო.

დაფრთხენ ბიჭები.

გვირაბში დაჩინული მანქანებთან ბენზინი და ზეთი გამოდგარიყო და წყლის ზედამირზე მოქცეულიყო. სიბნელეში ეს ვერ შეამჩნევს.

აღი ეღვებ სისწრაფით მოედო წყალს.

ჩაცვივდნენ ბიჭები წყალში. უშანგიმ ძლივს გამოადგინა ტრაქტორის კაბინიდან, ბრუნდნის ხალათი შემოიხვია სახურზე, რის ვაივაგლიანი გვირაბიდან გამოვიდა. ბიჭებმაც, როგორც იქნა, ახსნეს თავი. მხოლოდ ერთს დავწვა სახე-აღი მალე ჩაქრა.

მიიხედ-მოიხედეს და ერთი ამხანაგი აუღდათ. შეცვივდნენ მაშინვე ნათი გვირაბში. ის ვენტრილაციის დიდ მილში შემძვარიყო და ცეცხლისაგან ასე ეხსნა თავი.

ამ მოულოდნელი შემთხვევისგან დრობა-ქებულმა ბიჭებმა უშანგის მეთაურობით მარცხაგარტეს მუშაობა და შეტლეს გვირაბიდან წყლის გამოტოვება.

ათი წელი დაყო ენგურზე და, როგორც კი არაგვის ნაპირებთან დაწყო მიდროტქნიეური კომპლექსის მშენებლობა. უშანგიც აქეთ წამოვიდა.

— არაგვის არანაკლები ჭანყი სცოდნია. — მოთბრა უშანგიმ, — მავრამ ჭრჭერობით ენგურისთანა ცეცხლიანი წილები აქ არ შემხვედრია.

ოთახიდან ვარტო გამოვიდით. ხეობაში შეაღდის მზე ბუდრაობა. გუგუნებდა ტრაქტორი. შიხს ცხელი სხივები არაგვის ტალღებში იმსხვრეოდნენ.

უშანგი გვირაბისაქენ გავართა, სადაც ახლა გვირაბის ბეტონით ობოქუთხად მომარტეთებელ მანქანას დგამენ. ეს მანქანაც მისი მორიგი გამოკონება.

### სოციალური მბივიწეული პროვლემა

აქედან, სადა ახლა მოვარია შექანიკოსის უბანია, ფართო მინდორი იშლება არაგვის ორივე მხარეს. ამ მიწების ერთი კიდე საყინაფის ხეებს წყდება და სოფელ ჩინობამდე აღწევს, მეორე სამხედრო გზის გასწვრივ არის გაყოლებული და ახლანდელ სამმარტოვლის დასახლებას შემოფარგლავს. ფანჯლის მსოფრელები ბღესაც ამ ადგილს წობენის მინდორის ედხიან. წობენის მინდორი ქართლისა და მოთუღეთის საზღვარზე დგეს.

ვარაუდობენ, ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც წმინდა ნინომ მოიღუბეს, ფხოველებს და გუდამაყრელებს ქრისტიანობა უქადაგა.

მემატიანე წერს: „წარვიდა წმინდა ნინო და 2 „მნათობი“, № 11.

ეპისკოპოსი იოანე და მათ თანა წამოიყვანა შეფემან ერთთავი ერთი და მოვიდნენ და... აეს წობენს და მოუწოდებს... ქარაღვლესა, ფხოველითა; გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ ჭურბო ქრისტიანეთა ტემპარტი მოხუცანებულთ ცხოვრებად საუფროოდ“.

ქველთაგანვე ამ მიდამოებში მძლავრი მშენებლობა ყოფილა განადგურელი. ამას შეტყველებენ დღემდე შემორჩენილი ციხე-კოშუკები და საყდრები.

ღუშეთის მხარეთმცოდნეობის მუშეების დირექტორმა, მამამად ყოფილდორად ტინკალის არქეოლოგიურ ექსპედიციისა მყოფმა ირაკლი ბედუაქემ მუზეუმში დაცული ასეთი ხალხური ლექსი მომარტა ამ ციხის შესახებ, რომელიც კონუსისებურ მაღალ მთაზე დგას (ამ ციხეს ყელის ციხე ჰქვია და ეწინააღმდეგება თამარის ციხეს უწოდებენ).

თამარ მეფემ ამაშენა  
სისხლის წვიმის წინა წელსა.  
არაგვიდან ქვა ვეზიღე,  
ხელი მაწვდიდა ხელსა.  
ათი საყიერ მომინდა,  
თერთმეტი მიზამდა ყელსა.

ციხის გვებერათელა ქვება მუვერუღის მკვეთრად დაქანებულ ფერაზე ისე აუტანიათ, „ხელი მაწვდიდა ხელსა“, გვეუბნება ხალხური ლექსი.

ახლა აქ განადგურელია რესპუბლიკისა ერთერთი ფუდიღობა მშენებლობა, რომელზეც უნდა დაახაროს ასორმოცდაათი მილიონი მანეთი. წყალსაცავში უნდა დაგვებდეს ზუთას ოცი მილიონი კუბომეტრი წყალი.

წელს ოდნავ შეფერხდა მშენებლობა. პარტის დეშეთის რაიკომის დადგენილებაში კომისხელობით:

„სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების გებების შეფარულებლობა გამოწვეულია სამშენებლო მასალითა და სამშენებლო კონსტრუქციებით არადამაკმარებელი. მომარტებთ, შრომბანა და სახელმწიფო დასცაბლინის დაბალი ღონით.“

ექვს თვეში მშენებლობამ მიიღო 5000 ტონი ცემენტი, რაც შეიღვენს მოთხოვნლის მხოლოდ 15 პროცენტს.

ხუტების მისამა 750 კუბომეტრის წაცვლად მიღებული 204 კუბომეტრი, ასეთივე არანორმალური მდგომარეობაა ლიონკონსტრუქციების, საყედე ბლოკის და წოკიერთი სხვა სამშენებლო მასალებს მიწოდების მხრივ.

მირითადე სამშენებლო მასალების უქონლობამ გამოიწვია მუშების გაყდენები, ექმენტის უქონლობით წლურულ 62 სამუშაო დღის განმავლობაში არ უმუშავნია ბეტონის ქარხანას“.

რა თქმა უნდა, სხვა ბევრე მიზეზიც არის...

418

საბჭოთაო...  
საბჭოთაო...

არის გამოც გეგმა ვერ შესრულდა. უველა ეს მიზეზი საფუძვლიანად შეუსწავლია პარტიის წარმომადგენლებს, რომელთა შესახებაც დაწერილებით მოუთხოვებს თავის დადგენილებასში. მასში დასახულია სათანადო ღონისძიებებიც.

არის კიდევ ერთი სერიოზული ხელის შეშლის მიზეზი. მშენებლობის შიშვენი ინჟინერთან, ბორის ვოგუასთან საუბარში გამოიჩინა, რომ მშენებლობის სისტემა ვერ არის რაციონალური მოწყობილობის. მთავარმა ინჟინერმა პირდაპირ განაცხადა, ამჟამად მთელი მიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის სისტემა დარღვეულია. გენერალური მოიჭარადრის სამმართველოს ფუნქციები ფაქტურად „საკმიდროტექნიკური“ ტრესტის ხელთ უყოფლა. საინჟინრო ნაგებობაშია მშენებლობის, სამოქალაქო მშენებლობის, ვანის სამმართველოები, შექანიზებული სამუშაოების უბანი და სხვები ხშირ შემთხვევაში გვერდს უდრიან ენველის მიდროტექნიკური კომპლექსის სამმართველოს ხელშეწყობას და ნებისმიერად აკეთებენ მინდობილ საქმეს. პასუხისმგებლობა კი უველა სამუშაოთა უბანზე ენველის სამმართველოს ეცხება.

მართვის ასეთი სისტემა არა მარტო შიშვენი ინჟინერს აწუხებს. ერთმანეთს შორის შეუთანხმებლობის მავალითები აქ უველადღიურად შემოიწვევა. ხანდახან იტყობენ კიდევ კაცი, მაშ, რატომ არსებობს ენველის მიდროტექნიკური კომპლექსის სამმართველო? ნოვო მხოლოდ იმიტომ, რომ შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა აწარმოოს და მოიჭარადეებს ფული უბადოს?!

კომპლექსის სამმართველო ტერიტორიულად უშუალოდ აქ იმყოფება, სადაც ამ მშენებლობის საქმიანობა წარმოებს. მისთვის ჩინებული ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობაც აქაა. ხომ არ აქვთებდა საკმიდროტექნიკურ მშენის ტრესტში სამუშაოთა უველა მჭარბოებული გენერალური მოიჭარადრის სამმართველოს დაუქმებულობას, რათა უფრო შეთანხმებულად და რეკონსტრუქციულად წარმართოს მშენებლობის საქმე?

### ციცინოს ბეჰედი

— ციცინო, მათხვე ცოტა ხნით შენა ბეჰედი, — არ მოეშვა მცხეთელი ბიჭი ციცინოს. მაღალი, ბეჭებზე შეთამაშებული ციცინო უნებურსიტეტის ისტორიის ფაქტების მესამე კურსის სტუდენტი, აქაურია აქ ბეზია და პანა მუავს და ამ ზაფხულს არქილოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობა დაუწყია. ირაკლი ბედუაძის ჩვეულება, რომელიც დედაციხის ზურგანზე კოშკის გათხრას აწარმოებს.

კოშკში ძალზე საყურადღებო ნივთები აღ-

მოჩნდა. მკენის ფენები დაღებდნენ, რაოდენ დადი ქარ-ციცხლის გადაშენება ცხვე. კოშკში მკენის სხვი ძნელად ატანს შავ მოწყობილია მკენის გამოტანი ექსკალატორი. ნელ-ნელა გამოაქვს მკენა და შესახველის წინ მკენის, ნაყარი მკენა პატარა გორაკით არის აღმართული.

წერაქითი მკენის ჩინკის ორი ახალგაზრდა კაცი. ირაკლი გაფართოებული თვლებით დასკვირვის მუქა-მუქა გამოთხრილ ნესტიან მკენას, თხოვრებთივე წლის მცხეთელი ბიჭი გასჩქელ მკენს ნიჩბით ვედროში ურის და კოშკის შუა წელში ხარბივე შემდგარ ციცინოს აწვდის, რომელიც ექსკალატორზე ცლივს ვედროს.

გული გაუწეა მცხეთელმა ბიჭმა ციცინოს. მათხვე შენი ბეჭედიო. შესვენების დროს კვლავ ცოლვე გაიბოძო კოშკის უკროს, ირაკლი სხადაც წავიდა. მუშები მორღვეულ გაღაანზე ჩამოსხდნენ და სადილობის თადარიგს შეუდგნენ.

ეკლესიის ნანგრევის ახლოს ქვაზე ჩამოქვდა ციცინოს მცხეთელმა ბიჭმა ურში რადაც ჩასწორდა, ციცინომ გაიცინა, თითქმის ბეჭედი წაიძრო და ბიქს მისცა.

ბიჭი ნელ-ნელა კოშკისაკენ გაემართა, შექვდა შავ ცოტა ხნის მერე გამოვიდა კოშკიდან. ეიწრო კიბოთ რომ ჩამოდიოდა, მუშებმაც დაიძახეს, მოდიო, ბეჭედიო, წავიხეშოთო.

ისადილეს.

კოშკის კედელზე, რივის ქვით მიშენებულ დაბალ გორბიდან, ახალგაზრდა მომზადდა ქალი გამოვიდა ხალათი ეცვა და წინადასარიცეთა. სარტყლა გამოიტანა და გაუენას შეუდგა მცხეთელმა ბიჭმა დაუძახა.

— დედა ირმა, გათხვევის წაშალი გაქვს? ხელდაწველი ირმა ოცხვე ბაწარს ფენდა, ბიქსივე გამოიხვედა და დილილი უბანესა:

— ვისთვის ვინდა?

ბიჭი გაიქვანა და ციცინოს მიათითა:

— ა, ამ შინაბერასთვის მინდა.

— მსეთი წაშალი რომ მქონდეს. — შეებანლისა ირმა ბიქს. — ჭერ ზემოთანა შინაბერას უფრო გამოადგებოდა.

ირმა მარსავიშვილი ენველის აფთიაქის გამგეა სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაქულტეტი დაამთავრა თუ არა. მამინვე აქ გამოაწესეს. კოშკთან დაბალი ოდასახლი ღვას. ამ სახლშია მოთავსებული აფთიაქი. რვა წელია დევ აქ მუშაობს ირმა. ამ სახლშივე ერთ ციცინო ოთახში ცხოვრობს თვითონაც. ბევრ სოფელს ემსახურება აფთიაქი, უწამლოდ რომ ვინვე გაუშვას, გული მოუყვებდა ირმას და ამიტომ უკუდევთის ცლილობს, უველა საჭირო წაშალი მქონდეს აფთიაქში. ასეც არის მუდამ. გარდა ამისა მხოლოდ-ნელად, სოფელში რომ ავადმუფის შეველა და-

სკარდებო, რა დროც არ უნდა იყოს, ირმა დაუხარებლად მიუშვრება ბოლმე.

შეაქვარა ირმაშ ათე ხალხს.

პატარა ოდა-სახლი აფთიაქსაც არ უოფნის. ეაზბევის რაიონის სოფელ კარკუჩიდან მოხუცი დედაც ჩამოიყვანა თავისთან და ერთ ციციქნა ოთახში ცხოვრობენ ორივე. თავის ზელით რიუს ქვებით მიაშენა კოშკს პატარა გომურა და ამას იყენებს საოქაბო საქმეებისთვის.

სოფლის თავიყებება დაპირებას ბოლო არ უჩანს. კარგი, მაგრამ რომ დაქრას უები და წავიდეს სოფლიდან? მიდი შერე და ეჭვე პროვიზორი. სადღა მონახავ ირმასთანს?!

— ღვიდა ირმა, — ისევ შესძახა მცხეთელმა ბიჭმა, რომელმაც კარგად იცის მისი გასპირი, — შინაბუჩასი რა გატყუოა, ანგულოსიყოი ქალი ზარ. კოი სახლყარი რომ აქვს, ისეთ ბიჭს გასუევი და მავ გომურშიც აღარ იწვალავ შერე. მცხეთაში თუ წამოხვალ, შე ვიცნობ ასეთ ბიჭს.

— ისე არ წახულა ქერ ჩემი საქმე. შენს გარეგებულ ბიჭს გავუევი. — ირმაშ შავი თვალები დამილით შეანათა მცხეთელ ბიჭს. წინააფარა ჩამოიფერთხა და ისევ გომურში შერგო თავი.

მეშები, ციციწო და მცხეთელი ბიჭი კოშკში შევიდნენ. ბიჭმა, ქველიდან ამომხედა ხარანოზე ჩაცმულ ციციწოს, თვალი ჩაუყრა და ასძახა:

- ციციწო, გინდა ლექსი ვთხარა?
- რა ლექსი?
- შენზე.
- ჩემზე?! — გაიცინა ციციწომ.
- ჰო.
- აბ, თქვი.

ბიჭი ნაზის ტარს დაეყრდნო, მალღა აიხედა და წარმოთქვა:

მავ ხარანოზე შემდგარო,  
თამარის ვშხით ციციწომბ.  
შეპოგსვამ ლექსის ფრთაზედა,  
სიხმრად ნახულ ციციწომ.  
შენი ზეციდან ეგება  
სნიეები ჩამომციციწომ.

- ვინ დაწერა. ბიჭო, ეგ ლექსი?
  - ერთმა ბიჭმა დაწერა, ზეპირად დამხწყალღ. ციციწოს უთხარო.
- უცებ მუშა ბელტს დასწვდა, ზღლისგულზე დაუშენა, ჰერე ზედ დააშტერდა და აფერა:
- სად არას ძია არაკლი? აი, რა ვიპოვე?
- მიწა შეპოაცალა ნაპოვს. ზღლის კალთით გაწმინდა და ოქროსტრად იღღვა ფართო თალიანმა ბეჭედმ.

მცხეთელი ბიჭი შიყარდა. თამარ მეფის იქნება, თამარ მეფისაო, შეაქვარა იმანაც და როცა მეშები კოშკიდან გაასკელულს მიკოვ-

დნენ, რათა არქვილოვებთან მიტანათ სარქარულ. ციციწომ სიცილი ევღარ შეეცინე მუშა ვარდა მამ, შეიერა და ხელიდამ წავლესტავეს ბეჭედო.

— ჩემი ბეჭედია. ამ ლაწირაკის ონია, არ მომასვენა, თითღან წამაცალი და მანღ ჩაუღღ.

მუშები სახტად დარჩნენ, ერთმანეთს შეხედეს, შერე ხარანოვიდან დააბრდნენ ქვემოთ მღგარ მცხეთელ ბიჭს. გაიღივს, ალბათ გულის სიღრმეში ეაშთ კიდევ ამ უძველესი კოშკის ნეტიან ატმოსფეროში თანამედროვე მცხეთელი ბიჭის უმარულიური ხუმრობა, შე მართღა ლაწირაკო, შენაო, ჩამახებს და ნელღ ჩამკენენ კიხებს.

დაქრებს წერაქვი და აქერად მართღად ამოხევა შავ ბელტს მეთორმეტე საუყუნის დროინდელი ფაფურის ძვირფასი თასის ფერადი ნაბტერევი, ალღა ნამდვიღღ სიხარულით განაგრძებს ღანარჩენი ნაბტერევის კებნა.

ბიჭმა ნინბით ვედრო აავსო, თოცი ჩამოქანა, მიწით სავსე ვედრო ზე აცოცღა და როცა ციციწომ ბეჭეღანი თითები ვედროს სახელღრს წააღლო, მცხეთელმა ბიჭმა კვღავ ასძახა:

- გინდა, კიდევ წავგიოთავ ემ ლექსს?!

### ათი წლის შემდეგ

გაყელის ათოფვე წელი, ციციწომ და მცხეთელი ბიჭი მოადგებიან ამ ხეობებში ჩავლებულღ უღამაზესი ზღვის ნაპირს. ეს კოშკი ზღვის ფსკერზე დარჩება. არ ზერხლებღ მისი დამღღა და გადატანა. ჩამხედვეენ ისინი ანყარა ზღვის სიღრმეს, მაგრამ თვალს ვედარ ჩამკენდნენ კოშკამდე.

შეცურდებიან ნავით ზღვაში. გულისტყვიღღით მოიგონებენ ზღვის ფსკერზე გატარებულ ღღეებს. შეაღღება ციციწომ გუღღიწომ და უთხრას, შენ მაშინ ლაწირაკი იყავო. ნეტავ მცხეთელი ბიჭო თუ გაახსენებს ციციწოს იმ ლექსს? საღ იქნება იმ ლექსის ატორი მაშინ? მათთან თუ საღმე შორს?

ზღვის ფსკერის ძვეღღოაძვეღღი და დღევანდელი ღღის ცხოვრებაზე კი მიღღაბერაანთ კარის მუწეუწეში შენახული ექსპონატები იღღღადმეენ მხოლოდ.

და იღღენ ანყარა ზღვის წყალი თბიღისსა და რუსთავიანკენ. ღღეღაქალქის გარშემო ამრიაღღება ტყეები, აბიბინღება ბაღღა-ბაღღები.

გაიხარებენ ამ ტყეებსა და ბაღღა-ბაღღებში ციციწოსა და მცხეთელი ბიჭის, მათი შვიღღების მომაველი თაობები. ამაღ იღღწვიან ალღა აგრე თავღადებულღღ მათი მამები მომაველი ზღვის ფსკერზე.

შალვა ღვინძე

## გმირები

რომანი

1

### ჯუარღმულში

ღამის თერთმეტი საათი იყო. თბილისის განაპირა ადგილები უკვე ძილს მისცემოდა.

იანვრის შმაფრ ყინვას ჰაერი შეეკედა და ასეთ გვიან ღროს, ასეთ სუსხში ვინმე დაგვიანებულ მგზავრს, ან ეტლში ჩამყდარ მოქეიფე ძმა-ბიჭებს თუ წააწყდებოდი, თორემ ისე სრული მყუდროება გამეფებულყო იმ ისედაც მიყრუებულ და ბნელ ქუჩებში.

ალაგ-ალაგ რომელიმე სახაშედან თუ გამოკრთებოდა ყვითელი შუქი ნავთის ლამპრისა, თორემ ირგვლივ არც ერთ საბლს არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანი.

ძლიერ შორი-შორს ოდნავ ბეჭბავდნენ საცოდავ ბოძებზე წამოღულული კიდეე უფრო საცოდავი ფანრები და ზეცაშიაც ბნელ ღრუბლებს ზოგჯერ თუ გამოუხსლტებოდა მეტად მიმჭრალებული, თითქო აღმაცერად გამოიყურე მთვარე.

ეს იყო და ეს, რაც, ცოტაოდნად ამ სიბნელეში კაცს ვააგნებინებდა.

და აი, ასეთ ღრო-ღროთი გაშუქებულ

ქუჩაში ორი ადამიანი განჭარებული ნაბიჯით მიემართებოდა.

კარგა ხანს შიდიოდნენ ჩუმაღ, ბოლოს ერთმა მათგანმა დაარღვია სიჩუმე:

— ბევრი იქნებიან?

— აქი ვითხარი, რომ არა, ჩვენ ჩვეუ-ჩვეუდად ვიკრიბებით, ისიც სხვადასხვა ღროს და სხვადასხვა ალაგას.

— აჰა.

— რა იყო? — ჰკითხა მეორემ ცოტა სიჩუმის შემდეგ. — გეტყობა აღელვებელი ხარ, როგორც უჩვევი კაცი.

— არა, აღელვებული რათ ვიქნები...

— ჰო... ესე იგი, როგორც უცნობი კაცი, შემჭრთალი ხარ. მაგრამ ახ ნახავ, თუ ყველანი მეტად მარტივი და უბრალო ადამიანები არ გამოდგნენ.

— დარწმუნებული ვარ. მეტადრე თუ კი შენა გჯვანან... მე იმისი შეშინია. — მე არ დავაფრთხო, თორემ ისინი, რომ მომეწონებინა, ამის თავმღები თვით შენა ხარ...

— ჰო, და მამ შე იმის თავმღებიც

გაფხვლები, რომ შენც მოეწონებოდა: ყერ უფრო ახლო გაგიცნონ!

— მე უფრო ის მაფრთხობს, რომ თავი ვარ...

— კარგი ერთი, რას ამოიყენე! იმათ კარგად იციან, რომ თავადებშიც ურეკიან აღამიანები.

— ეგ ხომ, მაგრამ...

— მო, კარგი, ნუ ფანტაზირობ!

ამასობაში იმათ კარგა ძალი მანძილი გაიარეს. გასცდნენ ბლომად, ორივე გვერდზე ჩამორიგებულ ჩაფაქულ სახლებს, შემდეგ გადაიარეს დიდი მოედანი, ან უკეთ მინდორი, ჩაუხვიეს ვიწრო ქუჩისაკენ და მიადგნენ ერთ დიდ, სამსართულიან სახლს, რომელმაც მზნე-დარაჩივით, განმარტოებით უღგა იმ არე-მარეს.

ჩვენი მგზავრები შევიდნენ ამ სახლის ეზოში და კუთხის სარდაფის პირს შედგნენ.

სარდაფს ზემოდან დარაბა ნახევრად ჰქონდა წახურული და იქიდან ოდნავ სინათლის შუქი გამოქრთოდა.

შისულეებმა დარაბაზე დაუქაკუნეს: შიგნიდან ეტყობოდა კარი გაიღო, ვიღაც წამოვიდა კიბისაკენ.

— რა გინდათ? — მოისმა შიგნიდან.

— ერთობა — იყო პასუხი.

დარაბები გაიღო და მისულეები ჩაეფლენ ჰვესენელში.

დარაბებმა გაძღები ქალი იყო: მისულეების შესვლაზე დაეტყო, რომ ცოტა შეკრთა.

— ამხანაგია, — წარმოთქვა ერთმა მისულთაგანმა; თითქო ქალის შეკრთომის პასუხად და თავი მომყოლისაკენ გაღიქნია.

სამნივე გაემართნენ.

ქალს პაწია კრაქი ეპყრა ხელთ და ისე მიუძღოდა სტუმრებს სველთალებიან, ჩაბნელებულ სარდაფში.

ბოლოს მიადგნენ სარდაფის ერთ გამარტოებულ კუთხეს. სადაც ორ პაწია ლამპრის შუქზე რამდენიმე აღამიანის ნაკვით გამოჩნდა.

შორიდან ხმაურობაზე ეტყობოდათ გაცხარებული ლამპარაკი ჰქონდათ, მაგ-

რამ როგორც კი ახლები მიემატნენ, უეცრად შესწყვიტეს და სიჩუმეშიმყოფი ვარდა.

მოსულეებში ერთმა, რომელიც უფრო დაბალი ტანისა და ჩასკვნილი იყო, სალაში მისცა შეკრებილებს და თან მიმყოლიც წარუდგინა.

— ახალი ამხანაგია, თავმდეები ვარ, თავადი ვაზიანი... რასაკვირველია, მაგის თავადობა არ შეგაშინებსთ, — და ლობიერად ჩაიციან.

ყველამ თავლები თავადს გაუშტერა. ერთ წუთს ყველა სინჯავდა, როგორც საზოგადოდ პირველ გაცნობისას მოხდება ხოლმე.

— აბა გაცნაით, ამხანაგებო, — წარმოსთქვა ტან-დაბალმა, — და შემდეგ განეაგრძოთ ჩვენგანო შეწყვეტილი სხდომა. ბოდიში რომ დავიგვიანე, მაგრამ ამისათვის საპატიო მონებებიც გვაქვს, რომელსაც თუ ვნებავთ, შემდეგ მოგახსენებთ.

— გენდობით, გენდობით! ვაისმა აქაიქ ამხანაგურ სიცილჩაყოლებული შემახილა, ოო, როგორც გმირს კი, ნდობას გიცხადებთ?

— ხა, ხა, ხა! — შეიქმნა ხარხარი, მაგრამ თავმჯდომარემ, რაკი ზარი არა ჰქონდა, ხელი დაჰკრა მაგიდას და წესიერება მოსთხოვა შეკრებილთ.

სიტყვა ერთ ახალგაზრდას ეკუთვნოდა, წარმოღვა და თავისი განაგრძობ:

— მო და ესრე, ამხანაგებო! როდესაც თვითმწყობელობას რეკოლუციის დიაღმა ტალღამ მირი გამოუწვრია, როდესაც გავოტრებული ბიუროკრატია ყალბი თამასუქებით ცდილობს კვლავ კრედიტის მოპოვებას და, როგორც შინ, ეგრე ვარეთაც, ამ ახლანდელის ომით თავრეტლასხმული უკანასკნელ ხავესს ეჭიდება წყალწოდებულვივით. შინ ხან ნდობას გვიცხადებს და ხან საბელწიფო სათათბიროს გვპირდება: ვარეთ კი თავისი ფუყე სიმძლავრე უნდა გამოიჩინოს, როგორც ფიზიკური — ქარისა და ფლოტის სიძლიერე, ეგრე ნავთიერი, მოღით, მოღით და ნახეთ რამდენი

ოქრო მიწყვია კიღობანშიო, მაშინ ჩვენ რას ვაკეთებთ და რა უნდა გავაკეთოთ? ნულარაფერს ვიტყვით, რომ ამ უკვე ცოცხალმკვდარ მთავრობას აღარც შინ და აღარც გარეთ აღარავენ ენდობა: ნულარას ვიტყვით მის გულწრფელობასა და დანდობაზე. ეს თითოეულმა ჩვენგანმა ათასის მაგალითებით კარგად უწყის, მხოლოდ მე აქ მინდა წარმოვიდგინოთ რამდენიმე ნუსხა იმისა, თუ სად და როგორ მუშაობდნენ ჩვენი ამხანაგები, ან როგორ შეიძლება იმეშაონ მათ დღეს-დღეობით. ჩვენი პარტიის ერთი ამხანაგი იუწყება გურიიდან...

მაგრამ გარშემო მსმენელებში ახლად მოსული თავადი ვაზიანი აღარ უგდებდა ყურს ორატორს.

შეკრებილებს ათვალერებდა.

თითქოს უნდა კარგად ჩაბეჭდოს მათი სახე მახსოვრობაშიო.

დიდხანს უცქეროდა თავმჯდომარეს, სწორედ მის პირდაპირ იჭდა და ამიტომაც ყოველი მისი სახის მოხაზულობა, ისიც იქვე მაგიდაზე მდგარი ლამპის შემწეობით ცხადი დასანახი იყო.

თავმჯდომარე გამხდარი, თხელი კაცი იყო. მეტის-მეტე ნაზი და სუსტი აგებულების პატრონი. ხელები ქალივით გამოკვართული და ნაზი ჰქონდა, პირისახეც ფერ-მიხილილი, ტუჩებიც თხელი. თითქო მთრთოლვარე, ცხვირი კი მაღალი და სურათა. თმა ქერა, კისრამდის დაყრილი, აქა-იქ შეხუპუპებული და წვერი და უღვაშიც პატარა და თხელი. რომელიც ამ საკვირველ სახეს სიხალგაზრდის ელფერს აძლევდა. ისე-ი, იტყოდით, რომ ძალიან მოტეხილი და კარგა ხნის უნდა იყოსო, რადგან უღვაშს ზემოთ, ცხვირთან ერთი დიდი ნაოჭი და შუბლზედაც რამდენიმე ღარი სევდისა და გონების მუშაობის ბეჭედს აჭდევდა. მხოლოდ სათვალეგაკეთებული თვალები ენერგიითა და სულიერის მოურევნელ ძალ-ღონით აღსავსე ჰქონდა.

ძალუნებურად ეს სახე გიპყრობდათ და გიზიდავდათ. ვაზიანმაც ვერ წაართვა თავი ამ გავლენას. გულში კი გაიფიქრა:

— ნუთუ ტანჯვა ამდენად აკეთროს ბილებს ადამიანსო... ეს ხომ ვეცო, რომ ეს კაცი ბევრს ცეცხლსა და წყალშია გამრვლილი, ბევრი შიმშილ-წყურვილი მოუთმენია, ბევრჯერ დიდიხნობითაც მჭდარა ციხეში, დიდი ხანიც არ არის, რაც იქიდან გამოუშვეს, მაგრამ ის იერი სულიერად მაღალი ადამიანისა, რაც ესე ასხვავებს უბრალო მომავკვდავს რჩეულებთან, მაინც შერჩენია, შერჩენია კი არა, შეიძლება მეტი წარმტაცი შარავანიც შემოსილაო.

ამ ფიქრებში თვალი სხვებზე გადაუცურდა.

ბევრი არ იყვნენ აქ მყოფნი, სულ თხუთმეტეოდე კაცი თუ იქნებოდა. მაგრამ მაინც რა სხვადასხვაობა ემჩნეოდათ სახესა და შინაგანს აერზე.

მხოლოდ ერთი იყო კი ყველას ნიშნობივი ბეჭედი: ყველას თვალებში მოურევნელი სურვილი და სიცოცხლე ეხატებოდა, მაგრამ აი ერთი ქალი, ჩასქელებული, ნაყვავილარი, ეშხ-თვალეზიანი... გულს თითქო რალაცამ რეჩხი უყოფო.

ვაზიანს არ მოეწონა ეს ქალი. არც მისი გარეგნობა და არც მისი ოდნავ შესამჩნევი, მოჩვენებელი, ძალდატანებული საქციელი.

თითქოს ეს ქალი ყველაზე მეტს ყვიროდა, როდესაც ვაშაზე მიდგებოდა საქმე. თითქო ყველაზე მეტად ხმამაღლა და ფართოდაც იცინოდა, როდესაც რომელიმე ორატორი მოსწრებულ რაიმე სიტყვას ჩაურთავდა თავის ლაპარაკში. მაგრამ ვაზიანს სწორედ ეს „გარდამეტულობა“ ყველაფერში“ არ მოეწონა. გადაწყვიტა კიდევ, რომ როგორც კი მოხერხებულ დროს ჩაიგდებდა, გამოეკითხა მისი მომყვანი ამხანაგისათვის დაწვრილებით იმ ქალის ვინაობა და თანაც თავისი ეჭვი გაეზიარებინა.

მაგრამ ეს რა ამბავია!

აგერ გაისმა მშვენიერი გულიდან ამოხეტყილი, ნაზი, ნარნარი, ცოტა ბოხი, მაგრამ ტყბილი, ვით წყაროს უმანკო ჩხრიალი, ქალის ხმა.

ვინ უნდა იყოს?

სანამ ვაზიანი თავის დაკვირვებებსა და ფიქრს უნდებოდა აქ, კრებაში ორატორი ორატორმა გამოსცვალა თურმე და ეხლა ლაპარაკობდა ერთი ზომიერი ტანის ახალგაზრდა ქალი.

ვაზიანი მიაშტერდა.

ასეთი სახე ძვირად ენახა.

— ნუთუ ქართველია?... მაგრამ ეს წითელი, თითქოს ცეცხლი უკიდიაო, ეგეთი თმა! ეს შავი თვალ-წარბი? რა შეხამებულობაა! ეს თითქოს ინგლისური სახე! არა, ქართველი უნდა იყოს ისე წმინდათ და მკაფიოდ ლაპარაკობს. ეტყობა იმერეთიდანაა, იმერულად უქცევს ცოტა. მაგრამ რა ხმა აქვს, რა ხმა! უუპ, როგორ მეტყობა რომ თავადურ სიწვრილმანეს ჭერ კიდევ ვერ გავიქეცი! პატომ იმას არ ვუგდებ ყურს, რომ ლაპარაკობს...

მაგრამ არ იქმნა, თითქოს მოაჯადოვესო. მას თითქოს ამ მშვენიერი ხმის ბგერა ესმოდა, მისი კილოვნება, ყოველი მისი მიზგრა-მოხერა, ეს გულს ჩამწვდომი ძღერა, რომელიც რაღაც უცნაურის ძალით, გონებით სმენას უხშობდა. ამ ხმის მორთოლვარებას მიჰყვებოდა თან მისი სულს და გული.

ვერ მოითმინა, შეეკითხა იქვე მჯდომ მუხრბეღს.

— ვინ არის ეს ქალი?

— ელიკოა.

— ელიკო? რა გვარი?

მუხრბეღმა თვალეზში ჩახედა ვაზიანს.

— ასე ურთია, ელიკო! — უპასუხა მან.

— აჰა! — წაიდუღუნა ვაზიანმა და შერცხვა. გაახსენდა, რომ აქ ზოგერთი გვარებს არ ამკლავებს. აკი წინეთ აუხსნა კიდევ ამხანაგმა.

ქალი დაჯდა.

— ყველას სახეზე სიხარული და აღფრთოვანება ეწერა.

მხოლოდ ვაზიანისათვის თითქოს ჩამოხრწებოდა, თითქო დადუმდა მისი გული. თესო რამ ხმოვანება ქვეყნად.

არ იცოდა რა დაემართა. თითქოს იქ არ იყო, სადაც იყო, გარინდებამ მოიცვა.

მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც ელიკამ მისი გვარი კარგა მალა ახსენა:

— ვაზიანს მიეანდოთო!

როგორც მერე გაიგო, კრებაზე ბევრი რამ დაედგინათ, მთელი პროგრამა შეემუშავებინათ მოქმედებისა და სხვათა შორის ვაზიანისათვის მიენდოთ, რომ ელიკო ქართლის ერთ-ერთ სოფელში წაეყვანა ხალხის მოსამზადებლად.

ეს რომ გაიგო, კინალამ არ შეხტა!

როგორ? ელიკო წაეყვანა მას? ყოფილიყო მასთან ვაზიანი, სოფელში რამოდენიმე დღე, შეიძლება კვირაც! მოესმინა მისი წარმტაცი, სანეტარო ხმა? არა, ეს დაუჭრებელი ამბავი იყო!

რათ აუტოკდა გული ასე ძლიერ, რამ შეერყია სულის მშვიდობა? — ამის უპასუხს თვითონაც ვერ მოგვემდათ, რომ რაღაც ძლიერმა ძალამ მაგრად წასჭიდა ხელი.

კრება დაიშალა.

ელიკამ წამოიძახა, რომ ჩვეულებებისამებრ ცალ-ცალკე, თითო-ორილა გასულიყვნენ სარდაფიდან, რომ არავის ყურადღება არ მიექციათ.

და ბოლოს ვაზიანი, მისი მომყვანი, თავმჯდომარე და ელიკო დარჩნენ.

თავმჯდომარე ინსტრუქციას აძლევდა, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ ელიკოსა და ვაზიანს, რისთვის უფრო მიექციათ ყურადღება და სხვ. ბოლოს კი, როდესაც საკმაოდ გამოარკვეეს სამოქმედო გეგმა, ოთხივე სიფრთხილით გამოვიდნენ ქუჩაში.

მაგრამ ამ დროს დამის წყვილიდნითა თლად გაისმა შემდეგი რუსული ფრაზა:

— იმენემ ზაკონა! სლეღლიტე ზა ნა-



მი! — და, თითქოს მიწიდან ამოძვრენ-  
ნი, ჟანდარმის ოფიცერი და ხიშტებიანი.  
საღმრთოები მათ წინ გაჩნდნენ.

დატესტებულებს ხმაყრისმშველელი,  
ისე მორჩილებით გააყენეს და მტრულ-  
ბლებს.

შ ა ნ ი შ კ ნ ა ბ ი

1906 წელს თბილისში გამოვიდა ქართული  
ბეჭდვითი სიტყვის ახალი ორგანო „პატარა  
გაზეთის“ სახელწოდებით. გაზეთის რედაქ-  
ტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მხანობი  
და საზოგადო მოღვაწე კოტე მესხი. ყოველ  
ნომერში, გაზეთის სათაურის ქვეშ წარწერილი  
იყო ხაზი სიტყვა: „თავისუფლება! ერთობა!  
ძმობა!“

„პატარა გაზეთის“ პირველ ნომერში და-  
ბეჭდა მსოფლიო მშენათა კლასის კიშინი „ინ-  
ტერნაციონალი“, თარგმნილი აკაკი წერეთლის  
მიერ. მეფის ცნებურამ ამის გამო გაზეთი და-  
ხურა და პირველი და მეორე ნომერი აკრძალა.  
მაგრამ ქალაქ თბილისის გენერალ-გუბერნატორ  
ტიმოფეევს კოტე მესხისათვის შემდგომში  
ისეუ მიუცა გაზეთის გამოსცემის ნებართვა.

1906 წელს „პატარა გაზეთში“ (№ 2) დაი-  
ბეჭდა შალვა დადიანის ზემოთ დაბეჭდილი  
თხზულება: „გმირები“, რომანი; პირველი თავი  
— „ქურდულში“. შალვა დადიანის რომანის  
დასაწყისის დაბეჭდვის გამო კოტე მესხის გა-  
ზეთი ისევ დაუხურავთ. ამ რას ვითხოვლობთ  
„პატარა გაზეთი“ მე-4 ნომერში:  
„ტფილისის (გუბერნიის) მაზრების დროე-  
ბით გენერალ-გუბერნატორის განკარგულება-  
ნი.

1.

მე, ქალაქ ტფილისის, ტფილისისა და ბორ-  
ჩალოს მაზრების დროებით გენერალ-გუ-  
ბერნატორმა, „პატარა გაზეთის“ რედაქტორ-  
გამომცემლის კ. ს. მესხის შუამდგომლობა შე-  
ვიწყნარე და მე თებერვალს დაუდგინე: ნება  
მიცეს კ. ს. მესხს გამოსცეს ზემოთ დასაბუ-  
ღებული გაზეთი, რომელიც 5 იანვრის დადგე-  
ნილებით შეჩერებული იყო.

ხელს აწერს გენერალ-მაიორი ტიმოფეევი.  
„4 თებერვალი, 1906 წ. ქ. ტფილისი“.  
ამის შემდეგ გაზეთი (№4) ისეო განცხადე-  
ბას ათავსებს თავის ფურცლებზე:  
„რედაქციისაგან: 5 იანვარი, 5 სათ-  
ზე, ნაშუადღევს, ჩვენი გაზეთის რედაქციის  
ეწვეა პოლიცემისტერი მარტინოვი, ჟანდარმის  
ოფიცერი, ბოქაული და ქარი. გენერალ-გუ-

ბერნატორის აღმასწავლებლის განკარგულებით გა-  
მოცემა „მეცნე მიმართულებისათვის“ შეჩერე-  
ბულ იქნა სამხედრო წესების მოხსნამდე. ყვე-  
ლა დასტამბული გაზეთი მოაგროვეს და გაგ-  
ზავენს საცენზურო კომიტეტში, ამის შემდეგ  
მოვიდნენ სტამბაში, სადაც მეოთხე ნომერი  
იბეჭდებოდა. მოსესს ბეჭდვა, წოდებს აწყობილი  
მასალა და უკვე დასტამბული მეოთხე ნომერი.

მე თებერვალს გენერალ-გუბერნატორმა  
ტიმოფეევმა დაგვითო ნება ზედახლა გამოცე-  
მით „პატარა გაზეთი“. დადიანის ნომრებს  
წოდურ ბუღის მომწერთ შემდეგ წელს შევე-  
სებთ.

„პატარა გაზეთის“ მე-3 ნომერში დაბეჭდილ  
შალვა დადიანის რომანს ქვემოთ აწერია —  
„გაგრძელება იქნებაო“ ამ გაზეთის სულ მე  
ნომერი გამოვიდა ჩვენ ყველა ნომერი გადა-  
ვითავადიერეთ, მაგრამ გაგრძელებას ვერსად  
წავაწყდით.

შალვა დადიანმა თავის სიცოცხლეში მრავ-  
ალჯერ გამოსცა მოთხრობებისა და ნოვე-  
ლების კრებულები, მაგრამ მას ამ რომანის  
არც გაზეთში დაბეჭდილი ფრაგმენტი და არც  
მისი გაგრძელება, არც ერთ კრებულში არ  
შეუტანია.

აქვე ორიოდ სიტყვა ჩვენი ბიბლიოგრა-  
ფების მიერ დღემდე შეუსწავლელი „პატარა  
გაზეთის“ შესახებ: არ არის გაზეთის არც ერ-  
თი ნომერი, სადაც დაბეჭდილი არ იყოს მეფის  
ხელისუფლების წინააღმდეგ მოთხრობა იქნე-  
ბა ეს, წერილი, პატარა კორესპონდენცია, თუ  
იჯავ-არაკი კოტე მესხის გაზეთის „პატარა გა-  
ზეთი“ ექვეა, მაგრამ დიდ ტროვრულ საქმეს  
აქეთებდა ქართველი ერის მეოხის დასაცავად,  
რევოლუციის იდეების გასაღვივებლად. გაზე-  
თის დედაზრის კარგად გამოხატავს მასშივე  
დაბეჭდილი ლექსი:

„ღსრუდღო! უკვე შეძენ ქარიშხალში,  
მტარვალმა ზღუდღე შეატრიალა!  
და განითავღე, რველის რიგებზე,  
მავრეტლთა დროშა საფრთხელა.

• • •

შეიძებელი ზემოთ უკვე გაიგნო შალვა და-  
დიანის პირველი რომანის პირველ თავსა და

ცხადია, ამით გაეცნო მის ჩანაფიქრსაც. ამ პირველი რომანის დაუმთავრებლობა, ანუ ის ამავე, რომ ავტორს ენადაჩვენებია იგი ძალიან შეაწუხებინებს. თავისთავად შეტყვევლებს მწერლის მოზიკაზე, შეტყვევებს იმაზე, რომ იგი ლიტერატურაში გამოვიდა როგორც შეგრძობილი ხალხის თავისუფლებისათვის, მისი უკეთესი მოწვევასათვის.

მთელი თავისი საცოცხლის მანძილზე შალვა დადიანს ამ გზისთვის არასოდეს უღალატია.

მთელი მისი ცხოვრება — დაუცხრომელი შრომა და პრძოლა იყო ქართული ლიტერატურისა და ქართული თეატრის, საერთოდ ჩვენი კულტურის აღორძინებისა და წინსვლისათვის.

\* \* \*

შალვა დადიანი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, იმ ხანებში კუთარისძე მან გამოსცა ლექსთა ძაძარა კრებული: „ნაბერწყალი“. ახალგაზრდა მწერლის ამ პირველ წიგნს დიდმა აჯაყმ მალაღი შეუასუსა მისცა და ავტორს გამაჩვენება მიუღო.

ამის შემდეგ შალვა დადიანი ქართულ ფურცელ-ვაჭურებზე, სისტემატურად აქვეყნებდა ესკიზებს, ნოველებს, ეტიუდებსა და მინიატურებს. მისი ნოველები და ესკიზები ცხოვრების უაღრესად მტიკინეულ საკითხებს აღძრავდნენ, მშრომელ ხალხს პრძოლისაყენ, აჯანყებისაყენ მოუწოდებდნენ.

1898 წელს შალვა დადიანმა „ფერისის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ესკიზი „წმინდა ცრემლები“ ახალგაზრდა მწერალი კარგად გრძნობდა პირველი რევილუციის ქარიშხლის შოახლოებას და აღორძინებისათვის წერდა:

„...ქალაქში? გესმით რა სრიალი? არა, ეს არ გავს მოთქმა-კენესას. ეს უფინია, შორი კი, მაგრამ შეარი, ძლიერი, თითქოს შედუღდა ძალია ძალი და პე, მჭეზარებს... ავტ სინათლე... ღმერთო ჩემო, ეს სიზმარია? ხომ არ ვგონებები? თუ პავლეტ ფერიათ წარმოცაყენ და უნდათ სიზმარში სამოთხის კარს მიმავდონ, რომ კვლავ ვუღო უფრო მომიჯან...“

არა, ხმა შესმის სიძულდო, გვირული ხმები: წელი გავმართე, აჟ შევიმართე, ირვირავაო! აღსდგე, შორავ, შორავ, აჟ შეიანვე — ბნელში აღარ ხარ, რადათ ეშობი ამა პირველ, თამაშად წინ... წინ...

ცრემლები მახრჩობს, მხოლოდ... სიხარულის არის ცრემლები“.

1904 წელს მწერალმა გამოაქვეყნა მინიატურა „მიდინარე“. მასში კვათხულობთ:

„...ლაშქარი მოდის, ბერი დაშავდა ამ გზაზე; ბერი გაქარჩა გზის ეკალინარმა; ბერის ამ მძაფრი მინიარის ზეარტებში გადაიჩნება. მაგრამ მაინც წინ მიუვიდვართ.“

უკვე ვეღარაფერი შეგვაკავებს, მხოლოდ თუ

ვინეე ჩამოგვრჩა უკან და კვლავ მიზნეს შევლებურად სხვაგან დაეტებს, ის საუკუნისაგა მოგლოვლია, ის ვერც არას ჩვენ დაგვკლებს და ვერც არას თაეს შეშატებს, ის ციების მსხვერპლია.

მხოლოდ ეს კი სამინელი აქნება: მოულოდნელი ციება, ასე იცოდა უკველთვის ამ სენმა!

საბარლონი არიან, მაგრამ ამ საბარლოებს ჩვენ ვერას გაუყუეთებთ.

ჩვენ წინ მავდივართ“

თი რა მძაფრი, მკაფიო გამოხატულება პოვა პირველმა რევილუციამ შალვა დადიანის შემოკმედებაში. თამაშად შეიძლება თქვას, რომ პირველმა რევილუციამ, დიდმა სახალხო მღელვარებამ შექმნა იგი როგორც მწერალი, განსწავლა მთელი მისი მომავალი გზა; დიდი მოქალაქეობრივი პათოსი, მის ნაწარმოებებში რომ იგრძნობოდა, იყო გამოძახილი რევილუციისა, და იმავე დროს, იყო გაგრძელება ილიასა და აჯაყის სახელგანთი ტრადიციებისა, ეს იყო გზა რეალიზმისა, ხალხურობისა — უფლავე წმინდა და უფლავე კეთილშობილური ტრადიციისა ქართული ლიტერატურისა მისი ისტორიის მთელ მანძილზე.

პირველი რევილუციის დამარცხებამ და რეპრესიის თარეშმა მწერალს გული ვერ გაუტება, მან კარგად იცოდა, რომ ერთბაშად დამრულ ტალღას ვეღარაფერი შეაჩერებდა; მწერლის ამ ნათელ რწმენას და დიდ ოპტიმიზმს ნათლად გამოხატავენ მისი პიესები „მღვიმეში“, „როს დაიშობდნენ“, „ბეჭეჭკორი“ და სხვ. უფლავე მის ნაწარმოებამ — აღსავსე იყო საბრძოლო მოწოდებებთან: „დაამტე ტორანია, მოსპეთ და განადგურეთ ის და მხოლოდ ამის შემდეგ მოვეცემათ შუება და ბედნიერება“, „ჩვენ მზე ვინდია... გამოვალთ ჩვენ, შვიე ხალხი, შეშველ-ტიტუელნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენი გაშლილის თითებით დავღებთ ის ბუნადებს, სადაც ჩვენი დამლუპველნი ჩაბუდებულნი, დავანგრეთ იმ მუარ კედლებს, სულის შემზუთებელს. ჩამოთხაბულთ კედლებს გამმავრებელს, — ამ ხავს და ჩვენვე დავანგრეთ თაღს... ჩამოვშლით მას, შეშოუშვეთ მწესს, რომელიც უფლავს აგრე ენატრება. ვაუმარჯოს მუშა ხალხს!“ ეს მწუნებარე სიტყვები ესმოდა სტენიდან და ახალ ძალს პატებდა, საბრძოლოდ აღსთებდა რევილუციის ქარისაყებს, მთელ ხალხს.

შალვა დადიანმა მთელი ეპოქა შექმნა: ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიისი. ლადო მესხიშვილთან, ვახო აბაშიძესთან, კობე მარჩანიშვილთან, ვალერიან ვუნისთან და სხვებთან ერთად მან ფერფლიდან აღადგინა ძველი ქართული თეატრი, წინსვლის უმძღარესი სტიმული მისცა ახალ ქართულ სასცენო ბედლოვნებს. თუ რაოდენ დიდად აჯა-

სებდენ მას, როგორც დრამატურგს, ამის სა-  
 ილუტრაციოდ ჩვენ მხოლოდ ერთ ფაქტს ვა-  
 ვხსენებთ, სახელოვანმა მსახიობმა და დრა-  
 მატურგმა, ალ. სუმბათაშვილი-იფლიამ 1928  
 წელს სცენაზე ნახა შალვა დადიანის „გუშინ-  
 დელისი“ და ავტორს ასეთი პარათი გაუწვავინა:  
 „დრამად პატრიცულუ და ძვირფასო შალვა  
 ნაყოლოზის ძე! გერ რამდენიმე სტრიქონს  
 ამ შთაბეჭდილებით, რომელიც მივიღე საუც-  
 ხოვო ტალანტით დაწერილი კომედიის „გუშინ-  
 დელისი“ ნახვით ბათუმის სცენაზე, იშვიათია  
 საღამო, რომელიდანაც ესოდენ ნეტარება მი-  
 მდოს. უოველი მოქმედი პირი ცხოველა გან-  
 სახიერებაა, უდავო ქეშარტივანა. საუბრო  
 თუმორი, კვანძი, დიალოგი და სიუჟეტი, საკ-  
 ვარცხელი მხატვრული შეგანძნება, სიუჟე ტი-  
 პებისა, პირდაპირ საოცარია, მე ვხარხარებდი  
 შემოდილივით“.

უკვე ჩვენს დროში შალვა დადიანმა დაწერა  
 მწვენიერი პიესები — „ნაერწყლიდან“, „თეთ-  
 ნულდი“, „კაკალ ვულში“ და სხვები, ეს პიე-  
 სები განაპირობებდნენ ქართული საბჭოთა თე-  
 ატრის წარებასა და წინვლას.

შალვა დადიანის ლიტერატული ქმნილებე-  
 ბი მუდამ მოიხსენება ჩვენი ლიტერატურის  
 უველაზე საუკეთესო ნაწარმოებთა შორის, აქ  
 პირველ რიგში მისი „გიორგი რუსი“ უნდა ვა-  
 ვხსენიოთ. ამ რომანზე ბევრს რამ დაწერილა,  
 მაგრამ ჩვენ დავკმაყოფილებით მარტო ერთი  
 ფაქტის ვახსენებთ. აი, რა მისწერა აკად. ივა-  
 ნე ჭავჭავაძემ რამაინს ავტორს:

„დიდად პატრიცულუო შალვა! უდიდეს მად-  
 ლობას მოგახსენებთ თქვენი თხზულების „გი-  
 ორგი რუსისათვის“... მოხარული ვარ, რომ სა-  
 ინტერესო თემას მოჰკიდეთ ზედი. მხატვრული  
 მწერლობა საზოგადოებაზე ისტორიულზე უფ-  
 რო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და ამ პირობ  
 მას ჩვენი ეროვნული შეგნების განმტკიცებ-  
 სათვის მცენიერებაზე ნაკლები მნიშვნელობა  
 არა აქვს. სამწუხაროდ, შინაური უოლა-ცხოვ-  
 რება და ნიეთერი კულტურის, წინეველუე-  
 ბათა, ტანისამოსისა, თავსახურებისა და სხვა  
 ბევრი ანგვარის ისტორია ჭერ შესწავლილი არა  
 ვაქვს და ეს გარემოება თანამედროვე ქართ-  
 ველ მწერალს საქმეს უძნელებს ეპოქის მხატვ-  
 რულად განსახიერებაში. სახელმწიფოსა, სოცია-  
 ლურწი წესწრობილებისა და ნიეთერი კულტუ-  
 რის ჭეროვანი ცოდნის ვარეშე, რა თქმა უნდა,

ასეთი განსახიერება შეტად მწელია, მაგრამ  
 თანდათან უძველია ეს ნაქლიე შეგნება, მაგ-  
 რამ მანამდე ხომ შემოქმედებმა უფრ დადუნდო-  
 ბა: ამიტომ გულით ვისურვეთ კიდევ არა ერ-  
 თი ისტორიული რომანი თუ დრამა დავეწეროთ.  
 საქართველოს წარსული მხატვრის მდიდარსა და  
 გულას სიღრმემდე აზიდვებულ თემებს აწე-  
 დის და აქ ფართო ასპარეზი აქვს შემოქმედე-  
 მას ვადაშლილი, კვლავ დიდად ვადალოპს  
 წიენისათვის და ვისურვებთ ხანგრძლივ გან-  
 მართელ და ბედნიერ სიცოცხლეს უხვი და სა-  
 უოფიერი შემოქმედებითურთ“.

ამ რომანში გამოჩნდა დიდი თამარის სხე,  
 აქვე მკითხველის თვალწინ გადაიშალა მთელი  
 იმდროინდელი საქართველო — ძლიერი, აუვა-  
 ჯებული, უადრესად მშაალი კულტურის ქვეყა-  
 ნა.

„გვორგილიანების ოჯახი“ — შალვა დადი-  
 ანის უყანასენელი რომანი იყო. ეს იყო ვრცელი  
 სოციალური ტილო, რომელმაც თვალწინ წარ-  
 მოვიდვინა რევოლუციამდელი საქართველო.

შალვა დადიანი ფართო დიაპაზონის შემოქმ-  
 ედი და საზოგადო მოღაწე იყო. რომანისტი,  
 დრამატურგი, მკვლევარი, თეატრალური კრი-  
 ტიკოსი, რეჟისორი, მსახიობი, მოძრავი დახე-  
 მის შემქმნელი და ხელმძღვანელი, დამარსებე-  
 დი და მოთავე მრავალი სახელოვანი კულტუ-  
 რისა თუ დაწესებულებისა — აი, როგორ წარ-  
 მოვედებება ჩვენ შალვა დადიანის ღვაწლი  
 ქართველი ხალხის წინაშე.

შალვა დადიანმა შორივებით, მაგრამ უვე-  
 ლაზე უკეთ თვითონ თქვა თავის ლიტერატუ-  
 რულ ღვაწლზე ჩანაწერებში, რომელსაც „რაც  
 გაახსენდა“ უწოდა:

„აი, ეს არის სულ ჩემი ცხოვრების საწა-  
 დი მწერლობაში, რომელიც მე შგონია ურცხ-  
 ვენლად მიმიყვანს საფლავამდე და მეც ჩემი  
 აღსაბრუნის დროს ღოცვა-კურთხევას მემო-  
 ვუთვლი ჩემ სათაყვანი სამშობლოს, მის წი-  
 ჳერსა და გონიერ ხალხს, გარეგნულდაც სა-  
 ნიმუშო სიღამაზით შემეყლეს, ცხოვრების სი-  
 ხალით აღსავსეს, გამრჩესა და მოწინავეს“.

დღეს, მისი დაბადების ასი წლის თვეზე  
 ქართველი ხალხი სიყვარულით იხსენებს თავის  
 სახელოვან მწერალს, დაუცხრომელ შემოქმედს,  
 ქართული კულტურის დიდ ოსტატსა და მთა-  
 მაცს.

ალექსანდრე სიგუა.



სკანდრო შანშიაშვილი

## პოეზი

აღ. პუშკინი

შენს პოემებს და ლექსებში ხარ ჩამარხული.  
გვალეღვებს შენი განცდები და თვალით ნახული!  
დარდით შეპყრობილთ ამ ლექსებით გვესაუბრები  
და ხევდა ჰქრება, როგორც ცაზე თეთრი ღრუბლები!

ხან თუ ხარ წყნარი  
და გაისმის ხმა იაენანის,  
ხან მრისხანე ხარ და გვაფხიზლებს  
გუგუნი ზარის!

შენ გიყვარს ლექსი გაჩაჩხული, მოკლე, მკაფიო,  
რომ ალტაცების ნაპერწკლები უხვად აფრქვით!  
შენ თქვი პირველმა გრძნობიერი სიტყვა უთქმელი,  
ალიგე ძეგლი, მტკიცე ძეგლი და ხელთუქმნელის!  
და დღეს შენ გამო ხარწმუნო და დასაჯერია,  
შენებრ პოეტი კაცთა სულის ინტინერია!

დაემხო ტახტი, საიდანაც ტყვია გესროლეს,  
დღეს საბჭოეთი შენთან არის — ქვეყანა ვრცელი!  
წარმართს და ვერაგს ახლა მაინც უნდა ესმოდეს,  
რომ გაიმარჯვებს სინათლე და გაქრება ბნელი!

დიდება შენდა, დიდო პუშკინ, სიბრძნით მნათობელს!  
დიდება შენდა და რუსის ხალხს, შენს წარმომშობელს!  
საქართველოში იყავ და ხარ იმერ-ამიერ...  
და ქართველობა კვლავ გიმღერას მრავალგამიერს!

1974 წ.

მითრში კალანდკაშ

## მოლოინი

რაც დამრჩა, ვერ ვთქვი, მეწადა  
მეთქვა ურცლად, თავი მეცადა, —  
ვერა ვთქვი, მოცლას ვუცდილი,  
ნეტამცა არა მეცადა.  
დავით გურამიშვილი

რამდენი რამე მაქვს მე სათქმელი,  
რაც ჯერ არვისგან ქვეყნად არ თქმულა,  
რამდენი გრძნობა, აზრი ნათელი, —  
ვაფრუნილა და მნელში დანთქმულა.

რამდენი სიტყვა — განძი კეთილი —  
დრომ მდუმარების შლაშში გარია,  
ჩემი ვალია, გამოკეტილი,  
რად სდუმს, როს ირგვლივ მძლავრი ქარია?!

მეკონა ლექსით დავძლევ სიბერეს  
და ფრთას შევასხამ დროის ჰანგს მალალს  
— მცირეა, რაც ვთქვი, რაც დავიმღერე,  
მით რა შეეჭმატე ქართულ ლექსს ასალს!..

და ისევ ვლავს სხივი ცხოველი,  
ის შთაგონება სულში კვლავ ბრწყინავს  
და დიდ სიმღერას ისე მოვევლი,  
როგორც გვალვის დროს ელიან წვიმას.

მშობლიურ მთების მადგას ნათელი  
და ყოველ რიტრაქს ოცნებით ვმგდები,  
დროო, ამინთუ სულის სანთელი  
და გამინათუ სიმღერის გზები!

## ალ-ყადრის ღამე

მოთხრობა

იმ დღეს, საბჭოთა პროფესორი პირველად კოსტოლოვს ლექციას ბეირუთში არაბულ ენაზე. განათლების სამინისტროს კონფერენც-დარბაზში ისხდნენ შვილები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, პოეტები და მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, ლიბანის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორები, ლიბანის ფილოსოფიათა აკადემიის სწავლულნი, ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენელნი, წმ. იოსების უნივერსიტეტის თეოლოგები, არქეოლოგიის ფრანგული ინსტიტუტის სიძველეთა მოყვარულნი, მწუხურის მუშაკები, პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრები, „სენაჯის“ განმანათლებელი საზოგადოების ლექტორები, სტუდენტები, უბრალოდ ცნობისმოყვარენიც და, რა თქმა უნდა, — ეურნალისტები და რეპორტიორები.

სხვადასხვანაირად უსმენდნენ ქართ-

ველ პროფესორს: ვინ ღრმად ჩაფიქრებული იჭდა, ვინ გამჭრიახი მზერით აკვირდებოდა მომსახურებლის სახესა და დიგურას. ზოგი უსმენდა ყურებადაც-ვეტილი, ერთი სიტყვაც არ გამომჩრჩესო, ზოგიც — ოდნავ უნდობელი ღიმილით. სანდახან ვინმე ველარ გაუძლებდა მოწოლილ გრძობას, ადგილიდან წამოხტებოდა, ხმამაღლა უკრავდა ტაშს და სხვებიც აჟუყებოდნენ.

თავდაპირველად ღელავდა ფიქრმოყრებილი, ხმელ-ხმელი, სათვალაიანი პროფესორი — ნაღდი ბედუინივით მალალი იყო, მაგრამ ვიწრო მხრები ჰქონდა და პირისაბის ნატიფი ნაცვთები. მისი მღელვარება შესამჩნევი იყო და ხმაც წყნარი ჰქონდა, ჩახრინწული. ჩქარობდა, მაგრამ თანდათანობით, როდესაც იგრძნო, დარბაზის დიდი და მეგობრული ყურადღება, უფრო დინჯად დაიწყო ლაპარაკი, უფრო თამამი გაუხდა სიტყვა, მსმენელნი უკვე აშკარა კმაყოფილებითა და დაუფარავი აღტაცებითაც კი უყურებდნენ თავის სწავლულ მეგობარს, რომელიც ლაპარაკობდა არაბულ კულტურის მსოფლიო მნიშვნელობაზე, ლაპარაკობდა იმ ლეგენდარულ დრო-ყამზე, როდესაც ეს კულტურა წარმოადგენდა მეცნიერულ აღმოჩენათა მთარველს, წინ მიჰყავდა მრავალი

\* ეს მოთხრობა აღებულია ნ. ტახტაძის წიგნიდან „ვესი სვეტი“, რომელშიც მწერალს ლენინური პრემია მიენიჭა 1970 წელს. სხენებული წიგნი შეიქმნა ნ. ტახტაძის მოზაერობათა შედეგად მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის ქვეყნებში 1949-1962 წწ. მანძილზე, როდესაც აზიის ხალხებმა გადაიკვეს კოლონიზატორთა ელელი და დამოუკიდებელი ტანთათარების გზას დაადგნენ.

მეცნიერება და ხელს უწყობდა მსოფლიო ცოდნის გავრცელებას და აყვავებას. იგი ლაპარაკობდა დიდი არაბ სწავლულებსა და მწერლებზე, ძველი რუსეთის სახელოვან არაბისტებზე, შესანიშნავ საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეებზე, რომლებმაც ღრმად შეისწავლეს არაბული კულტურა, ბოლო დროის ახალგაზრდა არაბისტებზე. შეუბოძრად რომ ესწრაფოდნენ აღმოსავლეთის სიბრძნეთა სიბრძნის დაუფლებას.

თვითონ მან დიდი შრომა გასწია საყვარელი მეცნიერების შესასწავლად.

დამსწრეთათვის სასიამოვნო იყო იმის გაგება, რომ საბჭოთა კავშირში ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევენ არაბული ენის შესწავლას და ისეთი მასალებიც ეიციან, რომლებიც უცნობია არაბ მეცნიერთათვის. თვით მომხსენებელი არაერთხელ ყოფილა შუა აზიაში მცხოვრებ არაბებთან, ბუხარასა და კაშგა-ღარიის ოლქში, სადაც მან აღმოაჩინა და გამოიკვლია არაბული ზმნის შოგიერთ ფორმათა წარმოქმნის თავისებურებანი.

იგი დაწვრილებით ლაპარაკობდა არაბულ ხელნაწერებზე, საბჭოთა ინსტიტუტებსა და მუზეუმებში რომ ინახება. დიდი ხელოვნებით მოუთხრო მსმენელთ ძველი დროის არაბ მოგზაურებსა და ზღვაოსნებზე და სახელგანთქმულ მეზღვაურ აჰმედ იბნ მაჯიდზე. ვინც ერთ-ერთი იყო ზღვის ოთხ ლომთაგან, ვისი უნიკალური და უცნობი სამი ლოცია სულ ახლახან, მრავალწლიანი მეცადინეობის შემდეგ, ამოიკითხა ერთმა ნიკიერმა მეცნიერმა, თვით იგნატი იულიანის ძე კრაჩკოვსკის მოწაფემ.

ეს საოცარი ლექციები შეიცავდა აღწერას საზღვაო მარშრუტებისა მეწამულ ზღვაზე, ინდოეთის ოკეანეში და აღმოსავლეთ აფრიკის ნავსადგურებიდან აღმოსავლეთით, დაწვრილი იყო ლექსად და ეკუთვნოდა ზღვის დაბელოვნებულ ლომს, შთამომავლობით ლოცმანს, რომელმაც ინდოეთისაკენ

მეგზურობა გაუწია. ზღაპრულ მატერიკის მაძიებელ ვასკო დე გამაშისა.

მომხსენებელი წარმტაცად ჰყვებოდა, თუ როგორ შეხედნენ ერთმანეთს პატიმოყვარე-პორტუგალიელი დამპყრობელი და სამხრეთის ზღვათა გამოცდილი-მესაიდუმლე-აფრიკის ქალაქ მალინდში, როგორ მიცურავდნენ ხომალდები ოცდაექვსი დღე და ღამე, აჩქარებულნი ზურგის მუსონით და ბოლოს გამოჩნდა ხმელეთი, მაჯიდმა ხელი გაიშვირა იქით და თქვა: „აგერ ინდოეთი, საითაც თქვენ მიისწრაფოდით“.

და მერე მანვე, მაჯიდმა, როდესაც შეიტყო, რომ უმანკო კრავებდალ-თავმოკატუნებული მომხდურნი იქაურობას მოველინენ მძვინვარე მძარცველებად, რომლებიც ეძებდნენ ზღვისგაღმა მიწებს, რათა მოექციათ ისინი თავისი-სასტრეო ბატონობის ქვეშ და გაეჩინებინათ, უკანასკნელი პერანგით ყრ წორომით მცხოვრებთათვის და მთნებად გადაექციათ, აღწერა ყოველივე ეს თავის პოეტურ ურჯულებში: „ო, რომ მცოდნოდა, რა ჰქონდათ ვულში“ — წარმოთქვამდა სასოწარკვეთილი მაჯიდი.

ბევრი რამ, რასაც ლაპარაკობდა პროფესორი, დარბაზში მსსდომთ პირველად ესმოდათ თავის სიციცხლეში. და როდესაც დაასრულა თავისი არაჩვეულებრივი მოხსენება, გაისმა საერთო ტაშისცემა. მას შემოეხვივნენ მოხუცი პროფესორებიცა და ახალგაზრდა სტუდენტებიც, და ყველა ცდილობდა გამოეთქვა თავისი აღტაცება, გარკება, მეგობრული მადლიერება. სწავლულთაგან მრავალნი ულოცავდნენ პროფესორს დიდ წარმატებას და ამბობდნენ, წარმოდგენა არა გვქონდა იმ უზარმაზარ მუშაობაზე არაბისტის დარგში, საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერებს რომ გაუწევიათო. პოეტები ვანსაკუთრებით შეძრა თნობამ შთაგონებულ ლოცმან აჰმედ იბნ მაჯიდზე, ვინაც დღემდე წმინდანად თვლიან სირიელები, მის სახელზე აღავლუნენ ლოცვას

არაბი მეზღვაურები მეწამულ ზღვაზე ნაოსნობის წიხ.

მოსხენებამ გააღვიძა ახალგაზრდა პოეტების მგზნებარე წარმოსახვა. თვალწინ ესახებოდათ ინდოეთის ოკეანის აჟორილი ზვირთები, პორტუგალიელთა ხომალდები იდუმალი ინდოეთის ნაპირებთან, ამაყი არაბი ლოცმანი, პოეტი და ფილოსოფოსი, ლოცმანთა ფიცს რომ სდებდა: „ჩვენი სიცოცხლე და ბედი განუყოფელია ხომალდისაგან. თუ ის გადაჩნა, ჩვენც გადავჩნებით. თუ დიდიუპა, ჩვენც მასთან ერთად ვკვდებით“. თვალწინ წარმოუდგათ სახეწითური, მხარბუქიანი, უღმობელი და პირქუში ვასკო და გამა, თავზე — ხავერდის ბერეტი, ხელში — დროშით, რომელზეც ქრისტეს ორდენის დიდი აღისფერი ჭვარი იყო გამოსახული.

მაგრამ ყველას უხაროდა, რომ მოიხსინეს ამბავი საოცარ მაჯიდსა და მის ლოცებზე. რომელთაც, დაბადებულთ საუკუნეთა სიღრმეში, ხელახლა მიანიჭა სიცოცხლე საბჭოთა მეცნიერმა თეოდორ შუმოვსკიმ შორეულ ლენინგრადში. პროფესორ გიორგი წერეთელსაც ძალზე უხაროდა, რომ მისი მოხსენება ახლს მიიტანეს გულთან ამ სწავლულ ბემა. ისინი კარგად იცნობდნენ მშობლიურ წარსულს და უზომოდ მკაცრი იყვნენ ყველას მიმართ, ვინც მოისურვებდა გაეცნო მათთვის ის, რაც არ იცოდნენ და თანაც — მათსავე მშობლიურ ენაზე, მაგრამ დღეს იმდენი ახალი რამ გაიგეს, რომ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილებსაც კი მოუხდათ აღიარება — ძლიერ უნდა გიყვარდეს მეცნიერება და დიდი პატივისცემით უნდა იყო გამსჭვაველი არაბებისადმი, ასე თბილად რომ ილაპარაკო არაბულ კულტურაზე.

პროფესორს. მიუახლოვდა მიხეილ ნუაიმე და მაგრად ჩამოართვა ხელი, — მიხეილ ნუაიმე, მსცოვანი კლასიკოსი არაბული ლიტერატურისა...

აგერ გუშინწინ იყო, ღამით რომ ეზმანა პოლტავის დიდებული ალვის ხეები, ფრთოსანი კენწეროებით ავარდ-

ნილი ვარსკვლავთა მსხვილი ზურმუხტებით მოკვდილ უძირო ცაში ეზმანა სამდელი უკრაინული ღამე გულს ჩაქმდა ხედება, სწორედ ისეთი. ღამის სიღრმიდან სწვდებოდა სმენას ნაზი სიმღერა, ხან მზიარული, ხან სევდიანი. თვითონაც მოუნდა ამღერებელიყო, როგორც იყო და ზოლმე. და მესხიერებაში სიმღერით ცოცხლდებოდა ხან „ტეჩე რიჩა ნეველიჩა“, ხან „ოი კაზალა მენი მატე“, ანდა კიდევ რაღაც დავიწყებული, „კოზზარიდან“. მიაბიჯებდა მდელოზე და მდელოებს გადაღმა მდებარე შარავნიდან ესმოდა ურმების ჭრიალი. მერე ეზმანა მხურვალე იასამნის სავაზაფხულო ღრუბლებში გახვეული კიევი, ფეხქვეშ გაიელვა დნეპრის ზოლმა, ზღვასავით განიერმა. რაღაც მტკივნეული სიხარულითა და ბუნდოვანი განგაშით ავსებულს გაელვიდა.

გუშინ იყო, რომ ჩამოვიდა მთებიდან, თავისი პატარა, რომანტიკული, წითელსახურავიანი ბისკინტიდან, რომელსაც დაპყრებს უზარმაზარ საინის მთაზე ჭერ კიდევ შემორჩენილი მოცისფრო თოვლი. ჩამოვიდა და შეხედა სტუმრებს საბჭოთა კავშირიდან, შეხედა დიდ, ზნაურიან თბილის-ქალაქში მცხოვრებ პროფესორს.

მეგობართაგან უკვე სმენოდა მის შესახებ, ამიტომაც ფრთხილად ჰკითხა: — თქვენ მგონი არაბული ლიტერატურა ვაინტერესებთ?

— დიახ, — თავმდაბლად მიეგო პროფესორმა.

— მგონი კითხულობთ კიდევ არაბულად? — განაგრძობდა ნუაიმე.

— ვკითხულობ და ვლაპარაკობ კიდევ. — და სტუმარი არაბულზე გადავიდა. ეს იყო პირველი მოულოდნელობა. მაგიდაზე კი იღო ცისფერყდინი წიგნი და ზედ ეწერა: „აკადემიკოსი ი. ი. კრაჩკოვსკი. რჩეული თხზულებანი“. ეს უკვე მეორე მოულოდნელობა იყო.

— შეიძლება ენახო? — თქვა ნუაიმემ. თვალბს არ უჯერებდა.

— ინებეთ, ნახეთ. ზოგი რამ განსაკუ-



თრებიტ საინტერესო უნდა იყოს თქვენთვის...

სუაიმემ ჩახედა სარჩევს. თვალში მოსვდა წერილი „არაბი მწერლები და რუსი არაბისტი“. რაღაცამ შეათრთოლა. ნელ-ნელა შეუდგა წიგნის ფურცელას, თითქოს რაღაც უნდა აღმოეთქვა ისეთი, რასაც თვითონ არაფრით ელოდა, რაც არ უფიქრია. და მართლაც, უცერად ორმოცდამეათეწესმეტე გვერდს იჭით წააწყდა თავის პორტრეტს, მხატვარ ჯებრანის დახატულს.

წიგნიდან უყურებდა ლამაზი ახალგაზრდა, ნაღვლიან და ფიქრიანი თვალებით, ცოცხალი და შთავგონებული სახით. ასეთი იყო იგი მრავალი წლის წინათ. თავის ახალგაზრდობასთან შეხვედრამ კიდევაც შეაერთო. უნებურად დაიწყო წერილის კითხვა, მაგრამ გაიფიქრა, რომ ცოტა არ იყოს უხერხული და საჩოთიროა მაშინვე ის წაიკითხო, რაც შენზე დაუწერიათ, თანაც აცდენ წიგნს. ზერელედ განაგრძო ფურცლა.

— ერთი დღით მათხოვებთ ამ წიგნს?

— შეგიძლიათ სულ წაიღოთ, წიგნი თქვენია, — თქვა პროფესორმა წერეთელმა.

— თქვენ რომ უწიგნოდ დარჩებით, განა არ დავკირდებათ?

— სხვა ვგზემპლარებიც გვაქვს. ინებეთ გეთაყვა, ჩვენი შეხვედრის სახსოვრად გქონდეთ!..

და სუაიმემ იმავე საღამოს წაიკითხა თავი, რომელსაც ერქვა „პოლტაველი სემინარისტი“. უურადლებით ჩერდებოდა ყოველ აბზაცზე. მის თვალწინ საოცარი სიტყვებით ჩაიქრთლა. წარსულმა წინაზე ნახული სიზმარივით. ძველი, მფის რუსეთი, ამწვანებული კიდეი, პოლტავის მტერიანი ქუჩები, სემინარია, მეგობრები და ამხანაგები. ხშირად ესიზმრებოდა ხოლმე სამშობლოს უდაბური მთები და ბისკინტა. ხარბად ნათქავედა ცოდნას. ზედიზედ წაიკითხა კლასიკოსები. იზებირებდა ლექსებს და სიმღერებს. გულში ჩაუსახლდნენ პეშკინი, შევჩენკო. თავისი ცეცხლოვანი

მწერ-მეტყველებით განაცვიფრა ბელისკიმ. სადაც შოოს, მრთქონდა სხვა ცხოვრებაში, დარჩა მხატვრობა სანაკადოების პატარა რუსული სკოლა ბისკინტაში. უკრაინა ხდებოდა მისი მეოცე სამშობლო. მაგრამ გაიტაცა რევოლუციის ქარიშხალმა და, ბოლოს და ბოლოს, მოუხდა შიტოვება იმ ქვეყნისა, ასე ძალიან რომ შეუყვარდა. მაგრამ იმ დიდმა წლებმა თავისი წარუშლელი კვალი დატოვეს.

მერე ბევრი ქვეყნები და ადამიანები გაიცნო, შორი გზები გამოიარა, დაბრუნდა მშობლიურ ბისკინტაში, უკვე მოწიფულ მწერალს ორმოცი წლის სიცოცხლე ჰქონდა მოტოვებული. ენატრებოდა შორეული ქვეყანა, სადაც იშოვა გულითადი ადამიანები და თვალი შეავლო მომავლის უზარმაზარ სივრცეებს.

წიგნი დახურა, ტკბილი ვრძნობით იყო შეპყრობილი, თითქოს შეაღო კარი სახლისა, სადაც დიდი ხანია ელოდნენ და ყოველთვის იხსენებდნენ. ცოცხალი მეგობრებივით ესაუბრებოდნენ წიგნის ფურცლები, ორჯერ გადაიკითხა ის სტრიქონები, რომლებმაც იგი მოწუნეს. კრაჩკოვსკი წერდა:

„სუაიმე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ყოველთვის როდია ჩვენთვის ნათელი ის ფაქტორები, რომლებიც ავეიხსნიან ადამიანის შიერ თავისი ცხოვრების გზის არჩევას: ყოველთვის როდია ჩვენთვის დეტალურად ნათელი ის გზებიც, რომელთაც მიჰყვება სიმპათიების ჩასახვა ადამიანებსა და ხალხებს შორის...“

დიახ, აი ისინი — რუსი და არაბი, შეგნებულად რომ დაირქვეს „მიშა არაბი“ და „განტუს რუსი“. მთელი სიცოცხლე შერჩათ ეს სახელები. და რაოდენ გულითადი მეგობრობა ჰქონდათ, რამხელა ვაგება, რამხელა სიმპათია! „აქ კი ძალზე მართალი ხარ მეგობარო!“ — თავისთვის თქვა სუაიმემ. წერილი თავდებოდა საოცარი სიტყვებით: „საფიქრებელია, რომ კაცობრიობის მომავალი დიდად არის დამოკიდებული უნა-

რისაგან — მოძიოს ასეთი სიმპათიის გზები“.

„რუსეთი მომენტარა, უკრაინა, — თავისთვის თქვა მან, — ნეტავი ჩამასუნთქა პაერი უკრაინისა, ჩემი მეორე საშობლოსი ნეტავი ახლა დნეპრის პირას ვიდგე კიევში, ნეტავი კიდევ ერთხელ მაჩვენა პოლტავა — ჩემი სიკაბუკის ქალაქი!“

ამის შემდეგ იგი მოვიდა პროფესორ წერეთლის ლექციაზე და ნასიამოვნები დარჩა, რომ ეს კაცი, დიდი მეცნიერი, ელაპარაკება არაბებს მათსავე ენაზე და უამბობს ამბებს, რომლებიც უცნობია მათთვის, მაგრამ ეკუთვნის მათს ისტორიას, მათს სულიერ სამყაროს. ეს კაცი მადლობის ღირსია. და თანაც იგი ხომ მოწაფეა დაუფიწყარი „რუსი განტუსისა“.

მიუხალოვდა და ხელი ჩამოართვა, როგორც ძველსა და კეთილ მეგობარს. და მეცნიერიც, რომელსაც სენტიმენტალობას ვერ დასწამებდი, მიუხვდა წუთიმეს. იმ საღამოს ისიც აღელვებულ იყო და რიგიანად ვერ შეძლებდა აეხსნა, თუ რატომ იყო აღელვებული...

მადამ კურის ქუჩაზე, ოტელ „პროსტოლში“, დიდ, თითქმის კვადრატულ ოთახში, სადაც ევიდა ხალიჩები, სურათები და სარკეები, მრგვალი მაგიდის გარშემო ხმაური იყო, დროდადრო უზომო ხმაურიც, რადგან დამსწრეთა შორის იყვნენ ახალგაზრდა პოეტები; მიჩვეულნი ხმამალა ლაპარაკსა და თავისი ლექსების რაც შეიძლება ხმამალა კითხვას. ქრისტიანები და მამადიანები მეგობრულად საუბრობდნენ სუფრაზე. ჭიჭიბნი ესხა თეთრი და წითელი მიუზარი. ლიბანში თხუტმეუზე მეთი რელივია და სექტა არსებობს და დიდხანია ყველა შეეჩვია ამას.

ათას რამეზე საუბრობდნენ. სასხვათაშორისო შეკითხვები, შეცბუნება, სატქმელის არდაბოლოება, ენათა სიმრავლე, მეგობრული ღიმილი, მჭევრმეტყველების უეცარი აფეთქება, სიმკვახლე თუ სინაზე — ყოველივე ეს იმდენად უშუალო და მოულოდნელი იყო, რომ

ყველანი თავისუფლად და ძალდაუტანებლად გრძნობდნენ თავს.

ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, რაც მოსდიოდათ თავში. პოლოს და ბოლოს, ეს ხომ დისპუტი არ იყო და არც ჩაციებული დაკითხვა. პოეტებმა მოგვყარეს შეკითხვები საბჭოთა კავშირში ცხოვრების შესახებ. ეს შეკითხვები იმას მეტყველებდა, რომ ისინი სულ არ გვიცნობდნენ ჩვენ, არ იცნობდნენ ჩვენი ცხოვრების პირობებს, ჩვენი ლიტერატურის ვითარებას. თუმცა ეს იყო ცხრა წლის წინათ და ეპატუბოდათ.

— შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირში წერო ლექსები სიყვარულზე და სატრფოს სილამაზეზე?

— შეიძლება თუ არა უმღერო ბუნებას ისე ფერუხვად, როგორც არაბულ პოეზიაში?

— რა განსხვავებაა თქვენს პოეზიასა და პროზას შორის?

— ლიბანში, სირიასა და პალესტინაში ასცამეტი რუსული სკოლა იყო რევოლუციამდე, ახლა კი ერთიც რატომ აღარაა?

— შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირის დასმარებით ლიბანში გაიხსნას ათუნდაც ერთი სახელოსნო სასწავლებელი?

ყველა კმაყოფილი დარჩა, როდესაც შეიტყვეს, რომ საბჭოთა კავშირში შეილება წერო სიყვარულზე, სილამაზეზე, ყველაფერი, რაცა გასურს, ფერების დაუზოგავად და დახატო ლექსში ყველაზე ფანტასტიკური, ყველაზე დახლართული, ყველაზე ფორმალისტური პეიზაჟები, რომ ზოგიერთი პოეტის ლექსებსა და პროზას შორის ძნელია აღმოაჩინო განსხვავება... რაც შეეხება რუსულ სკოლებს, ძველ დროს ისინი დაარსებული იყო ევრეთწოდებული ბიბლიური საზოგადოების მიერ, ახლა კი ასეთი რამ აღარ არის, ხოლო სახელოსნო სასწავლებლის გახსნა თვითონ არაბებსაც არ გაუჭირდებათ...

ახალგაზრდა საბჭოთა არაბისტებმა, რომელმაც საყოველთაო ყურადღება

მიიპყრო (არ გვატყუებენ, ხედავთ მაგათი ახალგაზრდობაც სწავლობს არაბულს), რუსულად წაიკითხა მიხეილ ნუაიმეს ლექსი, დაწერილი ახალგაზრდობისას, პოლტავაში. ლექსს ერქვა „გაყინული მდინარე“.

მან ჯერ არაბულად გააეცნო მსმენელთ ლექსის შინაარსი; ნუაიმე აღწერს მდინარეს ზამთარში. მდინარე ყინულს დაუფარავს. მკვდარივით გახევებულა მდინარე, გაყინულა, „ნეტავ თუ ახმაურდება მზიარული ცხოვრება მის ნაპირებზე“. ეს იყო რეაქციის წლებში და პოეტი ლაპარაკობდა მომავალ რევოლუციამზე. ლექსის დასასრულს იგი მცმართავდა უკვე მთელს ქვეყანას, ამ მდინარესავით გაყინულს:

ჩვენ გვქამს, რუსეთო,  
სული და გულით,  
რომ დაიდეგება  
შენც გაზაფხული.  
თქვი: როდის მოვა  
დღე ოცნებისა?  
სდუმნარ ძვირფასო!  
ძილი ნებისა!

უცნაურად აელერდა ამ ოთახში რუსული სიტყვები არაბული სტროფების შემდეგ, მთელი საღამო რომ იფრქვეოდა წერიალით.

— რა ერქვა იმ მდინარეს, რომელიც აღწერილია ლექსში? — იკითხა ერთერთმა დამსწრემ.

— სულა!

— მე კი მეგონა, ვოლგა! სულაც ისეთი დიდი მდინარეა, როგორც ვოლგა?

— არა, სულა პატარა მდინარეა, მაგრამ პოეტი მხატვრულ სახედ იყენებს მას. იმ მდინარის პირას ცხოვრობდა, სოფელში, თავის უკრაინელ მეგობართან...

მეორე პოეტმა თქვა:

— ჩვენი ნუაიმე მაგონებს ძველი პოეტის ალ-მუთანაბის სტრიქონებს, ლომზე რომ არის ნათქვამი: „ის მედიდურად და რბილად დააბიჯებს მიწაზე, როგორც ექიმი, სნეულს რომ სინჯავს. უკან გადაგდებული ფაფარი წააგავს

თავზე დადგმულ გვირგვინს და გგონია: უცებ თუ განრისხდა და ბრძღღვინება მოართო, ეს გვირგვინი ძირს ჩამოუვარდებოდა“. მე კი ამ თასით ვადლეგრძელებ ნუაიმეს პოეზიას და საერთოდ პოეზიას! მახსოვს ვილაყის სტრიქონებს, უპრიონია ახლა ითქვას:

ო, მერიქიფეც, ღვინის ცეცხლით აანთე  
ჩვენი ქალები,  
შენ კი მეგონაო, იმდურე, რამეთუ ვველა  
სურვილი ამქვეყნიური  
ამაჟამად ჩვენს ხელთ არა!

ჩვენ დავლიეთ პოეზიის სადღეგრძელო. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. მუდამეკამს ასე ისხდნენ და საუბრობდნენ პოეტები და მეცნიერები. წამოდგა საუბრით აღგზნებული ერთი პოეტი. ის უკვე ბედუინს გვაგონებდა, საცაა აქლემს რომ უნდა მრახტეს, გააქროლოს და შუბი შეათამაშოს ზელში.

— დახეთ ძმებო, ეს უსამართლობაა! ჩვენი ნუაიმე, რომელსაც ავრე უყვარს რუსეთი, არაბულად და რუსულად წერდა ლექსებს რუსეთის ბრძოლაზე თავისუფლებისათვის, წერდა რუსებზე, თუმცა თვითონ არაბი იყო. აბა წაგვიკითხოთ ლექსი, სადაც რუსი პოეტი ლაპარაკობდეს არაბთა ბრძოლაზე თავისუფლებისათვის! არაბ პოეტს სწამდა რევოლუციის გამარჯვება რუსეთში. აჯერ ახლა მოვისმინეთ ეს. აბა თუ არიან რუს პოეტთა შორის ისეთნი, რომ დაეწერათ არაბებზე, მათ ბრძოლაზე თავისუფლებისათვის?

წარმოთქვა ეს მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები და დაჭდა. ერთგვარი დამნეულობა ჩამოვარდა. გავიხსენეთ სხვადასხვა ლექსები, მაგრამ ყველა ისინი ეკუთვნოდათ კლასიკოსებს, ბრწყინვალე ლექსები იყო, როგორც ლერმონტოვის „სამი პალმა“, მაგრამ შორს იდგნენ საბრძოლო მოწოდებისაგან.

რამდენი არ ვეცადეთ, მაინც ვერ გავიხსენეთ რუსი პოეტის ლექსები ამ თემაზე. მაგრამ ჩვენი მეგობრის შეკითხვას უპასუხოვდ ვერ დავტოვებდით. სხვა გამოსავალი აღარ იყო და იძულებულ



ბული გავხდი მეტყვა: გამასენდა, მე მაქვს ერთი ასეთი ლექსი. ოღონდ ცოტა მოითმინეთ. ჯერ-ერთი, მთელი ლექსი ზეპირად არ მახსოვს. მეორეც — საჭიროა მცირე განმარტება. ეს იყო დიდი ხნის წინათ, ოციან წლებში, ერთ უძილო ღამეს ჩემს მშობლიურ ქალაქში, ნევაზე, როდესაც მას ჯერ კიდევ პეტროგრადი ერქვა. იმ ღამეს განსაკუთრებული კაშკაში გაქონდათ ვარსკვლავებს და იფიქრებდი, ისინი კიბესავით აგიყვანენ ცაშით. იმ ღამეს ვეითხულობდი ყურანს და გადავშალე ერთ გვერდზე, სადაც ნათქვამია: „ეინ გეტყვის შენ, თუ რა არის ალ-ყადრის ღამე? ალ-ყადრის ღამე ათას თვეზე უკეთესია. ამ ღამეს ანგელოზები გადმოდიან ციდან, რათა წარმართონ ყოველი არსებული. და ამ ღამეს ცისკრის ამოსვლამდე სუფევს მშვიდობა“.

შენიშვნაში წაიკითხავთ, რომ ალ-ყადრის ღამეს მტკიცდება და გარდაწყდება სამყაროს საქმენი მთელი წლით. ახალგაზრდა ვიყავი, ძილი გამირბოდა, ღამე კი ისეთი მშვენიერი იყო, და ვფიქრობდი მსოფლიო რევოლუციებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა გადაგვეწყვიტა რევოლუციურად სამყაროს საქმენი, თუნდაც უახლოესი ერთი წლით, ანგელოზთა დაუხმარებლად. აი თუნდაც არაბებიდან დავიწყეთ. კალამი ავიღე, რვეული გადავშალე და ლექსით მიემართე ადამიანებს, ღრუბლებსა და უდაბნოს მხეცებს. ვლაპარაკობდი არაბთა დამცირებაზე, იმაზე, თუ როგორ ჩაგრავენ ამყამად არაბებს, თუ როგორ აიძულებენ სამსახურს იმპერიალისტთა ჯარებში და კიდევ იმაზე, რომ ისინი უნდა გამოფხიზლდნენ და აღსდგნენ საბრძოლველად. მე მოვუწოდებდი არაბებს ბრძოლისკენ. წაგიკითხავთ იმას, რაც მახსოვს. აი ეს ლექსი:

იმინე:

ტყვე მწვანე არის ალ-ყადრის ღამე,  
 ვინ აჯაყუნებს ჩემს გულში და ხახლის  
 კარებზე?

დაცე ალ-ყადრის ვით ვაუკაცო და ვით  
 მხედარი,

ალ-ყადრის ვით ძმა,  
 ამბორს ამბორით შევყავებ,  
 მახვილს — მახვილით.

— ეს არაბის დაწერილია! — წამოიძახეს მსმენელებმა, როდესაც პროფესორმა წერეთელმა გადაუთარგმნა ჩემი სტრიქონები. მე განვაგრძე:

ახლო ვამი...  
 დაღლილი ძალმა, თავს რომ აქნევს  
 აღმოსაუღლით,  
 ბალახთა ღოცვა. ღოცებია აღარ მოდიან  
 წუაღზე,  
 ასი არ კმარა, კემშარიტად სამჯერ ასი  
 უნდა გაკოცო,  
 როცა ზეცაში პირველივე ვარსკვლავა  
 შევხვდეთ,  
 რათა ამ ღამეს, ალ-ყადრის ღამეს  
 ჩემი ცხოვრება დაბრუნდეს ჩემთან,  
 ვუთხარი იმ კაცს, ღრო არის-მეთქი,  
 იმას, უვლელაზე უდიდესსა და უძლიერესს...

— ეს არაბული ლექსია! ნაღდზე ნაღდი! — იყვირეს მსმენელებმა.  
 მე განვაგრძობდი:

ბავენი ჩემი — სიპართღეა, ბავენი ჩემი —  
 სამჯავროსა  
 ხვალღიდან ძალზე გრძელი გზა მელის.  
 შეაქლემეც ვარ, აქლემიც მე ვარ,  
 ქვეითი მიწა ვარ და ზევით — ზეცა...  
 ხვალღიდან — ხვალღი.  
 ახლა იძინე ჩემო ყვავილო.  
 დაღეს მშვიდობაა — წუაღზე და ხმელზე,  
 დაღეს კი, ალ-ყადრის უძლიერეს ღამეს  
 კაცსა მოდგამადან უბედურულესიც  
 მოცაქულთ შეგუაეთ სამოთხეში...

— ჩვენ გადავთარგმნით ამ ლექსს და დავბეჭდავთ ბერიუთში! — თქვეს არაბებმა.

მე ვუპასუხე:

— მაინც უნდა ავიხსნათ რაღაც. აზრთა სირთულემ და სისხლსავეს სახეებმა დამძლიეს მაშინ. მე კი მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ არაბები აიძლებენ ხმალს და იბრძოლებენ თავისუფლებისათვის. ყველა ხალხი უნდა ეძმოს ერთმანეთს და უნდა იყოს თანაბრად დიდი თავისი წარმატებებით! არ ვიცი, იმ ღამეს, რატომ მომხვდა ხელ-

ში ყურანი და რატომ ვფიქრობდი არა-  
ბთა ბედზე. ერთხელ ჩვენმა დიდმა პუ-  
შკინმა დაწერა „მიზაძვა ყურანისა“,  
არ ვიცი რატომ დაწერა. გულს უნდა  
წასვლა მეგობრობის ბილიკით იმ ხალ-  
ხისკენ, საითაც გული მიგვიწევს. მაგ-  
რამ რაღა მაინცდამაინც ერთ მოულო-  
დნელ ღამეს შეგიპყრობს ეს გრძნობა,  
ვერაფინ იტყვის. მაცდუნა სურვილით,  
ჩემებურად გადამეწერა ყურანის სუ-  
რები, რადგან ჩვენს დროში ადამიანე-  
ბი ღმერთების თანასწორნი არიან, ხო-  
ლო ანგელოზებს ადამიანთაგან ვეღარ  
გაარჩევ, იმ ღამეს კი უჩვეულოდ კაშ-  
კაშებდნენ ვარსკვლავები...

— ჩვენც საუკუნეთა მანძილზე მხო-  
ლოდ ანგელოზებს და ალ-ყადრის ღა-  
მეს ველოდით, — თქვა ერთმა პოეტ-  
მა, — მერე კი ჩვენ ღვითონ შევუტიე  
ზეცას და ახლა კიბე ჩვენს ხელთ არის,  
ჩვენი ცა თავისუფალია, ანგელოზები  
ჩვენთან არიან, მაგრამ ძნელია მშვი-  
დობის დაცვა დედამიწაზე. მტერი ძა-  
ლზე ბევრი გვყავს. ჩვენ კი ყველასთ-  
ვის მშვიდობა გვინდა!

— შენ კარგად ამბობ, — უთხრა  
მეზობელმა, — როგორც თვით ვიქტორ  
ჰიუგო. გასსოვს მისი სიტყვები: პოეტს  
არ ძალუძს მარტოდმარტომ იაროს წინ.  
უნდა გაჰყვეს ადამიანიც. ასე რომ,  
კაცობრიობის ნაბიჯები — ხელოვნე-  
ბის ნაბიჯებია და ჩვენც ვესურს ვი-  
აროთ ყველასთან ერთად!..

— აჰ! წამოიძახა ერთმა პოეტმა, აქა-  
მდე ჩემად რომ იქდა, და მის ხმაში  
მრისხანების ნაპერწკლები აზრიალდა,  
— მე ... — ის იღგა და მუშტებს იქ-  
ნევდა: — მე, მაჯიდი, მშვიდობის ნავ-  
სადგურში მივუძღვი ყაჩაღთა ფლოტს,  
რომლებმაც მომატყუეს და ვეუბნები  
მათ: „ავგერ, ქვეყანა, სადაც მშვიდო-  
ბით უნდა მივედწიათ“. მათ კი, რა  
ჩაიღინეს მათი მე მასსოვს ეს პორტუ-  
გალიენი, მოტყუებითა და მზაკრო-  
ბით რომ დაიპყრეს ყველაფერი. ბალა-  
ხი ამოვიდა მაშინ ბაღდათის ქუჩებში,  
ალარაფერი იყო აქლებებით გადასაზი-  
დი. მათ მოსაპეს ჩვენი ხომალდები და

კიბე-სიმაგრენი! მათ ჩავეტეს ჩვენი  
მშვიდობიანი საზღვაო გზა, მათ მოს-  
პეს ჩვენი კულტურა. მე, მაჯიდი, ვამ-  
ბობ ახლა: ისინი დღესაც ტანჯავენ შავ  
აფრიკას, როგორც ჩვენ გვტანჯავენ  
ოღესლაც! ტანჯავენ, როგორც ჩვენ  
ოღესლაც! დიახ, დიახ, აგრეა!

იგი ისე ხმამაღლა აყვირდა, რომ  
თანჯარასთან დასვეს და დააშოშმინეს.

სალამო აშკარად დასასრულს უახ-  
ლოვდებოდა. დაიწყო განათლების სა-  
მინისტროს კონფერენცია-დარბაზში და  
თავდებოდა ჩინებული სასტუმრო „ბრი-  
სტოლის“ კვადრატულ ნომერში. სტუ-  
მრები ჯგუფ-ჯგუფად გეტოვებდნენ.  
ოთახი დაკარიელდა. გადავწყვიტეთ  
გასეირნება ძილის წინ. მე და ახალ-  
გაზრდა საბჭოთა არაბისტი უკანასკ-  
ნელ სტუმრებთან ერთად გარეთ გა-  
ვედით. მაღამ კიურის ქუჩაზე კაცის  
კაპანება არ იყო. ზღვის თბილი ნი-  
ვი მეგობრულად ელაშენებოდა ჩვენს  
გახურებულ ლოყებს. ძლივს გაიგონე-  
ბდი, ისე შრიალებდნენ ფოთლები პა-  
ლებებზე.

შორიახლოს ორ კაცს მოვკარით თვა-  
ლი, მოგვეჩვენა, რომ ერთი მხარში  
უდგებოდა მეორეს. ჩვენს სტუმრებს  
მივამსგავსეთ. მიუახლოვდით.

ჰო, ორი შეგობარი იყო, ერთი მათ-  
განი სწორედ ის, რომ ყვიროდა, მა-  
ჯიდი ვარო. ახლა კი ბარბაცებდა პალ-  
მას მიყუდებულნი.

— რა დამართა? ცუდად არის? გვე-  
ჩვენება, თუ მართლა ტირის? არა, ნა-  
მდვილად ტირის. რა ატირებს?

არაშემა, მეგობარს რომ პატრონობდა,  
შემოგვხედა, გვიცნო და ნაჩქარევად  
გვიპასუხა:

— ჯავრი ატირებს?

— ვინ გააჯავრა?

— ამბობს: მაჯიდი რატომ უჩვე-  
ნაო გზა პორტუგალიელებს! რატომ  
მიაყენაო მათი ხომალდები ინდოეთს;  
ეს ვერ უპატიებია მაჯიდისათვის! თვით  
მაჯიდი მოინანიო და უკვე გვიანი  
იყო. მაჯიდი საშინელო რამ ჩაიღინაო.

ქოდა, ვერ უპატიებია... კარგი, ამატიე ვეთავაჯა!

— არა! არასოდეს არ ვაპატიებ! — დაიყვირა პალმას მრყულდებულმა, თვალებში დახუჭული ჭკონდა და ბარბაცებდა. — ვერ მიპატიებია!

მისი მეგობარი გველაპარაკებოდა, რათა აესხნა ჩვენთვის სექმის... ვითარებანი.

— ვერ დამშვიდებულა ტირის, ძალიან მგრძნობიარეა. ვუტუნები: დაივიწყე-მეთქი მაჯიდი. ამის გამოსწორება უკვე მწელია მინც ტირის და ამბობს: ეს იყო კოლონიალიზმის დასაწყისიო. შენ ამბობ-მეთქი, კოლონიალიზმის დასაწყისიო, მაგრამ მისმინე, კოლონიალიზმი, უკვე სჭლხ დაფავს. არა; თქვენ გესმით, მინც თავისას გაიძახის: სულერთია — კოლონიალიზმიო! წყევლიმც იყოს იგი! არაფერია, გაუვლის. უბრალოდ პოეტია, ძალიან მგრძნობიარე. დღეს კი იმდენი ლექსები ითქვა და იმდენი ვილაპარაკეთ ლექსებზე. თანაც დალია, არ უნდა დაეღლია ამდენი წითელი ღვინო. მძიმე ღვინოა!

პალმან შიყვდებული ანაზდად წყლში გახწორდა და მიაჩერდა სინათლის მძივებს, რომლებიც შემორტყმოდნენ ქუჩებს და სახლებს, ზევით და ქვევით იმ ადგილიდან, სადაც ვიდექით. მერე დატრიალდა მოცეკვავე დერევიშვით და გზას გაუდგა, ხელები წინ ჭკონდა გაწვდილი, თათქოს დროშა უქირავსო, და ალაპარაკდა ხრინწიანი სმით, თან ცრემლებს ულაპავდა:

— ბეირუთი მარგალიტია აღმოსავლეთისა, ჩასმული დასავლურ სპილენძის ბუდეში. მარგალიტია ტალახში და თავზე დაჰგუგუნებს ელექტრობა. მარჯანი-ნაპირზე, სადაც ოქროს მხელილა ქვიშაში, ვერცხლი — ლამში...

— ამინ რეიჰანისას ამბობს, თქვა ახალგაზრდა საბჭოთა მკვრივმა მაგრამ ამასობაში თრი მეგობარი მოსახვევს იქით გაუჩინარდა, თვითონაც არ ვიცი, რატომ ვიმეორებდი რეიჰანის სიტყვებს, შევეჯერებდი ლამელ ბეირუთს და უველაფერი მეგონა სიხმარი.

რა სწორად თქვა კრაჩოვსკიამ, უცვდავ სიტყვათა ბრძენმა შეიხმა, „რუსმა-განტუსმა“, აღამიანმა, რომელიც აქ გადამერთებს მეგობრობის ნიშნად: „ყოველთვის როდია ჩვენთან ნათელი ის გზები, რომელთაც მიჰყვება სიმპათიების ჩახახვა აღაპრანებსა და ნალხებს შორის“...

მომწონდა ეს ქალაქი, ეს გვიანი ეამი, ეს აღამიანები, ცხოვრებამ გააფლო ხასი და შეაერთა ერთიმეორესთან ლამე ნევის ნაპირებზე და ლამე ხმელთაშუა ზღვის, პირას, ბეირუთში. ექნებ, რიდაცისათვის იყო საჭირო, რომ ლექსს დაწერილს ოცდათხუთმეტი წლის წინათ, ეპოვა ესინი, ვისი მისამართთაც დაიწერა. ეპოვა მარტის ისეთსავე ღამეს, როდესაც იწერებოდა.

ან იქნებ, ეს სენტიმენტალური პოეტი ტიროდა ასლა აღალი ცრემლებით იმაზე, რაც მოხდა ოთხას ორმოცდათხე მეტი წლის წინათ, ზნდოეთის ნაპირებზე; როდესაც ჭეშმარიტად უმდიდრეს აკვანში, ნაპარცე აბრეშუმსა და აღმასებზე, უხვად რომ იყო მორწყული სისხლით, დაიბადა ურჩხული კოლონიალიზმისა და მისი პირველი მაცნე იყო გულცივი, ულმობელი, სიმდიდრესა და პატივის დახარბებელი, განუმეტრებელი ვასკო და გამა; რომელმაც მოიხვეჭა უკვდავება და წყევლა-კრულვა დედი ლოცმანისა, ზღვის მეთოზე ლომისა, პოეტისა და ბრძენის — მაჯიდისა!

თარგმანი გიორგი ნახროშვილმა



გრიგოლ აბაშიძე

# ცოტნე ანუ ქართულია დაცემა და ამაღლება

რ მ მ ა ნ ი

პალიატომის ნავსადგურსა და გემსაშენზე გახურებული მუშაობა იყო. წელიწადიც აღარ უნდოდა ნავსადგურის მოთავებას, რიონის შესართავთან უდიდესი ნავსადგომი აღიმართებოდა და სამხედრო ხომალდებს ფართოდ გაუღებდა კარს.

მეფე ჩქარობდა. ვენეციელ და გენუელ ელჩებთან ცალ-ცალკე საიდუმლოდ მართავდა მოლაპარაკებას, უფრო ხელსაყრელი პირობით ხომალდების შექმნისა და საქართველოს სანაპიროზე ნავსადგურების აშენების თაობაზე. ბოლოს, არჩევანი მაინც ვენეციაზე შეაჩერა. ზღვათა მფლობელის ელჩი, დოქის სახელით, საქართველოს ხელშეწყვეს შედავებით აღუთქვამდა საომარი ხომალდების მიყიდვასა და ნავსადგურების გამართვას.

მეფემ ელჩიონი შეადგინა ოდიშის მთავრის მეთაურობით. საქართველოს საამირობაროს გამგებელს ვენეციის დოქთან საბოლოო მოლაპარაკება და ხელშეკრულების დადება დაევალა.

ამას გარდა ცოტნეს თან ქართველი მეზღვაურების და გემშენებლების ჯგუფი უნდა წაეყვანა და მათთან ერთად ვენეციის გემსაშენებში ნახევარი წლის განმავლობაში ხომალდების აგების ხელოვნებას უნდა დაუფლებოდა.

ელჩიონის გასამგზავრებლად დიდხანს ემზადებოდნენ; რამდენიმე გემი დატვირთეს საგზლითა და ვენეციის გამგებელთათვის განკუთვნილი ძვირფასი საქონელით.

— იცოდე, საქართველოს მომავალი ძლიერება ბევრად იქნება დამოკიდებული შენი ელჩობის წარმატებაზე, — ერთხელ კიდევ გაუმეორა მეფემ ცოტნეს გამოშვებობებისას.

ოდიშის მთავარს უამისოდაც კარგად ესმოდა მისთვის დაკისრებული დიდი სახელმწიფო დავალების მნიშვნელობა. მოლაპარაკებების პირობებს ბეჯითად სწავლობდა, საზღვაო საქმეს, ხომალდშენებლობისა და ზღვაზე ომის მეცნიერებას უღრმავდებოდა და თავისი მომავალი ნაბიჯების წინასწარ აწონვასა და გათვალისწინებას აქედანვე ცდილობდა. ლაშასაგან გადაღებული აღფრთოვანება

კოტნესაც ფრთებს ასხამდა, შავ ზღვაზე გაბატონებულ საქართველოს რომ წარმოიდგენდა, სიამაყე აესებდა და თავისი მოწოდება და ადგილი ამ საქმის განხორციელებაში დიდად სპატიოდ ესახებოდა.

გრძელი, ხიფათებითა და ფათერაკებით სავსე გზა ელოდა საქართველოს ელჩიონს. შავ ზღვაში ფრანგი და ბერძენი, ვენეციელი და გენუელი მეგობრები ტაუსჯელად დაშლივირობდნენ. მშვიდობიან მგზავრებასა და ვაჭრებს ძარცვავდნენ და ზოცავდნენ.

მოგზაურობა სამიშარი იყო, მაგრამ მთელი საქართველოსა და თვითონ კოტნეს მომავლისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დავალებით გამგზავრებას დღესასწაულღვით ელოდა ოდიშის მთავარი.

მხოლოდ ერთხელ ჩაწყდა გული და კინალამ თავათაც იტირა, ბრმა მამა და დაუძღვრებული დედა რომ მოეხვივნენ ტირილითა და ვიშვიშით.

— მე აღბათ შეს დარბუნებას ვეღარ მოვესწრები, შვილო, — შესტირა შერგილმა, — ღმერთსა ვთხოვ, გამარჯვებით წარვიმართოს მეფისა და ქვეყნის სამსახურში.

— ცოლსა და შვილს მაინც მიტოვებდე — უნდა გვატოვლოს უშენოდ, შვილო! — ამოუჭდა გული ნაფელას და წამით წახდა კოტნე, მუხლებში მოშვება იგრძნო, და ყელში ბურთო მოაწვა.

დღის მკლავებიდან ნახად დაიხსნა თავი, გემზე ავიდა და ცრემლიანი თვალი სიყვარულით მოავლო საქართველოს მთავორებს.

ზღვაშივე გამოეგზენნ ქართველ მთავარს, სამი სამხედრო ზომალდი მიესალმა მხედრული წესით.

მერე მეწინავე ზომალდი სულ ახლო მივიდა, გემიდან ქალაქის მოურავი ვინჩენცო გადავიდა კოტნეს ნავზე აშლის თანხლებით, საქართველოს სამეფოს დიდებულ მთავარს წარუდგა, დოყისა და ვენეციის მოქალაქეთა სახელით სა-

ლამი მიართვა და სატახტოს გზა დაულოცა.

მთავარმა მეფისა და ქართველ ხალხის საუკეთესო სურვილები გადასცა და ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების სარგებლიანობა აღნიშნა.

ცერემონიალი დამთავრებული არ იყო, რომ ზომალდი მთავარი არხით ქალაქში შევიდა.

კოტნე გაოცებული უუუერბდა წყალში ჩადგმულ ქვის სასახლებს. არხებით დაქსელილ ქალაქსა და წყალში უცხო ფრინველებივით მოსრიალე გონდოლებს.

წმინდა მარკოზის მოედანთან გაჩერდნენ. მთავარი ნახულით აღტაცებას ვეღარ ფარავდა — აქ ყველაფერი მართლაც ზღაპრულად ლამაზი იყო, მაღალი კოშკებიც და უცხო სასახლეებიც, ტაძრებიცა და მარმარილ დაფენილი მოედნებიც.

ქალაქის მოურავი სტუმარს დაემშვიდობა:

— დღეს დაღლილი ბრძანდებით და მოსვენება გჭირდებათ. თქვენს განკარგულებაში სასახლე იქნება მსახურებითა და მოახლეებით. ხვალ თავთ ვენეციის დოყი გიწვევთ სასახლეში დარბაზობაზე. დანიშნულ დროს მე თვითონ მოგაკითხავთ და სადარბაზოდ წავიძღვებით, — თავაზიანად უთხრა ვინჩენცომ. ერთიმეორეს დიდხინის ნაცნობევივით გამოეთხოვნენ; კოტნეს ნავი უკანვე შებრუნდა, მერე ვიწრო არხში შეუხვია და წყალში ჩასულ ფერადი ქვის კიბესთან გაჩერდა. იმ კიბეზე აუძღნენ და სამსართულიანი შენობის სადარბაზოში შევიდნენ. უიმისოდაც ნათელი სასახლე ჰაღვებით იყო გაჩახჩახებული. სტუმრებს მსახურები შეეგებნენ, ბარგი მოართვეს და დააბინავეს.

მეორე დღეს დოყების სასახლეში იწვეეს ქართველი მთავარი. დარბაზობის მოკლე ცერემონიანი მალე დასრულდა და მხარეები მრგვალ მაგიდას მიუხედნენ მოლაპარაკების დასაწყებად.

ვენეციის დოყმა პირდაპირ დაიწყო:

— ჩვენს მეგობარს, ქართველთა მე-



ფეს კარგად უნებებია, რომ ჩვენი კეთილი ურთიერთობის განმტკიცება ახალი ხელშეკრულებით განუზრახავს. ქართველმა მთავარმა და მთელმა ქვეყანამ იცის, ვენეციის ზომალდებს გენუისა და პიზისა ვერ შეედრებიან, ვერც თავიანთი საომარი თვისებებით, ვერც სისწრაფითა და გამძლეობით.

ამასთან, ვენეცია შეღავათსაც ავრცელებს თავის მეგობრებზე და თუ ჩვენ საქართველოს სანაპიროს ზოგიერთი ნავსადგურის გადმოცემაზე შეეთანხმდებით, ზომალდების საფასურის გადახდასაც გადროვებთ. ჩვენი შეთანხმება, რომ ორმხრივ სარგებლიანი იყოს, სჯობს ახლავე გაირკვეს თქვენი და ჩვენი საწადელი: რამდენი ზომალდის შექმნას ფიქრობს ქართველთა შეფე და რაგვარის ზომალდებით სურს მის უდიდებულესობას თავისი საზღვაოსნოს აღჭურვა. ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, თქვენს სამეფოს ჯერჯერობით დიდი სამხედრო ნავსადგური არ გააჩნია და დიდი საომარი ზომალდების მისაღებად და მოსავლელად სათანადოდ მოწყობილი ნავსადგომები ჯერჯერობით არა გაქვთ.

სიტყვა „ჯერჯერობით“ ორჯერ იხმარა დოქმა და ორივეჯერ ნახვასმულად. ცოტნეს უკვმა გაპყრა, ვენეციელებმა ფაშისის მშენებლობა ზომ არსათდან შეიტყესო.

— დიდი ნავმისადგომები, როგორიც ზღვათა მბრძანებლებს აქვთ, ჩვენ არც გაგვაჩნია და არც გვჭირდება. ჩვენ მხოლოდ ჩვენი სანაპიროს დაცვა და გამაგრება გვინდა. ჩვენ ამჟამად რამდენიმე გალერის შექმნის გარდა, თქვენი გემსაშენების გაცნობაც გვაქვს მეფისაგან დავალბებელი. მე, პირადად, მინდა შევისწავლო გემთმშენებლობის ხელობა და ამ მიზნით კიდევ თან რამდენიმე ქართველი ჭაბუკიც მახლავს. ჩვენმა მეფემ იმის რწმუნებაც მოგვცა, ერთი დიდი გემსაშენის აგებაზე შეეთანხმდეთ თქვენთან, თქვენი პირობები შევიტყოთ და, თუ ჩვენთვის ხელსაყრელად მივიჩ-

ნევთ, ასეთი გემსაშენის ერთობლივი ძალით აგებაზე დავდეთ ხელშეკრულებას.

დოქმა ქართველთა ყველა სურვილი შეიწყნარა და ქართველ მთავარს თხოვა. ყველა ეს წინადადება ჯერ დოქისა და ელჩის მრჩევლებს დაემუშავებინათ და მოემზადებინათ.

— ხელშეკრულებათა პირობების საბოლოოდ დადგენამდე ჩვენ კიდევ შევხედეთ და მოლაპარაკება განვაგრძოთ. ამ ხნის განმავლობაში, ქართველ მთავარსა და მის ნაოსნებს ვენეციის საუკეთესო გემსაშენების კარს ფართოდ გავუღებთ და საშუალებას მივცემთ საფუძვლიანად გაეცნონ და შეისწავლონ გემთმშენებლობის ჩვენი ხელოვნება.

მოლაპარაკების დასასრულს ფეხზე წამოდგომას რომ აპირებდნენ, დოქმა ცოტნეს მიმართა:

— ხვალ ჩვენი უდიდესი დღესასწაული, ქრისტეს ამაღლების დღეა. ამ ორასიოდე წლის წინათ, როცა დოქმა, პიეტრო ორეოლომ დაღმაცია დაიპყრო, მაშინ გადაწყდა ამაღლების დღე ყოველ წელს ზარზეიმით გვეუქმნა. რომის პაპმა მაშინ გადასცა დოქს ოქროს ბეჭედი და უფლის სახელით ვენეცია საუკუნოდ ზღვაზე დაწინდულად გამოაცხადა. მას შემდეგ ზღვის დაწინდვის ეს ზეიმი სახალხო დღესასწაულად იქცა. საქართველოს საზღვაოსნოს ამირბარი სწორედ კარგ დროს ჩამობრძანებულა. დილას ვინჩენცო გეახლებათ ჩემი გონდოლით და, თუ ინებებთ, ზღვაზე დაწინდვის ზეიმს ნებაეთ. ზეიმზეც და ნადიმზეც ჩვენი საპატიო სტუმრები იქნებით.

ცოტნემ მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ სიამოვნებით ისარგებლებდა მისი თავაზიანი წვევით.

სალამოს თავის ამაღლსთან ერთად სანაპიროზე გაისეირნა, სენმარკოს შოედანსა და რიალტოზეც გაიარა და შინ დაბრუნდა.

ქართველი მთავრისათვის განკუთვნილი სასახლე მდიდრულად იყო მოწყო-

ბილი. წითელი ხის ავეჯი და ხავერდი, ფარჩა-აბრკეშუმის ფარდები და ქათქათა ლოგინები, მაგიდებზე და თაროებზე ძვირფასი ბროლის ქურჭელი, კედლებზე ვენციცილი და უცხო დიდოსტატების ფუნჯით დახატული სურათები — ყველაფერი სასახლის პატრონების შეძლებასა და გემოვნებაზე მეტყველებდა.

ვიწრო ფანჯარაში გადაიხედა ცოტნემ.

ვენციციაში ღამე იყო და ვარსკვლავებით მოჭედბილი ცა, თითქო ზღვას ავრძელებდა, წყალზე გადაადვარი სახლების უამრავი სარკმლებიდან გამოსული შუქი ზღვაზე ირეკლებოდა და არხებში ფანრებანთებული გონდოლები დასრი-ალბდნენ.

ზღვის შავი ღრმად შეისუნთქა მთავარმა. ეამა, ოდიშის ნესტივით რაღაც შეწვეული და ახლობელი შეიგრძნო. სარკმელს მოშორდა, ტანთ ვიხადა, პირფარა გადაიწერა და საწოლზე დაეშვა.

ღლის შთაბეჭდილებით გაბრუნებულმა ცოტახანს ფიქრით კიდევ იზორიალა დოქის სასახლესა და წმინდა მარკოზის ტაძარში. ერთხელ კიდევ ვიხსენა ოქროთი და პატროსანი თვლებით მოჭედბილი სვეტები და თალები, ნატიფი მოზაიკითა და მხატვრობით დაფარული ჭერი და კედლები. დაღლილობა ისე მოერიო, თვალის დახუჭვა და დაძინება ერთი იყო.

ერთი პირი ძილი გათავებული ექნებოდა, სიმღერა რომ ჩაესმა და ვაეღვიბა. ყური მიუვლო ნაცნობ მანკს. ერთხანს სმენას არ დაუჯერა, თავი სიზმარში ეგონა.

ეოუ ნანა, დიდავიო ნანა... მღეროდა ვიღაც საწყალად, გულის-მოძველულად. ცოტნეს ტანს ბუბგებო დაჟერა. გოგნებული ყურს უგდებდა და ვერაფერი მოეფიქრებინა. მარტო სიმღერა კი არა, ხმაც ნაცნობი იყო. სულში ნაღვლიანად ეღვრებოდა, აბობობდა და ეალერსებოდა.

სიმღერა თანდათან შორეულად მოეს-

მოდა და თითქმის რომ მისწყდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ცოტნე. ფეხზე წამოიჭრა, სარკმელი გააღო, მორიდებისა და ყოველგვარი პირობითობის ბოროტი წაძრით მოეხსნა და ღამეში გასძახა:

— რომელი ხარ მანდ, მეგრულად რომ მღერი... ხმა ვამეცი, მეც მეგრული ვარ.

სადღაც შორს ფანრით განათებული გონდოლა ობლად მიიწვევოდა. ეტყობოდა, ცოტნემ ხმა ეერ მიაწვდინა.

— ეპე-ჰევიეიი... — კიდევ გასძახა მთელი ხმით ცოტნემ და რომ არავინ გამოეხმაურა, ხელი ჩაიქნია, სარკმელს მოშორდა და ცრემლოდგარი ლოგინს დაუბრუნდა.

ვინ უნდა ყოფილიყო ასე გულშიამწვდომად, ასე სევდიანად რომ მღეროდა ნაცნობ სიმღერას? თითქოს ხმაც ნაცნობი იყო და, სიმღერაც ასევე და ათასევე მოსმენილი. გონებას ძაბავდა ცოტნე, ფიქრით ისევ და ისევ ოდიშის ჰელებს უბრუნდებოდა, მაგრამ ამოდ. ვერც იმას იხსენებდა, სად გაეგონა ის სიმღერა, ვერც იმას სწვდებოდა, ვისა იყო ის ნაცნობი ხმა.

დილას უგუნებოდ ადგა ოდიშის მთავარი. საუზმეზე მზღებლებს ჰკითხა:

— წუხელ დაღლილებს ალბათ დაბანგულებივით გეძინათ.

— მვეღრბივით გვეძინა, მთავარო.

— ერთხმად მოახსენეს მზღებლებმა.

— სიმღერა რამ ზომ არ გაგიგონიათ?

— სიმღერა აქ სულ ისმის, მთავარო.

მენავეები თავიანთ გონდოლებს სიმღერით მიაცურებენ ამ ვიწრო არხებში.

— იტალიელები სიმღერებისთვის გაჩენილები არიან ნამდვილად, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდნენ და სადაც არ უნდა იყვნენ, ქუჩაში თუ მოედანზე, ფუნდუქსა თუ აბანოში, ყველგან მღერიან. მაგათი უნაც სასიმღეროდ არის მოგონილი და დიდი თუ პატარა, ყველა მღერის.

— შე მაგათი სიმღერა როდი მოვიკრს.

წუხელ ძილში ჩვენებური სიმღერა ჩამესმა. ვოუნანას მღეროდა ვიღაც ჩვენებური.

— ჩვენებური? — გაოცდნენ ცოტენის მხლებლები.

— ნამდვილად ჩვენებური, ოდიშარი უნდა ყოფილიყო, ისე გულშიჩამწვდომად მღეროდა, გულღვიძლი ამოპიტრიალა, ჭერ თავი სიზმარში შეგონა და ყურს არ დაეუჭერე. გონს რომ მოვედი, დავუძახე, მაგრამ, შორს წასული იყო და ხმა ველარ მივაწვდინე.

— ნუთუ მართლა ჩვენებური ვინმე იყო?

— აქ ვინ უნდა იყოს ჩვენებური?

— ვენეციაში მიღეთის ხალხი ცხოვრობს და რა გასაკვირია, რომ ერთი ქართველიც ერიოს. გავიკითხოთ, ეგებ ვინმემ იცოდეს და შეგვახვედროს, აქაურობის მცოდნე ქართველის პოვნა ჩვენთვის დიდი სიკეთე იქნებოდა.

— საგანგებოდ გამოვიძიებთ...

— მიწის ქვეშ რომ იყოს, იქ ვიპოვით — ერთპირად აღუთქვეს მხლებლებმა.

— მე ამაღამ, თუ მთავრის ნება იქნება, თქვენს ოთახში გავათენებ, ძილფხიზლად ვიქნები და ის ოდიშარი, თუ კიდევ სადმე გამოჩნდა, უთუოდ ვნახავ, — ხეწნით თქვა ანთიამ.

— ღამის თევა რა საჭიროა; თუ კიდევ გამოიარა, მე თვითონ გაგაღვიძებთ, მაგრამ, ვაი თუ აღარ გამოჩნდეს! — დანაზებით თქვა ცოტნემ.

კართან მსახური მოდგა და მთავარს ვინჩენცოს მოსვლა აუწყა.

საუზმედ მსხდარნი წამოიშალნენ, ვინჩენცოს შეეგებნენ და სუფრაზე მოიპატიყეს.

ელჩმა ბოდინი მოიხადა, დღესასწაულზე დოქი გვიცდის, დავიგვიანებთო. ქართული ღვინის ეშხმა მაინც წასძლია, საესე თასი დაუქდომლად დაცალა, ზედ ლუქმა დააყოლა და მთავარს მიმართა:

— ჩემი გონდოლა უკვე მზად არის!

— წავიდეთ! — თქვა ცოტნემ, ხმალი გადაიკიდა, სარკეში ჩაიხედა, თმა-წვერ-

ზე ხელი დაისვა და ელჩს კარსკენ ანიშნა.

მოჩარდახულ გონდოლაში მართავდნენ რბილ სავარძლებზე, გრძელ ნავში ძვირფასი ხალიჩა ეფინა, მცირე ტახალზე სასმელ-საქმელი ეწყო.

ერთხანს ნელა მისცურავდნენ. ვიწრო არხები სადღესასწაულოდ მორთული გონდოლებით იყო გაკმედილი, ქუჩებში ათასფრად მოკაზმული ვენეციელების კრიაპული იდგა. ყველანი ხმელთაშუაზღვის იმ ნაპირისაკენ მიიჩქაროდნენ, სადაც დოქს ერთხელ კიდევ უნდა ესროლა რომის პაპისაგან ნაკურთხი ოქროს ბეჭედი და, ერთხელ კიდევ ზარზეიმით უნდა აღნიშნულიყო ზღვაზე ვენეციის დაწინდვის ცერემონიალი.

— მოწყენილი მეჩვენება ჩვენი მენავე, რატომ არ მღერის? — იკითხა ცოტნემ.

— ამ აურზაურში სიმღერას რა გემო აქვს, მთავარო, სიმღერას მყუდროება და საყუთარ დარდთან ან სიხარულთან მარტო დარჩენა უნდა. ამიტომ მღერიან ხოლმე მიმწუხრის ეამს გონდოლიერები, როცა ქალაქის შფოთი დამცხრალია და დამფასებელს სიმღერის გაგონება შეუძლია.

— წუხელ გულისძილში წასული გამომაღვიძა საამო სიმღერამ.

— ჩვენს სატახტოში, გვიან ღამე, ფანრები რომ ქრება, მერე სიმღერა აკრძალულია და, თუ ვინმე ბედავს, სასტიკად ისჯება. — წარბშეკვრით თქვა ვინჩენცომ, — ეგებ ბინის გამოცვლას ინებებდა მთავარი, ან საძინებლის შეცვლას?

— არა, რა სათქმელია, გუშინ, დაღლილს ადრე დამეძინა, თორემ არც ისე გვიან იყო, სიმღერა რომ ჩამესმა, ქუჩებში ჭერ კიდევ ფანრები ენთო, — შეარბილა პირველად თქმული ცოტნემ და სიტყვა ბანზე აავლო, — ღორს რა უნდა პიაცაზე?! — ტუჩაბზუებით თქვა და ხელი წმინდა მარკოზის მოედნისაკენ გაიშვირა.

მოედანზე პატარა ბიჭი სახრით მსუქან ღორს მიერეკებოდა. ღორი ჭირვეულობდა, გეზს იცვლიდა, უკანვე მორ-

ბოდა. გაბეზრებული ბიჭუნა ბაწრით უკან ექაჩებოდა ურჩ ტახს და თან ხმამალა იგინებოდა.

ვინჩენცოს გაეციდა.

— მაგ მოედნის მარმარილოზე კაციც არ უნდა ადგამდეს ფეხს, თორემ ღორი რა მანდ გასატარებელია?! — გაბრაზება ველარ დამალა ცობანემ.

— ღორს ვენეციელები ადამიანზე ნაკლებ პატივს როდი ცემენ და ეგ სულ იმ წმინდანის გამო, რომლის სახელსაც პიაცე ატარებს.

— ეგ როგორ მოხდა? — იკითხა ცობანემ.

— წმინდა მარკოზი რომ ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად ეგვიპტეს გამგზავრებულა, ანგელოსი მიგებებია და უწინასწარმეტყველებია, რომ მისა სხეულის სამუდამო განსასვენებელი ვენეცია იქნებოდა. წმინდა მარკოზი ეგვიპტეში ურწმუნოებს მოუკლავთ, მის სხეულს თურმე ალექსანდრიაში საგანგებო გუშაგი დარაჯობდა, რათა ქრისტეს აღმასრულებლებს არ მოეპარათ. ეს ამბავი ალექსანდრიაში ჩასულ მამაც ვენეციელ მეზღვაურებს შეუტყვიათ და მარკოზ მახარებლის სხეულის გატაცება განუზრახავთ. დიდხანს უტრიალნიათ წმინდანის ნეშტის მცველისათვის და ბოლოს თავიანთი სურვილი გაუნდევიათ. ურწმუნო გუშაგს შორს დაუქერია.

— რა გაეწყობა, დავიციდით, სანამ წმინდანი თვითონ არ გიბრძანებს ვენეციას წასვენებას და საქმეზე კრინტსაც აღარავისთან დაეძრავთო, — განუცხადებიათ მეზღვაურებს.

გამოხდა ხანი და, ღვთის მიერ ჩაგონებულმა გუშაგმა თვითონ მიაკითხა ვენეციელთ:

— როგორ მოვახერხოთ წმინდანის წასვენება ისე, რომ უსჯულოებმა არ გაიგონ?

— ეგ ჩვენზე იყოსო, უთხრეს მეზღვაურებმა.

წმინდანის წასასვენებლად ყველადერი მოამზადეს, მარკოზის ნეშტი კალათში გადაასვენეს, ზემოდან კომბოსტონ ფოთლები დააფარეს და ფოთ-

ლებზე ღორის ხორცი დააწყვეს. წმინდანის კუბოში სხვა მიცვალებულნი ჩააწყვინეს, წმინდანის ტანსაცმელით შემოსეს და კუბო ისევ ისე დაბეჭდეს, როგორც იყო. შემდეგ კალათით ნეშტი გეშვებ გადაასვენეს და ანძაზე დაჰკიდეს, რომ არავინ მისწვდომოდა. აგარიანებმა მაინც ეჭვი აიღეს და ვენეციელთა გემზე ავიდნენ გასაჩხრეკად. ხომალდის ყველა კუნძული რომ გაჩხრეკეს და ვერაფერი იპოვეს, ბოლოს, ანძაზე დაკიდებულ კალათსაც წაეტანენ. მაგრამ დახედეს და იყნოსეს, თუ არა, ღორის ხორცი, ცხვირში ხელი იტაცეს, „ხანზირ, ხანზირო,“ აყვირდნენ და, ზისლით იქაურობა დასტოვეს. ამის შემდეგ ხომალდი ზღვაში გავიდა და ძვირფასი ნეშტი ვენეციას ჩამოასვენა. წმინდა მარკოზის ნეშტის ეს თავგადასავალი მისივე სახელობის ტაძრის ფასადზე დაწვრილებითაა აღწერილი. ვინც იმ ტაძარს მოინახულებს, წმინდა მოციქული შვიდი წლით ანთავისუფლებს ცოდვათგან, ისე რომ, თუ საამისოდ ღროს იშოვის, ქართველ მთავარს ვურჩევდით. ტაძარი მოენახულებინა და ცოდვათა შენდობა მიეღო.

— წმინდა მარკოზის ტაძრის უნახავი როგორ დავდგებო, ბატონო ჩემო. ოღონდ ეს მითხარი, წმინდანის ხატთან ერთად მისი ნეშტის გადამარჩენელ ღორის ქანდაკსაც ხომ არ უნდა ვცე თაყვანი?

— არა! ღორს საერთოდ ვენეციაში დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ღორთაყვანისმცემლობამდე, როდი მივსულვართ. ქრისტეს სარწმუნოების წინაშე ღორის დამსახურებაზე თვალს ვხუტავთ, ყელში დანას ვწყურით ხოლმე და, მერე მის მწვადებს არხეინად შეგვექცევით.

ვინჩენცოს გონდოლა უხარამზარ ბარკას გაუსწორდა. სადღესასწაულოდ გამოწყობილი დოკი და მისი ამაღლა ბარკაში ჩასხდნენ და ბარკა დაიძრა.

— ნიჩბის მომსმელებს ხედავ? — ხელით ანიშნა ვინჩენცომ, — სულ დიდებულთა შვილები არიან.

ცობანე აღტაცებით შეჰყურებდა მდი-

დრულად მოყაზმულ რჩეულ ვაჟაკებს. წესრიგის დამცველთა მოწოდებით ვინჩენოს გონდოლა პირველი მიჰყავლიდოსაყენ მიმავალ ბარკას.

ლიდოზე ეპისკოპოსი შეეგება დოქს, სინით დარჩეული წაბლი, წითელი ღვინო და ვარდები მიართვა: ქვეყნის მეთაურმა ღვინო და წაბლი იგემა, ვარდებს დაყნოსა და ეპისკოპოსს უკვე ნაყურთხი ოქროს ბეჭედი ჩამოარჯთა. ეპისკოპოსმა ლოცვა აღავლინა, დოქმა ხელი აღმართა და ვიდრე ბეჭედს ისროდა, ლათინურად წარმოთქვა:

«Desponsamus te, mare, in Signum veri perper=tuigue dominii Serenissimae Republicae Venetae».

რაც ძალი და ღონე ჰქონდა დოქმა მარჯვენა მორქნია და ბეჭედი ზღვისკენ გასტყორცნა. ოქროს მცირე რკოლმა ჰაერში წამით გაიფლვა და შორს, ზღვის სიღრმეში ჩაიკარგა.

— უფალო, გვედღრებით, დაგვიშვეილო ჩვენი ზღვა და გარდმოუღვინოთ მშვიდობა ყველას, ვინც ზღვაზე დასცურავს!

იტალიურად აღავლინა ლოცვა დოქმა, მერე ფსალმუნს იგალობა, ეპისკოპოსს ჯვარზე ემთხვია და თხრენით მიმართა:

— მასხურე ნაყურთხი წყალი, ყოველად სამღვდლოო, რათა გავიწმინდო! ეპისკოპოსმა წყალი ასხურა დოქსა და მის მხლებლებს და ყველანი წირვაზე შევიდნენ.

წირვა რომ დასრულდა, წმინდა მარკოზის ტაძარში მყოფთ ცოდვათა განტეგება მიიღეს.

დოქი მოედანზე გამოვიდა და მის წინაშე დღესასწაულს მისალოცად რიგრიგობით წარსდგნენ ვენეციის წარჩინებულნი, საპატიო სტუმრები და დიდვაჟრები.

ცოტნეს მამობრივად მოეხვია დოქი, მრიკითხა და გააფრთხილა, საღამოს სადღესასწაულო ნაღიმზე მეწვიეო. დოქი და წარჩინებულნი საგანგებოდ გამართულ კვარცხლებეზე შედგნენ და დაიწყო აღლუმი.

ჯერ სამხედრო გალერებმა გაიარეს მწყობრად. მეზღვაურებმა ვენეციის მფარველის სადიდებელს გალერებზე შემდგ ვენეციის ხელქვეითი კონძულების ხომალდები მიჰყვნენ თავთავიანთი დროშებით და ამით მეზღვაურთა აღლუმი დასრულდა.

მოედანზე ვენეციელი მოქალაქენი შემოვიდნენ. ხელოსნები თავთავიანთი ამქრის დროშებით მოაბიჯებდნენ აღლუშზე და ის დროშები ამქრის უხუცეს ოსტატს მოჰქონდათ.

პირველად მკვდლები შემოვიდნენ მოედანზე, მაღლა ამართული ჩაქურები და ლითონისაგან გაქედილი საკრავებით.

მკვდლებს ქურჭებისა და ბეწვეულის მოხელეები მოჰყვნენ. ტანთ ყარყუმს და სისამური ეცვათ და თავზეც ძვირფასი ბეწვის ქუდები ეხურათ.

ფეიქრებს აფრიანი ხომალდების ოსტატები მოუძლოდნენ ქათქათა თეთრ სამოსში გამოწყობილნი.

მქსოველებმა და მკერავებმა სიმღერითა და ცეკვით გაიარეს და მაყურებლებს ათასგვარი ქსოვილისა და ძვირფასი ნაქარგის ხელოვნება აჩვენეს.

ოქრომკერდის მქსოველებს თავს მარკალიტებით შემეწული ოქროს გვირგვინები ეხურათ და წინ ძვირფასი ქსოვილებით შემოსილი ბავშვები მიუძღოდნენ.

ფესხაცმლის მკერავთა ამქარს ბბრეშუმისა და ხვეერდის, სანოვავისა და ყველის, ფრინველისა და თევზის ვაჭრები მოჰყვნენ. მდიდრულად მორთულ მოკაზმული ზარაფებს, დალაქებს და შუშის ოსტატებს ფანრებისა და სავარცხლების მზებლეები მიჰყვნენ. ამ უკანასკნელთა ფანრებში თურმე უამრავი ფრთოსანი ჰყავდათ, დოქს რომ გაუსწორდნენ, ფრინველებს კარები გაუღეს, ჰაერში ათასგვარი ჩიტი დატრიალდა ფერადფერადი ფრთების ფარფარით და მაყურებლებს სიხარულის შეძახილები აღმოხდათ.

ხელოსანთა მსვლელობას ოქრომკედელთა ამქარი აგვირგვინებდა. ოქრომკედლებს ფასდაუდებელი სიმდიდრის

ტანსაცმელი ემოსათ, თავს ოქროს გვირგვინები ედგათ. ოქროს ყელსაბამები და გულქანდები ეკიდათ და სამოსიცა და სამკაულებიც თვალსმომპკრელად ჰქონდათ გაწყობილი ყოველგვარი პატიოსანი თვალით.

ცოტნე გოცებელი იყო, არა იმდენად სამხედრო აღღუმით. ვენეციის სამხედრო ძლიერებაზე მანამდეც ბევრი სმენოდა და, აღღუმზე გამოსული ხომალდების რიცხვი და აღქურვილობაც გაგონილთან შედარებით მოკრძალებულიც ეჩვენა.

მას უფრო მეტად ვენეციელი ხელოსნების სიმდიდრე ანცეიფრებდა, ესოდენ ძვირფასი ტანსაცმელით, ოქროთი და პატიოსანი თვლებით რომ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი.

ქართველმა მთავარმა თავის აღტაცება ვერ დამალა და ვინჩენცოს გადაულაპარაკა:

— თუ ოსტატები და უბრალო ხელოსნებიც ეგზომ მდიდრები არიან, ჩანს, ვენეციაში ღარიბი აღარავინ ყოფილა.

— არც არავინ არი, მთავარო. ან კი რად უნდა იყვნენ ღარიბები, როცა მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ქონება უწყვეტ ნაკადად მოედინება ზღვათა მფლობელი ვენეციისაკენ, — თავმომწონედ თქვა მოურავმა და ხელით ნაპირისკენ აჩვენა, — ჩვენი ნავსადგურები ქვეყნის ყოველი კუთხიდან შემოსული გემების დაცლას ვერ აუდიან, თუ სადმე ან დიდებული სასახლეა, ან ხელოვნების რაიმე ძვირფასი ნიმუში, ჩვენს გემებს ვენეციისაკენ მოაქვთ და ოსტატები მათთვის ადგილის შერჩევას, მათ აღმართვასა და ქალაქის კუთვნილებად ქცევას ვერ ასწრებენ.

ცოტნემ აღრეც შენიშნა სანაპიროს გაყოლებით დახვევებული მარმარილოს ფერადფერადი სვეტები და თაღები. ბრინჯაოს ძეგლები, ხისა და ლითონის ძვირფასი ნაკეთობანი ერთ დროს მსოფლიოს სხვადასხვა სატახტოების ტაძართა და სასახლეთა მშვენიებად ცნობილი ეს ძეგლები ახლა ვენეციელებს სამხედრო ნადავლად შემოეზიდათ ასე

უანგარიშოდ, ან ოქროთი ეყიდნათ და ხელოსნებითა და ოსტატების სიმრავლით განთქმულ რესპუბლიკას ღარი და ხელი აღარ ყოფნიდა შესაფერის ადგილზე ღირსი ბრწყინვალეობით მათ დასაბინავებლად.

დღესასწაული დიდი ნაღიმით დასრულდა და ცოტნე რომ შინ დაბრუნდა, მზე ჩასული იყო.

წმინდა მარკოზის მოედანზე სადღესასწაულო ბაზრობა გაემართნათ. საღაური და რა საქონელი უნდა გენატრათ, იქ რომ არ ყოფილიყო. ღვინო, ლუდი და არაყი ყოველ კუთხეში იყიდებოდა. იქვე სვამდნენ და სკამდნენ, ყიდნენ და ყიდულობდნენ და, იტალიურს გარდა, კიდევ მრავალ ენაზე ურიგდებოდნენ ერთმანეთს. ისეთი ყაყანი და ღრიანცეული იდგა. ყურთა სმენა აღარ იყო.

— ეს ბაზრობა ყოველ წელიწადს იმართება სენსას დღესასწაულის შემდეგ და თითო კვირას გრძელდება. დღეის-სწორამდე ვენეციელები ასე იტრიალებენ ბაზარ-ბაზარ. ამ ერთ კვირას ყიდვასა და გაყიდვას მონადომებენ და სხვა საქმისთვის თითქმის აღაოჯის ეცლება.

— მთელი კვირა რა უნდა ივაკრონი! — გაუკვირდა ცოტნეს.

— რა უნდა ივაკრონი? — დედაშიწის ზურგზე თუ რამ ნაყოფი; და ნახელავია, ამ დღეებში ყველაფერი აქ იყრის თავს. და, რომ იტყვიან, ჩიტის რძესაც კი იშოვი. რაც ქვეყანაზე ვაჭარი და საქონელია, ყველა აქით მოედინება, ერთიმეორეს ასწრებენ მუშტრის მიზიდვას და არნახული სიიაფეც არის.

ლამაზ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ვენეციელები სასმელსა და სამორინოებს ეტანებოდნენ, უწყვეტად იგინებოდნენ და ხამაძლა მღეროდნენ.

სანაპიროს გაცდენენ, ვიწრო-ვიწრო ქუჩები და არხები თითქოს ერთი მიმართულებით მიედინებოდნენ, რომ უცებ რიალტოზე ამოეყოთ თავი.

რიალტო ვენეციის სული და გული იყო. ერთიმეორეზე გადაბმულ ფარდუ-

ლებთან ხალხი ბუზივით ირეოდა. ადგილობრივი ვაჭრები და შორით მოსული მექარაგენნი, დალალები და მოგზაურები მთელი ქვეყნის ამპებს ჰყვებოდნენ, თავთავიანთ საქონელს ხმამაღლა აქებდნენ და ერთიმეორეს ხელიდან გლეჯდნენ მუშტრებს.

ლამაზად გამოწყობილი, გულმკერდ-მოლიაგებელი სიძვის დიაციები ურცხვად ეკიდებოდნენ მამაკაცებს.

მდიდრულად გამოწყობილ ცოტნეს აედევნენ, ხან მხარი გაჰკრეს, ხან წინ გადაელობნენ.

— სასტუმრო სახლთან ყოველ საღამოს ბუზივით ირევიან. ლამის კარი შემოგვიტევიან მე და ჩემს მხლებლებს.

— საღამოს, მას შემდეგ, რაც წმინდა მარკოზის მწუხრის ზარი დაჰკრავს, კახპები ვალდებულნი არიან, მათთვის საგანგებოდ მიჩენილ უბანში — კასტალეტოში მოიყარონ თავი და ქალაქში არ იხეტიალონ. მაგრამ როსკიპები კი არა, პატოისნებიც აღარ დაგიდევენ კანონს და, აქედან თუ არ გაეასწართ, ამდენ მთვრალ ხალხში რამე უსიამოვნებას გადაეყვრებით, — ღიმილითა თქვა ვინჩენცომ, ცოტნეს მკლავში ხელი ჩაჰკიდა და რიალტოდან ეავიდნენ.

\* \* \*

შინ რომ დაბრუნდა, ორი უცნობი ელოდა.

— მთავარს ალბათ აღარ ვახსოვარ, — დაიწყო მათგან უფრო ხანშესულმა, — ნიკოლო ბოლონჩინი გახლავართ, ამ ორი წლის წინათ ვიყავი ქართველთა მეფის კარზე გენუის პოდესტას დესპანად.

— აა! მახსოვხართ, როგორ არა! — მუბლი გაეხსნა ცოტნეს, — დაბრძანდით... დაბრძანდით.

სტუმრები სავარძელში დასხდნენ ცოტნეს პირისპირ.

— ახლა, ვენეციაში გზად გამოვლილმა გავიგე თქვენი აქ ყოფნა და გადავწყვიტე მომენახულებინეთ, თან მცირე ძღვენიც მოგართვიოთ — ჩვენებური ღვინო და შალეული, აღმოსავლეთის

შორეული ქვეყნებიდან ჩვენი მამაცი მებღვაურების მიერ ჩამოტანილი სპილოს ძვლისა და ოქრო-ვეცხლის ნაკეთობანი, — ნიკოლომ ანიშნა და მეორე გენუელმა მასპინძელს ძღვენი მოართვა.

— რათ წუხდებოდით, რა საქირო იყო! — ეუხერხულა მთავარს ესოდენ ძვირფასი ძღვენის მიღება.

— რა შეწუხებაა! შემთხვევით, გზად გამოვლილს რომ არ შემეტყო თქვენი მობრძანება და საგანგებოდ თქვენს სახანავად ჩამოვსულიყავი, ასე მცირე მოსაკითხს არ დავეკრდებოდი.

სტუმარი ენაწყლიანი აღმოჩნდა, ერთი რომ დაიწყო, აღარ გაჩერდა, ცისას და ბარისას მოჰყვა და ბოლოს ცოტნეს მთავარი სათქმელი შეაპარა:

— თუ საქართველოს ხელმწიფე ხომალდების შექმნას აპირებს, გენუაზე იაფსა და ხარისხოვანს ვერსად იპოვის. აქაური ფასი გაიგეთ, ჩვენ იმ ფასზე ერთი წილით ნაკლებად უკეთ გამართულ გემებს მოგცემთ. ჩვენ ახლა ვენეციაზე ბოროტი მტერი აღარავინა გყავს, თუ ნავსადგომის, ან გემსაშენის გამართვას აპირებთ, მაგას ჩვენც ვიყარებთ სხვაზე შეღავათიანად. ესეც იცოდეს ქართველმა მთავარმა, გენუა ვერ მოითმენს, რომ შავი ზღვის ნაპირებზე, სადმე კიდევ მოიდგას ფეხი ვენეციაში. ჩვენ მათ ყირიმისა და ვერცხლებით და საქართველოს ნავსადგურებში არამც და არამც არ შევუსვებთ. ისე კი არ გამოვიტოვებთ ვითომ ვისმე ვემუქრებით. საქართველოს ხელმწიფე თვითმპყრობელია და თავის წილ ხმელეთსა და ზღვას, როგორც სურს ისე განაგებს. მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, ვენეციას ახალ ნავსადგომებში ფეხს არ ჩავადგმევინებთ და სადაც უკვე ფეხი უდგას, იქიდანაც ამოვაცვეთინებთ.

ცოტნემ პირდაპირი პასუხი არაფერზე გასცა გენუელ ელჩს, საქმეზე ლაპარაკს მოერიდა და საუბარი სანახევროდ ხუმრობით წარმართა.

ბოლონჩინიმ იმ საუბრიდან სარგებელი ვერა გამოიტანა რა, საქმეზე და-

გვიანება მოიპიზნება, მასპინძელს ძილი ნებისა უსურვა და ფეხზე წამოდგა.

— ერთხელ კიდევ მოგინახულებ, მთავარო. როცა დოქთან მოლაპარაკებას დაასრულებთ. მანამ გენუის მმართველებსაც მოვეთათობილები და, ვინ იცის, ეგებ ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვიოთ უკეთეს პირობებზე ხელშეკრულების დასადებად.

— ვნახოთ, ბატონო ელჩო, ჯერ კიდევ დროა და, როგორც ჩემი ხელშეწყობის ბრძანება იქნება, ისე მოვიქცევი.

წასვლისას ცოტნემ სამაგიერო საჩუქრები უძღვნა გენუელ სტუმარს, მისი რესპუბლიკის მიმართ ქართველთა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერთხელ კიდევ დაუმოწმა და მეგობრულად დაემშვიდობა.

\* \* \*

ის იყო, დასაწოლად ტანზე გახდას შეუდგა ცოტნე, რომ კარზე ვიღაცამ დააკაჟუნა.

— რომელი ხარ? — იკითხა ცოტნემ და, ხალათს ხელი წამოავლო გადასაცემლად.

კარი გაიღო და, ოთახში გაფითრებული ანთია შემოვიდა.

— მამატიე, მთავარო, უდროო დროს რომ შემოგვეკერი, — ქლოშინით თქვა ანთიამ, სული ყელში მოებჯინა და სატყვა გაუწყდა.

— რა ამბავია, უჩა? დაჯექი, სული მოითქვი, წყალი დალიე. — ცოტნემ ბროლის სურა მიაწოდა. ანთიამ ჩამოართვა, წყალი მოსვა.

— დაჯექი, დაჯექი.. — ძალით დასვა ცოტნემ. — ახლა დამშვიდებით მიამბე, რა მოხდა.

— წმინდა მარკოზის მოედანზე შევრჩი და უბედურებას შევესწარი.

— რა უბედურებას, ვაჟო?

— ვიღაც დამნაშავე წელამდე გაეშვივლებინათ, ხელფეხგაბაწრული გრძელ ნავში ჩაესვათ და გავრვარებულნი მარწუხებით ხორცს გლუჯდნენ.

— რას ამბობ, კაცო! — შეწუხდა

ცოტნე.

— წამებული საცოდავად დაგვრჩებოქა და, კვენსოდა, ტროდა და მეგრულად ეძახდა მშველელს.

— მეგრულად?

— ჰო, ბატონო! ჩვენებურად გაჰყვიროდა: ნანა მიშველეო. ჯიჯარი დამეწვა მისი საცოდაობით.

— მერე... მერე...

— მერე ნაპირზე ვადმოათრიეს უბედური და ხის გალიაში ჩასმა დაუპირეს. აქ ასე ცოდნიათ, დანაშაულისათვის, თურმე ხის გალიაში სვამენ დამნაშავეს. წმინდა მარკოზის კამპანალის წვერზე ჰკიდებენ ხალხის საფურთხებლად და დასაციინად და, მხოლოდ წყალსა და პურის მცირე ნატებს აძლევენ, რომ შიმშილით არ მოკვდეს. გალიისკენ რომ მიათრევენ, კიდევ უფრო საბრალოდ აყვირდა, სულ მეგრულად მოთქვამდა და, ღმერთსა და ნანას უხმობდა საშველად. გულზე ცეცხლო მომეკიდა, მწვანელებლებს მივვარდი და გამოგლუჯა მინდოდა, მაგრამ არ მიმიშვეს და, კინაღამ მეც გამოთოკეს. რაკი იმათთან ვერაფერს გავხდი, წამებულის პატრონს შევევედრე, დამნაშავე ჩემთვის მოეცა და რამდენიც უღირდა, ორი იმდენად მოეყიდა. ჯერ შორს დაიჭირა, მერე თანდათან მოლბა და თავის მოძულებულ ყმას ფასი დაადო. ახლა, შენსკენ გამოვიქციე, მთავარო, გვეედრები, უშველო ჩვენს სისხლხორცს... შენი ჰირიმე, უარს ნუ მეტყვი, წამომყვიე და გამოისყიდე... — ანთია იატაკზე დაემხო და ცოტნეს მუხლებზე მოეხვია.

— რა ვედრება გინდა, აღეკი, ახლავე წავიდეთ.

უჩამ ფეხები დაუკოცნა მთავარს, თვალცრემლიანი წამოდგა.

ცოტნე ტანზე სწრაფად იცვამდა. დილები შეიკრა, ქამარ-ხანჯალს ხელი დაავლო და ისე გავარდა გარეთ.

— ვიჩქაროთ, დროზე მივუსწროთ.

— დამიციდიან, ფიცით აღვუთქვი, რომ ერთ საათში მივეტანდი დათქმულ საფასურს.

— ნეტავ, მართლა ჩვენებურია?



— ეი, ნამდვილად ჩვენებურია, გონ-  
დოლიერად ჰყოლია პატრონს.

— იქნებ ის არი, წუხელ რომ მღე-  
როდა?

— შეიძლება ის იყოს... პატრონს  
კონსტანტინოპოლის ბაზარზე ჰყოლია  
ნაყილი.

წმინდა მარკოზის მოედანზე სირბი-  
ლით მივიდნენ. მეგრული ყმის პატრონს  
მუხლი მუხლზე გადაედო, ბრწყინვალედ  
ჩაცმულ-აღკაზმული უცხოელის დანახ-  
ვით, ცოტა არ იყოს, შეერთა, ფეხზე  
წამოდგა და თავის დაკვრით მიესალმა.

— რამდენად მორიგდით? — ჰკითხა  
ცოტნემ.

— თვითონ გეტყვოდა. — ღიმილით  
თქვა ვენეციელმა.

ცოტნემ ქისა ამოიღო, ოქრო გადა-  
უთვალა.

— მშვიდობაში მოგახმაროს, — და-  
ლოცა პატრონმა, — ღონიერი, ამტანი  
ვაჟაკია და ჭერ კიდევ დიდხანს გაგი-  
წევს სამსახურს, ოღონ, ერთს გირჩევ,  
ცოლი ან ქალიშვილი თუ გყავს, მათ  
ახლოს არ გააყარო.

სასჯელისაგან დახსნილი მეგრული სა-  
კაცეზე დაწვივნეს და ისე წამოიყვანეს.  
ცოტნემ მკურნალი ახმოზინა. ექიმმა  
მარწუხებით ნაძიგნი სხეული დაუზი-  
ლა, მალამო დაადო და ნაწამებმა, რო-  
გორც იყო, დაიძინა.

ნაშუალამევს გაეღვიძა. თვალი უნ-  
დოდ მოავლო საწოლთან ჩამომსხდარ  
უცნობებს.

— სად ვარ? — იკითხა იტალიურად.

— შენიახებთან ხარ, ნუ გეშინია, —  
მეგრულად უთხრა ცოტნემ და დაუყვან-  
ვა, — აწი ნულარაფრისა გეფიქრება,  
შენი პატრონისაგან თავდახსნილი ხარ  
და აუგად თითხაც ვერავინ დაგაკარებს.

— ნუთუ მართლა ჩვენიანებთან ვარ,  
ოდიშში?

— ნამდვილად შენიახებთან ხარ და  
ნულარაფრისა გეშინია.

— გალია? გალიაში აღარ ჩამსკე-  
მენ? — წამოიწია აღგზნებული და სიცი-  
ხიანი თვალეები იქ მყოფთ მიამტკრა.

— ველარც გალიაში ჩავსვამენ და

ველარც გაწამებენ, დღეიდან შენ უკვე  
ქართველი მთავრის მსახურში ხარ და  
ეგლახად ხელს ვერავინ გაწლებს.

— მადლობა უფალს! — ოხერა აღ-  
მოხდა ნაწამებს და ლოგინზე დაეშვა.  
ანთია საწოლზე დაიხარა და ჩაჰკითხ-  
ნა:

— სადაური ხარ, ან აქ რამ მოგიყვა-  
ნა, ძმობილო?

— მე ოდიშარი ვარ, შერვილ დადიან-  
ის ყმა. — დაიწყო თვალმხიშტულმა  
და, იქ მყოფებმა ერთიმეორეს გადახე-  
დეს.

— დედაჩემი მთავრის შვილების ძი-  
ძა იყო და, მეც მათთან ერთად ბატონ-  
ის სასახლეში ვიზრდებოდი: ბატონი-  
შვილებზე ცოტა უფროსი გახლდით,  
მაგრამ დღე და ღამე ერთად ვიყავით  
და ორივე თავზე მეტად მიყვარდა. მე-  
რე მთავრის სასახლეში უბედურება და-  
ტრიალდა, მე დარდისაგან გაოგნებულმა  
თავის დახრჩობა მოვიწოდებ და, მდინა-  
რეში გადავხტი. წყალწაღებელი, გზად  
გამოვიღო სომეხი. მექარაველებს დავუ-  
ნახივარ და დახრჩობას გადავურჩინი-  
ვარ. რაკი სიკვდილს გადამარჩინა, ქა-  
რავანმა თავის საკუთრებად ჩამთვალა,  
თან წამოყვანა და ცოტახანს შემდეგ  
კონსტანტინოპოლის ბაზარზე გამყიდა.  
ღარბმა ფრანგმა ჯვაროსანმა მიყიდა.  
თავათე ბეგერი არაფერი ჰქონდა და  
მეც სანახევროდ მამიმშლილებდა. მერე  
ის იყო, ბელგარეხში სალაშქროდ წა-  
ვიდა და მეც თან წამიტანა. იქ სახადი  
დამემართა და სიკვდილს ძლივს გადა-  
ვერჩი. საიქიოს გზიდან მობრუნებული,  
დასუსტებული და გაძვალტყავებული,  
იქვე გამყიდა ჩაღან ფასად. ჩემი ახა-  
ლი პატრონი — ვენეციელი ვაჭარი, შე-  
ძლებული, კეთილი კაცი აღმოჩნდა. მეც,  
რაც შემეძლო თავდადებულად ვემსახუ-  
რე, ჩემს ერთგულებას რომ ხედავდა,  
დამიასლოვა და მომენდო, ჩემგან და-  
ფარული და საიდუმლო აღარა ჰქონდა  
რა და, აღბოთ, ესე შევაბერდებოდი  
ერთმანეთს, რომ ჩვენს შტრის მისა  
ცოლი არ ჩამდგარიყო: ამ ერთი წლის  
წინათ ჩემმა პატრონმა ახალგაზრდა ცო-

ლი მოიყვანა, ჯვარდაუწერლად, როგორც ვენეციაში იცოან. ეს უკვე მისი მესამე ცოლი იყო. ვენეციელი ქალები ბუნებით ავბორცები არიან და ეს ახალგაზრდა ცოლიც არ დაჯერდა თავის ხანშესულ ქმარს. ამ დაწყვეტილ ვენეციაში, ალბათ გეცოდინებათ, საცვლები არ იცოან და ღამე შიშვლებს ძინავთ. ტანს იშვიათად იბანენ, მაგრამ, როცა აბანოში მიდიან, ქალი და კაცი ერთად შიშვლდება და იბანს, ერთმანეთისა არ რცხვენიათ და, პირიქით, ერთიმეორეს ქუჭყის ვაცლაში ეხმარებიან. ჰოდა, მე უბედურს ტანის ბანის დროს დამადგა თვალი ჩემი პატრონის ცოლმა, ჩემი ნდომით განიშვავლა, შემოინდა და იმ დღიდან მოსვენება აღარ მომცა. პატრონის ღალატი და თავის მოჭრა არ ვიკადრე, დედაკაცის ვნებას არ აყუევო, როგორც შემეძლო ვეკრძალებოდი, მასთან მარტო არ ვრჩებოდი და კეთროვანსავით გავფრბოდი. ბოლო დროს, სირცხვილი და მორიდება სულ დაკარგა, პირდაპირ იერშივე გადმოვიდა და გზა აღარ მომცა, ვატყობდი, ამ საქმეს ცუდი ბოლო მოჰყვებოდა, უამისოდაც სულ იმას ვოცნებობოდი, როგორმე ჩემს ქვეყანაში დაებრუნებულყავი და განსაცდელში ჩავარდნილმა გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამქდომოდა, საქართველოში გავპარულიყავი. თუ რამ ნაშოვარი მქონდა ოქროდ ვაქციე, ერთ ბერძენ ვაჭარს მოვურიგდი, ტრაპიზონს უნდა ჩავყვანე. ფული წინასწარ გადავუხადე და დათქმულ დღეს, გასაპარავად რომ ვეშაადებოდი, ჩემი პატრონის გადასაცემად წერილი დაეწერე, წერილში მადლობას ვუხდელი ამაგისათვის, ჩემზე გაწეულ ხარჯს ფულად ვუბრუნებდი და პატიებას ვთხოვდი, ჩემს მისანდო კაცს ვუბრაზე, იმ წერილს და ფულს მაშინ გადასცემდა, მე რომ ვენეციიდან მიუწდომლად შორს ვიქნებოდი.

ყველაფერი რომ მზად მქონდა, სწორედ იმ დღეს დამიშარტოხელა ჩემმა ქალბატონმა, მე თავს ვუშველე და, დათქმულ დროზე აღრე მივაშურე ბერძენ-

ნი ვაჭრის ხომალდს. გაწბილებულმა დედაკაცმა, ალბათ იფიქრა, მარტოვლთა დასმენა არ მომასწროსო და, თუითონ შემასმინა, ძალით ნამუსის ახდა მომინდომაო. ჩემი უმადურობითა და გაუტანლობით აღშფოთებულ პატრონს თმაწვერი დაუგლეჯია, მღვერები ფეხზე დაუყენებია და მაშინვე ნავსადგურში გასამგზავრებელ გემებს მისტანებთან. ალბათ გამცემიც გამოჩნდა და, ჩემს, სამალავში მომაგნეს. გაჩხრეკისას პატრონისათვის დასატოვებელი წერილი მიპოვეს და, იმ წერილით საბოლოოდ ირწმუნეს ჩემი ღალატი. განჩისხებულ პატრონს იქვე უნდოდა მოვეყალი, მაგრამ ხელისუფლებმა ჩემი თავი არ დაანებეს და წმინდა მარკოზის მოედნისაკენ წამიყვანეს, რათა საჯაროდ მძიმე სატანჯველით დავესაჯეთ. დანარჩენი თქვენ უკეთ იცით... მე უგონოდ ვიყავი და აღარაფერი მახსოვს.

— ახლა ვისთანა ხარ, არ იკითხავ? იცი ვინ არი შენი მხსნელი და გამომსუიღველი?

— მე საიდან მეცოდინება, ბატონო? — საწყულად მიაჩერდა ცოტნეს მისი ახალი მონა.

— შენ თუ მართლა ოდიშის მთავრის ოჯახში ხარ ნამყოფი, კი უნდა ცნობდე ჩვენს ბატონს.

ცოტნე და მისი ახალი ყმა დაკინებით მიაშტერდნენ ერთმანეთს.

— მე პატარა წამოვედი ოდიშიდან და იქაურებს ვეღარავის ვიცნობ ალბათ... ეს ბატონი ჩვენს მთავარს კი გავს, მარა შერგილ ბატონი უსინათლო იყო და ახლა უფრო ხნეირიც იქნებოდა.

— გუგუტა ხომ არა ხარ, ბოში? — ხმისკანკალით იკითხა ცოტნემ.

— ჰო, ბატონო! გუგუტა ვარ, მე თვალ დასავსები, მარა შენ...

— მე ცოტნე ვარ, გუგუტა, ცოტნე... — ამოიღუღლულა ცრემლმომძალეულმა მთავარმა და გულში ბავშვივით ჩაეკრა ამდენი ხნის გამოტირებულ ძიძვიშვილს.

\* \* \*

ერთ თვეს გრძელდებოდა ხოლმე ვენეციის სადღესასწაულო ბაზრობა. ქართველ მთავარს ვინჩენცოს პირით აცნობეს, იმ ერთ კვირას ვენეციის ხელისუფლებსაც, აღებმციემისა და ვაჭრობის გარდა, სწვისთვის არაფრისთვის ეცალათ და დადიანსაც თავაზიანად ურჩიეს, თვითონაც ესარგებლა ვენეციის ბაზრის საზღაპრო სიუხვითა და სიიაფით.

თავის მხრივ, ცოტნეც არ ჩქარობდა დიდად, ხომალდების შესყიდვის გარდა, მას ვენეციის სახელმწიფოს საიდუმლო საგარეო გეგმების შეტყობაც ჰქონდა დავალებული. ქართველ მთავარს განსაკუთრებით იმის მიკვლევა სურდა, თუ რა აღგბილი ჰქონდა იმ გეგმებში საქართველოს სახელმწიფოსთან მომავალ ურთიერთობას, ნამდვილად ქართველთა მეფის მოკავშირეობა სურდა ვენეციის დოჯეს უსჯულოთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომში, თუ საქართველოს მიმართაც ისეთივე მტაცებლური ზრახვები ამოქმედებდა, როგორც ერთმორწმუნე ბერძნების დარბევისას გამოამჟღავნა.

გუგუტას პოვნამ არა მარტო ვენეციის ყველა კუნძულში შეღწევა გაუადვილა ცოტნეს. მთავრის ძიძიშვილს იტალიური მშობლიურ ენაზე მეტად ემარჯვებოდა, ზღვათამაჰრობელ სატახტოშიც კარგი ნაცნობობა ჰქონდა და საქართველოს საზღვაოსნოს მეთაურს საჭირო ხალხთან დაახლოებას უადვილებდა.

უქმად ჯდომას უქმად სიარული არჩია ცოტნემ. მთელი დღე ვენეციის ქუჩებში დაეხეტებოდა, ახალ-ახალ უბნებს ეცნობოდა, ყველაფერს მუშტრის თვალთ სინჯავდა, აკვირდებოდა და, სალამოს, შინ მობრუნებული დღის შთაბეჭდილებას დაწვრილებით იწერდა.

სახელოსნოები ღია ცის ქვეშ მუშაობდნენ. მაყურებლების თვალწინ ქსოვდნენ ძვირფას ფარჩასა და აბრეშუმს ვენეციელი ფეიქრები. ვერცხლითა და ოქრომკედლით ნაქსოვი ტილო და ხავერდი თვალის მომპრელი ბრწყინვალეობით გადმოდიოდა დაზვებიდან, ხოლო საქ-

ვეყნოდ განთქმული ნაქარგე ვენეციური ქსოვილები დაუსრულებლად ემოუთხრობდნენ მაყურებლებს ნადირობასა და ნადიმებზე, წმინდანების ცხოვრებასა და ქვეყნის საოცრებებზე, სიყვარულის ძალასა და სიკვდილის გარდუვალობაზე.

საქართველოში მომრავლებულ ქართველ და სომეხ, სპარსელ და ბერძენ ოქრომკედლების მშვენიერ ნახელავზე თვალგაჩვეულ ცოტნეს მაინც აოცებდა ვენეციელი ხელოსნების უცხო ოსტატობა, მათი ნამუშევრის სინატიფე, მინაქრების სინაზე და ოქრო-ვერცხლის ქურჭლის იშვიათი ნაირნაირობა.

საათობით იღვა ცოტნე სამქედურებთან და ლიბონის სადნობ ბრძმედებთან.

მის თვალწინ ყიდულობდნენ რჩეული იარაღსა და საომარ აბჯარს მოხეტიალე დასავლელი რაინდები და იერუსალიმს ცოდვათა მოსანანიებლად მიმავალი მორწმუნენი, თავათაც იმ იარაღთაგან საუკეთესოს არჩევადა და საქართველოში ნიმუშად წასაღებად ყიდულობდა.

ხელოსანთაგან ყველაზე გასაოცრად შუშის მკეთებლები ეჩვენებოდა. გრძელი მილის ბოლოს გავარჯარებულ, გადამდნარ სითხეში ჰყოფდნენ ეს ჯადოქარი ხელოსნები, იმ ბოლოზე დაკიდებულ გამდნარი შინის ბუშტს უცნაურად აქანავებდნენ ჰაერში და მილის ბოლოზე სითხის მატებით, მაშებიტა და მაკრატლებით ათასგვარი ქურჭლისა თუ საგნის სახეს აძლევდნენ იმ პატარა ბუშტს, რომელიც ასე მორჩილად ჰყვებოდა ოსტატის ხელსა და სურვილს.

მხოლოდ ეს იყო საგულისხმო, რომ სხვა სახელოსნოთაგან განსხვავებით შუშისა და ბროლის საწარმოებთან ახლო მისვლა არ შეიძლებოდა, მათი სამუშაო მოედანი ლიბონის ღობით იყო მოზღუდული, ხოლო თიხისა და ქვიშის სითხედ ქვევის მთელი მსვლელობა შინგით, კედლებს იქით ხდებოდა, რათა ვენეციელი ოსტატების ეს საქმიანობა გარეშეთაგან არავის დაენახა და მათი ნახელავის საიდუმლოება არავის გაეგო.

\* \* \*

ლასენას კვირეულიც მიიწურა.

ორშაბათ დილას ვინჩენცომ მოაკითხა ცოტნეს, ერთად ისაუბრეს და გონდოლოთ გამსაშენისკენ წავიდნენ.

— დღეს არაუშავს, მთავარო, ალბათ არ იმეშავებთ და მხოლოდ დათვალიერებას მოუწოდებთ, ხვალისთვის კი ამ ძვირფასი ტანისამოსით ნულარ მოიკაზმებით. გამსაშენში თქვენივე სურვილით რაკი სამუშაოდ მიდიხართ, ტანსაცმელიც სამუშაოს შესაფერისი უნდა გეცვათ... მართლა! — ხმდაბლა დაიწყო მკირე პაუზის შემდეგ ვინჩენცომ, — მაილება დღეს ვერაფერი სტუმარი გყოლია. საიდან მოგაგნო იმ ბებერმა მელამ?

ცოტნე გაშრა. იცოდა რომ ვენეციელები სულ უმეტადად არ გაუშვებდნენ, მაგრამ თუ დღედაღამ უთვალთვალელებდნენ ეს კი არ ეგონა.

— ასე დაძრწის ქალაქ-ქალაქ და ქვეყნის ამბებს ტყობილობს. რაო, ხომალდების მოყიდვა და გამსაშენის აგება შემოფთავება, არა?

— შაგის ნათქვამს რა ძალა აქვს, ან ყურს ვინ უჯდება! — სცადა ცოტნემ ბოლონინის სტუმრობა უმნიშვნელო ამბად წარმოედგინა.

— ყველგან აგრე გვეჩრებიან. ახლა, ეს ერთი ხანია, შავ ზღვაშიც შემოპყვეს ცხვირი და ყირიმს გვეცილებიან თავიანთი მოკლე ჰკუთით. მაგრამ ვენეციის ლომს ჯერ კიდევ მაგარი კლანჭები აქვს და, გენუასაც მალე დააჩოქებს, როგორც სხვა მისთანები დაუჩოქებია.

გონდოლა ნაპირზე გაჩერდა. ერთხანს ქვეითად იარეს და როგორც იქნა გამსაშენს მიადგნენ. ცოტნემ შორიდანვე იყნოსა ფისისა და საღებავების, ხისა და ბურბუშელის სუნია.

ალაყაფის რკინის კართან გამოეგებნენ გამსაშენის გამგებლები. ვინჩენცომ სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს გააცნო და გამსაშენის ეზოში შევიდნენ. კიდევ სამი ჰიშკარი გაიარეს და ცოტნეს თვალწინ უზარმაზარ სივრცეზე მოჭა-

რული გემების ანძათა ტყე აღიმართა. იმ გემთაგან ზოგი უკვე მთავრდებოდა, ზოგი ზღვაში ჩასაშვებად იყო გამზადებული და ზოგის შენებაც ახლა, მათ თვალწინ იწყებოდა. ვინჩენცომ სწორედ ახლად წამოწყებულ ხომალდის ჩონჩხთან შეაჩერა სტუმარი.

— რამდენ საათს მოვუწნებთ დათვალიერებას? — ჰკითხა გამსაშენის გამგებელს.

— სულ ცოტა სამი საათი, თუ გულდადებით დაათვალიერებთ.

— ქართველ მთავარს თუ სურს რაიმე ქართული ნიშნით დანიშნოს ეს ახლად დაწყებული ხომალდი, ჩვენი გამოცლისათვის გემი ალბათ მზად იქნება, ხომ მოესწრება, ხომ არ შემარცხვენთ?

— არ შეგარცხვენთ, ბატონო, მოესწრება, — დაუდასტურა გამგებელმა.

ცოტნეს ფუნჯი და საღებავი მოართვეს და ქართველმა მთავარმა ხომალდის ფიცარს ქართულად წააწერა თავისი სახელი.

სამი საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ გამსაშენს.

ცოტნეს ხელიდან თვითონ უნდა აეღო ხელში ცული და შალაშინი, გემის მშენებელ მუშების გვერდით უნდა დამდგარიყო და ხომალდების აგების ვენეციელთა მაღალი ხელოვნების შესწავლა უნდა დაეწყო. გამსაშენის სიდიდითა და სიახლეებით მოხიბულული მთავარი მუშტრის თვალით აკვირდებოდა ყველაფერს და, როცა აღფრთოვანება ვერ მალავდა თავის მხლებლებს ქართულად უზიარებდა შთაბეჭდილებას.

— ხედავთ, ბიჭებო? ამისთანა ჩვენ არც დაგვიზმრებია.

დაღლილებმა დაასრულეს გამსაშენის დავლა და დათვალიერება. უკან შემობრუნებულებმა თვალს არ დაუჭერეს: მათ წინ გრძელი, ყვალყვლა გაღერა იდგა. ოცზე მეტი მოსასმელი ნიჩბით ცალ მხარეზე. საღებავი აშრებოდა. ქართველი მთავრის ხელით წარწყერილი საკუთარი სახელი დაღვივით შერჩენოდა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. ცოტნე გაოცებასა და აღტაცებას ვერ ფარავდა.

— თუ მთავარს მოსწონს, ამ გემსაც საქართველოში გასაგზავნი ხომალდების სიაში შევიტანთ. — ხმამაღლა თქვა ვინჩენცომ და ცოტნემ თავისდახრით მისცა დასტურა.

გუგუტას ვენეციაში ნაცნობები ბლომად ჰყავდა. იტალიურადაც კარგად ლაპარაკობდა და ყოველ საღამოს მოჰქონდა ცოტნესთან ამბები.

— დოგარებს უთქვამს ქართველი მთავარი ბარბაროსი, გაუთლელი მთიელი მეგონა და, თურმე როგორ ვცდებოდით. მის გვერდით ჩვენი ნაჭები პატრიციები გამოჩნდნენ ბარბაროსებად. გარეგნობით ხომ მომხიბვლელია და გონების წამლები, მაგრამ ქცევაც და სიტყვა-პასუხიც გამორჩეული და საოცრად ნატიფი ჰქონიაო.

— მაგათი პატრიციები გუშინ გამდიდრებული ვაჭრები, ან ზღვის მეკობრეები არიან და, მათ წინაპარს ჩემი მამაპაპა სუფრასზე არ დაისვამდა. იმ თქვენს დოგარესას ცოტა ისტორია და გეოგრაფია რომ სცოდნოდა, კოლხი მთავრის ბარბაროსობას ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ რას იზამ, გუგუტა, ძალა და სიმდიდრე ხალხს აქედმალლებს; თავიანთი თავის უპირატესობის გრძნობას უნერგავს და მაღლიდან ცქერას აჩვენებს.

— მიინც რა უზომოდ მდიდრები არიან ეს ოხრები!

— მდიდრები როგორ არ იქნებიან, მთელი ქვეყნის ქონება აქ შემოუზიდავთ. მარტო, რაც კონსტანტინეპოლიდან ნაძარცვი გამოიტაცეს ერთ სამეფოს ის ეყოფოდა გასამდიდრებლად და გასალაღებლად! დანდოლოსთანა დოჯი ვენეციას არ ჰყოლია და ალბათ არც ეყოლება, რადგან ჯერ ხმელეთზე მაგოდენა ყაჩაღი არსად დაბადებულა და ზღვაზე მაგის ტოლი მეკობრე არსად გამოჩენილა.

— მართლა ორთავე თვლით ბრმა იყო, მთავარო, დანდოლო, როცა კონსტანტინეპოლის იერიშზე ვენეციელ მეზღვაურებს წაძლოლია და გალაგანზე მიდგმული კიბით პირველი აჭრილა?

— არა მარტო ბრმა, კოტხმოცდაათ წელს გადაცილებულ დოჯი ვენეციელ ალბათ სიყვდილი აღარაფრათ უღირდა და, იქნებ ამანაც შეჰმატა გამბედაობა, ისრის წვიმაში, რომ საიერიშო კიბეზე ასულა: იმ ისრების წვიმას თვალით ვერ ხედავდა და სიცოცხლემოყირკებულს სიყვდილის შიში ხომ არ ექნებოდა და არა.

— ახლანდელი დოჯი როგორილა, მთავარო, ისიც ეგრე ვაეკაცი და ბრძენი მმართველია?

— ვერ გეტყვი, გუგუტა, ერთი და ორი ნახვით ქვეყნის მეთაურის ძალას და ხასიათს ძნელად გაიგებ კაცი. ეს კია, დიდი წინაპრის მემკვიდრეობა თავისთავად არის დიდი ტვირთი და ვალდებულება. დანდოლოს დიდ სახელს ძნელადლა ვინმე მოხვეჭავს, რადგანაც ქვეყნად სხვა კონსტანტინეპოლი აღარ არი და დანდოლოსავით გაბედული ნაბიჯის გადადგმის შემთხვევა იშვიათად თუ ვისმე მიეცემა!

— ალბათ ეგრეა, მთავარო. ყველას თავისი დრო აქვს. ახლა გენუელები სდებენ თავს პირველობაზე, ვენეციის მზე ჩადის და ჩვენი მაღლებაო.

— ვინ იცის, ეგებ ეგრეც მოხდეს, მაგრამ მაგასაც დრო უნდა, დრო კი ხელად გადის, როცა გეჩქარება. საუკუნე მგონია, რაც აქ ვართ და ჯერ კი წელიწადიც არ გასულა! ძალიან მომენტარა სამშობლო, გუგუტა...

— სამშობლოს მონატრება ჩემსავით ვის განუცდია, მთავარო. შენ ექვსი თვე ვაგიძნელდა უცხოებაში. მე კი აგგუ, თბუთმეტ წელზე მეტია. კოლხეთის ღრუბლის დანახვა მენატრება... ნეტავ დედა და მამა თელა არიან ცოცხლები.

— ცოცხლები არიან, რამდენჯერ უნდა ვითხრა! უღუ გადია ისევე ჩვენთან გადმოვიდა, სასახლეში და დედაჩემს არ შორდება.

— მამაჩემი ალბათ ძალიან დაბერდებოდა და მოტყდებოდა. ხომ მწარე ხელი ჰქონდა, რამდენჯერ მინატრია, ნეტავ სამშობლოდან არ გადმოვხვეჭილი-

ყავი და, თუგინდ, ყოველღე ვეცემე-  
თქო!

შელამე გადასულა.

ოღისის მთავრის სასახლეში, დიდი  
ქალბატონის ოთახში სინათლე ანთია.

ბუნახში ჯირკი წელწელა იწვის და  
ნაკვერცხლებს ფერფლი ბრკესავით  
მოსდებია.

მთლადერთიანად გათეთრებული ნა-  
თელა ლოგინზე მიწოლილა და ფსალ-  
მუნს კითხულობს. კერძასთან მიმჯდარ-  
ულღ თავჩახრილი ქსოვს.

— ნეტავ ტანთ გაგახადათ და მოგეს-  
ვენებიათ, ქალბატონო, — თავულებ-  
ლად ეუბნება უღუ.

— მაინც არ დაშეძინება, უღუ, დიდი  
ღამე მოდის და, სულ ერთია, ფიქრი  
გამაღვიძებს.

— როდის გათავდება ეგ საფიქრალი,  
როდის მრვა ცოტნე-ბატონიშვილი.

უღუ დაჩვეული იყო ცოტნეს ბატო-  
ნიშვილად ხსენებას.

— ცოტნე ბატონი, — გაუსწორა ნა-  
თელამ და ფსალმუნი გადადო, — მალე  
უნდა მოვიდეს, მთავრის ელჩობა ექვს  
თვეს უნდო გაგარქელებულიყო... უკვე  
რვა თვე იწურება და აღარა ვიცი, რა  
ვიფიქრო. ნეტავ მისი უნახავი არ მოგ-  
კვდებოდე და შვილიშვილებს ხომ, აღ-  
ბათ ველარ მოვესწრები და, ველარ, —  
ოხვართ თქვა ქალბატონმა და თავლები  
მოუწყლიანდა.

— შვილიშვილს კი არა, შვილიშვი-  
ლის შვილებსაც მოვასწრებს ღმერთი,  
ქალბატონო! მარხვას შენ არ სტებ და,  
ლოცვას არ აკლებ, შენი სიწმინდის ამე-  
დით მარტო შენი სახლი კი არა, ჩვენ  
ცოცხლობთ. შენ თუ არ იცოცხლებ,  
შენი შვილის პატრონი, აბა, სხვა ვინ

უნდა იცოცხლოს! ჩემი კაცი სულ უმცა-  
რე მეუბნებოდა, ღმერთმა ბედღ შვილღრში  
არ მოგვცა. მაგრამ სამაგიერო აღზრდი-  
ლის სახელოვნებითა და ბედნიერებით  
მოგვიზღო.

— ღმერთმა გაანათლოს მისი სული,  
იმასაც შენსავით უზომოდ უყვარდა ჩე-  
მი ცოტნე და თამარი.

— უყვარდაო? უყვარდა კი არა,  
თავს ერჩია ორივე! თამარის დაღუპვა  
რომ იმ ეშმაკის მოგონლ ყურღენს  
დაბრალდა, გაგოედა უბედური, გუგუ-  
ტა სასიკვდილოდ გაიმეტა და ნამდვი-  
ლად მოჰკლავდა, მეზობლებს, რომ ხე-  
ლიდან არ გამოეცლიათ.

— გუგუტას რას ემართლებოდა.  
უცოდინარობით და გულკეთილობით  
მოუვიდა საცოდავს.

— მაგას მერე თვითონაც მიხვდა და  
სულ იმას მოთქვამდა, რატომ ის ხელი  
არ გამიხმა, რომლითაც შვილი დაღუპ-  
ვამდე მივიყვანეო.

ცოტა წაიტირეს და ერთხანს კიდევ  
იკრუსუნეს.

ნამტირალევი თვალთ ველარც წიგ-  
ნის კითხვას მიუბრუნდნენ და ველარც  
ხელსაქმეს. მერე გამოშტერებამდე  
ილოცეს. ქალბატონმა საწოლზე მოიწ-  
ვენა, უღუ ჰილოფზე მიწვა. შუქი ჩაქ-  
რა, ჯირკი დაიფრფლა და სიჩუმეში  
ორი მოხუცი ქალის ხმაშეწყობილი  
ფშვინვა გაისმა.

მეზობელ ოთახში შერგილს არ ეძი-  
ნა. უსინათლო თვალები ფართოდ გაე-  
ლო და გაუვალი წყვილიადისთვის მიეშ-  
ტერებინა. მოხუცი მთავარი თავის წარ-  
მოსახვაში ვარსკვლავებით მოქედნილ  
ცას შეჰყურებდა, მეშვეიდრე შვილისა  
და მთელი საქართველოს ბედის ამო-  
კითხვასა და გარკვევას ცდილობდა.

### ეგარსლან ბაკურციხელი

კობტასთავს შერკულ შეთქმულთა ნა-  
მოთვლას მემბატინე ეგარსლან ბაკურ-  
ციხელით იწყებს: „...ამა შფოთთა ში-  
ნია შერკბეს ყოველნი მთავარნი საქარ-

თველოსანი კობტასთავსა; იმერნი და  
ამერნი; ეგარსლან, ცოტნე დადიანი,  
ვარამ გაგელი“...

ეგარსლან ბაკურციხელი საქართვე-  
ლში...

ლოს მეფის, ლაშა-გიორგის თაობის კაცი უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი მონგოლთა ბატონობის დამყარებამდე არ ჩანს, მაგრამ რაკი უმეფობის ხანაში სამშობლოს ბედზე მზრუნველ უწარჩინებულეს ქართველთა შორის პირველი იხსენიება, საფიქრებელია, რომ ეს პატივი ლაშასა და რუსუდანის დროინდელ ომებში ჩადენილი გმირობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოჩენილი ნიჭის გამო უნდა რგებოდა.

ეტყობა, ბაკურციხელი გვართა და წარმომობით თავის თანამოღვაწეებზე დაბლა უნდა მდგარიყო და სწორედ ამან დაღუპა კიდევ საბოლოოდ.

ცნობილია, რომ არისტოკრატები საერთოდ ეერ იტანენ ნიჭისა და პირადი ღირსების გამო დაწინაურებული ადამიანების გატოლებას და მით უფრო მათზე გაბატონებას. ქვეყნისათვის რაგინდ სასარგებლო საქმესაც არ უნდა აკეთებდნენ ახლად აღზევებული უგვაროები, დიდგვარიანი წარმომავლობის ადამიანებში მხოლოდ შერსა და ზიზღს იწვევენ და მეტწილად მათი მტრობის მსხვერპლნი ხდებიან.

შერმა და მტრობამ დაამხო ეგარსლან ბაკურციხელიც.

მემატინე პირდაპირ მიუთითებს: „მამინ შეკრებს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათზედა ეგარსლანისა, არა მათგან უგვარიანესისა კაცისა“.

მემატინე იმ ღირსებებსაც ჩამოთვლის, რომელთა წყალობითაც ეგარსლანი დაწინაურებულა და არა მარტო გასტოლებია თავისზე უგვარიანეს მთავრებს, არამედ „კინიდა სახელიცა მეფისა“ მიუთვისებია და თურმე „ვითარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსი“.

„ეგარსლან ბაკურციხელი კაც ღრმად მოუბარი“, „ეგარსლან, კაცი საკვირველი და მხედრობისა და ცოდნითა აღსავსე“ — აღტაცებით ამბობს ეამთაღმწერელი ბაკურციხელის დახასიათებისას და თუმცა მის მიმართ განსა-

კუთრებულ სიმპათიას არ იჩენს, მის ღირსებებზე თვალს არ ხუჭავს და სიტყვათუნწად, მაგრამ მიუდგომლად გადმოგვეცემს იმ ძლიერი ადამიანის თავგადასავალს.

ბაკურციხელი რთული პიროვნებაა და ზოგჯერ გაორებულ მოღვაწედ გვეჩვენება: იგი ჭერ თავგამოდებით იბრძვის მონგოლთა წინააღმდეგ, სხვა მთავრებზე გვიან ურიგდება დამპყრობთ და მათი ბატონობის დასამზობად მოწყობილი შეთქმულების სული და გული ჩანს.

მაგრამ, როცა ეს შეთქმულება მარცხდება და ქართველები განთავისუფლებიან უკანასკნელ იმედსაც კარგავენ, ეგარსლან ბაკურციხელი მონგოლებთან თანამშრომლობის გზას ადგება და ამ გზაზე მეფურ დიდებას აღწევს. მონგოლებთან შერიგებამ და მეგობრობამ, როგორც ჩანს, ბევრი სარგებელი მოუტანა პირადად ეგარსლანსაც და მის ქვეყანასაც, მაგრამ სამშობლოს მტერთან, დამპყრობელთან თანამშრომლობა საერთოდ უმადური საქმეა და რაგინდ კეთილშობილი განზრახვითაც არ უნდა იყოს იგი ნაკარნახევი, შთამომავლობისაგან მხოლოდ გამობასა და გაეციხვას იმსახურებს.

ბაკურციხელს მისი ცხოვრების შუაგზაზე შეგვახვედრა მემატინემ, მამინ, როცა ამ გამოჩენილ მამულიშვილს თავისუფალი და ძლიერი სამშობლოს სამსახური მოთავებული ჰქონდა და საქართველოს დამონებლებთან თანამშრომლობით იწყებდა ახალ ცხოვრებას.

მონგოლთა ბანაკს ცხენოსანთა რაზმი უახლოვდებოდა. წინ თეთრ რაშზე ამხედრებულნი ტანბრგვეთკაცი მოუძლოდათ. მოკლედ შეკრებილი შავი თმაწვერი და მოუსვენრად მოძრავი შავი თვალეები გასაოცრად ცოცხალ იერს აჩვენებდნენ ცხენოსანს. თეთრონზე ამხედრებულ ბუმბერაზს შორიახლო ქვეითად მოსდევდა ორი ახალგაზრდა. ქაბუკებს ჭილაგში ჩაეცლოთ ხელი და ფრთხილად გზის რჩევით მოჰყავდათ ოქროსფერი კვიცი.

მწვეარივით გრძელი, ტანწვრილი ულავი კველუსად მოდიოდა, მაგრამ დალა მასაც ემჩნეოდა: ჩამოქნილ მალალ ფეხებზე ტალახი და მტკერი მიჰკვროდა და ოფლთან ერთად შეხმობოდა. შორი გზის გამოვლა ყველას დატყობოდა, ცხენებსაც და ცხენოსნებსაც.

რახმს დატვირთული აქლემები და ურშები მოჰყვებოდა უკან.

აქლემები და ხარები დინჯად მოიზღაზნებოდნენ, გზის დაუსრულებლობას შერიგებოდნენ და აუჩქარებლად, ზომიერი ნაბიჯით მოჰყვებოდნენ ცხენთა ფეხის მტკერს.

შორს, ტრიალ მინდორზე, რიყესავით გაბნეული თეთრი კარგები გამოჩნდა.

— მულალთა ბანაკი მოჩანს... ხედავთ? — ცხენი შეაჩერა წინ მიმავალმა ბუმბერაზმა და თვალზე ხელი მოიჩრდილა.

— ვხედავთ, ეგარსლან ბატონო! — დაუფოქმეს დანარჩენებმა, მხარი გაუსწორეს, ცხენებს აღვირი მოსწიეს და ბანაკს მიაჩერდნენ.

— მზე შუბის ტარზეა დასული, — თქვა ეგარსლანმა და უნაგირზე სანახევროდ შემობრუნებულმა დასავლეთს გახედა, — მზის ჩასვლამდე ურდოში ვიქნებით, ღმერთო, შეგვეწიე! — მთავარმა პირჩვარი გადაიწერა და ცხენი დაძრა.

გატრუნულნი მიდიოდნენ და ბანაკს თვალს არ აშორებდნენ. იურტების მწკრივი, წელან რომ თეთრ რიყედ ეჩვენათ, ახლა ყოველ ნაბიჯზე დიდდებოდა და გასაფრენად გამზადებული უზარმაზარი თეთრი ფრინველების გუნდს ემსგავსებოდა.

მანძილი მოკლდებოდა. ცხენოსნების გულში ამდენ ხანს მიძინებული საფრთხის შიში ილღობდა და იზრდებოდა, მონგოლთა ურდოსკენ მიმავალი ბევრი უნახავთ, მაგრამ უკან დაბრუნებული — ცოტა. მართალია, ნებით დამორჩილებულ ქართველ მთავართა უმრავლესობა კეთილად შეწყყნარებული და პატივით ამაღლებული გამოისტუმრეს მონ-

გოლთა ნოინებმა, მაგრამ მათ სისასტანა კესა და უღმობელობაზე იმდენს ჰყუებოდნენ, რომ იმედი ურდოდან ცოცხალი თავით დაბრუნებისა მათგანაც ცოტას ჰქონდა, ვინც მტერს თავიდანვე, წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილდა.

კახელებმა, მათი მთავრის, ეგარსლან ბაქურციხელის მეთაურობით არა თუ მოსვლისთანავე დაუკრეს თავი მონგოლებს, გზები შეუკრეს და მიუდგომელ ციხეებში გამაგრებულებმა ცხარე ბრძოლებიც გაუმართეს.

ეგარსლანმა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ქედის მოხრა, როცა ბრძოლის გაგრძელების უახრობა საბოლოოდ დაიჭრა და ქუთაისში გახიზნული რუსუდან მეფისაგან მტრის დანაწევრის დასტური მიიღო.

მონგოლებმა შეამავლების პირით ბაქურციხელს უკნებლობა კი აღუთქვეს, მაგრამ ის არაფერ იცოდა, ურდოში მოსულ მთავარს რა გუნებაზე შეხედებოდნენ უცხო მბრძანებლები. ეგარსლანს თვითონაც არ სჯეროდა მონგოლთა გულწრფელობა. თავის გადარჩენის იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ორიოდ მსხლელებით აპირებდა ჩორმაღონის კარზე მისვლას.

მარტო როგორ გაგიშვებთო, შეიცხადეს ახლობლებმა და თანაზრდილებმა, მთავრის სურვილს არ დამორჩილდნენ და შორეული მგზავრობისთვის სამზადისს შეუდგნენ.

— კახეთის ერისთავს ამაღაც ღირსეული უნდა ახლდეს, მეფეთა შესაფერისი. თუ სიკვდილია, შენთან ერთად მოკვდებით, ხოლო თუ სიცოცხლე გვიწერია, შენი სამსახურის ბედნიერებით ვიცოცხლებთ, — გადაპკრით განუცხადეს მთავარს და გულაჩუყებულ ეგარსლანს ისლა დარჩენოდა, მსხლელების გამოწყობასა და ძვირფასი ძღვენის გამზადებაზე ეზრუნა.

იმ ძღვენში პატიოსანი თვლებიცა და ოქრო-ვერცხლიც ბლომად იყო, ცხენების რემაცა და საუკეთესო ღვინოც.

საქმე თუ ღვინომდე მივიდოდა, კა-



ხეთის ერისთავი დარწმუნებული იყო, რომ მონგოლ ნოინთა გულს მოინადირებდა.

მაგრამ მთავარი საზრუნავი პირველი შთაბეჭდილება იყო. ეს შთაბეჭდილება კახელებს თავიანთი გარეგნობითა და ქცევით, წარმოსადგეგობითა და ალკაზმულობით, მიხვრა-მოხვრითა და თავის დაქვრით უნდა მოეხდინათ.

ეგარსლანს სულ რჩეული ვაჟკაცები გაჰყვინენ, თავით ფეხამდე საგანგებოდ ჩატყულ-დაბურულნი იყვნენ და მათი შეხედვა მართლა ერთ რაწედ-ღირდა.

თუ პირველი შთაბეჭდილება იღბლიანი იქნებოდა და მონგოლები ცოტა ხნით მაინც ახლო მიუშვებდნენ ქართველ მთავარს, მერე კახეთის დიდებულებს არაფრისა ეფიქრებოდათ.

ბაკურციხელისათვის კაცთან ერთი შეხვედრა კმაროდა, მაშინვე გასაოცარი მომხიბლაობით მიიზიდავდა. მთელი თავისი არსებიდან გამოფრქვეულ სითბოსა და შექში გახვევდა და ახლად გაცნობილისათვის ძველი მეგობარივით გულში ჩასახუტებელი ხდებოდა.

ერთი დაბრკოლება იყო ხელის შემშლელი: ეგარსლან ბაკურციხელმა მონგოლური არ იცოდა და მის „ღრმად მოუბრობას“ უშუალო გავლენის ძალა ეცარგებოდა.

მაგრამ ბაკურციხელი თადარიგისანი კაცი ვახლდათ, სანამ შუამავლები მონგოლ ნოინებთან მისი დამორჩილების პირობებს არკვევდნენ, ეგარსლანის კაცებმა თარჯიმნების გაცნობა, საჩუქრებით მათი ავსება და მოსყიდვა მოახერხეს და ეს ვარემოება ცოტას როდი ნიშნავდა!

მზე უკვე ჩასული იყო. ქართველები რომ მონგოლთა ბანაკს მიადგნენ.

მონგოლთა უფროსი ნოინი ჩორმაღონი ბოლო დროს თურმე უღონობას უჩიოდა და აღრე წვებოდა. იმ დღეს ქართველთა ხლება არ იწება და შორი გზით დაღლილებს ღამის გასათევი მიუჩინეს.

მეორე დღეს ქართველები კარგად

მოსვენებულნი ადგნენ და ნოინების წინაშე წარსადგომად მომზადება მოასწარეს. ოთხივ ნოინი საჩრდილობლებქვეშ იჯდა შემალელებულზე. ეგარსლანი მათკენ წელგამართული გაეშურა. წამით შედგა და იქ მყოფთ ღამილი მიაფრქვია. მერე ეს მოსავით კაცი მუხლებზე დაფარდა და მოფარდაგულზე ჩოქვით წავიდა.

უფროსი ნოინის კაბის კალთას სამგზის ემთხვია; დანარჩენ ნოინებსაც თავიანი სცა და ჩორმაღონს პატიოსანი თვლებით სავსე ლანგარი მოართო.

ჩორმაღონმა ლანგარში ხელი ჩაჰყო, ძვირფას თვლებს ხარბად დააშტურდა, მოწონების ნიშნად თავი გადააქნია და ლანგარი დანარჩენ ნოინებს გადააწოდა.

ეგარსლანმა შორიახლო მღვარ თავის მხლებლებს ანიშნა. ფარჩა და აბრეშუმი შემოიტანეს და ნოინთა ფეხებთან დაახვევეს.

— ძღვეამოსილი მულალების ცხენთა ფლოქვებმა მთელი დედამიწის ზურგი გათელეს, მაგრამ მაინც გავებდე ქართული ჭიშის ცხენთა მცირე რემა მეახლებინა სვებედნიერი ნოინებისათვის; — წარმოსთქვა ეგარსლანმა და მინდორს გახედა.

უნიშნად თეთრი ცხენების რემა გაიქარლა და მინდორი წამით თითქოს თოვლმა დაჰფარა. ცხენთა ჭიხვინზე და ფრუტუნზე ნოინები წამოიწივნენ. რემა შორიდან შეათვალიერეს. ეტყობოდათ, ცხენზე გაზრდილ მონგოლებს მოეწონათ თეთრი რაშები, ერთიმეორეს რაღაც გადაულაპარაკეს და თავადაც იმ ცხენებივით აჭიხვინდნენ.

თეთრი რემა თვალს მიეფარა და ორმა ქაბუკმა ოქროსფერი კვიცი შემოიყვანა.

თამაშ-თამაშით მოდიოდა კაცმა, დაფეხებულ თვალებს აცეცებდა და ნესტოებს ბერავდა.

ღამაში ქალის ცქერით გაუმაძღარი კაცივით მიშტერებოდა ჩორმაღონი ოქროსფერ ულაყს. თავადაც ვერ გაიგო, ფეხზე რამ წამოაყენა. კვიციან მივიდა აღტაცებული რაღაცას ბურღლუნებდა,

თაზე და კისერზე ხელს უთათუნებდა და ალურსად დნებოდა. დანარჩენმა ნოინებმაც უფროსს მიბაძეს, კვიცს შემოეხვივნენ, მუშტრის თვალით გაუსინჯეს ყოველი ნაკეთი, მოწონება ვერ დაფარეს და ხმამალა აუყანდნენ. ჩამოქნილი ფეხები და წვრილი ტანი, წაქცეტილი ყურები და დაბერილი ნესტოები, ჰკვიანი თვალები და გრძელი ძუაფაფარი ცხეზე ჰქიმოწყვეტილი ნოინების საერთო აღტაცებას იწვევდა.

ჩორმადონი ტახტისკენ დაბრუნდა, დანარჩენი სამივე ნოინიც თავ-თავის ადგილას დაჯდა. ორმა ვაჟკაცმა ოჭროსფერი კვიცი გაიყვანა.

ნოინებმა თვალი გააყოლეს და ჩორმადონმა ხეიხვინით თქვა:

— ჯიშინი ცხენები ჰყოლია ქართველ მთავარს, მაგრამ არც ვაჟკაცებს ჰკლებიათ თვალტანადობა!

თარჯიმანმა ხმამალა თარგმნა ჩორმადონის ნათქვამი.

— მოახსენე მბრძანებელს, რომ ამიერიდან ჩვენი ცხენიცა და კაციც ყველანი უკლებლად მონგოლთა სამსახურად არიან გამზადებულნი და ჩვენი ხმალიცა და ცხენიც მათი ძლევამოსილი ლაშქრის საკუთრებაა ისევე, როგორც ჩვენი სიცოცხლე და ქონება.

თარჯიმანმა თარგმნა.

ჩორმადონს ქართველი მთავრის ენაწყლიანობა ეამა და ეგარსლანს მოწყალებულ გაუღიმა.

კიდევ წუთი და მინდორზე ცხენოსნები გამოვიდნენ. ჰაერში ბურთი ავირდა და კახელები ცხენდაცხენ მიეტივნენ. ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანს. ცხენიდან ზტებოდნენ, უზანგებზე ეკიდებოდნენ.

ცხენოსანთა სიკისკასით მოხიბლული მონგოლები აღტაცებით შეჰყურებდნენ მობურთალებს.

— შენც მათებრ ცხენოსანი და მობურთალი ხარ, მთავართ? — მოუბრუნდა ჩორმადონი ბაჟურციხელს.

ეგარსლანი ამდენ ხანს მხოლოდ მონგოლ ნოინებს უყურებდა. მის თვალს

როდი გამოჰპარვია ნოინების სახეებზე გადარბენილი ჩრდილის კვალი.

ადამიანები საერთოდ აღტაცების დროს მტრისადმი ზიზღისა და შურის გამოვლენას ერიდებიან, გულში ჩნახავენ და მხოლოდ უნებური, დაუძლეველი თავშეუქცევლობა თუ გამოამედავენებს ხოლმე იმ ფარული გრძნობის აფეთქებას.

მთელი ჭეყნის დაპყრობითა და თავიანთი უძლეველობით გალადებულ მონგოლ ნოინებს ხელს არაფერი უშლიდა, გულში ფარულად აღძრული შური თუ სიძულვილი აშკარად გამოეხატათ, მაგრამ ცხენოსნობისა და გაეჟაკობისადმი თანდაყოლილი პატივისცემა და ამპარტავენება აკაეებდათ და აიძულებდათ თვითონაც საერთო აღტაცებას შეერთებოდნენ და დამორჩილებული მტრის სიკისკასით აღძრული შური საჯაროდ არ გამოემედავენებინათ.

ეგარსლანი მიხვდა: მონგოლების წინაშე მეტისმეტი თავგამოდება დამპყრობელთა პატივმოყვარეობას აღიზიანებდა და შეიძლებოდა ქართველებისათვის საზიანოდ შემობრუნებულყო. ბაჟურციხელს კარგად ახსოვდა მონგოლების წესისა და ზნის მცოდნეთა შეგონება და გაფრთხილება: ეცადე, არც გარეგნობით, არც ქცევით მეტისმეტად თავი არ მოიწონო, შური არ აღუძრა, თორემ ეგენი თავისზე უკეთესს ქვეყანაზე ვერავის იტანენ. საეშაოა, მცირედი რამ შენი შეეხარბოთ, რომ მაშინვე რისხვით აინთონ და სასიკვდილოდ გაგწირონ. ეგარსლანმა შეატყო, რომ მისმა მოყმებმა თავის გამოჩენაში შორს შესტოპეს, ორად მოიხარა და ჩორმადონს შეჰხვდა:

— თუ მბრძანებლები ისურვებენ, მეც ჩავერგვი ბურთის თამაშში! ჩორმადონმა თვალით ანიშნა, გადადიო, და ეგარსლანი დიწი ნაბიჯით დაეშვა მინდვრისაკენ.

შავ ძუაფაფარიანი ქურანი მოჰგვარეს ეგარსლანს, ამხედრდა თუ არა, მობურთალთა წრეში შეიჭრა, ჩოგანი ქარბორბალასავეით დაატრიალა. ცხენოს-

ნები მირეგვ-მორეგვა, ბურთი გაიტაცა და შორს გასტყორცნა.

ბურთს დადევნებულებს რალაც გადასძახა, მაშინვე ერთმა მხედარმა ძირს ზღართანი მოიღო და უცებ ჩამოვარდა ყინული — უმაღლე ჩაქრა ყივინა და ალტყინება. ცხენიდან გადმოვარდნილს მისცვივდნენ და მინდვრიდან გაიყვანეს. თამაში დაიშალა.

შუბლშეკრული ეგარსლანი ნოინებისკენ შემოიქცა, შემაღლებულთან დაიქვეითა და ნირწამხდარი მიეახლა.

— შევერცხვით მბრძანებლების წინაშე, — სინანულით თქვა და მუხლზე დეცა.

— არაფერია, ცხენოსნობას ფათერაკიც მუდამ თანა სდევს, — გაიღრიჭა ჩორმალონი, — ქართველ მთავარს ჩოგნისცემა კარგად სცოდნია. თუ ხმალსაც ეგრე მარჯვედ იქნევს, ჩვენგან დიდი წყალობა მოელის.

— თმში მიახლონ მბრძანებლებმა და თავად გამოსცადონ ჩემი ნიჭი და ერთგულება, — წარმოსთქვა ბაკურციხელმა და მონგოლ ნოინს იმედმოცემული თვალთ შეხედა.

სუფრა მოიღეს.

ჩორმალონი სუფრის თავს დაჯდა.

ნოინები იქით-აქეთ მოუსხდნენ.

ქართველი მთავარი პირისპირ დაისვა და თარჯიმანი თავს დააყენა.

მონგოლები დამშეულებივით ეცნენ მორთმეულ ხორცს. სულმოუთქმელად გლეჯდნენ ოთხფეხის უშველებელ ნაჭრებს, დროდადრო მათ უკან მდგარი მწდების გულმკერდზე იშვენდნენ გაქონილ ხელებს და გალომპრილ ძვლებს ხელუქუღმა ისროდნენ.

ეგარსლანი საერთოდ არ იყო მკამელი კაცი. ამოდენა გოლიათი მუდამ მცირეს სჯერდებოდა, ცოტა-ცოტას ყველა კერძიდან მოიღებდა, დანაყრდებოდა და ჰამას ეხსნებოდა. კახეთის ერისთავს სუფრა ნაირნაირი უხვი საჭმლით არასოდეს იზიდავდა. უფრო კარგი ღვინის სმა და შექცევა, ზომიერი სადღეგრძელო, მოსწრებელი სიტყვა-პასუხი და სმენის დამატებობელი სიმღერა უყვარ-

და. ერთი სიტყვით, ეგარსლანი სუფრაზე მოსალხენად ჯდებოდა და არა მუცლის ამოსავსებდა.

უკვირდით, ამოდენა მთა კაცი ასე ცოტა საზრდოს რომ სჯერდებოდა.

ერთთავად სულ ცხენზე ჯდომასა, ლაშქრობასა და მობურთალობასთან ერთად ეგარსლანი ცოტაჰამეულობასაც უმადლოდა, რომ ამ სიმაღლე კაცს, უკვე ხანშიშესულსა და ხცემორეულს, თუმცა წელი ძველებურად ჰიანჯველასავით გაწყვიტაზე აღარ ჰქონდა, მაგრამ მუცელი სხვებსავით არ ეტყობოდა.

ყველსა და პურს მისწვდა ეგარსლანი. ორიოდე ლუქმა გადაყლაბა. ქვეშქვეშ გასცქეროდა მადამშებულ ნოინებს, პირში რომ პეშვით იყრიდნენ საჭმელს და ნადირებივით ნთქავდნენ წინ დახეავებულ ხორავს. ხედებოდა მათი მოუპირაუბობის მაკცერალი, რატომაც ეკიდათ ამოდენა ფამვები ჯერ კიდევ არც ისე ხნირ ნოინებს. მათ არც ღამის თევა და გრძელი გზების კეცვა აკლდათ, არც ხმლის ქნევა და ისრის ტყორცნა. ცხენზე ხომ არ იზადებოდნენ, თორემ მთელ სიცოცხლეს უნაგირზე ჯდომაში ლევდნენ და მაინც მუცლებს ძლივს დაათრევდნენ.

მთავარი მათი გაუშამღრობა ყოფილა და ამ გაუშამღრობაში თურმე მონგოლის თვალი და კუჭი ერთიმეორეს ეჯიბრებიან. მუცელს აქორებ — ქორია და აღორებ — ღორიაო, გაახსენდა ეგარსლანს ქართული ანდაზა. ის იყო, ტუჩთან ღიმილი შეეპარა, რომ ჩორმალონმა წამით კერძიდან თავისი უშველებელი თავი აიღო, კახეთის ერისთავს გახედა და გაოცდა.

— რატომ საჭმელს არ სჭამს ჩვენი სტუმარი? მოწამელისა თუ ეშინია, უთხარი, მონგოლთა მტრები მხოლოდ ბრძოლის ველზე იღუპებიან და ლოგინში ჯერ ერთიც არ გამოსალმებია წუთისოფელს.

სანამ თარჯიმანი ნოინის ნათქვამს თარგმნიდა, ჩორმალონმა თავის კერძად

მორთმეულ ხბოს ბეკი აავლიჯა და ბაკურციხელს წინ დაუდო.

— ჭამოს, ახალი დაკლული ხბოა. პირში ძვლიანხორციანა დნება.

ნოინთა შორის უხუცესმა მუცელს ბოძი შეუყენა, ცოტა სული მოითქვა და მწდეს შეუძახა:

— რას დგახართ, კუმისი დაასხით!

მწდებმა მაშინვე ტიკებს თავი მოხსნეს და შესუნა კუმისით სასმისებრ აავსეს.

ეგარსლანი გაოცებული უყურებდა: მონგოლებმა არც ღმერთი ახსენეს, არც თავიანთი მბრძანებელი ხელმწიფე, სასმისები პირზე მოიყუდეს და სულმოუთქმელად დაცალეს.

ჩორმალონმა ცარიელი სასმისი სუფრაზე ისროლა და ქართველ მთავარს მიაჩერდა.

— უძლეველი მონგოლები არც სასამელში ურევენ საწამლავს, ქართველო! დალიე, კუმისი ჩანისათვის მარგებელია და კარგ გუნებაზეც აყენებს. აბა, ჭალი-შვილივით ნუ ენაზები... შესვი... შესვი...

დავლევ, რაც უნდა მომივიდესო, გადასწყვიტა ეგარსლანმა და სასმისზე დაიხარა. ტუჩის შეხებაზევე გული კინალამ აერია, მაგრამ თვალი დახუჭა და ყელში ისე მიუშვა ამკვებელი რძე, პირში არ შეუყოვნებია.

როგორც იყო დაცალა. გული არ არევია.

ეს კუმისი არც ისე ცუდი უნდა იყოს, ყველაფერი შეჩვევაზეაო, გაიფიქრა და ტუჩები მოიწმინდა.

— როგორია, ა? თქვენი ღვინო სჯობს? — იკითხა ჩაღატა ნოინმა და ეშმაკური ღმილით დაწკარული თვალები მიანათა.

— ჩვენ უფრო ღვინოს ვართ ნაჩეევები... ნოინებს საუკეთესო ქართული ღვინო მოვართვი. თუ ინებებთ, მოვატანინებ... — თქვა ეგარსლანმა, ჩორმალონს შეაჩერდა და ფეხზე წამოდგა.

— მოიტა... მოიტა... ვნახოთ! — თავი დაუქნია ჩორმალონმა და თავისიანებს თვალი ჩაუჯრა.

ეგარსლანმა მის უკან, მოშორებით მდგარ მსახურთუხუცესს გახედს და სურთუხუცესი ადგილს მსწრედ და ცოტა ხნის შემდეგ ოთხმა კახელმა ვაკაცმა ღვინით სავსე რუმბი შემოიტანა. თავი მოხსნეს და რუმბის ყელიდან წითელი ღვინო სისხლივით წამოვიდა. ირანისა და ადარბადაგანის გზებზე ნატარებმა მონგოლმა ნოინებმა შარბათის გემო უკვე იცოდნენ, მაგრამ მაინც გაშტერებულნი შეპყურებდნენ რუმბიდან მოჩუხჩუხე უცხო სასმელს.

პირველი სასმისი ჩორმალონს მიართვა ბაკურციხელმა. სავსე ჯამს შებლ-შეკრული დასცქეროდა ნოინი.

— კაცის სისხლია თუ საქონლის? — გულმოსულად იკითხა ჩორმალონმა.

— ქართველები კაცისა და საქონლის სისხლს არ სვამენ, დიდებულო ნოინო! ეს ჩვენებური ვაზის ნაყოფის წვენია და შიგ წვეთი არაფრისა ურევია, სხეულში სისხლად შედის, კაცს ღონეს მატებს და დარდს ავიწყებს.

— ხი-ხი-ხი... — ჩაიხითხითა ჩორმალონმა, ჯამი პირთან მიიტანა, ღვინის სუნმა მიიზიდა და ნდომით ნესტოები აუთამაშდა.

ის იყო, უნდა დაწაფებოდა, რომ ბიჩუ ნოინმა შესძახა:

— ჯერ ნუ დალევ, იქნებ მოწამლულია!

— ჰო-ჰო! — შესძახეს ჩაღატამ და სირმონმა, — ჯერ თავად ქართველებმა დალიონ!

— მართალია — გაწყრა თავის თავზე და ქართველებზე ჩორმალონი, — ჯერ შენ დალიე და ყველა შენს მხლებლსაც დალიევიწე! — შკაცრად თქვა ჩორმალონმა, მერე იქ მყოფთ თვალი მოავლო და ჩაიხითხითა, — მერე ჩვენც გავსინჯავთ, არა?

— დიას! დიას! — დაუმოწმეს იქ მყოფებმა და თვალი ყველამ ბაკურციხელს მიაპყრო.

ეგარსლანმა თავისი ამაღა იხმო. მთავრის ზურგს უკან რამდენიმე რიგად დადგნენ კახელი დიდებულები, ერთიმეორეზე თვალ-ტანადი, რჩეული

ვაფეცებთ. ეგარსლანმა ღვინით საფეცე ჯამი ასწია:

— ქართველებს ერთი ჩვეულება გვაქვს: ღვინოში ღვინოს ისე არ დავლევთ, თუ სადღეგრძელო ყველას გასაგონად არ ვთქვით. პირველი სადღეგრძელო უფლისა და ხელმწიფისაა. ღმერთმა იმდენი წელიწადი მისცეს მონგოლთა მბრძანებელსა და მთელი ქვეყნის დამპყრობს, თქვენს დიდსა და უძლეველ ყაენს, რამდენი ჯარისკაციც მის ძლევაშისილ ლაშქარში იბრძვის, რამდენი ცხენიც მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მინდვრებზე ძოვს, რამდენი ფოთოლიც მის თვალწვდენელ საბრძანებელში გადაჭიმულ ტყეებში შრიალებს, რამდენი წვეთი ღვინოც ამ ჯამსა და რუმუმშია, იდღეგრძელოს სწორუპოვარმა ბრძენმა და სარდალმა, ღვთიერგვირგვინოსანმა ყაენმა! ვაჰ! — შესძახა ბაკურციხელმა და თითქო ზეცამ იქუნათ, ერთხმად იგრილა კახელი დიდებულების ვაჰამ.

ბაკურციხელმა და მისმა მსლებლებმა ჯამები სულმოუთქმელად დაცალეს და ჰაერში დააბრჭყავეს.

თარჯიმანმა ეგარსლანის ნათქვამი თარგმნა. ნოინებს ეამათ.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! ქართველო! — მოუწონეს აქეთ-იქიდან.

ეგარსლანმა ტუჩი მოიწმინდა, სასმისი ღვინით აავსო და ჩორმალონასკენ წაფიდა, უფროს ნოინს მიეახლა, მუხლზე ჩაიხოჭა და ჯამი გაუწოდა.

— ინებეთ, მბრძანებელო!

— ესეც უნდა დავლიო? — იკითხა და თავის საფეცე ჯამზე მიუთითა.

— არა, მბრძანებელო, მხოლოდ მოწოდებული სასმისით უნდა შესვათ, — შეჰკლიმა ეგარსლანმა.

— რაკი ყველამ დალია, ჩვენც დავლიოთ, — თქვა ჩორმალონმა, ნოინებს ანიშნა და ღვინოს დაეწაფა.

ჯამში ნახევრამდე დაიყვანა ღვინო. სახე ემყაფილებით გაეხადრა, თავი ოდნავ ასწია; ტუჩები ენით მოილოკა და აღტაცებით თქვა:

— ოო! ეს მართლმ შარბათი ყოფი-

ლა! — ისეც მოიყუდა ჯამი და ახლა სვენებ-სვენებით ვემოსწინებულებით განაგრძო სმა.

ჯამები დაცალეს და საჭმელს მიუბრუნდნენ.

ერთხანს ხმამაღლა, ხლაქა-ხლუქით ჭამდნენ.

— კიდევ დავლიოთ? — იკითხა ჩორმალონმა და ეგარსლანს მიაჩერდა.

— მიირთვიო! ღმერთმა შეგარგოთ! — დაილოცა ეგარსლანი და მწუდებს ჩორმალონის ჯამი გაუწოდა.

— ხომ არ დავათრობს? — იკითხა ჩალატა ნოინმა, ეშმაკურად გაიცინა და ხმადაბლა დაუმატა, — დიდებული ჩინგიზყაენის იასა დათრობას თელის მონგოლი ვაფეცისათვის ყველაფერზე სამარცხვინოდ.

თარჯიმანმა ჩალატას ნათქვამის პირველი ნაწილი თარგმნა მხოლოდ.

— რა ბრძანებაა ჯერ რა მიირთვიო, რომ დავათროთ! თქვენისთანა ვაფეცებს ღვინის დაღვევა როგორ შეეცყოება! — გაამხნევა ბაკურციხელმა ნოინმა. ნოინებმა ჯამები ისეც უსიტყვოდ მოიყუდეს. დაცალეს ენის წლაყენითა და ტუჩების ლოკვით, ერთხელ კიდევ მოიწონეს მოტბო, საამო სასმელი.

ჩორმალონი ისეც საჭმელს მოუბრუნდა და ეგარსლანს შეუქაბა:

— დალიე, დალიე, კარგად კი ლაპარაკობ, მაგრამ როცა ასეთი სასმელ-საკმელია, ლაპარაკისთვის ვის სცალია!

ეგარსლანმა მანც თქვა ორიოდ სიტყვა:

— ახლა თქვენ გავიმარკოთ, მონგოლთა უძლეველი ყაენის სახელოვან ნოინებს, ღმერთმა ძლევა და მტერზე გამარჯვება ნუ მოგიშალათ! — კეთილი ყოფილიყოს საქართველოში, თქვენი მოსვლა. თქვენი ერთგული სამსახური შეგვძალეობინოს და ჩვენი ქვეყანა ჩვენი ხალხი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი დროშის ქვეშ!

ბაკურციხელი მიხვდა, მის ენამხეობას ყურს აღარავინ უგდებდა და ტყუილად იხარჯებოდა. ჯამი მოიყუდა, მავ-

რამ ბოლომდე როდი დალია. ჩორმა-  
ლონს არ გამოჰრავია.

— დაცალე, მთავარო! ღვინოს იზო-  
გავ, თუ საწამლავს ერიდები! — თავაუ-  
ლებლად გასძახა და მწედს ცარიელი ჯა-  
მი გაუწოდა.

ბაქურციხელმა ჯამი ისევ მოიყუდა  
და ახლა ბოლომდე დასცალა.

ნოინებმა ისევ უსიტყვოდ შესვეს და  
მწედებმა ისევ პირამდე აუესეს ჯამები.  
ერთიმეორეს აღარავინ უყურებდა, ჯა-  
მები უწესრიგოდ, თითქმის შეუსვენებ-  
ლად იესებოდა და იცლებოდა. ნელ-  
ნელა ხმაურმა იმატა და ბოლოს სუფ-  
რაზე ყურისწამლები ღრიალცილი ატყდა.

სხვაზე აღრე ჩორმალონი დათვრა.  
ერთხანს რალაც იცხყანა, თვალები დაეზ-  
რიცა და პირზე დორბლი მოადგა, უწ-  
მაწურ ლანძღვა-გინებას მოჰყვა; დანარ-  
ჩენი ნოინებიც აჰყუნენ, ერთიმეორეს  
დედმამის სულს სიცილითა და მხრებზე  
ხელის ტყავუნით უტრიალებდნენ და  
გინებას ისე ირგებდნენ, თითქო ერთმა-  
ნეთისთვის ქათინაური ეთქვათ.

თარჯიმნები წითლდებოდნენ და აღარ  
თარგმნიდნენ. მერე ის იყო, ჩორმალონს  
უზარმაზარი თავი ერთბაშად მოსწყდა,  
სუფრაზე დასდო და დაეძინა.

დანარჩენმა ნოინებმა ერთხანს კი-  
დეც სვეს და იხითხითეს, ეტყობოდათ,  
თავიანთ უფროსს დასცინოდნენ. მერე  
ერთიმეორეს შეუტყის და ერთმანეთზე  
კინალამ სახებურად მიიწიეს.

ეგარსლანი ენაჩავარდნილი შეჰყუ-  
რებდა გონდაკარგულ ნოინებს, უნდო-  
და გაეგო, რა აჩხუბებდათ, მაგრამ მისი  
თარჯიმანი კარგა ხნის მიღებული ჰყავ-  
და უფალს და ამხსნელ-მთარგმნელი  
აღარავინ იყო. როგორც იქნა, ჩხუბის  
გუნებაზე დამდგარი ნოინები დაცხრნენ  
და მათაც იქვე, სუფრაზე დაიძინეს.

ეგარსლანს თავითფხამდე იარაღს-  
ხმული მონგოლი დაადგა თავს. მძინარ  
თარჯიმანს ხელი წამოარტყა და თვალი  
რომ გაახელობა, მკაცრად უთხრა:

— გააგებინე ქართველ მთავარს... მე  
ნოინების მცველი რაზმის უფროსი ვარ,  
იცოდეს, რომ თუ ამ ღვინოში საწამლა-

ვი ურევია და ჩვენს მბრძანებლებს რა-  
მე ატკივდებათ, არა მარტო აქ მოსულ  
ქართველთაგან ვერავინ გადურჩება  
სიკვდილს, მთელ ქართველობას ამოვ-  
ხოცავთ და თქვენს ქვეყანაში ქვას ქვა-  
ზე აღარ დაეტოვებთ!

— მაგის ფიქრი ნუ ექნება ნოინების  
მცველს. დღეს გულმშვიდად დაიძინოს  
და პასუხი ხვალ მომთხოვოს, — არხეი-  
ნად განუცხადა ეგარსლანმა და სუფრი-  
დან წამოდგა.

იმ ღამეს გვიანამდე თვალი ვერ მო-  
ხუჭა ეგარსლანმა. იმის ფიქრი არ აძი-  
ნებდა, ხვალ რა გუნებაზე ადგებოდნენ  
ნოინები.

ეგარსლანს წითელი ღვინოსა არ ეფიქ-  
რებოდა ბაქურციხელს. მის დამლევს  
ქვეყნის გაჩენის დღიდან თავიც არ წა-  
მოტყენია, მაგრამ ღვინოს შეუჩვეველმა  
მონგოლებმა ბევრი რომ სვეს და კიდევ  
უფრო მეტი სკამეს, ვინ იცის, რომელს  
რა ატკივდება და, მათაც მეტი არა უნ-  
დათ რა, ეგარსლანის ღვინოს დააბრა-  
ლებენ.

როგორც იყო, თვალი წაატყუა ეგარ-  
სლანმა, მაგრამ ძილი არ აცალეს, მსა-  
ხურთუხუცესმა გააღვიძა, ბიჩუ ნოინი  
გიხმობსო.

ეგარსლანი სწრაფად წამოდგა.

თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა.  
შეუღამისას ბიჩუ უბრალოდ არ დაიბა-  
რებდა. ალბათ, რალაც არაჩვეულებრი-  
ვი და ეგებ მოულოდნელი რამეც მოხ-  
და.

მონგოლი ნუქერი კართან უცდიდა.  
შეშფოთებულ თავისიანებს თვალი მო-  
ავლო ბაქურციხელმა.

— წაგვიტანე... მარტო ნუ წახვალ! —  
შევეედრა მსახურთუხუცესი.

— რა აზრი აქვს! — ხელი ჩაიქნია  
ბაქურციხელმა და ნუქერს ანიშნა, წა-  
ვიდეთო.

ჩანებლებული ქურენები უხმოდ გაი-  
არეს, ბოლოს უთვალავ კარავს შუა ამ-  
ართულ დიდ იურტასთან შეჩერდნენ.  
ნუქერმა კარვის კალთა გადასწია და

ქართველ შთავარს განათებულ იურტაში შეუძღვა.

ბიჩუ ნოინი მხარეთმოზე იწვა, წინ პატარა ტაბლაზე ხილი და საუხზე ეწყო.

— შემოდი, მთავარო! ხომ არ გეწყინა, უდროო დროს რომ მოგხმეთ.

— რა ბრძანებაა, დიდებულო ნოინო! თქვენი სამსახურისთვის მუდამ მზადა ვართ, — მიუგო გაღიმებულმა ეგარსლანმა და ცოტა არ იყოს შეება იგრძნო, რაკი ნოინის ნათქვამი ცუდის მომასწავებლად არ ეჩვენა.

— ძალიან მომეწონა თქვენი სასმელი. ბევრი ვსვი, მაგრამ ცოტა რომ წავიძინებ და გაშომეღვიძა, ისე ვარ, თითქოს წვეთიც არ დამელიოს, არც თავის ტკივილი მაწუხებს, არც უგუნებობა. თუ გსურს. ცოტა კიდევ გელიოთ ერთად, ერთიმეორეს უკეთ გავიცნობთ და ქვეყნის ავკარგზეც ვისაუბრებთ.

— მავას რა სჯობია, თუ კი თქვენთან საუბრისა და ლხინის ღირსად გამხდით! — თავი დაუკრა გახარებულმა ეგარსლანმა და ღვინის მოსატანად გაქანდა.

იმ ღამეს ხვეწენა-კოცნითა და ერთგულების ფიცით გაიყარნენ მონგოლი ნოინი და კახეთის ერისთავი.

შეორე დღეს, როცა კახეთის დამორჩილებისა და ეგარსლანის შეწყნარების წიგნი დაიწერა, კახეთი გაათავისუფლეს ზოგიერთი იმ გადასახადისაგან, რომლებიც ყარაყორუმს არ იგზავნებოდა. სამაგიეროდ ღვინის გადასახადი გაუღიძვრეს და სავანგებოდ ჩაუწერეს, თუ ყოველწლიურად, რა დროს და რამდენი უნდა მიერთშია საქართველოში დაბანაკებული მონგოლებისათვის საუკეთესო კახური ღვინო.

ბაქურციხელი გახარებული დაბრუნდა ურდოდან. ამიერიდან მისი სამკვიდრო დაშოშმინდებოდა, რბევა და სისხლის ღვრა შეწყდებოდა. მორჩილებისა და შეწყნარების პირობები მძიმე იყო, მაგრამ სხვა ქართველ მთავრებთან შედარებით მას რაღაც დაუთმეს და მცირე შეღავათი მისცეს.

უმთავრესი და უმძიმესი შეწყნარების პირობათაგან სამხედროც ბევრია: იყო: ყოველ ათ სულზე კახელებს ჩორჩი მკომარი უნდა გამოეყვანათ, მაგრამ მონგოლთა სამხედრო ბეგარა ყველასათვის ერთნაირად მძიმე და უშეღავათო იყო და ნოინებს რომ ძალიანაც სდომოდათ ჩინგიზყანის მიერ დაწესებულ ამ ვალდებულებას დაპყრობილ ხალხებს ვერ შეუმსუბუქებდნენ.

მონგოლთა მორჩილ მთავრებსა და მათ შორის ეგარსლანსაც ერთი ჰქონდათ სანუგეშოდ: მონგოლებს დედამიწის ზურგზე დაუპყრობელი თითქმის აღარა რჩებოდათ რა და ვისთანაც უნდა ეომათ!

მაგრამ ქვეყანა დიდი იყო და ჭერ სისხლიც ბევრი იყო დასაღვრელი!

ეგარსლან ბაქურციხელი შეწყნარების პირობებს სანიმუშოდ ასრულებდა: ხარკსა და გადასახადს თავის დროზე იხდიდა, ლაშქრად გაყვანილ კახელებს წინ თავად მიუძღოდა და ბრძოლის ველზეც ვაჟკაცურად იბრძოდა. მონგოლებისგან შორს იყო, მაგრამ მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა და ამას ისე ოსტატურად ახერხებდა, ვერც ქართველები დააყვედრებდნენ რასმე, არც მონგოლ ნოინებს აძლევდა აზირობისთვის რაიმე მიზეზს.

უცხოთა მორჩილებას შეუჩვეველ ქართველებს მალე დაუმიძმდათ მონგოლთა უღელი, ჰერს ვარდა თითქმის ყველაფერზე გადასახადს იხდიდნენ თავიანთსავე სამკვიდროში, მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდნენ. გამუდმებულმა ომებმა მოალა და გასტეხა ქართველობა.

საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდობა მონგოლთა მტრების მიუვალ ციხე-სიმაგრეებს აწყდებოდა ან დაუსრულებელ ალყაში სახადითა და სენით იღუპებოდა.

რუსუდან მეფე გარდაცვლილი იყო. ტახტის ორი მემკვიდრე ყარა-ყორუმის კარზე ეცილებოდა ერთიმეორეს ტახტსა

და გვირგვინს და საქართველოს სახელმწიფო უმეფოდ იყო.

ქართველი მთავრები ერთთავად სულ მონგოლთა ლაშქარში, საქართველოდან შორს იბრძოდნენ და ქვეყანა უპატრონოდ იყო დაგდებული. მომთაბარე მეზობლები ამით სარგებლობდნენ, საქართველოს თავს ესხმოდნენ, არბევდნენ და აწიოკებდნენ.

რაკი ერთი მიზანი და გვირგვინი აღარ აერთიანებდათ, საქართველოს ცალკე სამთავროების ერთმანეთთან შეუთანხმებელ მოქმედებას ნაყოფი არ მოჰქონდა.

სამეფოს მოწინავე ადამიანები გრძობდნენ ამ გათიშულობის დამღუპველობას და თავიანთ პასუხისმგებლობას ერისა და მომავლის წინაშე.

ქვეყანას, ხალხს დროზე უნდოდა შველა, ვიდრე სრული გადაგვარებისა და მოსპობის საფრთხე არ დადგებოდა.

„ამა შეფოთთა შინა“ ეზრახნეს ერთ-ერთს სამეფოს ბედზე მზრუნველი საქართველოს მთავრები, მონგოლთა წინააღმდეგ შეითქვენ და კოხტასთავს შეიკრიბნენ იმის საბოლოოდ გადასაწყვეტად. ვის რამდენი მეომარი გამოეყვანა და როდის, სად დაეწყათ აჯანყება.

შეთქმულება გამჟღავნდა.

კიბე ყოველთვის შიგნიდან ტყდება და შეიძლება ვეფიქრა, რომ იმ კეთილშობილ რაინდთა შორისაც აღმოჩნდა მოღალატე, რომელმაც შეთქმულება გასცა.

მაგრამ, როცა სარწმუნო საბუთი არ არსებობს, ძნელია ვისმე ღალატი დასწამო და იუდას ცოდვა აჰქიდო.

ამიტომ იჩენს სანაქებო სიფრთხილეს კოხტასთავის შეთქმულების ამბის თხრობისას ეპითაღმწერელი.

„ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიძუ და ანგურგ და მივიდეს კოხტასთავსა, დახედეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“.

„ესმა თათართა“, ისეა ნათქვამი, თითქოს ცილაისგან ყური მოეკრათ, ან ჭო-

რად გაეგონათ მონგოლებს ქართველ შეთქმულთა შეკრების ამბავი. ვად ვად ნათქვამში ცალკე პიროვნება არ იგულისხმება, ღალატი და გაცემა კერძოდ არავის ბრალდება და ეჭვი არავისზეა მიტანილი.

სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი სულიერი გარდატეხები, რომლებიც სრულიად ცვლიან ამ მოღვაწეთა მიზანსა და მიმართულებას. სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები ძნელად ურიგდებიან მტრის შორილუბას, ბრძოლის ველზე დამარცხებულები არაერთხელ უბირისპირდებიან დამპყრობლებს და უთანასწორო ბრძოლაში ცდილობენ მათი უღლისაგან თავის დახსნას. ბოლოს, როცა მთელი ქვეყნის მოწინავე ძალების ერთი მიზნით გაერთიანება ხდება, ერთადერთი იმედი იმასლა ემყარება, მტერზე მოტანილი ეს უქანასკნელი იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

მაგრამ კაცი ბუობს და ღმერთი იცინის.

ამბოხება მარცხდება, შეთქმულნი ისჯებიან და სასჯელმოხდელი მამულიშვილები დამპყრობთა უერთგულესი მსახური ხდებიან.

კოხტასთავის შეთქმულების მარცხის შემდეგ ქართველმა მთავრებმა, და მათ შორის ბაქურციხელმაც, საბოლოოდ ირწმუნეს მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობა და ქვეყნისა და თავის გადარჩენისათვის ახალი გზების ძებნა დაიწყეს. რაკი მტრისათვის თავის შეკვლას აზრი არ ჰქონდა, იმ მტერთან შერიგებითა და თანამშრომლობით სამშობლოსა და ხალხისათვის სარგებლის მოტანა უნდა ეცადათ და ევარსლანი ამ გზას დაადგა.

თუ შეთქმულებამდე მონგოლ ნოინებთან ზედმეტ სიახლოვეს ეკრძალებოდა, სირცხვილისა და თავმოყვარეობის გრძნობა ნებას არ აძლევდა მცერდში ჩაეკროდა მისი ქვეყნის დამმონებლებს, ახლა უკვე წინ აღარაფერი უდგებოდა, იმას ვერავინ იტყოდა, ცდას



დააკლო და მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მათი ერთგული სამსახური არჩიაო.

მთელმა ქვეყანამ კარგად იცოდა, როგორ მზნედ დაუხვდა შემოსეულ მტერს ეგარსლან ბაქურციხელი, როგორ ხანგრძლივად გაუწია წინააღმდეგობა მათ დამკვიდრებას კახეთში და, ბოლოს, როგორ გასწირა თავი სასიკვდილოდ უძლეველი მონგოლების ბატონობის დასამზობად შეთქმულებაში მონაწილეობით.

ხელფეხშეკრულს, შიშველ ტანზე თაფლწასმულს ბზიკები ეხვია და უდაბნოს ცხელი მზე სწევად.

ცოტნე დადიანს რომ არ მოესწრო და მის მოსვლას სასწაულებრივად არ ეხსენა, ეგარსლანიც, სხვა შეთქმულებთან ერთად ხერხემალგადატეხილი; სადმე ხრამში ეგდებოდა.

სიცხისაგან კანდათუთქელი და კრახანებისაგან დაკუნთილი, თავპირდახიებული ბაქურციხელი სიკვდილს გადაარჩა, მაგრამ თავდახსნილს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. კახეთში ურმით ჩამოიყვანეს შწოლიარე და სამ თვეს სასიკვდილოდ იყო გადადებული.

ქვეყნის ყველა კუთხიდან მოწვეულმა მკურნალებმა არც თავი დაზოვეს, არც ცოდნა და გამოცდილება დაიშურეს, ლაშქები უთიეს და ათასგვარი მალამოთი და წაშლით, შემრგო სასმელ-საჭმელითა და სათუთი მოვლით, როგორც იყო, სააქაოს მოაბრუნეს და ნელ-ნელა ფეხზე დააყენეს.

მომკობინებული ეგარსლანი ხედავდა: ვინც მონგოლ ნოინებთან სიახლოვესა და კარგ ურთიერთობას ახერხებდა, თავდაც ხელმომთბარი იყო და მისი სამთავროც მშვიდობიანად ცხოვრობდა. ვის ჰქონდა უფლება კახეთის ერისთავისთვის მონგოლებთან დამეგობრება ესაყვედურებინა? ვის გადახდა მასზე მტეი ჭირი და უბედურება?!

როგორც მოიკეთა და ცხენზე ჯდომ: შესძლო, ნოინებს დიდი ძღვენი გაუგზავნა.

ცოტა ხნის მერე თვითონ ეახლა ბი-

ჩუ ნოინს ძვირფასი საჩუქრებით, სანადიროდ გამოიტყუა და კახეთში მტერი კვირაზე მეტს ჰყავდა.

გააგიჟა ბაქურციხელმა მონგოლი ნოინი. მსგავსი არც ნადირობა ენახა ბიჩუს, არც მასპინძლობა. ეგარსლანი ყოველ დღე ახალ-ახალ შესაქცევარს იგონებდა, ერთიმეორეზე სასიამოვნოსა და მიმზიდველს: თვალის გახელიდან ლხინი და გართობა იწყებოდა და ბიჩუ ნოინი ყოველ დღე უგონო მთვრალი იძინებდა, მაგრამ ნოინს ის ათამამებდა და ახალისებდა, რომ მეორე დღეს კიდევ უფრო ღონემოჭარბებული და გუნება გამოკეთებული დგებოდა.

სადაც უნდა შეეხვეწათ, ნადირობისა და მოგზაურობის დროს, მიუვალ მთებსა თუ უღრან ტყეში, ყველგან სუფრა ხედებოდათ გაშლილი და ყველგან უხილავი ხელის მიერ მოწყობილი სახიობა, ცეკვა-თამაში და გალობა ატკობდა სინატიფეს შეუჩვენველი მონგოლის თვალსა და სმენას. ღვინომოკიდებული, თავდაც საცეკვაოდ მიიწვედა, დათვივით ბუქნავდა და გულისგამწყვალვლად გაჭიოდა ერთსა და იმავე სიმღერას, მისაწყყენსა და გაუგებარს.

კახეთიდან წასვლა აღარ უნდოდა და ალბათ დიდხანს არც წაეიდოდა. ილხანს რომ საომრად არ დაეზარებინა.

გულდაწყვეტილი აიყარა, თან ეგარსლანი და კახელი მეომრები გაიყოლა და ჰულაგუ ყაენისათვის მისართმევად კახური ღვინოც ბლომად წაიღო.

ბაქურციხელმა იმ ომში დიდი მხედრული ხელოვნება აჩვენა, არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა, კახელ მეომრებთან ერთად პირველმა შელექწა მტრის სიმაგრე, ციხეში შეიჭრა და საშინელება დაატრიალა.

ჰულაგუ ყაენი შორიდან უყურებდა ციხის იერიშს. კახელი გოლიათის კვეთებამ და თავზეხელაღებამ მოხიბლა. ციხის დაცემის შემდეგ მოიკითხა. ბიჩუ ნოინმა კახეთის ერისთავი უქო, მაგრამ მოზომილად, იცოდა, ბაქურციხელის ერთხელ შეხვედრა იცმარებდა სუფრახე

ქულაგუ ყაენთან, რომ შემდეგ მბრძანებელს უმისოდ პური აღარ ექამა.

ბიჩუ ნოინს კი თავისი ანგარიში ჰქონდა, მისი საგამვეო ქვეყნიდან ყაენის კარზე ამბის მომტანად თავისთავის მეტი სხვა არაეინ უნდოდა.

— მაშაქი ვაჯაკი ჩანს. ხომ არ მოვიხმით და დავსაჩუქროთ? — იციტხა ყაენმა და ნოინს ქვეშევეშ გახედა.

— სწორედ რომ ღირსია მბრძანებლის წყალობისა, მაგრამ დაჭრილია და თქვენს ხლებას ვერ შესძლებს. ისე კი, თუ თქვენი ნება იქნება, თქვენს ბრძანებას ვადაცემ, გაახარებს და წაახალისებს შემდგომი ერთგულებისათვის, — თავდახრით თქვა ბიჩუ ნოინმა.

ბიჩუ ნოინი ტყუილის თქმას ვერ გაბედავდა ყაენის წინაშე, ეგარსლანი მართლაც დაჭრილი იყო მუხლში მსუბუქად. ერისთავი თავის კარავში იწვა, მაგრამ ისე უღონოდ როდი იყო, ყაენის ხლება ვერ შესძლებოდა. მსუბუქი კი არა, მძიმე ჭრილობაც არ გააჩერებდა, ჩიტვიტ წამოფრინდებოდა და ილხანის მოსახიბლავად თავს არ დაზოგავდა, იმ თავის ჭრილობაზეც იცილებდა და მბრძანებელსაც აცილებდა, გუნებას გაუხალისებდა და საზრუნავს დაავიწყებდა, დაღვედა და დააღვეინებდა და...

სწორედ ეს არ უნდოდა ბიჩუ ნოინს და ეგარსლანის მსუბუქი ჭრილობა კარგად მოიმიზნა — დაჭრილიაო, მოახსენა ყაენს და ეს იქმარა. იყოდა. ქულაგუს დიდად არ ედარდებოდა ქართველი მთავარი და მისი ჭრილობის რკვევისათვის თავს არ შეიწუხებდა.

ყაენთან არ მიუშვა ბიჩუ ნოინმა ქართველი მთავარი, მაგრამ თვითონ კი გვერდით აღარ იშორებდა, უმისოდ შორს აღარსად მიდიოდა, ყოველ კვირაში თავის კარზე იბარებდა და თუ თან არ ჰყავდა, მოწყვნილი იყო.

საქართველოს ამბებს მხოლოდ მან ეკითხებოდა, ქვეყნის აკვარზე მას ეთათბირებოდა და სხვა მთავრებს მისი რჩევითა და დასტურით უსწორდებოდა.

ბოლოს ისე შორს წავიდა, რომ მასთან საჩივლედად არ საქმის გასარჩევებლად მისულ ქართველ მთავრებს თავისთან არ უშვებდა და ბაკურციხელთან გზავნიდა:

— უთხარი, რომ არ მცალია. კახეთის ერისთავს ეახლონ და რასაც ის გადაწყვეტს, ყბულს ვიქნები, — უთელიდა ძღვენითა და საჩივრით მოსულ მთავრებს ბიჩუ ნოინი, ძღვენს თვითონ იტოვებდა და საჩივარს ეგარსლანს უგზავნიდა.

გულზე სკდებოდნენ თავიანთი მალაღი წარმოშობითა და სიმდიდრით გამპარტყენებული მთავრები.

— ღირის ტილს ფეხზე დასვამ, თავზე ავადოდებმა! — ჩურჩულებდნენ კეთილშობილი მთავრები და გულს ასკდებოდნენ.

რა არ იღონეს შანშე ზაქარიას ძემ და ვარამ გაველმა, ქულაგუ ყაენთანაც კი იჩივლეს, მაგრამ ყველა არზა და საჩივარი ბიჩუ ნოინს უვარდებოდა ხელთ, ბიჩუ ეგარსლანის ძვირს ყურში არ უშვებდა და ბაკურციხელის გამკითხავი, პასუხის მომთხოვი აღარავინ იყო.

მეფე არ ერქვა ეგარსლანს, თორემ მეფესავით მართავდა ქვეყანას.

დიდგვარიანი მთავრები თანდათან თრგუნავდნენ საკუთარ თავმოყვარეობას, თანდათან ქედს იღრეკდნენ და ცდილობდნენ შეჩვეოდნენ ეგარსლანის ხელქვეითობას.

შეჩვეოდნენ კიდევ, რომ...

შანშე მხარგრძელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. დიდი თამარის სახელოვანი მხედართმთავრის მემკვიდრე, თავად რუსუდან მეფის მანდატურთუხუცესი, ეს ერთი ხანი იყო ავადმყოფობდა. რომ გვეითხათ, რას უჩივით, ვერ გეტყოდათ, არაფერს იტყობდა, მაგრამ უღონობას ვერ ერეოდა, ერთთავად უგუნებოდ იყო და გარეთ გახედვა არ უნდოდა.

იწვა კედლისკენ პირმიქცეული და ფიქრობდა. საფიქრალი და საწუხარი

კი ბევრი ჰქონდა გარდაცვლილი მეფის ვაზირყოფილსა და უპირველეს მთავართაგანს.

როგორ უკუელმა შებრუნდა საქართველოს ბედის ტრიალი, სამეფო რომელიც სხვებს სცემდა შიშის ზარს და რომელიც ვერ კიდევ გუშინ იერუსალიმის განთავისუფლებასა და ბაღდადის დაპყრობაზე ოცნების ზორცშესხმისათვის ემზადებოდა, დღეს თვითონ იყო დაპყრობილი და დამხობილი, ქედზე მონგოლთა უღელი ედგა და მალდა საფრენი ფრთები მოკვეცილი ჰქონდა.

ახლა საქართველო თვითონ არის სხვისი მოხარკე. შანშეს მამულში უცხო დამპყრობლები დგანან და მხარგრძელთა სამკვიდრო ანისი ურდოს სამყოფელად არის ქცეული. მონგოლები, ვიდრე ფეხს კარგად მოიდგამდნენ, ქართველ მთავრებს კიდევ უწევდნენ ანგარიშს, მათი წინააღმდეგობის საბოლოოდ დათრგუნვა უნდოდათ და ერთხანს ეფერებოდნენ. მერე, როცა ქართველებმა უაზრო წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს და დამპყრობლებს თავიანთი ციხესიმაგრეები ჩააბარეს, მონგოლებმა წყალობასა და ფერებას უკლეს, ქვეყანას ისე მართავდნენ, თავიანთ საგამგეოში ქართველ მთავრებს აღარაფერს ეკითხებოდნენ, თავგასულები, როგორც სურდათ, ხალხს ისე ექცეოდნენ, კეთილშობილსა და აღმატებულ ქართველ მთავრებს ერთადერთი უფლებადა დაუტოვეს დამპყრობლებმა — თავთავიანთი ლაშქრის წინ გაძლოლა და მონგოლთა მტრებზე იერიშის მიტანა. ძალა აღმართსა ხნავს და დიდგვარიანი მთავრები შეეგუენ უცხო მბრძანებელთა მორჩილებას, მათ მოხარეობასა და სამსახურს. ეს გარდღეული იყო და რაკი ბედისწერასთან ვერც ხმლით გახდნენ ვერაფერს, ვერც თავის განწირვით, ბედის განაჩენის დამორჩილებისა აღარ რცხვენოდათ.

სამარცხვინო მხოლოდ ის იყო, რომ ბოლო დროს მონგოლებმა მხარგრძელებსა და ამოგველებს, სურამელებსა

და ციხისგვარელებს, დადუნებელიანებსა და ჰერეთის ერისთავებს, გავლებსა და თორელებს, მათზე არაუგვარიანესი, კახეთის ერისთავთერისთავი დაასვეს თავზე — ეგარსლან ბაკურციხელი.

ამ მედროვემაც შეიფერა მონგოლების პატივი. უზომოდ გაიბერა და თავახედდა, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჯერჯერობით ბაგრატიონთა ტახტზე ვერ დაქდა და თავს მათი გვირგვინი ვერ დაიდგა, თორემ მეფობას სხვა აღარა უკლია რა: ქვეყანას თავის ნებასუფრთხე მართავს და იმ ქართველ მთავრებს; გუშინ რომ მხარში ამოდგომას ვერ უბედავდა, დღეს თავის კართან ალოდინებს; ზოგჯერ მათი აჯის მოსმენასაც არ კადრულობს და მათი ყმებისა და მამულების ბედს მათ დაუციობხავად წყვეტს: მონგოლ ნოინთა მძლავრობა და თავგასულობა ველარ აიტანა შანშეს ბიძაშვილმა, საქართველოს უპირველესმა ვაზირმა ავაგ მხარგრძელმა და აკი ამიტომაც წავიდა ყარაყორუმს! ბუნებით მშვიდი, ნებიერ ცხოვრებას შეჩვეული ავაგი ესოდენ ძნელსა და საშიშ გზას არ დაადგებოდა, მაგრამ ნოინთაგან ათვალისწინებულს თავის ქვეყანაში აღარ ედგომოდა, ერთადერთი იმედი წართმეული უფლების აღდგენისა ყარაყორუმს წასვლა, დიდი ყაენის ზღუბა და მისთვის წყალობის გამოთხოვა იყო.

ყარაყორუმს წასვლა თითქმის საიჭიოს გამგზავრებად ესახებოდათ ქართველებს.

ავერ მეორე წელია ავაგ ათაბაგის აღარაფერი ისმის, მკედარია თუ ცოცხალი კაცმა არ იცის. რამდენჯერ გაუკიცხავს შანშეს ავაგი თავის გულში: ყოფილიყო ამ თავის ქვეყანაში და ეცხოვრა ჩვენსავეთ. მარტო ქართველებზე ხომ არ ბატონობენ მონგოლები, სხვა ქვეყნების მეფეები და მთავრებიც ბევრნი მორჩილებენ მათ, ფიქრობდა თავისთვის შანშე მხარგრძელი და ნანობდა, რომ არ დაუშალა ბიძაშვილს ესოდენ სახიფათო გზაზე დადგომა. მაგრამ ეს შარშან იყო. მაშინ, ავაგის დროს, ვე-

არსლანი ჭერ კიდევ არ იყო ასე აღზე-  
ვებული და თავგასული. ავაგი რომ ეგ-  
არსლანის ესოდენ გათავებულებას შეს-  
წრებოდა, ალბათ ყარაყორუმში კი არა.  
ჯოჯოხეთში წასვლასაც არჩევდა საქარ-  
თველოში დარჩენას და ეგარსლანის  
მბრძანებლობის მორჩილებას.

ნეტავ შანშესაც შეეძლოს ყარაყო-  
რუმს გამგზავრება! წასვლისას ავაგმა  
აღუთქვა, შენს საქმესაც გავარიგებო,  
და გაარიგებდა კიდევაც, თუ ცოცხა-  
ლია. მაგრამ რახანია ავაგისა აღარაფე-  
რი ისმის. გინდ მკვდარი, გინდ შინმოუ-  
სვლელი!

ეგარსლანმა მაშინვე მტრულად შეხე-  
და ყარაყორუმს ავაგის გამგზავრებას.  
ერთხანს ალბათ ფიქრობდა, ვინ იცის,  
ეგებ მართლა დიდი ყაენისგან შეწყნა-  
რებული მობრუნდესო. ავაგის საგამგეო  
ქვეყანას არ აწუხებდა და შანშეს მიმარ-  
თაც ძალის გამოჩენის ერიდებოდა. ბო-  
ლო დროს, როცა ავაგის დაბრუნების  
იმედი გადაიწყვიტეს, ეგარსლანი მის  
მამულებსაც მისწვდა და შანშე მხარ-  
გრძელსაც მბრძანებლობა დაუწყო.

მხარგრძელმა გაუხედნავი კვიცივით  
იხუა ბაქურციხელის აღვირი, მის ბრძა-  
ნებებს არ დაემორჩილა და ნოინებთან  
უჩივლა. საჩივრითა და წინააღმდეგო-  
ბით რომ ვერაფერს გახდა, საკუთარ მა-  
მულში ჩაიკეტა და შინიდან გამოსვლა  
აღიკვეთა. იწვა ბოლოით გასიებული,  
კედლისკენ გადაბრუნებული და შავი  
ფიქრებით აფორიაქებული საკუთარ  
გულს ასკდებოდა.

ფენის ხმა ჩაესმა.

ოთახში ვიღაც შემოვიდა.

— გძინავ, მამა-ბატონო?

შანშემ გადმობრუნება არ ინდომა,

ხელის ვაჭნევით ანიშნა, არ მძინავსო.

— მოწვოლები მოდიან, სადაცაა აქ

გაჩნდებიან.

— რაო? — გველნაკბენივით შეხტა

შანშე, ლოგინზე წამოიწია და შვილის-

კენ შემობრუნდა, — რაო, თავს გვესხ-

მიან? — იკითხა შეშფოთებულმა.

— თავდამსხმელებს არ გვანან, მცი-

რე რაზმია. მთელი ჩვენი სამკვიდრო

ისე გამოუვლიათ, არც ვინმე დაუბრე-  
ვიათ, არც სადმე საძარცველად შეჩნე-  
რებულან. პირდაპირ აქეთ შემოდიან.

— ნეტავ რა უნდათ? — ძლივს გასა-  
გონად ჩაილაპარაკა შანშემ და კბილი  
გააღრჭიალა, ტანსაცმელს მისწვდა და  
სწრაფად შეუდგა ჩაცმას, — გალაყანი  
ჩაგვეტოთ და ჭალაბი ციხეში შევხიზ-  
ნოთ, ზაქარია! ხალხი თუ იხმე?

— ყველა ფეხზე დავაყენე. ქალებსა  
და ბავშვებს ახლავე ციხეში შევიყვან.  
თუმცა მცირე რაზმი ყოფილა და არა  
მგონია, ავი განზრახვით იყვნენ.

— მაგათსას ვერას ვაიგებო. რაც არ  
გგონია, სწორედ იმას იზამენ.

შანშე ხმა-ხანჯალს მისწვდა და  
ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

იარაღასხმული ვაჯაკები ეზოში შე-  
კრებილიყვნენ.

— ბიჩუ ნოინი მოუძღვით თურმე,  
ათიოდ კაცი ხლებია, — მოახსენა ცი-  
ხისთავმა.

— დასაბრვეად გამოსვლას არ გავს,  
მაგრამ ბიჩუ ნოინს რა უნდა უღოდეს?

— იკითხა შანშემ და შეკრებილთ თვა-  
ლი მოავლო.

ორმოცდაათამდე რჩეული ვაჯაკი  
საომრად აღჭურვილი იდგა, თავჩაჩქია-  
ნებს ხელთ ფარშუბები ჰქონდათ დაბ-  
ლუჭული და ბრძანებას ელოდნენ.

— ქალები და ბალები მაინც დახიზ-  
ნე, ზაქარია, გალაყანის კარს ნუ დავეკ-  
ტავთ, — იძლეოდა განკარგულებას  
შანშე, — ციხისთავო! ეს ხალხი ციხე-  
ში დამალე. თუ გასაჭირი იქნა, გაცნო-  
ბებთ.

ციხისთავმა თავი დაუქრა.

— ზომეეთ! — გადასძახა იარაღსხ-  
მულებს და ციხისკენ წაუძღვა.

ქალები და ბალები ციხეში იხიზნე-  
ბოდნენ. კაცები აჩუმებდნენ, მაგრამ  
მაინც გნიასობდნენ, წყევლა-კრულვითა  
და ქოქოლით ვარბოდნენ და თან წიწი-  
ლებივით დაწიოკებული ბავშვები მის-  
დევდათ.

— შენც ციხეში შედი, ზაქარია! —  
ბრძანა შანშემ.

— მე შენთან დავრჩები, მართლ ვერ

დავტოვებ, — გადაჭრით თქვა ზაქარიამ.

შვილის გავუგონარობას შეუჩვეულმა მანშემ წარბი შეიკრა.

— მე რომ გვერდით გეყოლები, მოგერიდებიან, აუგს ვერ გადარებენ, — დასძინა ზაქარიამ.

მანშემ აღარაფერი უთხრა.

სათვალთვალო კოშკში მდგარ გუშავს ახედა და იკითხა.

— შორს არიან?

— ჯერ არ ჩანან, მთავარო.

— კარი მაინც დავეტოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივთ, — ხმამაღლა შეჰბედა მამას ზაქარიამ, — ბიჩუ ნოინს არ გავუფრთხილებივართ, ვერ იტყვის რომ კარი დაუხშეთ.

მანშემ შვილს შეხედა, დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

ზაქარიამ კართან მდგარ გუშავებს გასძახა და რკინის მძიმე კარი ნელა მიიხურა.

— მალლა ავიდეთ, — თქვა ზაქარიამ და ციხისკენ ხელი გაიშვირა.

მანშე დაჰყაბულდა.

ციხის სათვალთვალოდან გაჰყურებდა მამა-შვილი. შორს ჯერ მტერის სვეტი გამოჩნდა, შემდეგ იმ მტვერში თანდათან ცხენოსნები გამოიკვეთნენ.

გალავანს რომ დაუახლოვდნენ, ცხენები ნაბიჯზე გადაიყვანეს.

რაზმი მართლაც მცირე იყო, ბიჩუ ნოინს შეიდიოდა კაცი თუ ახლდა.

ნოინი დაწინაურდა, ცხენი რკინის კართან მიავდო და მალლა ასძახა:

— მასპინძელო!

ზაქარიამ ციხის სარკმელში გამოხედვა დააპირა, მაგრამ მამამ არ მიუშვა, უკან დასწია.

— ციხეში სამტროდ ჩაქეტილი ვეგონებით, ეგრე დახვედრა არ ივარგებს... ძირს ჩავიდეთ და კარი გავუღოთ! — ბრძანა მანშემ და ციხეს დაუყვა.

— მასპინძელო! — ისევ ასძახა ბიჩუ ნოინმა და კარზე შუბის ტარით დააბრაახუნა.

გუშავები გალავნის ნაპირას წარსდგნენ.

— თქვენ მთავარს შიშნენეთ, სამხარობლოდ მოვსულვართ.

მანშემ მხრები აიჩეჩა, შვილს გაოცებულმა შეხედა. მერე ნიშანი მისცა და რკინის კარი მძიმედ გაიღო.

ცხენდაცხენ შემოვიდნენ მონგოლები. მთავარი და მისი მემკვიდრე დინჯი ნაბიჯით შეეგებნენ.

მანშე არ ელოდა, შორიასლო შეაჩეხა ბიჩუ ნოინმა ცხენი და დაიქვეითა.

— მთავარო, სამახარობლო მკეთუნის! — შესძახა წინ შეგებებულ მანშეს და ხელგაშლილი, წამოვიდა, — ათაბაგი ავაგი მშვიდობითა და ყაენის წყალობით დაბრუნდა.

მანშე ყურს არ უჩერებდა.

— რას ბრძანებთ, ნოინო!

— დიდი ყაენის მიერ შეწყნარებული და დაჯილდოებული ავაგი ახლა ჩვენს მბრძანებულთან, ჰულაგუ ყაენთანაა.

— ნუთუ ცოცხალია?

— ცოცხალია და მალე აქ იქნება.

დიდ ყაენს იარლიყი მიუცია, საქართველოს სამეფოს პირველ მთავრად უცენია და დიდებული ილხანის ვანკარგულებით, ჩვენც ყველამ მისი პირველობა უნდა ვალიართთ.

— შენს პირს შაქარი, ნოინო! — შესძახა მანშემ და თაყვანის საცემად დაჩოქება დააპირა.

— ნუ, თავადო... ნუ... ეგ რა საკადრისია! — მუხლზე დაცემა არ დაანება ბიჩუმ, — გილოცავ, გულით გილოცავ!

— ვაილოქა და მთავარს მოეხვია: მერე ზაქარიას მოხედა, საჩხებრად შემართული მთავრის ქაბუჯი მემკვიდრე გაოცებულად უყურებდა ბიჩუსა და მანშეს ხვევნას.

— შენც გილოცავ! — ცალყბად უთხრა ბიჩუმ გორთხად მხირალ ზაქარიას და ხელი გაუწოდა. — წერილიც მოგართვით, მთავარო! ავაგ ათაბაგს შენთვის წიგნი მოუწერია, — ბიჩუ ნოინმა უბიდან გრაგნილი ამოიღო და მანშეს გადასცა.

— ეს რა დღეს შევესწარი, ნოინო!

შინ მობრძანდით. — ბავშვივით გაიხარა შანშემ, — ზაქარია მსახურებს უხმე, სუფრა გაშალეთ.

— შინ შესვლა არ ღირს, აქ სადმე ჩრდილში დავისვენოთ, დროც ბევრი არ გვაქვს, — თქვა ბიჩუმ და უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილისაკენ გაიწია.

— თქვენს სურვილზე იყო! — დამორჩილდა შანშე.

მსახურები დატრიალდნენ, მონგრულებს ცხენები ჩამოართვეს, კაკლის ქვეშ ნიღბები დაჰფინეს, თორენ გაახურეს, უშობელი დაკლეს!

სანამ სუფრა გაიწყობოდა, შანშე მხარგრძელი ცალკე განაბირდა, ავაგის წიგნს ჩაუჯდა და თვალცრემლიანი კითხულობდა ძნელი გზისა და ხიფათების, ბათოსა და მანგუ ყაენის სატახტოებში მისვლისა და ფათურაყების თითქმის დაუჯერებელ მოთხრობას.

ალბათ ვერც წარმოიდგენთ, რა კიჩი და განსაცდელიც თავს გადამხდა, მაგრამ, ღვთით, ყოველივე კარგად დასრულდა და ყაენების დიდი წყალობით ვბრუნდებით.

ბოლოს გადაკრულად იწერებოდა ავაგი როგორც ჩამოვალ, კახეთში წაგიძღვებით, ტახტე უნდა ვინადიროთო, ამოაზე წვრილად გაკრულად იყო მიწერილი: მალე შეგატყობინებთ, რადის და როგორ შეხვედეთო.

ნაქვეფარი ბიჩუ ნოინი საჩუქრებით ავსებულე გაისტუმრა შანშე მხარგრძელმა.

ორბ დღის შემდეგ საქართველოს მთავრები ეწვია. ლიხთიმურეთიდანაც კი მომხატოცა ცოტენე დადიანი და რაჭის ერისთავი. მხოლოდ ერთი აკლდა მთავართავან: ამდენ ხანს უპირველესად წოდებულე ეგარსლან ბაკურციხელი.

— ნეტავ მისთვისაც გეხმო, სულერთია გაიგებს! — ჩემად უჩუროჩულა ფრთხილმა სურამელმა შანშეს.

— გაიგებს, თორემ ყურზე ხახვი არ დამაქრას! რაც აქამდე ვერ მიყო, აწი რადის მიზამს! — გაღიხარბარა მხარგრძელმა და სუფრასთან შემომსხდარ

მთავრებს ავაგის წერილი ხმაყვლავ წაუყვიტხა.

სტეფანე შინელი

ბაკურციხელს არც შანშესთან ბიჩუნოინის სტუმრობა გამოპარვია, არც მთავრების შეკრების ამბავი. ხმები მოდიოდა და თვითონაც ხედებოდა, რომ რალაცას უშზადებდნენ უკმაყოფილო ერისთავები. მაგრამ მათი შფოთი ახალი ამბავი არ იყო, მათგან სიკეთეს არც მოელოდა და ეკვიც არ ეპარებოდა, რომ კვლავაც იოლად გაუსწორდებოდა ყველა წინააღმდეგობს.

როცა ყველაფერი კარგად გამოიწვილა, ძვირფასი ძღვენით დატვირთული ბიჩუს კარს მიადგა.

— მის მამულსა და ქონებას ხელს არ ეყოფ, სხვა მხრივ კი ავაგიც, დანარჩენი მთავრებივით მე უნდა დამემორჩილოს, — განუცხადა თედეაქრებულმა ეგარსლანმა ბიჩუს და თვალი თვალში გაუყარა.

ვერცხლის წყალოვით მოძრავი წერილი თვალეუი წამით შეჩერდნენ და დამცინავად დააქტირდნენ გაქედმაღლებულ მთავრს.

— შენ კი არა, მე აღარ დამემორჩილება ავაგ მხარგრძელი, მთავარო! ჰი-ჰი-ჰი... — ჩაიქიჩილა ბიჩუმ და მუხლზე ხელი დაირტყა.

— ეგ შეუძლებელია! — იტყიცა ეგარსლანმა.

— შეუძლებელი აღარაფერია, როცა ავაგ ათაბაგს დიდი ყაენის იარლიყი ხელთა აქვს... პირველ ხანებში მაინც, სანამ დრო იმ იარლიყს არ მოაძველებს და ქედს ძველებურად არ მოვადრეკინებთ ათაბაგს. მაგრამ ეგ მე აღარ მომიწევს... ჰელაგუ ყაენი თავის კარზე მიხმობს, მალე აქედან სამუდამოდ უნდა წაიგდე და მხარგრძელის მოთოვაცა და თქვენი მორიგებაც სხვა ნოინს მოუხდება.

— ხუმრობთ, ბატონო? — გაოცებისაგან პირი დაალო ეგარსლანმა.

— რა სსხუმაროა! ამ დღეებში ჩემი შემცვლელი ნოინი მოვა...

— ეგ როგორ? შენ რატომ უნდა შეგ-

ცვალონ? ყაენს ერთგულება დააკლოთ სამსახური?.. რა დანაშაული მიგიძღვის?

— რატომ უნდა შემცვალონო? ეგ ვინ იცის, ჩემო ეგარსლან? დანაშაულად ეგებ ისიც კმარა, რომ თქვენთან დიდხანს მოვათიე და აქაურობას შევეჩვიე, — ბიჩუ ნოინს სახე მოუღება და თვალი მოუწყლიანდა.

ეგარსლანი მიხვდა: ამიერიდან ბიჩუ ნოინს მფარველი თვითონ ჰყავდა საქმე-ბნელი და მის იმედად ქვეყნის მართვა კი არა, შინ ჯდომაც აღარ შეიძლებოდა.

სხვა რაღა გზა იყო.

ვიდრე ბიჩუს შემცვლელი ნოინი გამოჩნდებოდა და მასთან დაახლოებას მოახერხებდა, ეგარსლანს თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, ვითომ ავად მხარგრძელის აღზევება და სამშობლოში დაბრუნება სხვაზე მეტად უხაროდა. ჯერ, ერთხანს ასე იქნება, მერე დრო თვითონ უკარნახებს, ვის როგორ მოექცეს ბაქურციხელი. ბიჩუ ნოინი ბუნებით ფრთხილი კაცია და იმასაც კი დაცდა: დრო მოაქვლეს ავად იარლიყსო!

როგორც კი აცნობეს, თბილისში შანშე მხარგრძელი გამოჩნდაო, მის ხლებას როდიდა დაელოდა, როგორც ნაჩევე იყო, იქით ეწვია და გადაეხვია:

— ავადის მობრუნების ამბავი შევიტყუე და გული აღარ დამიდგა, მაშინვე შენსკენ გამოვექანდი. მომილოცავს, ცოცხალი და ყაენისაგან აღზევებული რომ ბრუნდება, — შანშეს მშურად გადაეხვია ეგარსლანი და ხმადანბლა დაუმატა, — ყველას მოსალოცი ვვაქვს, შანშე, ავად ათაბაგი ამ პირუტყვი მონგოლების ბატონობისგან დაგვიხსნის და მათ მძლავრობას ბოლოს მოუღებს.

შანშემ წაუყრუა უკანასკნელ სიტყვებს.

— მაღლობელი ვარ, მთავარო! მკერა, არ გეწყინებოდა ბიძაჩემის დიდი იფანე ათაბაგის შემკვდრის მშვიდობით დაბრუნება.

— შეწყინა კი არა, პარაკლისს ვახდენინებ სიონში. კარგია, რომ შენც აქა

ხარ, ერთად შევეწიროთ საქართველოს მფარველ ლეთიშობელს მადლურბა... მეგონა, ავადის ამბავი რომ შეიტყვე, მეტე მაინობები და გამახარებდი, მაგრამ შორს ვარ და არ გავახსენდი... — ეგარსლანმა თვალი თვალში გაუყარა შანშეს.

შანშე მიხვდა, ბაქურციხელმა მასთან მთავრების საიდუმლო შეკრების ამბავი იცოდა და დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

— თვითონ მოვიდნენ მოსალოცად, მე არაეინ მომიწვევია, მთავარო, — იმართლა თავი მხარგრძელმა.

— კაი ამბავია, შენ არ მომიკვდე, ლიბთიმერეთში, რაქისა და ოდიშის მთავრები გებულობენ ლორეში მისული წერილის შინაარსს. მე აგერ თბილისში ვზივარ, საქართველოს სატახტოში, და ვერაფერს ვტყობილობ...

მხარგრძელი ხმას არ იღებდა, ბაქურციხელი ყველაფერს მიხვედრილი იყო და მიკბ-მოკიბვას აზრი არ ჰქონდა.

— სხვა დროს ნულარ გამოშტოვებთ, შანშე, უჩემოდ ნუ შეიკრიბებით სამშობლოს ბედის გამოსარჩევად... კარგად იცით, მონგოლებზე ჯვარდაწერილი არ ვარ, სხვაზე ნაკლებ მათ წინა აღმდევ არ მიბრძოლია და კოხტასთავის შეთქმულებისთვისაც თავი არ ამირიდებია.

მხარგრძელი წამოწითლდა. კოხტასთავის შეთქმულებაში მხოლოდ მან არ მიიღო მონაწილეობა. რადგანაც აჯანყების უხარობას კარგად ხედავდა და სხვებსაც არწმუნებდა, მონგოლების წინა აღმდევ ვერას გავხდებით, ტყუილად გავივლიტებითო. მაგრამ, როცა მთავრებმა არ დაიშალეს და მაინც შეითქვენს, ხალხში, შეთქმულების მარცხის შემდეგ, დიდხანს არ დამცხრალა მითქმა-მოთქმა შანშე მხარგრძელის განდგომაზე, სამეფოს ბედისადმი მის გულგრილობაზე.

ბაქურციხელი სწორედ ამ მტკივნეულ ადგილს შეეხო ახლა და შანშეს თავისი მამულიშვილური ღვაწლიც გაახსენა.

სიტყვად და მხარგრძელი ალბათ იფეთქებდა, მაგრამ ეგარსლანმა გულწრფელად გაუღიმა, ერთხელ კიდევ მოეხვია და ტყბილი სიტყვით მოაღბო.

ეგლა გვაკლია, შანშე, ერთმანეთს დავერიოთ და მტერი გავახაროთ. შენისთანა მამულიშვილი ვინ გვეყავს, ან შენზე მეტს ქვეყნისთვის ვინ ზრუნავს. მე იმის თქმა მინდოდა, ნუ დამივიწყებთ-მეთქი, ლხინშიც ნუ გამომტოვებთ და პირშიც თქვენ საწაცლოდ მიგულეთ.

ბაკურციხელმა ავაგის მშვიდობით დაბრუნების გამო სიონში პარაკლისი გადაახდევინა და დიდი ნაღიმი მოაწყო. პარაკლისზე იმ დროს სატახტოში მყოფი ყველა მთავარი გამოცხადდა, მაგრამ ნაღიმზე, შანშეს გარდა, ორიოდვე ერისთავი ძლივს ეწვია.

ეგარსლანი კარგად ხედავდა, რატომაც ერიდებოდნენ ამდენ ხანს მორჩილი მთავრები.

ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ: შანშე მხარგრძელმა ავაგთან კაცი აფრინაო, ავაგის საიდუმლო წერილი მოვიდაო, მთავრები ფარულად იკრიბებიან და რაღაც მოლაპარაკება აქვთო. გუშინ მორჩილი მთავრები, დღეს აქეთ ამაღლიდნენ ბაკურციხელს სალამსა და მოკითხვას. ატყობდა ეგარსლანი, ბედის ჩარხი უკულმა აპირებდა შებრუნებას, მაგრამ რა ექნა და რა ელონა?!

ხედავდა, რომ მოვლენები თავისთავად, უმისოდ ვითარდებოდა, რაკი დინების საწინააღმდეგოდ სვლა არ შეეძლო, უნდოდა თუ არა, იმ დინებას უნდა აჰყოლოდა. და მარჯვე შემთხვევისათვის ეცადნა, რომ ტალღას ისევ თავზე მოქცეოდა.

ცდა და ლოდინი კი აღარ შეეძლო. უკვე ხანში შესულ მთავარს ბრძოლისა და მოქმედების ხალისი ძველებურად აღარ ჰქონდა. მუდამ დაძაბული და შემართული, მოუხვენარი და შფოთიანი ცხოვრება აღარინდებურად აღარ იზი-

დავდა და მჩქეფარე სიცოცხლის სურვილს მოწყენა შეპარვოდა.

ამქვეყნად უკვე ყელაფერი გამოცადა, აღზევების ფასიც კარგად იცოდა და დაცემისაც, და მთავარს ნელ-ნელა გული გაუგრილდა, ხვალინდელი დღის მიმართ განუტრეხელობა მოერიო, სულ ერთია, რაც მოხდება-მოხდესო, ერთხელ საიდლატ, გულისა თუ გონების რომელიღაც კუნძულში გადაიწყვიტა და ხელი ჩაიჭინა.

თეთიონაც ვერ გაიგო, როგორ ნელ-ნელა მოეშვა, ფარ-ხმალი დაჰყარა და მუდამ მოუცილებელი სიფხიზლე დაჰკარგა.

რაღაც გაუგებარ უზრუნველობას მიეცა, აღარც სადმე ეჩქარებოდა, აღარც რისიმე მოლოდინი აღეღებდა.

ამ უმოქმედობისა და უძრაობისაგან შანშე მხარგრძელის უსტარმაც ვერ გამოიყვანა.

ვაზირყოფილი გუშინდელ მბრძანებელს სიყვარულსა და მეგობრობას უმტკიცებდა და მთავრების გადაწყვეტილებას ატყობინებდა: ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას შევიკრიბოთ და ავაგ ათაბაგის შესაგებებლად ერთად გავემგზავროთო. თან იმასაც დასძინდა: ავაგს შემოუთვლია, დიდი ამალით არ შეხვდეთ, მონგოლებს არ ეწყინოთო.

სხვა დროს მთავრების წვევასა და პაემანსაც, ამაღის რაოდენობის წინასწარ განსაზღვრასაც, ეკვით შეხედავდა ფხიზელი ეგარსლანი. ახლა კი, თითქოს მას არ ეხებო, ცხოვრება მოყირკებულევით ხელი ჩაიჭინა და თავისი მტრების გადაწყვეტილების შესრულების სამზადისს შეუდგა.

პაემანზე წასვლის წინა დამეს სიზმარი ნახა: აღიდებულ მდინარეში მიცურავდა, მხარულს ღონიერად უსვამდა და დინებას მიჰყვებოდა. უცებ მდინარემ მიმართულეა იცვალა. ეგარსლანი ისევ ისე განაგრძობდა ცურვას, მაგრამ ახლა უკვე აღმა, დინების საწინააღმდეგოდ სჭრიდა წყალს. დაიღალა ძლიერ



ტალღებთან ბრძოლით, დინებას უგანა და ნაპირისკენ გასცურა. მაგრამ ნაპირი შორს იყო, წყალი სისხლივით დედდებოდა, სქელდებოდა, ლამი ეკვროდა და წინ ველარ მიიწევდა. ერთხანს იფარებოდა იმ ლამსა და წუმპეში. ამოსვლას ცდილობდა, მაგრამ უფრო და უფრო ეფლონებოდა და ძირს შიდიოდა.

თვალბდაკუსული ბაყაყები მდინარის ნაპირას დასეტუპლიყვნენ და წელზე დონიწმემოდგმულნი სიცილით იჭებოდნენ.

ლამსა და უსიამო თბილ წყალში სხეული მძიმედ ეფლობა და იძირება. ზედაპირი ნელ-ნელა იკვრება, და ეგარსლანს თავილა რჩება ლამისა და წუმპის ზემოთ; მერე ის თავიც დაბლა მიდის, თვალბში ზეცა თანდათან ვიწროვდება და...

ბაკურციხელი უკანასკნელ ბაყაყსა ხედავს: იმ ბაყაყს კაცის სახე აქვს, ვიღაცას გავს სახით ის ბაყაყი, მაგრამ ვის, ვერ იხსენებს და ვერა, ბაყაყი ღრუბელივით იბერება, ყვითელი თვალეზი გადმოცვენაზე აქვს: უცებ სკუპს აყეთებს და ზედ შუბლზე ეცემა, მძიმე ლოდივით დააწვა ისედაც სიღრმისაკენ წასულ ეგარსლანს ის ყვითელ-მწვანე მაჯლაჯუნა.

წუმპემ პირი შეჰკრა ბაკურციხელის თავზე და ლამით ამოვსებულ ყურებს ძლივს მისწვდა იმ ბაყაყის ყუიყუნი:

— ახია! ახია! ეგ შენი ეგ შენი.

ბაყაყის ხმა გამყიფანი იყო, თავს უზერტდა და ტვინში ბურღივით უძვრებოდა.

უკვე ველარაფერს ხედავს ლამსა და წუმპეში დაძირული ეგარსლანი, მაგრამ გრძნობს, რომ ვიღაც უახლოვდება, ვიღაცის გახშირებული სუნთქვა ესმის.

— ახია! ახია!

თავს დამდგარი ჩასძახის ისევ ის კაც-ბაყაყი და ზემოდან წიხლს აყოლებს: ლორწოიანი ფეხის შეხება ცივი და უსიამო იყო. ლამში ჩაძირულ ბაკურციხელს გააყრუოლა და უკანასკნელად კიდევ ჩაესმა:

— ეგ შენი ეგ შენი!

წიხლის მოხვედრამ თუ მწუხარებდა მოაღვიდა. კარგად კიდევ არ იყო გონს მოსული, ტან-ფეხზე იხედებოდა და არ ჯეროდა, რომ ლამი და წუმპე მოშორებული ჰქონდა.

— ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! უფალო, კარგად ამიხდინე! — იწერდა ბირჯვარს ეგარსლანი და თან იმ წუმპისა და მაჯლაჯუნის გახსენებით გული ერეოდა.

იმ ღამეს თვალი ველარ მოხუცა. დილით ადრე ადგა უძილობით დაღლილი და მოხარშულივით მოთენთილი. მეუღლემ უგუნებობა შეატყო:

— ცუდი ფერი გადევს! იქნებ არ ინებო წაბრძანება, ხელმწიფე! — შეეკედრა ერთგული ცოლი.

სხეებზე ადრე შინაურებმა და წყალობის დამსახურებისათვის თავგამოდებულმა მლოქველებმა დაუწყეს ბაკურციხელს „მეფისა“ და „ხელმწიფის“ წოდებით მიმართვა:

ეხლა, როცა ეგარსლანის მეტობას ბოლო ეღებოდა, ბაკურციხელს დაცივნად უნდა მოჩვენებოდა ცოლის ნათქვამი, მაგრამ მეუღლე ძველებურად გულწრფელი იყო ქმრის სიყვარულსა და პატივისცემაში და კახეთის ერისთავმა მხოლოდ ხელი ჩაიჭინა.

— არაფერია, წავალ, გავლა მარგებს, — თქვა და აჩქარდა.

როგორც დათქმული იყო, ორი კაცი იახლა მხოლოდ. ისინი კართან დანარჩენ მთავრებს შეუერთდა და ვზას დაადგინენ.

იმ დღეს ეგარსლანის მიმართ ყველანი განსაკუთრებულ კრძალვასა და პატივს იჩენდნენ. წინ გაუშვეს და დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

ეგარსლანმა ჩვეულებრივად შეიფერა მთავრების წინამძღოლობა.

სხვა დროს, როცა ძალა ჰქონდა და თეთრი კბილის იქით შავ გულს ხედავდა, მათი პირფერობა აღიზიანებდა და აბრაზებდა.

ახლა, თითქოს მისთვის სულერთი ყოფილიყოს, ვერც მლიქვნელობის უადგილობას ხედავდა, ვერც გადაჭარბებული ქებისა და ფლიდობის აზრს სწვდებოდა.

დიდხანს იარეს. ნაშუადღევს ტრიალ მინდორზე კორამდ მდგარ მუხნარში შევიდნენ. მანვე მხარგრძელმა მსახურებს უბრძანა:

— საგზალი გადმოიღეთ, სუფრა გაშალეთ! — მთავრებს თვალი მოავლო და ეგარსლანს მიმართა, — რას იტყვი, ეგარსლან-ბატონო, მგონია, პურთობისთვის უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ!

ეგარსლანმა თვალი მოავლო ჩრდილდაფენილ შწვანეს და უხალისოდ დაუბოწა:

— კარგია!  
— ჩვენ ნულარ შევჩერდებით, მთავრო! ავგ ათაბაგი ახლო იქნება და შესახვედრად ვიჩქაროთ. მსახურნი აქ დარჩებიან, — მოუბრუნდა მხლებლებს, — სუფრას გააწყობთ და ათაბაგის დახვედრის თადარიგს გასწევთ.

მანვე მხარგრძელობდა და ავგის ათაბაგობას ხაზს უსვამდა, მაგრამ ხელჩაქნეული, უხრუნველობის ბურანში წასული ეგარსლანი ვერც ამას ამჩნევდა.

დაქვეითებულმა მსახურებმა ცხენებს საპალნე მოხსნეს. ბაკურციხელის ორი მხლებელი მთავრის ბრძანებას ელოდა.

— ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, მემკვიდრემ და ქალბატონმა გვიბრძანა. ერთ წუთს არსად მოგშორდეთ და მარტო არ დაგტოვოთ, — ხმადაბლა ჩურჩულით უთხრა კახელმა აზნაურმა, რომ სხვას არ გაეგონა.

— თქვენც ის ჰქენით, რასაც სხვები შერებია, აქ დარჩით და სუფრა გააწყეთ, — ცივად მოსკრა ეგარსლანმა და ცხენი წინ დაძრა.

ერთხანს კიდევ იარეს. მერე შორს მტვრის კორიანტელი გამოჩნდა.

— ათაბაგი მობრძანდება! — უკლებს და მანვე მხარგრძელს.

ეგარსლანი სდუმდა, ტანი ცუდს უაზრებდა.

ეს დასავალზე ცხენოსნების რაზმი გამოჩნდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო ემღვრებოდა გუნება ბაკურციხელს.

რად მიდის წინ და რად უახლოვდება იმ რაღაც გაურკვეველსა და ამფორიკებელ მოლოდინს?

თითქოს ცხენიც გრძნობს პატრონის ყოყმანს, ისიც ფეხს ითრევს და უხალისოდ მიაბიჯებს. რაღაც უნდა იმოქმედოს ეგარსლანმა, მაგრამ თვითონაც არ იცის რა და, რისთვის უნდა გააყეთოს.

აი, სულ ახლოს არის ავგ მხარგრძელი. ცხენზე ამპარტავენად ზის ყვინის წყალობით ვალაღებელი ათაბაგი, სიმსუქნე მორევია და სახეზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებს. მაგრამ მოტეხილი ჩანს ავგ ივანეს ძე და ამას მარტო მთლად ერთთანად გათვთრებული თმაწვერი კი არ ამკლავებს, იმ თავმოქმედონე ღიმილს იქით ცხოვრებისაგან გამწარებისა და ფათერაკებით საგსე თავგადასავლების მძიმე კვალსაც ხედავს ეგარსლანი.

ბაკურციხელმა ვერც გათვო, როგორ წამოეწიენ თანამგზავრები; ჯერ მხარი გაუსწორეს და მერე შუაში მკიდროდ მოიქციეს.

— მშვიდობა შენს მობრძანებას, ათაბაგო! — შესძახა მანვემ, ცხენიდან გადმოხტა და ავგს მიეგება.

ავგამაც დაიქვეითა და ბიძაშვილს გადაეხვიო.

ღანარჩენებიც ჩამოხდნენ და ვიდრე თვალცრემლიანი, გულაჩუყებული ავაგი სხვებსაც გადაეხვეოდა, მანვემ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ავგს უცებ ეცვალა ფერი და ეგარსლანს მიაჩერდა. ყველა დაქვეითებული იყო, მხოლოდ ბაკურციხელიღა დაჰყურებდათ ცხენზეიდან. ბურანში წასულმა თვითონაც არ იცოდა, რატომ მანაც სხვებივით არ

დაიქვეითა. იჯდა ცხენზე და ტუჩზე სიმ-  
წრისა თუ უზრუნველობის უაზრო ღი-  
მილი უკრთოდა. ამირსპასალარს ისე  
უყურებდა, თითქმის ვერც ხედავდა და  
არც ესმოდა, ირგვლივ რა ხდებოდა.

ავაგი აინთო.

ხელში მათრახის ტარი დაბლუჯა. ნა-  
ბიჯი წინ წადგა და... თვალი რომ თვალ-  
ში გაუყარა, ეგარსლანს უსიამოდ გა-  
აყრყოლა. იმ გამოხედვაში წუხანდელი  
მაჯღაჯუნას მზერა დაიჭირა და თვალი  
დაუბნელდა.

ელვასავით გაიკლავნა გრძელი მათ-  
რახი ჰაერში და ბაკურციხელის სახეს  
გაეწნა.

ეგარსლანმა განძრევაც ვერ მოასწ-  
რო, რამდენიმე ვაჟკაცი ეცა, ცხენიდან  
გადმოიღეს და ქვეშ მოიგდეს. იარაღი  
ააგლოჯეს, დაუზოგავად სცემდნენ პირ-  
ველივე დარტყმისაგან გაბრუებულს და  
გონდაკარგულს.

— განძარცვეთ და ისე დააგდეთ უბა-  
ტიოდ! — ბრძანა ავაგმა და ფენის  
წვერი ზიზლით წაჰკრა ცემით დაოსე-  
ბულ, თითქმის უგრძნობელ ეგარსლანის  
სხეულს.

ტანსაცმელი შემოახიეს.

— ეგ შენ! ეგ შენ! — წიხლებს  
ცემით ჩასძახეს, ცხენებზე ამხედრ-  
დნენ და გინებით მიატოვეს ყვავ-ყორ-  
ნების კერძად დარჩენილი, ნაგვემი და  
ფეხქვეშ გათელილი გუშინდელი მბრძა-  
ნებელი.

მემატიანე ამის შემდეგ ერთ სიტყვა-  
საც აღარ სძრავს ეგარსლან ბაკურცი-  
ხელზე და სწორადაც იქცევა: საქვეყ-  
ნოდ შერცხვენილი, ლაფდასხმული  
და თავმოკრილი კაცის ბოლო — ცხოვ-  
რება თუ სიკვდილი — არავისთვის აღ-  
არ არის საინტერესო.

□ გაგრძელდება იქნება □

## თ ა ს ი

ნუთუ მე ისევ მომიახლოვდა  
გარდასულ დღეთა ძლეული განცდა?  
ის, რაც ოდესღაც გონებას ფლობდა,  
რაც ჩემში ჭერტით ჩადგა და დაწდა?

ამ დიად ნაეურს, ჩემში ჩარჩენილს,  
არ შეეხების აროდეს ხელი!..  
მაგრამ შენ, ღვთიურ ხელით გაჩენილს,  
რად გემონები ცრემლების დენით?

რად გინდა ისევ ვიწამო წამი,  
რომელიც თითქოს შობს ნეტარებას?  
ისევე დაეთმო სიმშვიდე ღამის,  
ვეძიო, რაც გულს არ ეკარება?

მე ხომ აროდეს მენანვობა  
გამეცა გულის, სულის საუნჯე!  
მაგრამ სიღრმეში რაღაც რჩებოდა  
რაც ადამიანს მუდამ ამუნჯებს...

შენ ჩნდები ჩემ წინ, როგორც ოდესღაც  
მეუღლინებოდა სახე ღვთიური,  
და როგორც მაშინ, ისევე დღესაც,  
მომემისის ქანგთა ჭლერა ციური!

იყავ ასეთი? ამ ფიქრსაც ვბედავ!  
ან ახლა ჩემს წინ ჩნდები ნამდვილად?  
ეგებ მე შენში ჩემსასვე ვბედავ, —  
რაც ჩემი გრძნობის ძალით შექმნილა?!

და ისე, როგორც ბროლის თასია  
ბრჭყვიალა, ცივი და ცარიელი —  
ელვარებს მხოლოდ როცა სახევა,  
როს ძველი ღვინის ამკობს იერი?!

ნუთუ მე ისევ მომიახლოვდა  
გარდასულ დღეთა ძლეული განცდა?  
ის, რაც ოდესღაც გონებას ფლობდა,  
რაც ჩემში ჭერტით ჩადგა და დაწდა?

## ბადაზა შავი მერხისა

„გაფრინდი შავო მერცხალო,  
გაჰყვე ალაზნის პირსაო,  
ამბავი ჩამომიტანე  
ომში წასული ძმისაო“.

დავბრუნდი ამბის მთხრობელად!  
ხედავ, თვალთ ცრემლი მდისაო,  
შენი ძმა, სამკვდროდ დაჭრილი,  
ეპოვე ბერდუჯის პირსაო.

მკვრდში ისარი ასვია,  
ანთხევს საბრალოდ სისხლსაო,  
ხმალი, ვადაში მტვრეული,  
მებრძოლის გვერდით გდისაო.

დამარცხებულან ქართველნი,  
მონად ქცეულან მტრისაო!  
კარგ უბრძოლია ბენავსა,  
ძალი პქონია კლდისაო!

ახლა ნაომარ-წაქცეულს  
ხროვა ეხვევა მგლისაო,  
ყორანი თვალებს უკორტნის,  
შუქსაც უბნელებს მზისაო.

იჩგვლივ მთებია დახოცილთ,  
წრდილიც ვერ ფარავთ ტყისაო!  
მოსულვარ აეის ამბითა,  
ხედავ, თვალთ ცრემლი მდისაო.

ვაგლახ, ვერ მიხვალ, ვერ წახვამ,  
შორი გზის გავლა ჭირსაო,  
ვაი, რომ ძმის გულს განგმირულს  
ცრემლ ვერ დანამავს დისაო,  
ვერ დაასვენებს მშობელი  
ვაჯვაცს ალაზნის პირსაო.

## ქვედაქვე

კვალდაკვალ მდევდა მუდამ ღალატი და ორგულობა, კაცთა,  
მაგრამ ჩანგს ჩემი სიმები სულის მაინც ბოლომდე გაწვდა...  
მე გადავეცი მხოლოდ სიმღერას ჩემი ფიქრი და განცდა-

სხვა არაფერი მე არ გამანდა, სხვას არ შევეტრფოდი რამეა,  
სხვა არაფერი არ მამბრმავებდა, არ მითეთრებდა ღამეს!  
ვერვინ გაიგებს, ვერვინ გაიგებს წამებით განვლილ წამებს.

ეხ, თურმე, რარივ ძნელი ყოფილა გავლა ამ მოკლე გზისა!  
ბავშვის პეშვივით მცირეტევადი მაღლი მრგებია ცისა,  
ეხ, თურმე, რა რივ ძნელი ყოფილა გავლა ამ მოკლე გზისა!

ტყვია სჯობს, ტყვია, როდესაც იგრძნობ ღალატს ვინც გიყვარს იმის!  
წამსვე ჩაქრება წმინდა ღამპარი, წამსვე გაწყდება სიმი,  
ალარ მოგვისმის ბუნების ენა, ისმენ სიკვდილის წივილს!

და, აი, ახლა, ვით ოლე მინდვრად, დავრჩი დაღეწილ ფრთებით!..  
ბალახ-ბულახმა უხვად დაფარა ჩემსკენ სავალი გზები.  
სად დაიკარგნენ, რად მივიწყებენ ჩემთან აღზრდილი ძმები?  
რატომ არა ვგრძნობ მე იმათ სითბოს, მათი არ შესმის ხმები?

ეგებ მიმიძღვის, ეგებ მიმიძღვის რაიმე ცოდვა-ბრალი?  
ეგების სჯობდა, რომ დაეთხარათ ჩემთვის ორთავე თვალი,  
რომ სამუდამოდ ჩაქრობელი არ მომდებოდა აღი,  
არ დამენახა დიდ წინაპართა სისხლით მორწყული კვალი?-

ეხ, თურმე რა რივ ძნელი ყოფილა გავლა ამ მოკლე გზისა!  
ბავშვის პეშვივით მცირეტევადი მაღლი რგებია ცისა!  
თურმე ღირსიც კი არ ვყოფილვარ შუქის მთვარის და მზისა!

მუდამ კვალდაკვალ მდევდა ღალატი და ორგულობა კაცთა,  
მაგრამ ჩანგს ჩემი სიმები სულის მაინც ბოლომდე გაწვდა!  
მე ვანაცვლე მხოლოდ სამშობლოს, ჩემი ფიქრი და განცდა!

# ქ ა რ ი

ამდევნებია ქარი ვერანი,  
არ მაცლის სულის მოთქმას!  
ხან ყრულ მომესმის მისი მღერანი,  
ხან თავს დამჩხავის, როგორც ყორანი,  
ხან ჩემს კარებთან მოსთქვამს!

ზოგჯერ უცვრად დაბნულ ფანჯრებთან,  
ვით მოჩვენება ჩნდება.  
ზოგჯერაც ახლოს, უჩუმრად, ჩემთან  
თითქოს მორჩილი ხდება,  
მაგრამ, ვით მხეცი გაათრებელი,  
ბორცავს და კრულვით ქრება.

ნუთუ არასდროს არ მეშველება  
ამ ქარს გადგურჩე ტიალს?  
არ მდევდეს იგი, ვით მოჩვენება,  
ვით წველა-კრულვა და შეჩვენება,  
გავემცე ჭალათს ფრთიანს?

ხშირად, ვით მონა უიარაღო,  
იმის თავდასხმას ველი...  
მინდა ოთახის კარი გავაღო,  
ჩემს მტარვალს წამით ხელი შევახო,  
სიმწრით ჩავჭვილო ხელი!

მაგრამ ამაოდ! მესმის ბნელეთში  
მისი მუქარის ბოლო:  
„ქამს განშორების, ქამს განსვენების  
მე დაგიტირებ მხოლოდ!“

აღარ მეშვეება ქარი ვერანი  
არ მაცლის სულის მოთქმას!  
ხან ყრულ მომესმის მისი მღერანი,  
ხან თავს დამჩხავის, როგორც ყორანი,  
ხან ჩემს კარებთან მოსთქვამს!..



მეორეი კახანია

## თბილისი სათავაზენები

თავს ვიწონებდით შრომის ცეცხლით და შემართებით,  
ვაგეთ სართულზე შკვიდრად სართული,  
გვალომკაცებდა რწმენის ღონე, მიზნის ნათელი  
საშვილიშვილო ტემპში ჩართული,  
სითბო-სინათლე მოგვიმრავლდა მწუბრის მომრევი,  
ადევნებელი ნატვრად ყრმობიდან.  
სული მოვითქვით,  
გაფლართოვდით მთელი ცხოვრებით,  
მწესაც ეამა, — დაგვიძმობილდა.

შრომა სიმღერაც არის ჩვენი და მოწოდებაც,  
ჯამთა დინების ფერიც და გემოც.  
გზა ფართო შრომას!  
რა მთა სახლი მიიმეზობლდება,  
გოლიათურად მოიწვეს ზემოთ.  
მოდის და მოდის,  
კარ-ფანჯრებში შემოანათა,  
სახურავს გასცდა, გასწია მაღლა...  
აგერ მეორე ჯიქურ მტკვართან წამოიმართა,  
უფრო ვეება გამოჩნდა გაღმა.

ღრთის ძახილად იქცა მათი მოსვლა, შენება,  
მთა-ბარს გადასწვდა კალთა ბარაქის.  
ამ თბილისურმა, ახალგაზრდა ცათამბჯენებმა  
ლამის დაიპყრონ დედაქალაქი;  
ლამის ცა შეჰკრან,  
ვარსკვლავებთან ლამე ათენონ,  
ველყვლაობენ ვით ტოლ-სწორები.  
არ დაგვიჩაგრეთ მეტისმეტად, გოლიათებო,  
რითაც გუშინწინ თავს ვიწონებდით!

## გ ა ლ ე მ ბ ა

ერთად შემომხედით,  
შემომღიმეთ შენც და იამაც,  
რა შორს მახედებთ, „დედა ენას“ როცა გაღაველი.  
ვინ გაგიაზრა,  
ვინ დაგხატა ხელმადლიანმა,  
ერის ღირსებად რომ მდგარიყავ ერის ტაძარში!

აღბათ უნებდა შთაგონებას ხმალიც, გუთანიც,  
მამულიშვილთა შემართება,  
სიტყვა, ზრდილობა.  
დაგყვა ანბანად დაბადებულს ზნე საკუთარი,  
მზნე ქართველური გამოხედვა და მოქნილობა.

ფურცელს უშენოდ ფიქრი ჩემი როგორ გავანდო!  
ენად როგორ შეგვკრა სიტყვა მწიფე, სიტყვა ქართული!  
მამულ-დედულის მზიანობით წელგამართული  
სარქველს შენით ვხდი,  
მხოლოდ შენით სულის საბადოს.

შეუძლებელის ქმნას არ გკადრებ, არც შენ მპირდები,  
იღბლად ბევრი გვაქვს ნურგი ნედლი, კვირტი სამყნობი.  
სტრიქონში მკვიდრად რომ ჩადგები და გაბრწყინდები,  
გოლიათი ხარ,  
ნატვრისთვალი გულის დამპყრობი.

გემაყება ერის ღონე, აზრი მაღალი,  
თვალს ვერ მოგაველებს გაუწრთვნიელი ბრიყვიც გულგრილად.  
ხარ მამულივით მარად ძველი, მარად ახალი,  
ვეფხვის პოემა გადგას გვირგვინად.

## სოფალ რეპო. ისევ იმ გულით

ბალი სარ მართლა,  
თუ ოცნებამ გაგაბაღწარა,  
ასე რა ჯადო სიყვარულის კვერთხი დამკარო!  
გხატავდი ბავშვი დედის გურდით, გხატავ ქალარაც  
ისევ იმ გულით შენი მიწის მადლით დამტკბარი.

ბუბუნებ ჩემში თვალგასახარ მთა-ბართან ერთად,  
სულის ღონეც ხარ,  
ჩემი დარდიც, წრფელი ღიმილიც.  
არ მეგულება შენებრ მცოდნე ბუნების ფერთა,  
შენებრ იოლად დამიყუროს გულისტყველი.



ცერიან ბალახზე ვისაც ფეხი აგვადგმევინე,  
 აგვაცერიალე,  
 შეგვაყვარე ჩვენი სამკვიდრო,  
 რად არ ვეცდებით, გიმრავლებდეთ ზურებს და ხეივნებს,  
 გმირის ვარსკვლავი გმირის ხელით მკერდზე დაგვიდოთ.

ჯერ თუ არ ვჭკნები,  
 ფეხვა მინუდლებ შენი მუეობით,  
 წლებით დაღლილიც ქაბუკივით ფეხზე დავდგები.  
 დედა ხარ ჩვენი სიმღერების, ჩვენი ზნეობის,  
 კაი კაცობის, ქართველობის წესის დამდგენი.

მოდგმით პურადი, გულგახსნილად სტუმრის მიმღები  
 ნერგავ ღირსების და სიუხვის სიყვარულს კაცში.  
 მთელი ქვეყანა მოვიარეთ შენი სიმღერით,  
 არ წყდება დღემდე შენს ცვაკვებზე მსოფლიოს ტაში.

თვალი ხარ ფართოდ გახელილი მთისა და ბარის,  
 დროუგამის ნებით აღომგულებ გუთანს და ფიწალს  
 სოფელო ჩემო,  
 იდღვრებლე, გიმრავლდეს გვარი,  
 რომ არ მოყვრობდე, მოიწყენდა უშენოდ მიწა.

## ჩემი ბუჰარი და მისაგართი

ღირსება კაცის და სახელი ღირს თავდადებად,  
 რაკ ვიციან თავი, ამ შეგნებით ვიწვი და ვმღერი.  
 ზოგს რომ ჰგონია, ისე როგორ გაფერმკრთალდება  
 ბედი ჩემი დღის და ჩემი კერის.  
 რითაც უამაყობ,  
 რათაც ტევრში გზა გამომართავს,  
 მის ხეივნებში თუ გაბედავს ეჭვი ხეტიალს,  
 გამოჩნდებიან მემკვიდრენი გმირ წინაპართა  
 და ეჭვის შემპყრობ ომახიან სიტყვას მეტყვიან.

ენას აუდგამს გუთნისდედა ბელელს და მარანს,  
 ოჯახის მამა, დაუღლევი ბატონი მიწის.  
 ძნასავით შეჭრავს შეუღლებულ ეჭვსა და ვარამს  
 და გადაისურის უფსკრულში ფიწლით.  
 სიკეთეს მაღალს ზნემაღალი სიკეთე შეცვლის,  
 სათქმელს ჩარხების მშენებელი მეტყვის ჩარხებთან.  
 ამაგუზგუზებს მეფოლადე მარტენის ცეცხლით,  
 ღირსების თვალით თვალში ჩამხედავს.

წარსულის ნაჯაფს ღონედ მიქცევს სიბრძნე ცხოვრების, ანაპერწყლდება ძარღვში წვეთი წინაპრის სისხლის. გუმბათით ლაქვარდს გაანათებს სვეტიცხოველი და გელათისკენ ნატვრისთვალს იხვრის. დავითი მბრებით ღოდს შეანძრევს გალანის კარში, ცას გაბნასაგით გაიხსენებს გეგუთი თამარს. გულს აუძგერებს უკედავების საქვეყნო ტაში ვეჯხის პოემის აღმატებულ მთქმელსა და მამას. იელვებს შუქი სურცეებში რწმენის და ლხენის, ვიტყვი, დიდ მყობადს მახლოვებს ყველა აღმართი, საქართველოა, — დაწერილი ღირსების სელით, ჩემი გუჯარი და მახამართი.

---

0

---

გურამ დოჩანაშვილი

## სამოსელი პირველი

რომანი

ლამაზ-ქალაქში ლამლამობით კაცო დადიოდა. ძალიან დაბალი, მოკლუხე-ლები, მთრთოლვარე ალიან ფარანს ხან გულამდე გაჭირვებით ასწევდა და თვალმოკუტული იცქირებოდა, ხანაც ქვაფენილს დაანათებდა, რაიმეს პოვნის იმედით, მერე კი გაიშართებოდა და დი-დი, სამადლოდ ნაჩუქარი ფეხსაცმლის ფრატუნით გზას განაგრძობდა. ზამთ-რობით თავის სახელდახელო, სიფრი-ფანა ფიცრულში შეიყუყუებოდა, ანდა შორიახლოს ცეცხლს დაანთებდა და გახეშეშებულ თითებს ითბობდა, ხანდა-ხან ზურგსაც მიუშვერდა. წვიმიან ლა-მით თავ-ზურგზე ტომარას გადაიფა-რებდა და ასე, მოხრილი დაიარებოდა, დროდადრო თავის ფიცრულში შეივლი-და, სილის დიდ საათთან ფარანს მიიტა-ნდა და წვიმით ბუნდოვნად აციაგებულ ქუჩებს ძახილით დაივლიდა: ლა-ამის ორი საათიაა და ყველაფერი რიგზეა-ა... ზაფხულობით კი მთელ ღამეს ქუჩებში ატარებდა, ღია, ჩაბნელებულ ფანჯრებს რიდიტ შესცქეროდა, სიბნელეში მკა-ფიოდ აქლრიალებული სხვისი საათის ხმას რომ გაიგონებდა, ფარანს გააქან-გამოაქანებდა და იძახდა: ლა-ამის ოთხი

საათიაა და ყველაფერი რიგზეა-ა... მაგ-რამ რომელიღაც სარკმლიდან ქალის მოგუდული სლუკუნე ისმოდა, ალბათ ბალიშში თუ ჩაერგო თავი და ისე ტი-როდა, ხანდახან ყვირილი და ქურჭლის მტვრევაც ატყუდებოდა; სუსტად მოლიც-ლიცე სარკმლის მიღმა, ავადმყოფი ბავ-შვის საწოლთან ბოლთას სცემდა ვიღაც და წაგრძელებული აჩრდილი დროდა-დრო მთლიანად აეკრობოდა ფარანს: ვიღაც კენესოდა, ლეპოლდინო კი, ლა-მის მატყუარა, შორეული ზარის აწკრი-ალებისთანავე თავის სილის საათს შე-ხედავდა, ტუჩებს მორკალულ ხელის-გულეებში გამოიმწყვდევდა და მორცხ-ვად დაიძახებდა: ლა-ამის სამი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა... ხანდახან რომე-ლიმე მთვრალი ჩამოივლიდა, თავჩაყი-ლებული, მოქანავე, ლეპოლდინო მახ-ლობელ სახლს ამოეფარებოდა და ფა-რანს გრძელი ჩამოფლეთილი ხალათის ქვეშ მალავდა... მერე სიბნელით შეში-ნებული, რომელიმე ისეთი ქალი პაკა-პუკით ჩაივლიდა, ლამაზ-ქალაქში გლა-ხა ქალს რომ ეძახდნენ და კაცებს იმათ-თან ყოფნა ძალიან რომ უყვარდათ... ლეპოლდინო იმათაც ერიდებოდა, ფა-რანს არ მალავდა, მაგრამ თვალს კი აუცილებლად აპრიდებდა... მერე თენ-დებოდა... ლამაზ-ქალაქი იმ მთელი თა-

ვისი ავ-კარგით მკლავდებოდა, ცისფერ-მოვარდისფრო სახლებიანი... და ლუბოლდინო, შეცივებული და მოთენთილი, შინაც ერთგვარი გამოუცნობი სიხარულით შესძახებდა: დი-ილის ექვსი საათია და ყველაფერი რიგზეა-ა... და ქალაქგარეთ, თავს პატარა ფიცრულში მიდიოდა და მაშინ იძინებდა, სხვები რომ ზანტად იშმუშნებოდნენ და თვალს ახელდნენ...

„სადა ვარ!“

არტუროს ოთახი იყო.

### მომრე დღე

არტუროს ოთახში იყო. დიდ, განიერ საწოლზე გამოტილიყო, გაკვირვებულს, ახლად ეუცხოვა რბილი, ზამბარაინი-საწოლი. ნებივრად გაიზმორა და შეკრთა; წამოიწია, ბალიშის ქვეშ შეაძვრინა ხელი და დამშვიდდა — ათივე იქ იყო. მერე შარვალს შეავლო თითები, ის ერთი იქ ეგდო, ჯიბეში კმაყოფილი იჯდა საწოლზე, სისხამი დილა მსუბუქად იწიწიწებოდა, ისევ დაწვა და მხრებზედაც დაიფარა საბანი. ოთახი მოათვალიერა, კერზე რაღაც ლაქა იყო, უყურა, უყურა და თითქოს ვიღაცის სახე ამოიკნო — ცხადად ჩანდა თვალები, წვერი, ცხვირი, ტუჩებიც შეიძლებოდა ასეთი ჰქონოდა, მოკუმული... ფანჯარას რაღაც მწერი გამეტებით მიეხალა და იქით მიიხედა, მერე ისევ შეაქკერდა ბერს და იმ ლაქიდან ველარ გამოარჩია სახე, კარგახანს ეწვალა, ვერაფერს გახდა. „ღრუბელი ხომ არაა, შეცვლილიყო...“ გაიფიქრა და კვლავ ჩიუტად შეაქკერდა, მაგრამ სხვა ვერაფერი ამოიკნო, ერთი უთავბოლო ლაქის გარდა. წამოდგომა უნდოდა, ვერ გაბედა — მასპინძლებს აღბათ ეძინათ, ჩამიჩუმი არ ისმოდა; არადა, მობეზრდა წოლა. უცხო ნივთებს ათვალიერებდა, სოფელში არსად ენახა ასეთი სკამი, კოხტა მაგიდა, ვერცხლის ლამაზი ფალა გამო-საჩენ ადგილას იდო... იატაკი წითლად ლაბლაბებდა, აღარ შეეძლო ასე გასუსულს წოლა...

ესეც ბავშვობისდროინდელი თამაში იყო — წვიმიან დღეს, როცა კოჭლი ყმა

ეზოში სათამაშოდ არ უშვებდა. ფანჯარის რაფაზე მოკლათდებოდა და ატალახებულ ეზოს შუშის მიღმა გასცქეროდა. და როცა ერთხელ ძალიან დასწყყდა გული, იყურა, იყურა, ცრემლები მოიწმინდა და გამოსავალი იპოვნა — თითქოს ეზოში დააბეჭებდა, გუბებში ფეხებს აბათქუენებდა; და, რაფაზე წამოსკუებული, აღტაცებული შესცქეროდა ნანატრ ორეულს, ვის ფეხქვეშაც ტალახი ჭყაბუნებდა. ახლაც, წამოწოლილი, ვითომ წამოდგა, თამაში ბრახუნით მოიარა ოთახი; ყვირილი მოუნდა — დაიყვირა, მაგიდაზე ახტა, კერზეც კი გაიარა თავქვედაკიდებულმა და უცებ ლაქიდან კუშტად გამოშვირალი სახე დაინახა. დაიბნა და ისე დაყინებით მიაჩერდა, მაშინვე გაქრა თვალებიცა და ცხვირიც, წვერი, მოკუმული ტუჩები... არა, აღარ შეეძლო წოლა, წამოდგა და ფეხშიშველა მივიდა კართან, ფრთხილად მიაყურა. ხმაური მოესმა; ქუქურტანაში გაიხედა — არტურო სულგანბული იდგა და კარს მიჩერებოდა. აიღო და ჩააბნეა.

— გაიღვიძეთ, სენიორ? — ხმადაბლა იკითხა არტურომ.

დომენიკო ლოგინში შეხტა და გასძახა:

— დიახ, რა ხანია...

— მე კი ფეხისწვერებზე დავიარებოდი, რომ არ გამეღვიძებინეთ, — მზიარულად დაიყვირა არტურომ, როგორც კი კარი შეაღო, — როგორ გეძინათ, მშვენივრად, არა? საუზმე ლოგინში მოგართვათ თუ...

— არა, არა, — აწითლდა დომენიკო, — ავად კი არა ვარ.

— თქვენი ნებაა, სრულად თქვენი, ჩემო ახალგაზრდა, საუცხოო სენიორ, — თავი დაუკრა არტურომ, გაღიმებულნი შეაქკერდა და დომენიკომ შარვალხალათი რომ ჩაიცვა და დაგლეჯილ ქალამანში ჩაბყო ფეხი, პირზე შეაცივდა ღიმილი.

დომენიკომ შეხედა და არტურომ თუმცა მაშინვე თვალი აარიდა, ყველაფერს მიხვდა.

— აჲ, ამ ქალაქში... — ჩემად თქვა ღომენიკომ, — ტანსაცმლის შოვნა თუ შეიძლება.

— აჲ, როგორ არა, — გამოიკოცხლა არტურო, — დრაჰკანები კიდევ თუ გაქვთ, ტანსაცმელს კი არა, ჩიტის რძის მაწონს გიშოვნით...

— რამდენი ეყოფა...

— საშუალო ტანსაცმელს ერთი ცალი თავისუფლად ეყოფა, აი, როგორიც ყოველ წესიერ მოქალაქეს აცვია, ისეთს... და კიდევ ორსაც თუ მომცემთ, იმისთანა ტანსაცმელს მოგართმევ, ბრძამაც თვალი გაგაყოლოს.

— არა, ეგეთი არ მინდა, — თავი გაიქნია ღომენიკომ, — ახლავე ჩამოვალ, სად ვისაუზმებთ?

— თუ გინდათ, ქვემოთ. გნებავთ, აქ ამოვიტან...

— არა, ჩამოვალ.

არტურო რომ გავიდა, ბალიშის ქვეშ შეაღებრა ხელი, ფული ჯიბეში ჩაიჩხრიკა. აივანზე გავიდა და, თვალმოკუტუღმა, ლამაზ-ქალაქს გახედა — მზიანი დღია იდგა, დაღმართში რაკარტკით მიგორავდა ლანდო. კიბე ჩაიარა, ოთახში წვევიდა და ქათქათა სუფრაზე კობტად გაწყობილი ჭურჭლის დანახვა ესიაშოვნა.

— ოო, მობრძანდით? ეს ჩემი ცოლია, ეფლალა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — თქვა ქალმა, გრძელ კაბაზე ხელები წივლო, ოდნავ გამალა და წამოთმსუბუქად ჩაიმხლა.

— გამარჯობათ, — თქვა ღომენიკომ.

ქალი შეცბა. არტუროს შეხედა და მერე ოთახიდან ამაყად თავაწეული გავიდა.

— არა უშავს, არა უშავს, სენიორ, — სკამი გამოსწია არტურომ, — დაბრძანდით. თქვენ ალბათ არ იცოდით, არა უშავს...

— რა არ ვიცოდი...

— არაფერია, არაფერია, პე, ეს წვრილმანები... არცა ღირს სალაპარაკოდ, რა სათქმელია.

— რა წვრილმანები...

— აი, ქალი რომ მოგესალმებოდა, სამაგიეროდ ქუსლი ქუსლზე უნდა მოაბაკუნოთ და თავი დაუკრათ, არაფერია, არაფერია...

ღომენიკო აირია.

— მე... მე არ ვიცოდი.

— ვიცი, სენიორ, ვიცი... არა უშავს, სხვა დროს, როგორმე...

— ახლავე შივალ და... როგორ უნდა?

— აიი— ასე. არა, ახლა ნუ ვახვალთ, დაბრძანდით... აგერ, კარაქი წიხვით, ყველი, თაფლი... კვერცხი მაგრად მოხარშული გირჩვენიათ თუ თობლო?

— სულერთია.

— მაშინ ორივენიირი მიირთვით. აი, აჲ ჩადეთ, საგანგებოდ კვერცხისთვოსაა, ხელი დაკავებული რომ არ გქონდეთ... — და მოულოდნელად ძალიან ხმაშალა დაამღერა: — ში-ინ-შილობისას რად გინდა ოქრო და ვევერცხლი! — მაღლა ასწია ხელი, — უფრო საჭიროა მო-თხარშული კვევერცხი, — ღრმად შეისუნთქა და მაღალ ბგერაზე დასქვა: — ააა!!!

ღომენიკო გარცეხული შეპყურებდა, არტურომ კი, თითქოსდა არაფერიო, ხელი მაგიდისაკენ გაიშვირა, — აგერ, თბილი რძევ აქა... მიირთვით, მიირთვით, ევეი არ შეპარება, რომ ფასზე აუცილებლად მოვრიგდებით, წინასწარ არცაა საჭირო, ფულზე სუბარო მაღას აფუქებს... ინებეთ, კოვზი ეგებ, ახალგაზრდობაში მართლაც კარგი რამ ხმა მქონდა.

მაღაწამხლარმა ღომენიკომ პურზე ყველი დადო და ძალისძალით ჩაქბჩა. მაგრამ ეუგემურა — პური თხლად იყო დაჭრილი, სოფელში გემრიელად მოტეხილ ყუას სხვა ფასი ჰქონდა.

— ხელ-პირის დაბანა სად შეიძლება?

— აჲ, უპკუო ყყყყი, — თავზე ხელი შემოირტყა არტურომ, — რამ გამომაშტერა, მობრძანდით, მობრძანდით, აგერ, აი, თუ გნებავთ, ისიც... ხოლო ეს ჩემი ვაყია, ჟანჯაკომო, შეხედეთ, რა კარგად ეზრდი, ხომ ხედავთ როგორი წითელი ლოყები აქვს, ხომ ხე-

დათ? მაგრამ საკმელში, ეპ, იმდენი ფული მიღის, ეპ.

ოთახში რომ შებრუნდნენ, ღომენიკო მაგიდას მიუჯდა, არტურომ კი თქვა: — და თუ გნებავთ, სენიორ, ორი დრაკანი მომეცით და სანამ ისაუბრებთ, ტანსაცმელსაც მოგართმევთ.

ღომენიკო უკან გადაიხარა, სკამის ზურგს მიეხრინა, მარჯვენა ფეხი გამაღა და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ახლავე, ახლავე, ზომას ავიღებთ, — თქვა არტურომ და ქრელი ყუთიდან კნაფის გორგალი ამოაძვრინა, — აქვე ცხოვრობს, გადავირბენ და წამში გადმოვიტან, ოღონდ ერთი წუთით წამოდექით...

კნაფი კისერზე შიადო, კოჭებამდე დაუშვა, განასკვა, მერე წელი გაუზომა, წერტილიც, ისევ განასკვა და ხელისგული აჩვენა, — ახლავე მოგიტანთ, სენიორ, ოპ, ფეხის ზომა გადამაგიწყდა...

ამ დროს კარში იმ კაცმა შემოიპყრო თავი, ზორცს თვალტრემლიანი რომ სწევდა.

— წავიდეთ გავალო? — ჰკითხა არტუროს.

— აბა რა უნდა ქნა!! — ისე დასტეკა არტურომ, ღომენიკო შეკრთა, —

— აბა რა უნდა ქნა, შე ვირო შენ!

არტუროს კრძალვით შეაცქერდა ღომენიკო — სულ სხვა კაცად იქცა მასპინძელი... და რომ მოიბუხა, არტურო მისკენ შეტრიალდა, გაუღიმა და ნახად ჰკითხა, — ესე იგი, ორდრაკანიანი, არა?

— კი, — თავი დაუქნია ღომენიკომ, — ორი ეყოფა?

— რა თქმა უნდა, ახლავე მოვიტან, როგორ არ ეყოფა... — და გაიხუმრა, არ ეყოფა რა, განა თავისი ნება?

ლამაზ-ქალაქში კონტა, წვეტიანსახურავეებიანი საბულები იდგა, ცისფერი, ვარდისფერი... მზიანი დღე იყო, ოღონდ გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი ქალები ფერადი, მსუბუქი ქოლგებით დასეირნობდნენ, ხელისხელგაყარლნი, ზოგს თეთრებში ჩაცმული ბავშვისთვის

ხელი ჩაეჭიდა. ქუჩაში კაცები იდგნენ, კედელს მიყუდებულნი, ზანტად ათვალიერებდნენ ქალებს; ქვაფენილზე მწვანე ნილით სავსე ურიკას მიაგორებდა გრძელხალათიანი კაცი, და მწვანე ხახვისა და ქინძის დანახვაზე ღომენიკოს გული მოეცა... ქუჩაზე გადმოკიდებულ კოპწია აივანზე სქელი დედაკაცი ჩექმას სწმენდდა და თან ლილინებდა. ყოველ კართან ენიანი ზარი ეკიდა, გამულელები ხანდახან ფეხს შეიწმენდნენ კართან დაგებულ ტილოზე და რკავდნენ. კეფაზე ქუდმოკიდებული, შემთვრალი კაცი შუა ქუჩაში იდგა და რაღაც პრიალა, სიმებიანი საკრავს საამირდ აელარუნებდა, ნიაზე სუსტად შრიალებდა აივანიდან გადმოფენილი სარეცვი; მწვენიერ ქალს, მალაღარცხნილობიანს, აივანიდან ვარდი ესროლა ვიღაც წელსზემით მიშველმა, გაბანჯვლულმა კაცმა, იმან კი, ამაყმა, ზედაც არ დახედა ყვავილს, თავისი გზა ისე განაგრძო, ვაცმა მოიწყინა, ნაღვლიანად და ამოქნარა და ჩაფიქრებულმა მოიფხანა მკერდი. ტოვლ ღობეებზე ტირიფის რტოები გადმოფენილსყო, დიდი აუზის შუაგულში ქვის ლომი იდგა, ცისკენ თავაშვერილი და ხახიდან ღმულის ნაცვლად შადრევნად სჩქედდა წყალი. წითელკაბიანი ქალს თოკზე გამობმული შავი, ხუჭუტა ძალლი მიუძღოდა, შორს მდინარე ჩანდა, ამრტყვიალებული...

— მოგწონს? — ჰკითხა ტულიომ.

— რა...

— ჩვენი ქალაქი.

— ძალიან, კი.

აუზის კიდეზე ჯუხებზე ჩამომჯდარიყო, თავი ჩაეკრდა და, ალბათ რაღაცას ფიქრობდა, რადგან ძალიან დაძვროდა კუნთები.

— შუ, — ტრეხებზე თითო მიიღო ტულიომ და წასჩურჩულა, — ჩუმად, გაცეცალოთ, მაგისი თავი არა მაქვს...

ფეხაკრებით გასცდნენ, და უეცრად შემოესმათ:

— ოო, ხომ გიპრენე, ხომ ჩამივარდი ხელთ!

ჯუხებეს თხუთმეტობედ წლის ბიჭი

დასდგომოდა თავს, ხელში მოკლე ჯოხი მოემარჯვებინა. იქვე შეშინებული მოხუცი ქალი იდგა.

— ვინაა, — გაოცდა დომენიკო.

— ახლგაზრდა გიყია, უგო, — ჩაიქირქილა ტულიომ, — ჯუზეპეს აცოფებს ხოლმე.

ბიკი ლამარაკისას ხელებს ამპარტავნად შლიდა, ტუჩებს წამდაუქრემ ენით ილოკავდა. ძალიან მსუქანიც არ იყო, მაგრამ საოცრად ფომფლო ზორცი ჰქონდა. სახით ორმოცდაათი წლის ძალიან ლამაზ ქალს ჰგავდა, მაგრამ იმ ხნის ბიკისთვის საზარელი იყო ასეთი სილამაზე დიდი, ირიბი, ნაცრისფერი, ვაოცებამდე მშვენიერი თვალები ჰქონდა, მაგრამ ხანდახან მხერა გაუშტერდებოდა და ბინდნარევი ყინული ჩაუდგებოდა თვალებში, მერე კი ნაცრისფერი, ბრჭყვიალა თევზი თითქოს კუდს წანტად მოიქნევდა და თვალის გუგოდან რომ ევლარ გამოაღწევდა, გამწარებული აფართხალდებოდა.

— აჰა, — იძახდა ახლგაზრდა გიყი, უგო, — ხომ ჩამივარდი ხელთ? — და ნეტარებისაგან თვალებს მაგრად ხუჭავდა, — ახლავე ანდერძს აგიკვებ, აბა რა გეგონა — დამემალეზოდო, გადამეკარგებოდო?

— გადი აქედან, შე ლაწირაკო...

— აჰა, დიდედა, ხომ გესმის, ხომ გესმის, ნუთუ ამ სიტყვების შემდეგაც არ დაიმსახურა სიკვდილი? ნუთუ არაა ღირსი, ბეჭებშუა რომ ჩავცე ალესილი დანა...

— გაათრიე აქედან ეგ წვინტილიანი, თორემ წიხლით შევდგები...

— რას გვემუქრები, შვილო, — საბრალობლად თქვა მოხუცმა ქალმა, — ხომ იცი, როგორიცაა...

— არაფერი არ ვიცი მე!... თუ არაა ხალხში გამოსაყვანი, დაგემწყვდიათ და ის იქნებოდა...

— რა ვიცი, ზოგს სულაც არ ერჩის, შენს დანახვაზე გადაირევა ხოლმე...

— ჩემს დანახვაზე, კი! ყველასთან ასე არაა? იმ დღეს ცილიოსაც ასე არ ეუბნებოდა?

— შენს ნაწლავებში ქარქაში შეგულება, ჯუზეპე, და ამ კაშირულ ბეჭეთსაც ნელა, ღინჯად შევაცურებ ქარქაშში, ნეტავ მაშინაც ასეთი მრისხანე თუ იქნები, მუცელზე ხელებს რომ იტაცებ და ორად მოიკვცები, ჯუზეპე...

— გადი აქედან, შე ჩვარო... მაგ ხის დანით, არა?

— შენ არხეინად იყავი, ნამდვილ დანასაც გიმოვნი, — ტუჩები აილოკა ბიკმა, — მერე ბევრი აღარაფერი დამპკირდება — ურთხელ ხელის მოქნევა მხოლოდ... და ყელზე ღონიერი თითების წაქერას იგრძნობ, დიდი ძარღვი დაგებურება და, ელდანაცემი, ხახაგამშრალი, პირში ნერწყვის ევლარ მოიძებნი, მერე კი დიდი ტკივილის აღმური მოგდება და უდღეურ ღელესავით დაგწრტს, ჯუზეპე...

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ძალიან გთხოვთ...

— მაგისი არ მეშინია მე! არ მეშინია!... მაგრამ რაღაცა აბდაუბდა სიზმრებს ვხედავ და... თავიდან მომწყვდი, თორემ იქით მოგკლავ, იცოდე!

— კარგად დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, ჯუზეპე, სულ ასეთი დანა კი არ მექნება...

— ბავშვია, აბატიეთ, სენიორ ჯუზეპე...

— და თუ გამთენიისას — ღამის გარდაცვალების უამს — გამთენიისას, — ამყად გაიმართა ბიკი, — პირქვე არხეინად გაწოლილი და დილის საამო ძილს მიცემული, კისერში საშინელ ტკივილს იგრძნობ და შიშისგან წაგრძელებული ყოველი სისხლის წვეთი ხეში ჩასობილი ისარივით ავითრთოლდება, სანამ საბოლოოდ დაკარგავ გონებას, თუ გინდა რომ არ შეცდე, გაიფქრე რომ ეს მე ვარ, მე, უგო, ჯუზეპე...

დაბალი, ფერადი მაგიდები პირდაპირ ქუჩაში იდგა, ბამბუკის მაღალბურჯიანი სავარძლები სუსტად ბზინავდა. ტანადი, სახელოებდაკაბიწებული ქალი მზრით კედელს მიყრდნობოდა და,

თვალმოკუტული, ოდნავ მომლომარე, გამვლელებს შესცქეროდა— მზის სხივი ურტყამდა სახეში.

— რას დალევ? — ჰკითხა ტულიომ,

— ყველაფერი აქვს.

— რა ვიცო... ჯერ არ მწყურია და...

— დალევას მოწყურება რად უნდა,

— გაიღიმა ტულიომ, — ხომ არ უნდა?

— არა.

— მაშინ, დაესხდეთ, ნახე რა ჭკრივია...

ტულიომ ფეხი არხეინად გადაიღო ფეხზე, დომენიკო დამაბული იჭდა. ქალი რალაცნაირი ლამაზი ბაძვით მოცილდა კედელს და შიშველი მკლავების დიდებული რხევით წამოვიდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ოდნავ გვერდზე იზნიჭებოდა და საოცრად რბილი, საამო ხაზი ჩამოსდევდა თავით-ფეხამდე. მაღალი მკერდი ჰქონდა და მკერდზე, დიდებთან, გადასკდომამდე დაქიშული კაბა. წიაგმა მაღალ, თეთრ ყელზე მბზინავი შავი თმა შემოაბვია, დაუჭერებლად გრძელი თითებით თმა მოიცილა, თავი გაიქნია და ზურგსუკან გადაიყარა. ოდნავ მოიხარა, მაგიდას თითისწვერებით მსუბუქად დაეყრდნო, ამპარტაუნად გაიღიმა და იკითხა:

— რას დალევ, ტულიომ...

— ქაფქაფას. ახალია?

— გუშინდელი.

— ძალიან კარგი. ჯერ, ორი მოკვრიტანე... ხომ დალევ, დომენიკო?

— კი.

— რა ჭკია? — დაინტერესდა ქალი.

— დომენიკო.

ქალი მოურიდებელი ღიმილით ათვალიერებდა. ტულიოსკენ არც მიუხედავს, ისე იკითხა:

— საიდანაა, აქატურია?

— ჯერ მეც არ ვიცო. სადაური ხარ, დომენიკო...

— სოფლიდან ჩამოვედი.

— ფერმკრთალი რომ ხარ? — აღერსით ჰკითხა ქალმა, თაფლივით სქლად გადმოეღვარა დაბალი, საამო ხმა.

— დომენიკომ ღუმილი ირჩია.

— ახლავე მოვალ, — თქვა ქალმა და, ნებერუნდა.

— მაღალი კიქები მოკვრიტანე, ტერეზა, — მიიძახა ტულიომ.

— ქალს არ გამოუხედავს, ისე დახარა თავი.

— მგონი მოეწონე... ფუჰ!

— ჯუზეპე მოდის? — შეკრთა დომენიკო.

— იიპ — ჯუზეპეზე უარესია.

— გამარჯობათ, — თქვა ედმონდომ, სვამი გამოსწია და დაჭდა.

კარგახანს ჩუმად იყვნენ. ტერეზამ მაღალი კიქები მოიტანა, მაგიდაზე დადგა. დომენიკოს გაუღიმა, შეაცბუნა და მერე ორი ბოთლი მოიტანა. ქარვისფერი სასმელი იყო, წყურვილის მოშლავი და მადისამშლელი. ახლადშემოსწრებული, ედმონდო, თითქოს ჩაფიქრებული იჭდა, მაგრამ ფიქრისას ისე გამართულნი არ არიან ხოლმე. შავი თმა ჰქონდა, შავი წარბები, ძალიან გრძელი, მაგრამ სწორი წამწამები. დიდი, დაცქვეტილი ყურები ყოველგვარი ჩურჩულის მოსასმენად მოემარჯვებინა, საკვირველი იყო, ყურებს რალაცნაირად მეტი სიმკვირცხლე ეტყობოდა, ვიდრე მის შავად ამღვრეულ თვალებს. თუკი განზე გახედვას დააპირებდა, ჯერ თავს შეატრიალებდა, მზერა კი ისევ ძველ წერტილს ზანტად ებჭინებოდა, მერე კი, უკვე თავშეტრიალებული, თვალებს დუნედ გადაადგილებდა და მერეღა შეაცქერდებოდა იმას, რაც დაინტერესებდა. საშუალო ტანისა იყო, მაგრამ ახლა, რომ იჭდა, დომენიკოზე მაღალი ჩანდა — მოკლეფეხება იყო... სიარულისას ცდილობდა კოხტად ევლო, და ერთთავად იძაბებოდა. ახლა იჭდა, მაგრამ მაინც ისეთი დამაბული იყო, ერთხანს დანარჩენებსაც გადაედო.

— შენც ხომ არ დალევ, ედმონდო?

— უგულოდ იკითხა ტულიომ.

— მე კი.

— ერთი კიქაც, ტერეზა.

— ისევ ჩუმად ისხდნენ, მერე ედმონდომ აღნიშნა:

— მარჯვენა ყური ძალიან მიხურს მე.



— ჰო? — ყასიდად გაიკვირვა ტუ-  
ლიომ და სავარძელზე გადაწვა, — ალ-  
ბათ ვილაცა გქორავს.

მართლა ქორავდნენ. ქალაქგარეთ,  
ქალაში წამოგორებული, თმაგაპრიალე-  
ბული ცილიო სულელურად მომღიმარე  
ქალიშვილს ეუბნებოდა:

— ის შტერი ველარ მოვიცილე. დღე-  
საც დილადრიან მომადგა. და გინდა  
თუ არა, ვიამხანაგოთო.

— რა კარგი დღეა, რა კარგი დღე...  
— იძახდა ქალიშვილი, — გინდა, ბალა-  
ხებში ვიბზინოთ?

— ყური რომ მიხურს, — დაინტერე-  
სდა აქეთ, ქალაქში, ედმონდო, — ესე  
იგი მქორავენ-მე?

— რა ვიცი, ეგრე კი ამბობენ და... —  
თავი გაიქნია ტულიომ — და ჭიქები შე-  
ესსო, — აბა, გაგიმარჯოს...

ედმონდომ ორი მომცრო ყლუში დი-  
დის მღელვარებით შესვა და ჭიქა მაგი-  
დაზე დადგა.

— არა სვამ?

— არა. საერთოდ სასმელს ვერიდე-  
ბი მე.

— რატომ ერიდები სასმელს... შენ?  
— ჰკითხა ტულიომ და თვალები გაუ-  
ეშმაყდა.

— რა ვიცი... რა ვიცი მე.

— ესეც, ედმონდო, გაგიმარჯოს შენ.

— თქვა ტულიომ და შესვა, — აუბ,  
კარგია...

— მადლობელი ვარ მე.

— ვინ?

— მე.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, — მოი-  
წყინა ტულიომ და ცას ახედა, — ცხე-  
ლა... უი, მართლა, ცილიო გექებდა.

— როდის? — გამოცოცხლდა ედ-  
მონდო.

— ახლახანს ჩიიარა, ედმონდომ, აუ-  
ცილებლად მნახოსო.

— მართლა? სადაა... — წამოდგა  
ედმონდო.

— ქალაშია, ვიცდის...

— დიდი ბოდინში, მამატიეთ, კარგი  
იყო თქვენთან ყოფნა...

— კარგად იყავი, კარგად, შენ... —

მიიძახა ტულიომ და გემრიელად ამოი-  
სუნთქა, — ძლივს არ მოვიცილე? — და  
უცებ ხარხარი აუტყდა, — ცილიო გა-  
გიყდება ნაღდად... ეგაა, ზეწარგადაფა-  
რებული რომ დახვდა...

— დროა, — გაიფიქრა ცილიომ, წამო-  
ქდა და ქალა მოათვალიერა, — დროა...  
— და მხარზე დაადო ხელი.

— სასაძომოვნო ამინდია, არა? — რა-  
ღაცნაირად ორახროვნად იკითხა.

ქალმა უცებ ისე უაღვილოდ გადაი-  
კისკისა, ცილიოს გულმა რჩნხი უყო.

— აი, შენ ახლა იცინი, როზინა, —  
ნაღვლიანად წარმოსთქვა ცილიომ, —  
შენ იცინი და თუ იცი, რა არის ეამთა-  
მსველელობა?

— არა, არა, რა საინტერესოა, ცი-  
ლიო, მიამბე რა მიამბე, შენ ისე კარ-  
გად ჰყვები...

— არის წელიწადში ოთხი დრო, —  
დაიწყო ცილიომ და წელზე მოხვია ხე-  
ლი, გვერდიგვერდ ისხდნენ, — ზაფხუ-  
ლი, შემოდგომა...

ყვითელი, შემქნარი ფთოლი ზედ  
მაგიდაზე დაეცა, ტულიომ მსუბუქად  
გაჰკრა ხელი. მერე დომენიკოს შეხედა  
და თქვა:

— შეშხუნა თუ დავიღვია?

— არა.

— გინდა?

— რა ვიცი.

— ტერზა, — გასძახა ტულიომ, —  
ორი შეშხუნა მოიტანე, ოღონდ თბილი  
არ იყოს, იმდღევანდელივით...

— და მერე, ცივი ზამთარი რომ გად-  
დგება, მოდის გაზაფხული, — მგზნება-  
რედ წარმოსთქვა ქალაში ცილიომ, —  
ასე ტრიალებს ვრძელი ეამთასვლა, და  
წელიწადის ყოველი დრო კარგია, კარ-  
გი, ხომ კარგია?

— კი, — თქვა როზინამ, — ოღონდ  
ხელი აიღე.

— რატომ? — ლამზად გაღიმებას  
შეეცადა ცილიო და საჩქაროდ დაეკით-  
ხა: — არ გაინტერესებს ამბავი?

— და ხელი რაღა შეაშია?

ცილიომ ხაზგასმული სევდით ჩიი-  
ცინა:

— მ... ახლავე ავიხსნი. ეამთამსვლელობა კარგია, ჩემო ტუბილო... როზინა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ... ამასთანავე დრო გადის. ვერც კი ვავიგებთ, ისე მოგვიხტება ის გარდუვალი სიზნერ და მერეღა მივხვდებით, რომ არასწორად ვიტყვობდით, როცა ვამბობდით: „ხელი აიღე...“

— ჰა? — ჩაფიქრდა როზინა.

— ამან ცუდი სიმთვრალე ზომ არ იცის? — იკითხა ტერეზამ და ორი ბოთლი შავიდახე დაღო.

— არა, ცუდი სიმთვრალე ზომ არ იცი, დომენიკო?

— არა.

— კარგი ბიჭი ჩანს, — გაიღიმა ტერეზამ, — ახალთახალი ტანსაცმელი აცვია, მაგრამ მწვანე რად უნდა, შავას ლურჯი უფრო მოუხდებოდა.

— რატომ?

— ფერმკრთალია. რამდენი წლის ხარ?

— ცხრამეტის გავხდები.

— ჯერ სულ ბავშვია. დედამ მარტო-კა როგორ გამოგვიშვა?

— დედა არა მყავს.

— არა გყავს? — შეწუხდა ტერეზა და თავზე დაადო ხელი, — არ ვიცოდი, მაპატიე.

დომენიკო გასუსული იჯდა. გრძელი, მოქნილი თითები ელაგა თავზე.

— საბრალო ბიჭი, — ჩემად თქვა ქალმა, — აბა ვინა გყავს?

— შამა.

— ერთად ჩამოხვედით?

— არა, მარტო...

— აჲ, ამ ქალაქში თუ გყავს ვინმე...

— აჲ არა, არავინ.

— საბრალო ბიჭი, — თქვა ტერეზამ და თავზე გადაუსვა ხელი. მერე მეორე ხელი ნიკაპზე მოკიდა, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და ჰკითხა: — ვინდა, გაყოცო? ოღონდ ლოყაზე...

— ხელი აიღე-მეთქი! — ხმა დაუწყვრილდა როზინას, — არა ვრცხვენია? მე კარგი აღამიანი მეფონე შენ, ცილიო...

— წავა, ეს შემოდგომაც წავა, —

თქვა ცილიომ და ვაიფიქრა, — გაუბთვილი ქალები გაცილებით უფრო მეტ ნებულები არიან... — ეს შემოდგომაც წავა და ზამთარი რომ მოვა, ისიც წავა, და მერე მოვა გაზაფხული, მჩქეფარე და ხასხასა, აფეთქებულო, და ეს მინდორიც მრიფინება ფერადი, უსახელო-უსახელო ყვავილებით...

— უსახელო-უსახელო ყვავილებით? — დაინტერესდა როზინა.

— ჰო, ჩემო კარგო. შენ გიყვარს ისინი?

— კი, რა კარგადა თქვი, — უსახელო-უსახელო ყვავილები?

— კი, მაგრამ ისინიც წავა.

— სად წავა? — შეშფოთდა როზინა და ვაიფიქრა, — „რა კარგი ტუჩები აქვს...“

— ეამთამსვლელობაში წავა. ყველანი წავალთ და ახლა ერთი რამ უნდა გკითხო: ვერ მიტან? გეზიზღები?

— არა, რატომ. ნუთუ ჩვენ მართლა წავალთ, ა, ცილიო, მე არა მჯერა, არა, და არც მინდა მჯეროდეს...

— მაშინ, თუ არ გინდა გჯეროდეს, თვალები დახუჭე და აი ნახავ, მუხთალი ეამთამსვლელობა თუ არ დატყებდა...

— მაშინ ჯერ ცოტათი გამამხიარულე... შენ ისე დამამინე, რომ...

— უსახელო-უსახელო ყვავილები... — სახე ახლოს მიუტანა ცილიომ და წელზე ფრთხილად შემოხვია ხელი.

— აჲ, კარგია, — თქვა როზინამ და თვალები დახუჭა.

იმან კი ჯერ ფრთხილად აყოცა. მერე ორივე ხელი შემოხვია და უფრო მაგრად აყოცა. როზინამაც შემოხვია ხელები კისერზე და ცილიომ მესამედაც რომ აყოცა, ზურგზე თითების მსუბუქი კაქუნი იგრძნო: წაქეზებდა ენიშნა და ისე ძალიან მაგრად აყოცა, რომ როზინამ ცალი თვალი გაახილა და უცებ საზარლად წერილი ხმით შეჰკივლა, თავი გაინთავისუფლა და იმ კაცის დასანახად, ზურგზე რომ უკაქუნებდა აღფრთოვანებულ ყმაწვილს, სწორედ იმ კაცის დასანახად ცილიოს კარგა მაგარი სილა გააწინა, წამოხტა; გრძელი კაბა

კოჭებს ზემოთ აიწია და უწინო ფართბა-  
ფურთხით გაიქცა. დაბნეული ცილიო კი  
შებრუნდა და ახლადმოსულს ისე მია-  
ჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

— არადა, ედმონდო იყო.

— მოგწონს შუშხუნა, დომენიკო?

— კი.

— მე არ მოგწონვარ? — ჰკითხა ქალ-  
მა და დომენიკო ლამაზად შემოიყარა.

დომენიკომ თავი ჩაღუნა.

— ჰეე, — გაიოცა ტულიომ, — რა  
ბედი გეწვია და პასუხსაც არ აძლევ?  
მთელი ქალაქი მაგას ვუტრიალებთ, მა-  
გრამ არაფერი გამოგვივიდა.

— თქვენ აბეზრები ხართ, ეს კარგი  
ბიჭია.

— ცოტათი მორცხვია, მაგრამ არა  
უშავს. გუშინ ნასევამ იყო და გლახა  
ქალებში მაინც არ წამოწყდა.

— მართლა? — კარგი ბიჭია-მეთქი,  
ხომ გეუბნებოდი. გლახა ქალებში კარგ  
ბიჭს რა უნდა! აბა, შემომხედე!

ტერეზა ისევ დომენიკოზე მოყრდინი იდგა,  
მზეზე თვალმოკუტებული, სუსტი ღიმი-  
ლით ბაგეგაპობილი, დომენიკოს ზემო-  
დან დასცქეროდა.

— აღარ მომეშვები, შე ვირო?

— მე... მე მითხრეს, რომ შენ მეტემ-  
ბდი მე.

— რა ჯანდაბად და ოხრობად მინდი-  
ხარ... რა გინდა ბოლოსდაბოლოს ჩემ-  
გან, რა! — შეჰყვირა ცილიომ, — რა  
გინდა!

— ტულიომ მითხრა, ქალაში გიც-  
დისო.

— უ, მაგის... და შენც დაიჯერე, არა,  
შე ვირო?

— მე ვირო არა ვარ... — ხმადბლა  
თქვა ედმონდომ და თავი რომ დახარა,  
დუნედ ამღვრეული მზერა ერთხანს ცი-  
ლიოს სახეზე შეჩრა, — მე ვირო არ  
ვარ... მე შენთან ამხანაგობა მინდა...

— შენი ამხანაგის და შენი...

ტერეზამ უცებ გადაიფიქრა:

— ეგ ბიჭი მომაცილე, ტულიო, მე-  
შინია.

— მაგისი გეშინია, რატომ?

— რა ვიცი, ისე... — უკარგულად შემ-  
ფრთხილებული ჩანდა.

— გაგიყვამ, ტერეზა? ცუდი სიმთე-  
რალე არ იცის და არაფერი...

— არა, მაგისი კი არ მეშინია.

— აბა?

ქალმა გაიღიმა, ისევ შეათვალა იერა  
დომენიკო, შიშველ მკლავებზე სახელო-  
ები წელა ჩამოიწვია და იმ თავისი საამო  
ხმით ჩუმად თქვა:

— ჩემი თავის.

• • •

და დუილიო, როგორც იყო, მოსა-  
ლამოვებულზე შინიდან გამოვიდა. დუ-  
ილიო, ლამაზქალაქელთაგან უსასიქო-  
დულესი მოვალეობის აღმსრულებელი  
— მოქალაქეთა მთავარი მრჩეველი  
— ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწ-  
ყობილი, ილღიაში ამოჩრილი კოხტა  
ჯოხით, შინიდან გამოვიდა სწორედ ისე-  
თი, როგორც იყო. ჰო, მართლა, რო-  
გორც იყო? არა, მაინც რა უცნაურია —  
ნეტავ როგორი უნდა ყოფილიყო დუი-  
ლიო? თო, რთული ამბავია — ხომ შე-  
იძლება ითქვას, რომ დუილიო იყო პა-  
ტარა და სქელი, მაგრამ... არა, არა, ასე  
ხომ სასაცილო გამოვა, და სრულგბი-  
თაც არაა საჭირო, დუილიო სასაცილო  
იყოს. და მაშინ რომ ვთქვათ, დაბალი და  
ვაშხდარი? — არა, მაშინ დუილიო პა-  
ტარა გამოვა, და იოტისოდენადაც არაა  
საჭირო, დუილიო პატარა რომ იყოს.  
და ბარედამ რომ ვთქვათ, მაღალი და  
მსუქანი? — არა, მაშინ იგი შეიძლება  
დიდი მოგვეჩვენოს, და განა მხოლოდ  
გარეგნულად, არამედ გადატანითი მნი-  
შვნელობითაც, რადგან ჩვენ ყველასა  
გვაქვს რაიმე დაფარულის აღმოჩენის  
წრიალა სურვილი, და ის რომ ითქვას,  
მაღალი და ვაშხდარი იყო, ასეთი არ  
იყო და არც პატარა იყო და, მითუმე-  
ტეს, არც საშუალო და მაშინ რანაირი-  
ლა იყო და როგორ გგონიათ, არსებობს  
კია ისეთი სიტყვები, რომლებიც მაინც  
ზუსტად აღგვიწერენ ქალაქის მეორე  
მოქალაქეს? რა თქმა უნდა. სიტყვები  
ყოველთვის არსებობენ: „როგორც იყო“

დულილიო? — „როგორიც იყო“ — აი, პასუხი. ყოველშემთხვევაში, ზუსტი. ახლა კი მიყვებით, თორემ საცაა, ქუჩის კუთხეს მიეფარება და ეძებე მერე. მაშ ასე, განვაგრძოთ — და დულილიო, როგორიც იყო, მოსალამოვებულზე შინიდან გამოვიდა და მთავარ ქუჩას დინჯად გაუყვა. გამვლელები პატივისცემით ესალმებოდნენ, ქედსაც უხდიდნენ, თუკი უხუტრათ, ქალები თავაზიანად, მაგრამ რალაცნაირად უგულისყუროდ უღიმოდნენ, დულილიო კი ირგვლივ მეგობარულ მზერას ურიგებდა ყველას, და მიდიოდა. ყვავილების გამყიდველთან შეჩერდა, იმან აღერსიანად ამოურჩია თეთრი ვარდები; დულილიომ ჯიბე მოიქექა და ასევე აღერსიანად გაუწოდა გროშებით. მოთენილი ხელისგული, გამყიდველმა დოქში ჩააჩხრიალა ფული და ორი ვარდიც თავისი მხრიდან დაუმატა. დულილიომ მომზიბველი ღიმილით გადაუხადა მადლობა, გამყიდველმაც მადლობა უთხრა და ალტაცებული მზერა გააყოლა. ის კი, თეთრი ვარდებით ხელში, მამიდა არიადნას სახლისაკენ გაეშურა, სადაც ცელქი კონჩეტინას ხათრით სტუმრები დაეპატიებინათ — კონჩეტინაობა დღე იყო. ლამაზ-ქალაქში განაზვეგრს ერქვა ეს სახელი, როზინაობა დღეს კი თითქმის ყველა ქვიფობდა — ზოგნი სად, ზოგი სად... უამრავი როზინა იყო. ახლა კი, კონჩეტინაობა დღეს, ნხოლოდ რჩეული იყო მოხვდებოდნენ სახელგანთქმული კარაჯკოების ჩამომავლებთან, ძველებური ჭურჭლითა და ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში, სადაც მამიდა არიადნა უკანასკნელად ამოწმებდა დაპატიებულთა სიას იმის შიშით, რომ ეინმე ღირსეული მოქალაქე არ გამოჩნებოდა და გაბოლილ სამზარეულოში წამდაუწუმ ამოწმებდა ჯერ შეუბრაწავ ვაშლის ნამცხვარს. სტუმართაგან არავინ ჩანდა, თუმცა ლამის დარაჯმა, ლეპოლდინომ, ახლახანს დაიძახა ნაშინარევი ხმით: „სა-აღამოს ცხრა საათია და ყველაფერი რიგზეა“ — ლამაზ-ქალაქში უბრდლობად ითვლებოდა წვეულებანი დროით

მისკლა. მამიდა არიადნა ცოტათი შეფიქრიანდა კიდევ, მაგრამ მაშინვე განისმა ზარის მხიარული რეკვა — კონჩეტინას მეგობრები, სილვია და როზინა, აი ის, ჭალაში რომ იყო, კისკისით შემოცვივდნენ ოთახში და ჯერ მამიდა არიადნას აკოცეს, მერე იმის ძმისწულს და მიხაკები ლამაზ ლარანაკებში გააწყვეს. საუბრობდნენ და თან კისკიებდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ ძალიან მოსწონათ კონჩეტინას ახალი, საგანგებოდ ამ დღისათვის შეკერილი ყოლოსფერი კაზა, განსაკუთრებით სილვია მხიარულობდა, როზინა კი, აი ის, ჭალაში რომ იყო, ხანდახან ცოტათი შეფიქრიანდებოდა. მერე გაისმა ზარის დინჯი წყარუნი და შემოვიდა სენიორ ჯულიო, სიდარბაისლით ცნობილი ლამაზ-ქალაქელი, მამიდა არიადნას სიყრმის მეგობარი და მეზობელი, და გახარებულმა მამიდა არიადნამ ჯილდოდ ტურქებთან მიუტანა ხელი. ის ღირსეულად ეაზობრა მანდილოსნის ხელს, თუმცა, სიმატლე რომ ითქვას, ზედ ბეჭედზე მოუვიდა კოცნა და რალაც უგემური კვალი შერჩა ტურქებზე. პატარა ხანში ანტონიო და მისი საყვლოშებნიელი სიძე ვინსენტეს მოვიდნენ, რომელმაც თავაზიანად გაიხმო გვერდზე მამიდა არიადნა და თავისი ახლად შექმნილი მეუღლის, მშვენიერი ჯულიას მობოდიშება დაბოლის ხმით გადასცა — ახლად დაქორწინებული თურმე ცოტათი შეუძლოდ იყო და მამიდა არიადნას ასაკისდაშეუფერებელ, ეშმაკურ გამოხედვაზე აირია და თქვა, რომ არა, არა, ჯულია ნამდვილად გაციებუელია. მერე ცელქი ხბოებივით შემოკუნტრულდნენ კონჩეტინას კარგი ნაცნობები, სამი გოგონა, რომლებმაც ქალებთან კოცნა-კოცნითი მისალმების შემდეგ ანტონიოს შეხედეს, ერთმანეთს საოცრება გადაულაპარაკეს: ჩიენსჩიტუჩიტუჩიციტიმოჩისჩინლა და სიცილისაგან კინლამ გაიგუდნენ, ანტონიომ საბრალობლად გადახედა ვინსენტეს, იმან კი ვითომ ვერაფერი შეამჩნია, ყელზე სადაფის ღილი შეიხსნა და ერთიანად გამოიცივლა. და ქუ-

ჩაში რომ გაისმა. — „სა-ალამოს ათი საათია და ყველაფერი რიგზეა“; შემოვიდა კაცი, რომელსაც წინა კბილები არა ჰქონდა და ამიტომ ისე ილიმებოდა, ტუჩებს არ აცილებდა ერთმანეთს, რაღაც უცნაურად, უფერგილოდ, ერთი სიტყვით, დახშულად ილიმებოდა, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნებოდა. და ყველანი პატრიისციმით აღიჭურვნენ, როცა ოთახში მოკლე-მოკლე, მაგრამ ძალიან მხნე ნაბიჯით შემოვიდა დუილი, როგორც იყო, და კონჩენტანას ვარდები ვაუწოდა.

— აჰ, რა კარგი კონაა, — შესძახა კონჩეტინამ და ლარნავისკენ გაიქცა.

— სალამი, დუილიო, — ნახად უთხრა მამიდა არიანდამ და გაიბადრა, როცა საპატრო სტუმარი ხელზე ემთხვია. — ეს რა ძალიან კარგი კონა მოგიტანიათ; მე ძალიან მიყვარს ვარდების კონა.

— თქვენთვის ცოტა ასეთი კონა, მე უნდა მომეტანა უფრო დიდი კონა.

— რას ამბობთ, დუილიო, რაღა უნდა იყოს ამაზე დიდი კონა.

— ნამდვილად, — ჩაურთო საყულოვადილი მამიდა ვინსენტემ. ყაჩაღსა ჰკავდა.

მერე მოვიდა ცილიო და საჩუქრად წითელი მიხაკები მოიტანა. როზინა, აი ის, ჭალაში რომ იყო, გაწითლდა და სილვისასკენ იქცა პირი, მაგრამ ის დაუფარავი აღტაცებით შესცქეროდა ცილიოს; როზინა გაბრაზდა და შემოსულს ჯიუტად მიაჩერდა, იმან კი პრიალა თბაზე ფაქიზად გადაისვა ხელი. მამიდა არიანდამ დიდის ზარ-ზეიმით შემოიტანა ვაშლის ნამცხვარი და გასაციებლად ფანჯარასთან დადო. მერე მაღალყელიანი, გამჟვრვალე სურები ვააწყო მაგიდაზე, დინჯად მობაასე ჯუღოსა და დუილიოს გზადაგზა ეუბნებოდა: — ეს ალუბლის ნაყენია... აი ეს, პიტნისა... ოო, აი ეს კი სურნელოვანი არტისა, ძალიან მაგარი ვახლავთ... ტკბილი წყალივით ისმევა, მაგრამ... — და ხმაოდლა შესძახა — ჩემო ახალგაზრდებო, თქვენს გასაგონად ვამბობ — ნაყენის სმას სიფრთხილე მმართებს...

სუფრას მზიარულად რომ შემოუსხდნენ და კონჩეტინას სადღეგრძელოც ესის იყო, უნდა შეესვათ, ზარი აწკარუნდა და ტულიო მოვიდა, ლამაზ-ქალაქელთა საყვარელი, ონაეარი ახალგაზრდა კაცი, თვით გამოცდილი, მრავლისმომსწრე მამიდა არიანდამ აზრით ქალაქის პირველი სასიძო, და მოიყვანა ვილიო მშვენიე ტანსაცმელში გამოწყობილი მალალი, ფერმკრთალი, ვაუბედავი უმაწილო დომენიკო, რომელმაც ჭუსლი ჭუსლს უხერხულად მიართყა და თავი დაუკრა ყველას. ტულიო აწითლებული იყო, „კარგია, არა, კარგი, შეუშხუნა?“ — ეშმაკურად ჰკითხა ვინსენტემ, პასხვის მოლოდინში ოდნავ წინ გადახარა და ყური მიუშვირა, — ჰა? — აბა რა... — მზიარულად თქვა ტულიომ, — შეუშხუნასთანა სასმელს, ტყუილია, ვერაფერი შეედრება... — და სუფრას თვალი რომ მოავლო, დაამატა: — ალუბლის ნაყენის გარდა... — ოჰ, ტულიო, ტულიო, შეცელქო!“ — შესძახა მამიდა არიანდამ და ვარდისფერი მარაო მსტებუქად დააკრა მზარზე.

მერე კი, სად იყო, სად არა, ედმონდოც მოვიდა. დანადგლიანებული მზერა წვალებით მოავლო. ყველას და კონჩეტინას ცისფერ ჭაღალში საგულდაგულოდ ვახვეული საჩუქარი — ლამაზი და ფინჯანი მიართყა. „რატომ წუხდებოდით, ედმონდო, ვინ გითხრა, რომ ვიკრიბებოდით, — თქვა კონჩეტინამ, ფანჯარაში გაიხედა და დაამატა, — ჩქარა ზამთარი მოვა.“ — და ამ სიტყვების ვაგონებისთანავე როზინამ მღელვარედ გაუღიმა ცილიოს, იმან კი ნალვლიანად, მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა და ორჯერ მიიმედ დაუქნია თავი.

კონჩეტინას სადღეგრძელო დიდის ამბით შეისვა, რა არ უსურვეს — ყოველივე კარგი. დიდად ენაწყლიანობდნენ, მხოლოდ უკბილო კაცმა და იმ მშვენიეტანსაცმლიანმა, დომენიკომ, თითო სიტყვა თქვეს — გაგამარჯოთ... დაღიეს მარად უბერებელი მამიდა არიანდამ სადღეგრძელოც, რომელიც, სენიორ ჯულეოს სიტყვით, „მარადიული ახალგაზრ-

დობის ნიშნით იყო ქვეყანაზე გაჩენილი. ტულიომ ვი ვახედა ერთს, მეორეს, და მოიწყინა. ერთხანს მთქნარება ატეხილი დასცქეროდა ნამცხვრებსა და ყვავილებიან ლარნაკებს. მერე თვალეზი გაუბრწყინდა და ედმონდოს ხმა დაბლა უთხრა:

—ცილიომ, ვაწყენინეთ.

—ვის? — შეძლებისდაგვარად გამოცოცხლდა ედმონდო და სუფრას მზერა აავლიოჯა, — მე?

—ჰო, ქალთან რომ დამინახა, ვერ მოიცადაო? ახლა კი ძალიან დარდობს — აღლელებული ვრყავი; სახედარი ვუწოდეთ.

—მართლა დარდობს? — იეითხა ედმონდომ და ნამცხვრის მივიწყებული ლექმა, ჩაფიჭრებისა გამო დიდხანს რომ ედო პირში, გადაუღაპა, — მართლა?

—მართლა, აბა საიდან ვიცი?

—ჰოო, მართლა უთქვამს მერე?

—მერე, თვითონ ძალიან დამორცხვებულია, ვერ გიბედავს... ისევ შენ მიდი და უთხარი, კარგი, ვიამხანაგოთ თქო.

—როდის ვუთხრა?

—როდის და... როცა გინდა, დროს როგორც შეურჩევ, მაშინვე უთხარი. ანდა, ნიშანი მიეც რაიმე...

—ჰოო, — კმაყოფილად გააგრძელა ედმონდომ, — მაშინვე ვეტყვი. ან ნიშანს მიეცემ... შე.

მერე შეისვა ლამაზ-ქალაქის სადღეგრძელო, წვეტიანსახტრავებიანის, ცისფერ-მოვარდისფრო, სუროაყოლილი სახლებიანის, აუზიანის, კარგმოქალაქეებიანი, დუილიოიანი ქალაქის სადღეგრძელო, რომელიც, როგორც სადღეგრძელოებიდან გამოირყვა, ყველას უყვარდა. ოდნავ შეთერნენ, როცა დუილიომ აიღო სიტყვა და პიტნის ნაყენით ქალაქის ყველა მკვიდრი ადღეგრძელა; დაწყებული, რა თქმა უნდა, სხვა ქალაქში მცხოვრებ მარშალ ბეტანკურით, და ადღეგრძელა ლამაზ-ქალაქის „ყოველი მკვიდრი,“ სიკეთე

და ჯანმრთელობა უსურვა დიდ-პატარას, ყველას, სუყველას და, უფრო მეტს ხაზგასმით აღნიშნა, „ალექსანდროსა და კი.“ ალექსანდროს, ხსენებამ ერთობ დიდი ღრიაჟული გამოიწვია, დუილიო კი, მომცრო ჭიქით ხელში, ამაყად იდგა.

—ეგ ალექსანდრო ვილა? — ჰკითხა ტულიოს დომენიკომ.

—არ იცი? ოო, ეგ გიყი ქადაგია, სულ ორი გიყი გყავს — ეგა და უგო. ქადაგი ხომ იცი, რასაც ნიშნავს?

—კი, ქადაგად დავარდაო, რომ იტყვიან... არა?

—ჰო, — თქვა ტულიომ და გაახსენდა, — არა, როგორ მოეწონე ტერეზას, ა? ეგეთი ქალი ხელიდან არ უნდა გაუშვა, ნაღად მოეწონე, — და წამოდგა, — ეს გაუმარჯოს...

მერე თანტობანა ითამაშეს. დუილიოს პრიალა, მაღალ ქედში ყველამ ჩაყარა თავისი თანტი, ანუ, უბრალოდ, რაიმე მომცრო ნივთი. მაშინდა არიადნამ საგვარეულო ბეჭედი ჩააგდო, დარბაისელმა სენიორ ჯულიომ — თრგრო-შინი, ცელქმა კონჩეტინამ — ვარდის ფოთოლი, ტულიომ მედალონი შეიხსნა, დუილიომ — თავისი სახლის უზარმაზარი გასაღები, როზინამ კოსტა, ბრჭყვიალა სავარცხელი, მზიარულმა ქალიშვილებმა მიხაკს ღერო მოაწიწყინეს, ედმონდომ დიდო ყავისფერი ღილი, ცილიომ ვერცხლის ძეწვევი, და სხვა, და სხვა, და მწვანეტანსაცმლიანმა, ოდნავ დაბნეულმა ახალგაზრდა კაცმა, ვერაფერი რომ ვეღარ მოიფიქრა, ჯიბიდან დრამკანი ამოიღო და ჩააგდო, რითაც ყველას შერწარევი პატივისცემა გამოიწვია.

ცილიომ დრო იხელთა, როზინას ზურგსუქან ამოუდგა და ჩასჩურჩულა: „რად გამიჯავრდი; პატარავ?“ და პასუხის მოლოდინში ფრთხილად მოავლო თვალი ყველას... ედმონდო შესცქეროდა! ნირწამხდარი ცილიო როზინას მოსცილდა და ისევ შეხედა ედმონდოს, იმან კი, შერიგების ნიშნად, მძიმედ დაუქნია. თავი... პირველი, რაც წარმოიდ-

გინა ცილიომ, იყო წებოვანი ვაშლის ნამცხვარი, ედმონდოს ცხვირპირზე მთელის ძალღონით მიკეცილი, მაგრამ... არა, არა, სახელგანთქმული კარასკოების ჩამომავალთა ოჯახში არ შეიძლებოდა ჩხუბისა და აყალ-მაყალის ატეხვა. არადა, რა ექნა ისევ შეხედა ედმონდოს და იმან ისევ მძიმედ, შემრიგებლურად დაუქნია თავი. გაცოფებულმა, ზურგი შეაქცია, სხვაგვარად შეუძლებელი იყო თავშეკავება, აცახცახებული თითებით ცხვირსაბოცი ამოაძვრინა ჯიბიდან და ისე ღონიერად ჩამოისვია; კინალამ სახე გადაიყვლითა.

ამასობაში სავარძელში კობტად მოკალათებული მამიდა არიადნას მუხლებზე შუბლი ჩამოდო დაჩოქილმა ტულომ, მამიდა არიადნამ ფანტებიანი ქუდი მსუბუქად დააბჯინა კეთაზე, ხელადააღო პირველსავე ფანტს და საზეიმოდ იკითხა: —ამის, პატრონმა, რა ქნას?

—მაგის პატრონმა, — წამოიძახა თვალდახუჭულმა ტულომ, — ლექსი თქვას.

ფანტი ერთ-ერთი მხიარული ქალიშვილისა აღმოჩნდა. იმას ბევრი აღარ უფიქრია, თავისი საყვარელი ლექსი თქვა, რომელშიც ერია სიტყვები: „თვალზე“, „რული“, „მწვევს“, „სიყვარული“, „ტანჯვა“, „კრული“ და თავდებოდა გამოთქმით „მუდამ შენია ეს ჩემი გული.“

ლექსმა ტაშაცემა დაიმსახურა. მამიდა არიადნამ თითით მიიხმო მხიარული ქალიშვილი და ნიკაპზე ხელი მოუთათუნა; მერე სენიორ ჯულიოს გადახედა და თქვა:

—კარგი გოგონაა.

ცილიო კი ისევ ზურგსუკან ამოუდგა როზინას, გადაიხარა და ხმადამლა უთხრა:

—მოგეწონა ლექსი?

მაგრამ როზინას არ უპასუხია, მხოლოდ თავის ნერვიული, მკვეთრი მოძრაობით თმა შეისწორა.

—რა იყო, პატარავ... ხომ არაინ... —

და გასრა—ედმონდომ შორიდან ისევ მრავლისმეტყველად დაუქნა თავს;

—აბა-აბა ტულო, პატრონმა რა ქნას?—მოჩვენებითი სიციბიერით დაეკითხა მამიდა არიადნა.

—მაგის პატრონმა ხუთი დიდი ჭიკა წყალი დალიოს,—თქვა ტულომ და მამინევი სიცილმა იფეთქა—ფანტი თვით ტულოსი აღმოჩნდა. „ოო, ოოო,—შესძახა ერთბაშად გამხიარულებულმა ვინსენტემ და დოქი მოუბრუნინა, — აბა, ყმაწვილო...“

ტულომ ორი ჭიკა ისე შესვა; იხტიბარი არ გაუტეხავს—„მანიც მწყურთა...“ მესამე ჭიკის დაკლამდე ყლაპვისას ცოტათი შეფიქრიანდა, მეოთხე ჭიკის მიყუდებამდე კი ქრწინით თქვა: „მმ, ჩემი ენა რა ვთქვი...“—რამაც საერთო მხიარულება გამოიწვია. მერე ტულომ დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, მეხუთე ჭიკის გამოცლა პატარა ხანს ედროვებინათ, ცალ მუხლზე დაჩოქება გაუჭირდა და თავი ძლივს დააღო მამიდა არიადნას მუხლს, რომელიც მამინევი გამომწვევად დაეკითხა:

—დაა, ამ ფანტიის, პატრონმა... რა ქნას?

—მაგ ფანტის პატრონმა... — შეფიქრიანდა ტულომ, გაბრაზებული იყო, — მაგ ფანტის პატრონი სკამზე აძვრეს და სამჯერ დაიყვიროს: „ვირი ვარ და ვყვირივარ...“

—ოო, შენ რა ვითხარი,—მარაო მსუბუქად დაჰკრა მამიდა არიადნამ, — ვისია? გადამავეიწყდა...

ორგროშინანი სენიორ ჯულიოსი აღმოჩნდა.

—ოჰ, არა, არა, —ხელი გაასვენსავე შემცხარმა ტულომ, თუმცა ცოტათი ეშმაკურად კი ეღიმიებოდა, —თქვენ როგორ გაკადრებთ ამის თქმას, აჰ, არა, არა, ცოცხალი თავით...

—თამაში თამაშია, —ღირსეულად წარმოსთქვა სენიორ ჯულიომ, —რადგან აცყევით, ახალგაზრდებს, კიდევაც უნდა ვაგო პასუხი.

—ეგ ხომ პასუხი არაა—მაგის დამა-

ხება, — წაეშველა ტულიოს — კონჩეტინა.

— სწორედაც რომ მაგ თქმასის პასუხია, — ბუნდოვანი ორატორულებით წარმოსთქვა სენიორ ჯულიომ. ნაწყენი ჩანდა.

— მაშინ ერთხელ თქვით, ბიძია ჯულიო, — ხალისიანად შესთავაზა ტულიომ, — სამჯერ რა საქირია...

— აგრე იყოს, — დაეთანხმა ჯულიო და სკამზე ფრთხილად შედგა, — ერთხელ ვიტყვი.

და სამარისებურ სიჩუმეში სენიორ ჯულიომ დინჯად, ამაყად თქვა:

— სახედარი ვარ... და ვყვირივარ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

„და — ამის თერთმეტი საათია და ყველაფერი რიგზეა —“, — მოისმა შორიდან.

— აბა, აბა, განვაგრძოთ, — ხალისიანად შესძახა მამიდა არიადნამ, — ამ ფანტის პატრონმა... არ გამოიხედო, შეეშაჯო... რა ქნას?

— მაგის პატრონი... მაგის პატრონი მაგიდის ქვეშ გაძვრეს.

დრაკანინი იყო. მწვანე ტანსაცმლიანმა უმწეოდ შეხედა ყველას, მერე მუხლებზე დადვა, მოიკეცა და მაგიდის მეორე მხარეს რომ ამოჰყო თავი, დიდი მხიარულება შეიქმნა — ოო, ოოო...

— და ამის პატრონმა რაღა ქნას? — ძველებურად, ცბიერადე დაეკითხა მამიდა არიადნა, — ნუ იყურები-მეთქი, ახლავე დახუტე თვალები!

— მაგ ფანტის პატრონმა...

— აჰ, შეიცადე, შეიცადე, სდექ. ეს ხომ პატივცემული დულიოს ფანტია, ხომ თქვენია, მითხარით, მითხარით, მიპასუხეთ რაა...

— დაეუშვათ, დაეუშვათ, — გაიბადრა დულიო.

— მოლა, — მამიდა არიადნა ისე სწრაფად წამოდგა, ტულიომ კინაღამ ბრაგვანი მოადინა, — პატივცემულმა დულიომ რაიმე ამბავი უნდა გვიამბოს...

— ნამდვილად, ნამდვილად, — შესძახეს მხიარულმა ქალიშვილებმა.

— კი მაგრამ... ასე როგორ, — ოდნავ

გაპირვეულდა დულიო, — ასე საგანგებოდ... უფანტოდ.

— თქვენ ფანტი რად გზნდნენ თქვენ ისეთი არაჩვეულებრივი ამბები იცით...

— გვიამბეთ, გვიამბეთ, დულიო, — ღირსეულად წარმოსთქვა სენიორ ჯულიომ, — თქვენ ისე შესანიშნავად ჰყვებით...

— კი მაგრამ, ყველა თანახმაა? — იცითხა დულიომ და მუცში საგანგებოდ ჩაახველა.

— ყველანი, ყველანი თანახმანი ვართ — შესძახა მკერდზე ხელგმობულტუტულმა მამიდა არიადნამ, — ოღონდ რაიმე ისეთი, თვალზე ცრემლი რომ მოგვადგეს...

— უბედური შემთხვევა? — გაიკვირვა დულიომ, — ასეთ საზეიმო ვითარებაში? აჰ, არა, არა...

— აჰ, არა, არა, — ხელები გაასაესადა მამიდა არიადნამაც, — რაიმე კეთილშობილური — ისიც ხომ ცრემლს გვევრის... სიხარულისას.

— სწორია, სწორია, — წარმოსთქვა ჩაფიქრებულმა დულიომ და უცებ გახარებულმა ასწია თავი, — ოო, ერთ დამაფიქრებელ, კეთილშობილურ ამბავს გვიამბობთ...

— დიახ, დიახ, უმორჩილესად გთხოვთ, — წამოიძახა ვისენსტემ, საყველო შეზნეული ჰქონდა.

და დულიომ, როგორც იყო, ოთახში გაიარ-გამოიარა, მოჭუტული, შთამავონებელი მზერა ფანჯარას მიაპყრო და იმ სიჩუმეში ასე დაიწყო:

— ნამდვილი ამბავი. რამდენი რამაა ხანდახან თითოეულ წინადადებაში — სიკეთე, ბოროტება, სასოება — ყოველ წინადადებას ჩაკვირვება უნდა, რადენი რამ იმალბა უბრალო სიტყვების მიღმა. აი, თუნდაც გამოთქმა: „ვერ იმღერებს ყვავ — ყორანი იადონის ხმაზე“

— ამ წინადადებაში ნებისმიერი სიტყვა უბრალოა, სამაგიეროდ რამდენ რაიმეს მიგვანიშნებს, ყოველნიერ აღამიანს მიუღებდა. თუმცა, მთავარი ამბიდან გადავუხვიე, მაშ ასე — რამდენიმე ხნის



წინათ, განათხულებზე, როცა ხეები თეთრად და ვარდისფერად სააშურად აფეთქდებიან, ერთ ქალსა და ერთ კაცს ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ისინი დაახლოვდნენ, ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ლელის პირას, ჭორჭა და ხახახასა მდებარეობდა, და ამ ანჯარა ნაკადულის ჩუხჩუხში კაცი ქალს სიყვარულს ეფიცებოდა, იგი კი... იმას კი ლაწევები შეუფუკვლდებოდა და ასე უსმენდა, მერე წამოდგებოდნენ და ქალაქში ბრუნდებოდნენ, თუკი შეიძლება ასე გამოითქვას.

—როგორ არ შეიძლება, როგორ არ შეიძლება, — შესძახა მამიდა არიანდამ, — განაგრძეთ რაა, დეილიო...

—ქალაქში თავიანთ სახლებში მიდიოდნენ და გულისხანცქალით ელოდნენ გათენებას, დილით კი ხელ-პირს დაიბანდნენ და მერე ისევ ზედებოდნენ ერთმანეთს. ბოდიშს ეიხდი გამოთქმისათვის, მაგრამ უნდა ვთქვა — კაცი ისევ უამბობდა მას თავისი გრძნობების შესახებ და ქალიც უსმენდა, შემდეგ კი ისინი დაქორწინდნენ. ორივე კარგი ადამიანი იყო.

— შესანიშნავია, შესანიშნავი, — წამოიძახა მამიდა არიანდამ, — მერე, მერე?

—და სწორედ ამ ქალს ძალიან უყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე. სიმტკბილობაში ვავიდა რამდენიმე დრო. მეუღლე კარგი ჰყავდა და ქალი ძალიან ამაყობდა ამ გარემოებით, მაგრამ უცერად ქალმა თანდათანობით შეატყო, რომ ქმარს სხვა უყვარდა. ყოველი შემთხვევისათვის, ქალმა მინც დაახუსტა ეს მეტად სასოწარმყვეთი ამბავი და რომ დარწმუნდა მისი ეჭვი საფუძველს არ იყო მოკლებული, აღარ იცოდა რა ექნა... მეუღლის თანდასწრებით იგი არაფერს იმჩნევდა, მაგრამ მარტოდ რომ დარჩებოდა, სულ მდუღარე ცრემლებით სტიროდა; სახლის წინ კი, ბაღში, გრილი შადრევანი სჩქეფდა, ისინი ძალიან კარგად ცხოვრობდნენ, სხვათა შორის, მშვენიერი ბაღი ჰქონდათ, ჩვე-

დმეტი ბროწეულის ხე და ოცდაათქმეტი ნუშისა და ქალი.

—რამდენი და რამდენი?

—ჩვიდმეტი და ოცდაათმეტი.

—ამ, რა კარგი რიცხვებია, — შესძახა მამიდა არიანდამ, — მერე, მერე? განაგრძეთ...

—და ქალი ხშირად სტიროდა. ამას დაემთხვა თავის ტკივილები, უძილო ღამეები...

—საშინელება...

—არადა, ხედავდა რომ ქმარიც იტანებოდა — იგიც პატოსანი ადამიანი იყო და სინდისი ჰქნენიდა. და დაფიქრდა კეთილი ქალი: „ორივენი ვწვალობთ... რატომ უნდა ვიწვალოთ ორივემ... დაე, იწვალოს მხოლოდ ერთმა...“ და იცით, როგორ მოიქცა?

—არ ვიცით, არა, ჩქარა გვიამბეთ, დეილიო, ჩქარა გვიამბეთ...

—ეს ისტორია მე ტყუილად კი არ დავიწყე იმიტ, რომ ქალს ძლიერ უყვარდა თავისი კანონიერი მეუღლე. და აი, რა ჰქმნა: მივიდა ქმართან და ეუბნება — ტყუილს, რა თქმა უნდა — აღარ მიყვარხარ, მე აღარ შემძლია შენთან ცხოვრება, მე სხვა მიყვარს... და წავიდა, გავცალა... სხვა ქალაქში. წარმოგიდგენიათ?

—ეს გმირობაა, — თქვა მამიდა არიანდამ და თვალები ვარდისფერი ცხვირსახოციტ შეიმშრალა, — მხოლოდ ქალს შეუძლია გაიღოს ამდაგვარი რამ.

—ეს ადამიანობაა, — დაახუსტა დეილიომ, — ნამდვილი, რთული და შინც უბრალო ადამიანობა — იგი ისე მოიქცა, რომ საყვარელი ქმარი იმ ქალთან დასტოვა და თანაც ისე მოიქცა, რომ ქმარი სინდისსაც არ დაექნენა — სხვა მიყვარსო, ასე თქვა მან.

—შესანიშნავია, შესანიშნავი ამბავია.

—რა თქმა უნდა, — დამოწმა დეილიო, — მეტად საგულისხმო ამბავია და განა ყოველი ქალი შესძლებს ამას? განა ყოველ ქალს მიუწვდება ასეთი საქციელის ჩასადენად ქეუა, გონება და ჯანმრთელობა? ამიტომ ამ ისტორიის

დაწვევამდე ტყუილ-უბრალოდ კი არ გამახსენდა გამოთქმა: „ვერ იმღერებს ყუფე-ყორანი იადონის ხმაზე.“

—ნამდვილად, ნამდვილად, —სტუმრებს აღტაცებული მხერა მოავლო მამიდა არიადნამ და იმ უკბილო კაცის დანახვაზე, ხანდახან დასშულად რომ იღიმებოდა, განცვიფრდა, —რა მოწყენილი სახე გაქვთ, ნუთუ არ მოგეწონათ ამბავი?

იმან ვაუბედავად შეხედა და მხრები აიჩეჩა.

—როგორ, —განცვიფრდა მამიდა არიადნა, —არ მოგეწონათ?

კაცი შეწუხდა, თავი ჩაღუნა და თქვა: —რალაცნაირად, ყურს არ გიგდებდით.

—ჰმ... —გულმოსაკლავად ჩაიციხა მამიდა არიადნამ და წერილი წარბები აწვიკა. —უცნაურია, უცნაური—ყოველდღე კი არ გვესმის ამდაგვარი გამორჩეულად ამალღებულები რამ, —და ერთიან ღიმილად გადაიქცა, —დიდი მადლობა, პატივცემულო დეილიო, დიდი მადლობა...

—არაფრის, არაფრის...

—ახლა კი განვაგრძობთ: განვაგრძობთ, არა? მოდი აქ, შე ეშმაკო... დამადე თავი... და ამის, პატრონმა, რა ქნას?

—მაგის პატრონმა ეღმონდოს აკოცოს! —სწრაფად დაიძახა ტულიომ.

ფანტი, რა თქმა უნდა, ცილიოსი აღმოჩნდა.

—კაცმა კაცს რომ აკოცოს, რა დიდი ამბავია? —იკითხა მხრებაჩეჩილმა მამიდა არიადნამ, —მოდიოთ, სხვა რავე ჩავუთქვათ...

—ალარ შეიძლება, —შეაკრად თქვა სენიორ ჯულიომ, —სხვას თუ არ გადაუთქვით, ეს ცილიო რალაა...

—ნამდვილად, —დაემოწმა დეილიო, როგორიც იყო, —ვაქცატა კონა იშვიათად მინახავს, ხოლო, ბატონებო და ქალბატონებო, ქალისა და ვაჟის კოცნის მოვლენას კი ინტერესი დაეკარგა, ისეთი ხშირ-ხშირი ხასიათისაა. ჰა—ჰა...

—ოჰ, რა ვარგი ეუმორის გრძნობით

თქვით, —გადაიციესისა მამიდა არიადნამ და სული რომ მოითქვა, დანაბრა, —მე ისე ძალიან მიყვარს იუმორის გრძნობა...

—აბა, ცილიო...

და უცებ იმან დაიღრიალა:

—არ ვაკოცებებ!

—რა ვავეირებს, ცილიო, რა დაგემართა?

—რა დაემართა... რაშია საქმე?

—არა, არა, თავი დამანებეთ! სადაა ჩემი ქუდი!

გაკვირვებული ანტონიო თავის სიძეს მიაჩერდა, მაგრამ ვინსენტეს იმისთვის სად ეცალა—ისიც გაკვირვებული იყო.

—რა მოხდა, რაშია საქმე? —ხელები გაშალა სენიორ ჯულიომ, —ასეთი უმიზნო ყვირილი ნამდვილად არ შეშვენის ნამდვილ მამაკაცს.

აქ კი მამიდა არიადნამ ჰერისაკენ აღაპყრო მხერა და თქვა:

—ესაქო ნამდვილი მამაკაცი იყო.

—არ ვაკოცებ, არა, არა, —ხელ-ფეხს უცნაურად ასავსაევებდა ცილიო, —მავან სიცოცხლე გამიმწარა, მომშხამა, გაამიმწარა, გადამეკიდაა, მომსპოო!

—რა დაემართა...

—წყალი, წყალი!

—არიქათ, წყალი! წყალი ასხურეთ!

—დამანგრ-დამაქცია! არც ქუდი მინდა, არც არაფერი, თლონდ გამიშვით, ვა-ამიშვით-მეთქი!

ეღმონდო ჩაფიქრებული იღვა.

—სულ პიტნის ნაყენის ბრალია, —აღნიშნა სენიორ ჯულიომ, —ახალგაზრდაა, ალბათ ზედმეტი მოუვიდა.

—წვეთი არ ჩამსვლია პირში! —იყვირა ცილიომ და ჰრელი ყელსახვევი ჩამოიგლიჯა, — არ ვაკოცებ, არა, გამიშვით, არა-მეთქი!

და უცებ ეღმონდომ ვაშლის ნამცხვარს დააბჯინა მხერა და თქვა:

—პირობასა ვდებ, დღეის შემდეგ ხმას ალარ ვავეცე.

—ჰა? —იკითხა ცილიომ და ფართხალი შეწყვიტა.

— დღის შემდეგ ხმას აღარ გავცემ.

— მართლა, ედმონდო? — ორი ნაბიჯი გადადგა ცილიომ.

— მართლა, — უბასუხა ედმონდომ და მზერა ძლივს ააგლიჯა ნამცხვრის წებოვან ზედაპირს, — მართლა.

— შენ გაიხარე, ედმონდო, — შესძახა ცილიომ, ხელები გაშალა. გადაეხვია და აკოცა, — აჰათ, — საზოგადოებას მიუტრიალდა, — აჰათ, ხომ ავასრულე ჩემი ფანტი?

— კი, კი, ცილიო, ყოჩაღ...

საყელოგაღელიშმა ვინსენტემ ველარ მითმინა და აღტაცების ნიშნად ორი თითი ჩაიდო პირში და ისე საზარლად დაუსტვინა, ყურებზე ხელი იტაცეს. სტევან საერთოდ უზრდელობად ითვლებოდა ლამაზ-ქალაქში და დამორცხვებულმა ვინსენტემ თავისი ღილი შეიბნია, წამსვე შეიცვალა, თავი ჩაღუნა და დაბალის ხმით თქვა:

— მომიტევეთ, უღრმეს ზოდის ვიხდი.

საკვირველი იყო, ისე სწრაფად იცვლებოდა — ღილშებნეული სულ სხვა იყო, საყელოგაღელილი — სუთულ სხვა.

— და რახან ცოტათი გავეჩუტდი. — გამოაცხადა ედმონდოს პირობით აღფრთოვანებულმა ცილიომ, — აჰათ, დამატებითაც...

და დამატებთაც რომ აკოცა, ედმონდომ თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— ერთი კონცის შემდეგ, პირობისამებრ, ხმას არ გავცემდი, მაგრამ ახლა მეორედაც, ესე იგი შესარიგებლად რომ მაკოცე, მე წინააღმდეგი არ ვარ. და გინდა, ვიამხანავოთ კიდევ?

— აარა, — თქვა ცილიომ და თითები მკერდზე ბრახიანად აითამაშა, — აა... ააარაა...

— კარგი, დამშვიდდი, რა გაცახცახებს, — უთხრა ტულიომ, — ამხანავი ვის არ ჰყოლია.

— სუფრასთან, სუფრასთან, — გამოაცხადა დუღილიომ, როგორც იყო, —

თითო სადღეგრძელოც შევსებათ და ისე განეგარძოთ...

დარბაისელი სენიორი ჯულიუსი თქვეს. დიდის მოწინებითა და პატივისცემით, სიყვარულით შეისვა სადღეგრძელო და ვინსენტემაც მშვენივრად დაიწყო:

— დიდ ზოდის ვიხდი, ერთის წუთით ბატონებისა და ქალბატონების ყურადღებას ვითხოვ. — ასე დაიწყო ვინსენტემ; ღილი შებნეული ჰქონდა, — უანგარო სიყვარულითა და მოკრძალებით მსურს შევსვა ღრმად პატივცემული სენიორ ჯულიოს სადღეგრძელო, დიდება და გამარჯვება. იმდენად, რომა... — მაგრამ აქ ღილი შეიხსნა, თითებით მოისრისა დაბუქებული ყელი, ღრმად შეისუნთქა, მერე ხმაურით ამოისუნთქა და განაგრძო, — მოკლეთ, გაგიმარჯოს ჯულიო, კარგა იყავი, კამეჩის ჩანი მოგცეს...

მამიდა არიადნამ საჩქაროდ თქვა:

— ეე, ხომ არ... ეე, ეგება განეგარძოთ ფანტის თამაში, ჰა?

— დიას, დიას, — ტაში შემოჰკრა ერთ-ერთმა ცელქმა ქალიშვილმა, — ეს ისეთი კარგიაა...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა — თან ნამცხვრები ეჭამოთ და თანაც ღრო გავატაროთ, არა? გთხოვთ, გთხოვთ...

— მე რო არ დამიღვია? — იკითხა ანტონიომ, გვარიანად შეწითლებული იყო. დიდი, მრგვალი, გამობურცული თვალები სენიორ ჯულიოს მიაპყრო და უთხრა: — ეს გაგიმარჯოთ, ჯულიო ბიძია, კაი ბუღას ჩანი მოგცეს...

— ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, — თქვა შეფიქრიანებულმა მამიდა არიადნამ, — ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითაც... აბა, ტულიო, მოდი აქ — ამ, ფანტის, პა-ატრონმა — რა ქნას?

— მაგ... ფან... ტის... პატ... რო... ნ... მა... — დაფიქრდა ტულიო, — მაგ... ფან... მაგიდაზე იცეკვოს!

— შესანიშნავია, შესანიშნავი! ვოსია?

ანტონიოსი აღმოჩნდა.

— მაგიდა მოასუფთავე, კონჩეტინა, — დაიძახა მამიდა არიადნამ და გავიკრეფებულმა მოავლო თვალი ოთახს, — კონჩეტინა, კონჩეტინა! ნეტავ რა იქნა...

მწვანეტანსაცმლიანი, დომენიკო, ვაოცებული შესცქეროდა ყველას. თავი დაუშობდა, თვალებს ძალას თუ არ დაატანდა, ყოველივე ორდებოდა. დიდხანს იფიხლა, მერე დაიღალა და ჩათვლიდა. მხიარულმა შეძახილებმა შეაკრთო, თავი ასწია, და ის თმაგაპრიალეზული დაინახა — ვიდაცას კოცნიდა — ჰო, ედმონდო ერქვა. თავაზიანმა ყმაწვილმა საყულოზე დილი შეიხსნა და ერთიანად გამოიცივალა, მერე „კონჩეტინა, კონჩეტინაას“ ძახილი ატყდა და საიდანღაც ნაზი, გამხდარი ქალიშვილი გამოიყვანეს, ნამტირალევი სახე ჰქონდა და ყველა მიესია, ის კი იძახდა — „არა, არა, არაფერია...“ მერე სუფრაზე შეხტა ვიდაც დიდთავა, მრგვალთვალეობა, ჰო, ანტონიო და იმ თავისი მოუქნელი, უშნო ხტუნვით იატაკზე ჩამოდებული ჰურჭელი ააცახცახა. ვინსენტემ დილი შეიზნია და მკაცრად შესთავაზა მაგიდიდან ჩამოსვლა, ანტონიო ერთხანს უაზროდ მიაჩერდა — თვალები უელამდებოდა. მერე იცნო და ჩამოხტა, დომენიკოს გვერდით დაჭდა და ერთმანეთს გაკვირვებულებმა შეხედეს, ანტონიომ უყურა, უყურა, რაღაც წაიღუღლუდა, ნიკაპი მკერდზე ჩამოუვარდა და დაიძინა. აი ის, ვის ქედშიაც ფანტები ეყარა, უთუოდ ღირსშესანიშნავ ამბავს ჰყვებოდა, რადგან დარბაისელი სენიორ ჟულიო დიდის გულისყურით უსმენდა, მერე ყველამ ტაში დაუჭრა, მამიდა არიადნა კი ამაყად იღიმებოდა, თავს უკან სწევდა და დაკვირვებულ ყელს მარათი ინიავებდა.

მერე იყო და, საოცრება მოხდა — აი იმ უკბილო კაცმა, დახშულად რომ იღიმებოდა, რაღაც მრგვალი და გრძელყელიანი საკრავი გულზე მიიღო, თავი უკან გადააგდო, თვალები

დახტვა და სიმებს ფრთხილად ჩამოყოლა თითი. ჰაერი ათრთოლდა სწორედ ლივეს ნაზად მიეხალა რადგან უხნილად, გაბრუებული დომენიკო ველარაფერს გრძნობდა, გარდა აუარება უცნაური ხმისა, და როცა კაცებმა წელზე ხელი მოხვიეს გრძელკაბიან ქალებს და ოთახში დაბზრიალდნენ, გაოგნებული შესცქეროდა ყველას და უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასე სახალხოოდ, ასე საქვეყნოდ ქალისთვის წელზე ხელის მოხვევა და ის კაცი კი, საკრავმიხუტებული, ვერც ვერაფერს ხედავდა ალბათ, რადგან თავი ისევე უკან ჰქონდა გადაგდებული და თვალებიც ისე მაგრად, ისე ღონივრად დაეხუტა და მერე კი, ეშხში უფრო რომ შევიდა, ყოველივე გადააიწყდა, ტყვიელამდე მიღწეულმა ნეტარებამ მთელი სახე დაუმანჭა და ტუჩებიც გაწეწა და წითელი ღრბილებიც კი გამოუჩნდა, მაგრამ მაინც არ იყო მისი დანახვა უსიამო, ის კი არადა, სასიამოვნოც გახლდათ — რაღაცნაირად, მართალი იყო.

იმ საკრავს სულად ფრინველი ჰყავდა — ხან დიდ ფრთებს გაიქნევდა ოთახში, ჰაერში გორგზად ტივტივებდა და მალლიდან ამაყად დასცქეროდა ყველას, მერე პატარა, შემოვიწვებულ ბელურასავით მოიბუზებოდა და, მოწყენილი, კუთხეში საბრალობლად მიიყუებოდა, უცებ იმ ფრინველად გადაიქცეოდა, ყველაზე უცნაური ფრენა რომ იცის — ყორნად, და ხანტი ფრენისას თავბედურად დასცქეროდა ყველას, მერე ოთხკედელშია გამოიწყვდეულ, დაფეთებული მერცხალივით თავით ეხლებოდა ფანჯარას, მაგრამ ვერას ხდებოდა, სანამ ყველაზე ნამდვილ ფრინველად — წეროდ არ გადაიქცეოდა და, ისარივით გაჭიმული, ზუზუნით არ გააპობდა ჰაერს. ჰეე, უცნაური ფრთოსანი იყო — ხან მიიმედ დაბაჯბაჯებდა, ლურჯ-მწვანედ აბზინებოდა, დიდებულად გაშლილი კუდით, ხან თეთრ, გრძელყელა გედვიით მსუბუქად იჭდა წყალზე, ხან გამალებული იენკებოდა და შიშით აცეცებდა თვალებს,

მერე ყველას ფერხით მლიქვნელად დაზრიალდებოდა და თითქოს მორჩილი, გაუბედავი, წამსვე შესილით აიჭრებოდა მალა—თვალთმაქცი, თვალთმაქცი! დაფეთებული აწყდებოდა დახშულ ფანჯარას, იქვე კი, გვერდით, ღია სარკმელს ვერ ამჩნევდა და გამწარებული დაბორიალებდა ოთახში — სულელი, სულელი! და როცა ძალაგამოცლილი ზმები ბრძმასავით აფათურებდნენ სავნებს, და წამიერი სიჩუმის დროსაც კი, სადღაც შორს, ძალიან მალა, სანამ ფრთებს ისევ დაიქნევდა, უხმო ირაოს აეღებდა ტორტმანა ჰაერში და უცებ ზედ სახეში მიაფრინდებოდა ყველას — თავხედი, თავხედი, და იმ თვალუბნებულ, თავგადაგდებულ, ტკივილნარევი ნეტარებისგან სახედამეპილ კაცს დიდი, მოკაუჭებელი ნისკარტით ღონივრად კორტინდა — ველური, ველური!

დომენიკო ქუჩაში მიდიოდა, აქა-იქ სუსტად ბეუტავდნენ ფარნები, არტუროს სახლი სადღაც იქით იყო, სახე უხურდა, მაგრამ გაუბედავად მიაბიჯებდა და შესცივდა, გააქროლა, განათებული სახლი დაინახა შორს, ოო, პო, არტუროსას ჰგავდა... იქითკენ წავიდა, გზად სხვა სახლი გადაეღობა, ფრთხილად აუარა და ისევ დაინახა სინათლე. ახლა უკვე ახლოს იყო, დამშვიდდა და ჰიშკარს რომ მიადგა, ვიღაცა ადგილს მოსწყდა და სიბნელეს შეერია, უკან დაახია, კედელს მიეყრდნო, გული შიგ ყელში უზავუნებდა. ჰიშკარს შეაცქერდა, სად წასულიყო... ეგებ სხვაც იყო ეზოში, ბუჩქებს ამოფარებული, გატრუნული, მომლოდინე, საით წასულიყო... ზურგსუკან ღამაზ-ჭალაქი იყო, ჩაბნელებული, ავად მთვლემარე... იქაც, ჭალაშიაც საშიში იყო წასვლა, არა, არა, ჭალა ყველაფერზე მეტად იყო საშიში... აჰ, ამ ეზოშიაც ვეღარ შეებედავდა, ვინ იყო, ვინ იყო... ოდნავ გადაიხარა, თვალუბნებულთაგან ერთი მიაჩერდა ეზოში ჩამოწოლილ სიბნელეს და ისევ მოესმა ნაბიჯების ხმა. კედელს აეკრო, ვიღაცა კაცი მოდიო-

და. ზედ იმ ჰიშკარს მიადგა და ფრთხილად კი არა, ხმაურით შეიჭრა. ეგება არტურო იყო! კი, კი, ნაღდად იმას ჰგავდა... კედელს ბეჭებით უბიძგა და შუა ქუჩაში გამოვიდა. კაცმა მოიხედა, მერე ნიაზე დარწმუნული ფარნის შუქმაც გადაუარა ორივეს და მაშინვე იცნო:

— შენა ხარ, დომენიკო?

— კი.

— შენს საქმენელად წამოვედი, — და გაიღიმა, — აქამდე სად იყავი?

— ტულომ წამიყვანა, კონჩეტინაობა იყო.

— კონჩეტინაობა... როგორ, კარასკეობთან იყავ?

— კი, აქ ვიღაცა იყო... ბნელში გაიქცა.

— გაიქცა? — გაუკვირდა არტუროს, — როგორ თუ გაიქცა...

— რა ვიცი... უცებ გაიქცა.

— და სულ არაფერი უთქვამს?

— არა.

— უცნაურია, — შეფიქრიანდა არტურო, — არ შეიძლება, რამე რო არ ეთქვა.

— რატომ... ვინ იყო!

— ჩვენი უგო, საწყალი... რომელიმე სახლს ამოიჩემებს და შორიდან გვემჭრება.

— კი მაგრამ...

— დიდი ამბავი — შეჩვეულები ვართ. მაგრამ შენ რატომ არ ვითხრა არაფერი...

— რა უნდა ეთქვა.

— რა ვიცი, ათასი სისულელე — დანის წვერზე ავაგებო და ამისთანები...

— რატომ უნდა ეთქვა.

— მე საიდან უნდა ვიცოდე, — მხრები აიჩეჩა არტურომ, — იმას მოჰკითხე... რა ვიცი, გიცია. არა, მართლა თვითონ ვაიქცა, თუ... ხომ არ გალახე?

— არა, არა, რას ამბობთ.

— უცნაურია, უცნაური, — გულისთ გაიკვირვა არტურომ, — ეგ არავის გაუჩინებს ხოლმე, პირიქით, ყოველთვის სხვებთან შეხვედრას ცდილობს.

— ეგებ სხვა იყო.

— ვინ იქნებოდა.

— რა ვიცი, ვინმე...

— არა, არა, შენს მოსაძებნად რომ გამოვედი, ერთი-ორჯერ მომძახა. შენი ღლეც დადგა, არტურო, შენი ღლეც დადგაო... ეგება შენდაუნებურად შეაშინე, თქმცა, მაგას არაფრის და არავისა ეშინია, — და ისევ ვუყვირდა, — მართლა გაიქცა?

— კი, კი, აბა რა...

— უცნაურია, უცნაური, — თავი გვერდზე გადახარა არტურო და ზოდ გამოგრკვა, თქვა: — შინ შევიდეთ, აქ როდემდე უნდა ვილაპარაკოთ... — ცოტათი უხეშად მოუვიდა და მაშინვე დააყოლა, — სენიორ.

### მესამე დღე, გასაირება

ძალიან ტყიოდა თავი. ყელი გამშრალი ჰქონდა, თითქოს გვალვისგან დახლეჩილი. კიდევ კარგი, მაგიდაზე სავსე დოქი იდგა. წამოდგა და პირზე მიიყუდა, — მაგრამ ჰერიდან კუშტად დააქვრდა ნაცნობი ლაქა. წყალი გადასცდა, ხველა აუტყუდა და მაშინვე არტურომაც თავი შემოჰყო — გაიღვიძო, სენიორ?

— კი. ახლავე ჩამოვალ.

— ვიცდიო, ვი-იცდიო, — ალერსიანად გაჰვიძა არტურომ.

რალაც ესიზმრა, ველარ იხსენებდა. კანაფის თავი რომ მოეძებნა და თითები ჩაეუღო. მაშინვე გახსნიდა იმ აწეწილ ვორჯაღს, მაგრამ ვერაფერს ჩასჭიდა ხელი. ის ბიჭი გაახსენდა, ბნელს შერეული, არა, არა, ის სიზმრად არ იყო... დაფიქრებული იცვამდა, კობტა, ახალი ტანსაცმელი სიამოვნებდა, ეგ კი იყო, წველებით იკრავდა ღიღებს. მწვანე ტანსაცმელი, მწვანე... „ამას ლურჯი უფრო მოუხდებოდა.“ — ასე თქვა დონიჯშემოყრილმა ქალმა, ტერეზა ერქვა... როგორ დადიოდა!

„გინდა, გაეცოცო? ოღონდ ლოყახე...“

კი, ასე ჰკითხა... რად არ მიუშვირა

ლოყა არა, არა, სირცხვილი იყო... თუმცა, თვითონ რა — იმ ქალს უნდა შერცხვენოდა. არა, არა, მანც სირცხვილი იყო...

აიღეწა, დოქი ისევ მიიყუდა პირზე. თეალები დახუჭა, ის გამაღიზიანებელი ლაქა რომ არ დაენახა, დოქიდან წყალი გადმოიღვარა, საკინქში ჩაუვიდა, მუცლამდე ჩაუღლოდა სიცივე. გაფრიალა, ხელისგული აისვა გარედან, ტანსაცმელზე. გათბა, დაწყნარდა, რალაც სიამოვნებდა, ჰო — „გინდა, გაეცოცო? ოღონდ ლოყახე...“

ლაქაზე სიარულს ცდილობდა, კიბე ჩაიარა, ოთახში შევიდა.

— გამარჯობათ, — უთხრა არტუროს ცოლმა, ეულალიამ, გრძელ კაბაზე ხელები წაივლო, ოდნავ გაშალა და მსუბუქად ჩაიბუხლა.

მაშინვე გაახსენდა, და ქუსლზე მაგრად მიიბუჯა ქუსლი, — გამარჯობათ, ქალბატონო...

მსუქანი ქალი იყო, არტუროსაგეთ წითელსოყება. შეიღაც ფრთად განმართულად გამოიყურებოდა — ნორჩი ჯანჯაკომო.

— როგორ გეძინათ, მშვენივრად გამოიყურებით...

— ეე... — დაიბნა დომენიკო, — აა...

— „გმადლობთ კარგად“ უნდა თქვა, — შეაშველა არტურომ.

— გმადლობთ, კარგად.

— ხომ არა გწყინს, აქაურ წესებს რომ ვასწავლი?

— არა, რას ბრძანებთ... მე რომ ხანდახან რამე გკითხოთ, თუ შეიძლება?

— როგორ არა, როგორ არა, ჩემო... მართლა, სახელი არც ვიცი შენი...

— დომენიკო... — და გავხარდა: „გინდა, გაეცოცო? ოღონდ ლოყახე...“

— მშვენიერი სახელია, მშვენიერი კარგი...

რა ქალი იყო...

ჩაფიქრებული იდგებოდა.

ნასაუზმევი, ქუჩაში გავიდა, ისე აღარ ტყიოდა თავი. ჯიბეში რვა დრამკანი ედო, კარგახანს ეყოფოდა. „ეჭვ-

სი ათასი, ექვსი...“ — სიამოვნებით გაიფიქრა და მაშინვე ჭალისაქენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მთვრალის ნაკვალევით ბილიკი იყო, მიხვეული, მოხვეული. გადაჭრილი ზე შორიდანვე შენიშნა, თვალი აარიდა — „არაფინ მიხედეს.“ ირგვლივ თუმცა ადამიანის ქაქუნება არ იყო, მაინც... ფრთხილად ჩაუარა, კარგა ხანს იარა, მერე შემობრუნდა, შორიდან უცქირა, დატკბა. მწვანე ხალათზე დაიხედა, გაიფიქრა — „ჰა?“ — და უცებ გაწითლდა — „არა, არა, მაშინვე მიხედება...“ მაინც წასტლია სულმა, არტუროს სახლისაქენ გაემართა, ჭიშკართან იწრიალა, „მიხედება, დამცინებს...“ და მაინც ჭიშკარს უცებ ფეხი ჰკრა, კარკი ზმართით შეაღო, ყურადღებადქცეულ არტუროს ორი დრაჰკანი გაუწოდდა და ასე უთხრა:

— თუ შეიძლება, ლურჯი ტანსაცმელი მომიტანეთ.

— ასეთი თუ... თუ ყველაზე კარგი?

— არა, ასეთი.

— ასეთი რაღად გინდა. შეგველება და ის იქნებოდა...

— არა, ახლა მინდა... ახლავე.

— შეგველება, რა იქნებოდა. ისე კი, როგორ გითხრათ, — ოდნავ აირია არტურო, — ჩემ ცოლს თავის ტკივილები... დიახ, ტკივილები... აწუხებს და თუ შეიძლება, ჩვენში წინასწარობა რა სათქმელია, მაგრამ ერთ დრაჰკანს თუ მომცემთ, შეგიღებავთ კიდეც და თქვენც ფულს გამოზოგავთ და ის იქნებოდა...

— არა, არა — უთხრა დომენიკომ, ფული ჰეშვში ჩაუღო, მერე ვიწრო ჯიბეში წვალებით ჩაიყო ხელი და უთხრა: — ჰა შენც, დრაჰკანი...

ტულიოს გვერდით მიაბიჯებდა, ისევ მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი. ლურჯი სამოსი თავის ოთახში მოირგო და უცნაურად გაიარ-გამოიარა, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა, და ისევ მწვანე ტანსაცმელში ამოჰყო თავი. ლამაზ სახლებს შორის მიმავალი, ძალიან ღელავდა, ტულიო კი გუშინ-

დელი მაგიდებისკენ აუხეინად მიიბიჯებდა და გამვლელ-გამომვლელს ეძიებოდა შილით უწევდა ხელს.

ქალს განზე გაედგა ფეხები, ღონიერად იღვა და ცისფერ სუფრას თავს შემოთ იფრიალებდა.

— გაგიფიქრებ, ტერეზა? — გაუყვირდა ტულიოს, — რა დღეში ხარ...

— ჩქარა მინდა გაშვრეს... ოჰ, მოიყვანე?

— კი. ისევე მოგწონს?

— არა, ცოტათი გადამიარა.

— მატყუებ, არა?

— გატყუებ, ჰო. ახლა რომ დავინახე, ისევე მომეწონა. როგორა ხარ, დომენიკო...

— მე, კარგად... გმადლობთ, კარგად.

ქალმა გაიცინა — მოიხარა, ხელი მუხლს შემოთ დაირტყა და წამში გაიმართა. ისე ლამაზად გამოუვიდა...

— დღეს გასწავლეს, არა?

— რა...

— ეგ პასუხი.

— დიახ.

— ჰეე, შტერო, — მიეალურსა, — სულელი...

გენაცვალებებს სჯობდა. მაინც ვინ იყო — ყველაფერი უხდებოდა. მერე ისიც სკამის კიდეზე ჩამოჯდა, დომენიკოს უყურა, დიმილით შეუთვალღიერა შუბლი, თხელი ცხვირი, ტუჩებიც მზერით შემოუხანა, მერე თვალეში რაღაც სიცელქემ გაუღვია და ალუწილი დომენიკო მაშინვე მიხედა, რაღაც საშინელს რომ ჰკითხავდა...

— შენ თუ მოგწონვარ?

— მე?

— შენა, ჰო...

— რა ვიცი... არ ვიცი, — და თავი აარიდა.

— მოგწონვარ! — გაეხარა ქალს, და ცისფერი სუფრა თავსაფარით შემოიხეხია. ყელთან კონტად ამოიყვია, წარბზე გაისუა ხელი, თავი ამაყად შემართა და, გაღიმებულმა, ფართო, ლამაზი კბილებით დაიტყვევა უდარდელი, ხმამაღალი სიცილი, — ასე უფრო არ მოგწონვარ?

— დიახ... — თავი დაიქნია დომენიკომ.

— და... — ფეხზე წამოდგა ქალი, ხელები განზე გაშალა, — ასე?

სუფრა წელზე მიიდო, ხელის ერთი მცირე, მკვეთრი მოძრაობით ვარცხნილობა ჩამოიშალა და მხარზე მოიგდო სქელი, მძიმე თმა, უფრო გაიმართა და თვალბრწყინი მიანახიანი, ორი წვეტიანი, საოცნებო ბორცვი, — და ასე?

ძლივასლა იჭდა. ერთხანს კინაღამ წამოხტა და გაიქცა, მაგრამ ამისი თავიც აღარა ჰქონდა. მერე ტერეზას ვედრებით ახედა და ქალი შეცბა:

— კარგი, კარგი, აღარაფერს გეტყვი... მაპატიე.

ერთხანს ტულიოს უყურა და ირიბად ახლენილ, მწვეანე თვალბრწყინში შექიჩაუჭრა, მერე კი ოდნავ აუბეჭეტდა — მალვით გახედა დომენიკოს.

— რა მოგართვიათ, ტულიო...

— ორი შუშხუნა, იფ...

— ორიო, შენ ამბობ? — იეთხა და ისევ აუკიფადა მზერა. იმან კი, თავიჩაქინდრულმა, თქვა:

— მე დღეს ვერ დაეღვე.

— რატომ? — გაუკვირდა ტულიოს.

— თავი მტკივია და...

— თავი გტკივია? — შეწუხდა ქალი,

— ძალიან გტკივია?

— არა, ისე...

— წაშალი გინდა?

— არა.

— გტუღვარ, დომენიკო?

— არა, რას ამბობთ...

— კარგი, ჰო, კარგი, ნუ გააგიფე...

— მართლა მეყოფა, — თქვა ტერეზამ, — თორემ გლახა ქალი ვეგონები. ერთი შუშხუნა... სხვა?

— სხვა არაფერი... ამას ერთი ქაფქაფა მოუტანე, მოარჩენს, მადლია... ისე, ტერეზა, არ იფიქრო, შური მალაპარაკებდეს — რატომ მოგეწონა?

— რად მომეწონა? — დაფიქრდა ქალი, თან დომენიკოს სწრაფად დახე-

და, — რატომ და... რატომ და... ახლავე მოვალ.

ისე უცებ გაგულგრილდა, დომენიკოს გული ჩაწყდა. ქალი შებრუნდა, გამართულმა, ამაყად დარწმუნულმა გადადგა ორიოდ ნაბიჯი და უცებ სიარულზევე შეეტყო, სახე რომ შეეცვალა, მერე მხარუჯულმა სწრაფად გამოხედა და დომენიკოს ორივე თვალი ერთდროულად, ალერსით დაუხეჭა, იმან კი მაშინვე აარიდა მზერა და ტულიოს უთხრა:

— ახლავე მოვალ.

საით წასულიყო, არც იცოდა. არადა, აღარ შეეძლო იმ ქალთან ყოფნა, სადღაც წყალი ხმაურობდა, იქითკენ წალასლასდა. აუზთან შეჩერდა, ის ბიჭილა აკლდა — ახალგაზრდა გიფი, უგო. ბიჭი ვიღაცას ემუქრებოდა, მაგრამ უცებ შეკრთა და დომენიკოს შეხედა. მაშინვე აიძურწა და მოკლე ჯოხიც კი, დანასავით რომ ეჭირა, იქვე დაავდო და მხრებაწურული გაეცალა იქაურობას. მოსახვევთან შეჩერდა, ერთხელ კი გამოხედა და მაშინვე გაუჩინარდა.

გუნება წაუხდა. ბიჭის თვალბრწყინში ისე უსიამოდ გაიკლავნა დონდლო, ნაცრისფერი თევზი... დაფიქრებული შებრუნდა, და მოსახვევთან ტულიოს წააწყდა.

— წამო, წამო, — ქალაქგარეთ მივდივართ... — და ამაყად გაიმართა, — დანახარჯი მე გადავიხადე.

— სად?

— ქალაქგარეთ, სასეირნოდ... ტერეზას მამა ცუდად შეიქნა, ალაგებულა ყველაფერი.

— ბევრი მიდიან?

— ისე, რა... ზოგიერთს იცნობ — კონტრეტინასთან იყვნენ.

— მეც... წამოვიდე?

— აბა რა, — გაიკვირვა ტულიომ, — შენ ამ ქალაქში უცხოდა ხარ და... როგორ იტყვიან? ჰო, ინტერესს წარმოადგენ.

— მართლა? — შეაკვირდა დომენიკო, — მართლა წამოვიდე?



— ჰე! — ხელი აიქნია ტულიომ, — როგორ თუ მართლა... თვით დუილიოც კი მოდის, ახალგაზრდების ხათრით.

და, შეფიქრებულმა, დაამატა:

— ტერეზა მართლა გლახა ქალი არ გვეგონოს; ყველანი ვუტრიალებდით, არაფერი გამოგვივიდა.

დომენიკო გაიტრუნა.

— ცილიოს წარბთან რომ ნაკვდევიაქვს, შეგიმჩნევია?

— არა.

— მაგან ჩაარტყა.

— ეგრე მაგრა?

— ჰიქა ჩაარტყა. თუ იცი, რატომ...

— არა.

— თვალი ჩაუტრა მხოლოდ.

— მხოლოდ — მაგიტომ? ეგ... ევეთია?

— აჰ! — ხელი აიქნია ტულიომ, — უბედურის ერთია, უბედური...

— აქვე, ახლოს უნდა იყოს წყარო, ბატონებო, — თქვა ვინსენტემ, საყულო შებნეული ჰქონდა, — დიადაც რომ გემრიელი და სასიამოვნო წყალი გულით...

— მშვენიერია, მშვენიერი, — გადაიხიესისა სილვიამ, — წყალს არაფერი სჯობს.

— თუკი გვეწყურია, — დააზუსტა დუილიომ, როგორც იყო.

ფოთოლცენა დაწყებულყო. მზიანი დღე იდგა, მშრალი ფოთლები ჰაერში ყოვნდებოდნენ, სვენებ-სვენებით მოფარებულნი დაბლა, უხარმაზარი, ყვითელი ფიჭვებით თოვდა ტყეში. კენწეროებზე ჩიტები ხშიანობდნენ, წინხდა ჰაერში ზვირთებდა იმსერეოდა ელურტული, მაგრამ ერთი უხილავი ჩიტი ნაღვლიანად უხმობდა სხვას, ავად დადუმებულყო ჩაშავებული ფულურა, ხავსუმორკალული.

— აიი, წყაროც, — შედგა ვინსენტე, — ვილაც მადლიანს ჰიქა დაუტოვებია.

— შესანიშნავია, შესანიშნავი, — წამოიძახა რომელიღაც ცელქმა ქალიშვილმა, — ისე მწყუროდანა...

— ვერ თქვენ შესვით, ბოლოს დავლევ მე, — თქვა ედმონდომ.

— აი, ნამდვილი ამხანაგი, — გამოაცხადა ტულიომ, — წარმოდგენა არა მქვს, ცილიოსთან რა გამოიხატე საერთო...

ედმონდომ ამაყად ჩაქინდრა თავი. მერე ფოთოლს ძლივს ააგლიჯა მზერა და ტულიოს მიმართა:

— თუ გინდა, ვიამხანაგოთ შენ და მე.

— არა, არა, რა შენი ღირსი ვარ, — თავი მოიკატუნა ტულიომ, — შენ ცილიოსათვის ხარ შექმნილი.

— შენ უფრო მომწონხარ მე.

— რა მოსაწონი მე ვარ, დღედაღამ შემშუნას სუნი ამომდის.

— გამოგასწორებ.

— თავი დამანებე, ვილაცა ხარ, — მობეზრდა ტულიოს და ჩაეცინა, — მომწონხარო... არ დამიწყო არმეი? ტყეში...

პირი რომ გაისველეს, მხიარული ქალიშვილები ერთბაშად გამკაცრდნენ და საქმიანად ამოალაგეს ტრელი, ლამაზი ჩანთებიდან საუხმე. მოლზე ფერადი სუფრა გაფინეს, ზედ დაალაგეს ცივად მოხარშული ხორცი, ყველი, მწვანილი, ათასნაირი ნამცხვარი, შემწვარი ქათმები, „იფ, იფ, — იძახდა ტულიო, — ყველაფერსა სჯობს...“ ვაყები და დუილიო გემრიელად იღეჭებოდნენ, მზიარული ქალიშვილები კი ნახად, ნეკა თითებაბზეკილნი იციკნებოდნენ, ნება-ნება. ერთმა უცნობმა ჩველმა კი, რომელიც ძალით მიეტმანსა საზოგადოებას, და რომელსაც კუმეოს ეძახდნენ, სულ მოასუფთავა ყველაფერი, სადამდეც ხელი მიუწვდა. ხარბად, თქლავა-თქლუფით საუხმობდა და ტულიოს სხვაგან გადაჯდა, ყველა ინტერესით შეაკვირდა იცოდნენ, აუცილებლად რომ იხუმრებდა და ტულიომაც თქვა: „მაგის გვერდით ჯღომა საშიშია, შეიძლება უცაბედად მკლავი მომაჭმოს“. ყველამ გაიცინა, კუმეომაც ძალუმად გადაიხარხარა, მერე მუხლებზე დადგა, გადაიწია, გადაიხიქა და შემწვარი ქა-

თამი ორი თითით დაითრია. დელილოს მომცრო ჭიქა პიტნის ნაყენით შეუფსეს და იმანაც საზეიმო ხმით შესვა შორეული მარშალ ბეტანეურის სადღეგრძელო. აღამიანისა, „ვისი ფიქრა და ოცნება მუდამ თავს ევლება ჩვენი მიტოვებული ქალაქის ხალხს;“ ხოლო გამძღარმა კუმეომ უცებ ერთ ჩაფიქრებულ ქალიშვილს წვივზე სტაცა თითები და ძალღვივით, საზარლად შეჰყუდა, გულგახებთქილ ქალიშვილს წყაროს წყალი აკურეს და ძლივს მოიყვანეს გონს, დელილოს კი სახე გაუნათდა და ეტყობა, სულ სხვას ფიქრობდა, რადგან თქვა: „წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ!“

— შესანიშნავია, შესანიშნავია, — შესძახა სილვიამ, — ეს ზომ ნამდვილად ერთსტრეკონიანი ლექსია.

— თანაც კეთილშობილური მიზნით, — დაახუსტა კონჩეტინამ.

— გმადლობთ, კონჩეტრა, ჩემო პატარავ, — თქვა დელილომ, — შენ კარვად ჩასწვდი ამ ლექსის არსს: კეთილმა აღამიანმა სხეების საკეთილდღეოდ წყაროსთან ჭიქა დატოვა, სხვათა საიმებლად, ჩვენ კი ჩვენც კეთილები, ჭიქას კი არ გავტებთ, არ დავამსხვრევთ, და მითუმეტეს, კი არ მივისაკუთრებთ, არამედ ვიტყვი: „წყაროდან ჭიქას... ნუ წამოიღებ!“

— აჰ, კარგია.

— კარგია, კარგია.

— მართლა კარგია.

— როგორ თუ „მართლა?“ — ეწყინა სილვიას.

— მართლა, აბა ტყუილა? — გასერიოხულდა კუმეო.

მერე შეისვა მარადებრებელი მამიდა არაღნას სადღეგრძელო, ვინც ასაკისა გამო ტყვენი სასიეროდ წამოსვლა ვერ შესძლო, მაგრამ კონჩეტინას მშვენიერი ნაყენები გამოატანა. შეისვა სხვა სადღეგრძელოებიც, ყველა არხეინად

სვამდა, მამაკაცთაგან მხოლოდ დელილომ იკავებდა თავს. ოდნავ შემხრდნენ, და კონჩეტინა უცებ ატირდა. „რა იყო, რა იყო ჩემო კარგო,“ — უთხრა სილვიამ და ვარდისფერი ცხვირსახოცით შეუშპრა ღაწვი, ანტონიომ იმ არწამოსადები ჭიქით მიტრბენინა წყალი, ყველა შეშფოთდა. „რა იყო, რა მოხდა,“ კონჩეტინა კი, თვალბეზვ ცხვირსახოცთაფრებელი, ნაზად იძახდა: „არა, არა, არაფერია...“ მერე ტულიომ ხელი ფაქიხად ჩამოაშვებინა სახიდან და ისე სისაცილოდ დაეკვანა, კონჩეტინამ გაიღიმა და გახარებულმა ტულიომ თქვა: „თან ტირი და თან იცინი... მზე პირს იბანს.“ „აჰ, პოეტური იყო, — აღნიშნა დელილომ, — ყოჩაღ; მე მუდამ მჭერა ახალგაზრდობის“. ყველა კარგ გუნება-განწყობაზე დადგა, კუმეომ ნამცხვრის დიდი ნაჭერი გაიქანა პირში, და მზერაამღერეული ანტონიოც საცეკვაოდ განემზადა, მაგრამ კონჩეტინამ მოითხოვა: „დელილო ბიძია, გვიამბეთ რა, რამე...“ ხოლო დელილომ, როგორც იყო, თქვა: „არა სჯობია, შეკითხვები დაესვა?“ და ყველამ უბასუხა: „ღიახ.“

დელილო, ჩაფიქრებული, ერთი ხიდან მეორემდე ბოლთასა სცემდა და დამკნარ ფოთლებს აშარიშვრებდა, სხვები მოუთმენლად ელოდნენ შეკითხვებს, კუმეოს გარდა, რომელიც ისევ იღვებოდა. დელილო კი მხარ-თეძოზე წამოწოლილ ახალგაზრდებს მიუახლოვდა და იკითხა:

— აი თქვენ, თქვენ, ანტონიო — გიყვართ თუ არა, თქვენი საქმე? გკვრიოთ თუ არა იგი სიამოვნებას? და თუ არა — რატომ?

— ჰე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, — თქვა ანტონიომ, — ჩავაგდებ თეთრ პერანგს ქვაბში, ვადუღებ, ვადუღებ — წითელი ამოდის. მერე ჩავაგდებ ყვითელ ხალათს სხვა ქვაბში, დუღდება, ვადუღებ, ამოვიღებ — ცისფერი ამოდის. ჩავაგდებ...

—რატომ ტიროდი?—ხმადაბლა და-  
ეცითხა სილვია კონჩეტინას.

—არავის ეტყვი?

—არა.

—შე მგონი, ვინსენტეს ვუყვარვარ,  
ის კი ცოლიანია და მისი ცოლი მეცო-  
ლება.

—რა იცი...

—რა რა ვიცი...

—რომ უყვარხარ.

—ნამცხვარი შემომთავაზა.

—და გუშინ რატომღა ტიროდი?

—ანტონიოსაც ვუყვარვარ.

—რა იცი?

—რა რა ვიცი?

—რომ უყვარხარ...

—ცეკვა არ იცის და ჩემი ხათრით  
მაინც იცეკვა.

—შესანიშნავია, შესანიშნავი, ყოვე-  
ლი საქმე მშვენიერია,—თქვა დელილი-  
ომ, როგორც იყო, — და სიამოვნებას  
რატომღა გგვრით?

—პურს შავითა ვკამ. თანაც, ბევრი  
მუშაობა კი არ უნდა,—გამხიარულდა  
ანტონიო, — ჩააგდებ, ამოიღებ, მზად  
არის, ჩააგდებ, ამოიღებ, მორჩა—თავი-  
სით იღებება.

—პოო,—დაფიქრდა დელილიო, —ვი-  
საც თავისი საქმე უყვარს, იგი შესანი-  
შნავ წარმატებებს მიაღწევს, ხოლო ეს  
—კარგია. აბა, ახლა შენ, ვინსენტე—  
რა ოცნება, მიზნები და მისწრაფებანი  
გაქვთ მომავლისათვის?

—შე მინდა,—ამაყად შემართა თავი  
ვინსენტემ, — ყოველთვის გახლდეთ  
თან მდიდარი და თანაც კულტურული  
ანტელიგენციის წარმომადგენელი.

—ხომ ვთქვი, ვუყვარვარ—მეთქი,—  
წასჩურჩულა კონჩეტინამ მეგობარს.

—მშვენიერია, მშვენიერი, —აღნიშ-  
ნა დელილიომ,—ოღონდ ფულს ხომ კე-  
თილშობილურ მიზანთა მისაღწევად  
გამოიყენებ?

—ღიახ, ღიახ, უცილობლად, —თქვა  
ვინსენტემ, ღილი შეიხსნა და დაამატა,  
— კარგია, მა რა... კარგი, — ჩაფიქრდა

დელილიო, — აბა ახლა შენ, ჩემო... რა-  
რა კონჩეტინა — ვინ მგაბიჯებდა...  
ნი იდეალების გმირად და რატომ?

—ჩემი იდეალების გმირად,—თქვა  
კონჩეტინამ,—შე მიმარჩია მამიდა არი-  
ანდნას მეორე ქმარი—ბიძია ვასკო. შეი-  
ძლება, ავხსნა—რატომ?

—რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, კო-  
ნჩეტინა,—მიუგო დელილიომ, ცო-ოტა-  
თი ნაწყენი ჩანდა.

—შე თუმცა არასოდეს მინახავს იგი,  
რადგან მაშინ არც ვიყავი ამქვეყნად  
მოვლენილი, მაგრამ ბევრი მსმენია მას-  
ზე. თურმე როცა ყველა ამბობდა: „კი,  
ბიძია ვასკო იტყოდა: „არა.“ ხოლო  
როცა ყველა აღნიშნავდა: „არა,“ ბიძია  
ვასკო მიუგებდა: „კი.“ და, საერთო-  
დაც, თურმე იგი ნამდვილი მამაკაცი  
იყო.

—პოოო, —გააგრძელა დელილიომ,—  
თუმცა მეც არ ვიცნობდი სენიორ ვას-  
კოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ  
იგი ნამდვილად თავისებური ადამიანი  
იყო, ხოლო ეს კარგია. პოო... აი თქვენ,  
თქვენ, ედმონდო, რამელი საკაცობ-  
რიო იდეალები გზიბლავთ ყველაზე მე-  
ტად?

—ყველაზე მეტად ამხანაგობა მზიბ-  
ლავს მე,—თქვა ედმონდომ.

— შესანიშნავია, შესანიშნავი, —ენ-  
ერგიულად დაეთანხმა დელილიო, აღფ-  
რთოვანდა, —ამხანაგობას ხშირ შემთ-  
ხვევაში მოჰყვება ურთიერთსიყვარუ-  
ლის ატმოსფერო და სერიოზული ვალ-  
დებულებანი. მე მყავდა ერთი ამხანაგი,  
რომელიც ამასთანავე ხელოვანი იყო,  
და ეს თანამეგობრობა ახალი შემოქმე-  
დებითი გამოცდილებით გამდიდრდა.  
ჩვენი ამხანაგობა მძლავრი ნაბიჯებით  
მიდიოდა თვალსაჩინო მიღწევებისკენ.  
ქვეშაობით ამხანაგობა შორს გაიგდებს  
სახელს და მეგობრობის შუქით გაცი-  
სკროვდება. და, საერთოდაც, ადამიან-  
თა მეგობრობას მოჰყვება დადებითი  
შედეგები.

—ხოლო მე არ მიყვარს იგი, —ისევ  
წასჩურჩულა სილვიას კონჩეტინამ.

—ახლა კი, თქვენ, არა, თქვენ კი არა, არა, თქვენ, არამედ თქვენ, —თითი მი-  
აბჯინა დელილიომ კემეოსს, რომელიც  
ემალებოდა, — რას უფრო აფასებთ  
თქვენი თანატოლების ბუნებაში —ფი-  
ზიკურ ძალას, გონებრივ მონაცემებს,  
რაც საწინდარია ღირსშესანიშნავი გა-  
მარჯვებებისა, უპ, დაცხა ხო იცი, თუ  
ნამდვილად აღამიანობას, ანუ პირდაპირ-  
ობას, რომელიც ჩვეული ოსტატობით  
ძერწავს სათქმელს?

—მე არა?—თითი მიიღო გულზე კუ-  
მეომ, უცებ შეიცვალა, გაამაყდა, — მე  
მგონია, რომ აღამიანი უნდა იყოს ჰკვი-  
ანი, გონიერი, პირში მთქმელი, და თუ  
ლონიერიც იქნება და ფულიც ექნება  
ჩიბეში, ამით არაფერი დაშავდება.

—აბა, —კიდევ უფრო გაიძარტა დე-  
ლილიო, —ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ  
აღამიანი უნდა იყოს ბევრი დადებითი  
თვისებებით შემკული?

—ღიას, შემკული.

—თქვენ ვინდათ თქვათ, რომ შემ-  
კულ-აღმურვილი, არა?

—ღიას, ღიას.

—შესანიშნავია. კარგი აღამიანი მუ-  
დამ გვხვბლავდა და მომავალშიც ვაგ-  
ვახარებს.

—ისე კი, მე არ შემხვედრია ნამდვი-  
ლად კარგი აღამიანი...—ისევ წასჩურ-  
ჩელა სილვიას კონჩეტინამ.

—არა? და დელილიო ვიღა მაშინ...

—ეგ კი, ეგ კი... მაგრამ ხნიერია, მე  
ახალგაზრდებზე ვამბობ.

—აჰ, ეგრე ამბობ? ჰო... ისე კი, ახა-  
ლგაზრდები ასაკში რომ შევლენ, შეიძ-  
ლება მერე ისინიც კარგები გახდნენ...

—ეს კი, ეს კი...

ისხდნენ, საუბრობდნენ.

არადა, შემოდგომა იდგა, ტყიერი,  
გაჩახახებულა.

ღამის დარაჯი, მატყუარა ლეპოლინი-  
ო, ქუჩაში ფეხაკრფით მიიპარებოდა.  
დაქანავული ფარანით ხელში, მოუსვენ-  
რად აცეცებდა თვალებს, ყურდაცქვე-

ტლი, ყოველ ჩქამზე გაიტრუნებოდა  
და ფარანს დაფლეთილი მონაცემის  
ქვეშ მალავდა. ჯერ ლამაზ-ქალაქის მ-  
დრევიანთან უნდა მისულიყო და პირვე-  
ლად იქიდან დაეყვირა: „ღა-ამის საპი-  
საათია და ყველაფერი რიგზეა-ა...“ ეპ,  
ყველაფერი რიგზე რომ არ იყო, კარ-  
ვად იცოდა, მაგრამ რა ექნა—სწორედ  
ამაში უხდიდნენ ყოველ შემოდგომაზე  
ერთ ღრაპკანს—ოქროს მრგვალ, მომც-  
რო ფულს, რომელიც მთელი წელიწა-  
დის სიგრძეზე პურად და ხახვად უნდა  
გაწეწილიყო. ყველას წინაშე დამნაშა-  
ვედ გრძნობდა თავს—ლამაზ-ქალაქე-  
ლები ღარიბად არ ცხოვრობდნენ, მაგ-  
რამ საღ არ ავადმყოფობენ და ხანდა-  
ხან, რომელიმე აივნიდან მძიმე, სამგ-  
ლოვიარო ფარდას რომ გადმოჰფენდ-  
ნენ, სირცხვილისაგან აწითლებული,  
მობუზული ლეპოლინიო მორიდებუ-  
ლად შესძახებდა: „ღა-ამის პირველი  
საათია და ყველაფერი რიგზეა-ა...“ და  
მხრებაწურული, მოკლე ნაბიჯით მიე-  
შურებოდა თავისი ფიცრულისაკენ.  
მაგრამ ერთ სახლთან ყოფნა ყველა-  
ფერს ერჩია, ახლაც შეჩერდა, ფარანი  
დამალა და გახვედა — წინა კბილები  
რომ აკლდა და მუდამ დახშულად ილი-  
მებოდა, იმ კაცს არ ეძინა—მკრთალი  
სინათლე ლიცოცებდა ოთახში. ღამის  
სიჩუმეში სუსტი შრიალი მოესმა, თით-  
ქოს ვიღაცა მასავით ფეხაკრფით და-  
დიოდა, ქვიშაზე—კაცი თავის საკრავს,  
რომელსაც სულად ფრინველი პყავდა,  
ხავერდის ნაჭრით ფაქიზად სწმენდდა.  
მერე იწყებდა დაკვრას, ძალიან ჩუმად,  
ფრთხილად, მძინარე მეზობლები რომ  
არ შეეწუხებინა, საღდა იყვნენ ის გო-  
როზი და ლალი ფრინველები—ღამდა-  
მობით იმ კაცს ერთადერთი პატარა ჩი-  
ტი რჩებოდა, და რაგინდ პაწია ყოფი-  
ლიყო და წყნარი, ლეპოლინიო მაინც  
მოჯადოებული უღებდა ყურს ხელის-  
გულში გამომწყვდებული ბელტრას ჩუ-  
მად აღელვებულ გულისძაგერას, რამ-  
დენი რამ იყო—შეკეცილი ფრთების  
აფრთხილების შიში, ტოტიდან ტოტ-

ზე გადასკუბების ნატვრა, ფრენა, რაც მთავარია, ფრენა... ყოველნაირ ფრთოსანს მონატრებული კაცი კი ძლივს იკავებდა თავს, თვალდახუტული უკრავდა და ხმებიც უსინათლოს თითებივით დაფთურობდნენ საგნიდან საგანზე, ოდნავ არხევდნენ შავს, თვალდახუტულ კაცს კი სურვილისგან ელრიცებოდა სახე, ატრიალებდა და, გათენებამდე, ერთი სული ჰქონდა, როდის გადააქცევდა იმ ციციკა ბელურას ღრუბლებში ისრად გაქრილ, კისერწაწვილ წეროლ: მაგრამ ახლა ღამე იყო და ბნელოდა, და მისი სახლის კედელს მიხუტებული ლეპოლდინოც ვრძნობდა, კაცს რომ ერიდებოდა ხმაშალა, თავისუფლად დაკვრა, ღამდამობით მისთვისაც კი, გასაოცარი დამკვრელისათვის, არ შეიძლებოდა ეს. თვითონ კი, თავად ლეპოლდინოს, თავისი ყანგიანი ხმით აუცილებლად უნდა შემოეძახა მთელი ქალაქის გასაგონად: „...და ყველაფერი რიგზეა-ა...“ იმ მოგუდული დაკვრის გაგონება უფრო მტკივნეული იყო ლეპოლდინოსთვის, ვიდრე აივნიდან გადმოფენილი შავი ფარდის დანახვა, მაგრამ მაინც ქურდულად მიემურებოდა მოედნისაკენ, ღრმად შეისუნთქავდა, თვალებს დახუტავდა და, აღმოდებულ ბრმასავით ეხლებოდა ღამაზ-ქალაქის კედლებს: „ღამის ოთხი საათია და...“

... და ალექსანდროს  
ნიკოლოსოვსა

—ეს ყველაფერი კარგი,—თქვა მაღალმა,—მაგრამ საღამომდე რა ექნათ? დათრობა არ იქნება.

—რატომ?

—რატომ და ისეთი სანახაობა გველის.

—მერე, პატარა რომ დავურტყათ, რა იქნება?

—არ შეიძლება, თითი აიშვირა მაღალმა,—არაფერი არ უნდა გამოგვეპაროს.

—ბოდიში, რა სანახაობაა?—იკითხა დომენიკომ.

შადრევანთან იდგა და ტულის უცდიდა.

—არ იცი? მთელი ქალაქი ემზადება

—ალექსანდრო გამოდის საჭაროდ...

—რატომ გამოდის...

—სათაური აქვს...

—რა სათაურია...

—„ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის!“

—აუფ!—სახე გაუბრწყინდა დაბალს,

—მართლა არ შეიძლება დათრობა.

—აბა რა...მაგრამ მანამდე რა ექნათ?

—კაცო,—არ იშლიდა დაბალი,—პატარა დაგვერტყა, თითო შუშა, რა იქნებოდა?

□ გაგრძელება იმხნა □

## შუალის კარი

აი, ჩვეული სოფლის სურათი:  
მსხლის ჩრდილში გვიდგას ტაბაკი გრძელი,  
და ნაცნობია გულის-გულამდვი  
მზით მოლაპლაპე მდინარის წელი.

ჩრდილში ნიაფი უარფატებს გრილი,  
შუადღის კარი მოღებულა,

ბალახში ქუდი აგდია ტილის, —  
ისვენებს ჩემი საჯგუბურიო.

და ჩანს ხანდახან შტოთა ღიობით —  
გუმბათი, როგორც ღვთისმობლის თვალი;  
ღმერთო, მამყოფე ამ ღობიოთი,  
ამ ხახვით, ღობით და წყაროს წყალით.

• • •

ტალახი გვერობა მძიმე, კატაბარდები გებლაუჭება,  
გახვევენ კალთებს, — თფუი, ამა საცოდაობას!  
შობრუნდები და ჰკაფავ ტალახს, კვლავ ასუფთავებ,  
ისევე მოვა აქ ვკალი, მზაკვრად მზირველი,  
ისევე მოირთავს სარვევლას შხვერთი სიმინდი,  
მოიკაკვები წელში ისევე, ბალახ-ბულახებს  
გადარეკ ყანით; მოუმზადებ მზეს საბრძანებელს,  
მთვარეს გაიყვან შიმწუხრის ხანს ტალახებიდან,  
(შენ რომ მიდიხარ, მთვარეც მიდის და თან მიგყვება),  
და ოდეს თავზე გააჩერებ გაშლილს ვეაგილად.  
ძილი ნებისა! უშფოთველი გქონდეს სიზმარი!

• • •

და ცაბურთა, როგორც ქორი, მოფრინავს შორით  
აწ — მერამდენე საუკუნეა,  
ღობლით არაგვი ჩასდევს ტალახს, რეცხავს ნაპირებს,  
და როგორც ვეფხვის ისმის ღრიალი, ჩხრიალი წყლისა —  
აწ — მერამდენე საუკუნეა!  
რა დროა ქვეყნად?



მოყმე დანდება არაგვის პირს, როგორც ჭინჭელი,  
სველი ჭინჭელი, შემოდგომის გზად გახირული,  
მაიქეს მხლორთები და გზისაკენ უღვეს მას თავი,  
მისთრევეს მხლორთები, და ასე ჩანს ხოლმე შორიდან —  
წამოებმება მხლორთებს ჭალა, ტყის ნაპირები,  
თავად ტყე, თავად უღრანები, და თავად მთები,  
და თავად სივრცე, მოქათათე, ვით პარაშუტი,  
და მაიქეს ჭინჭელს ტვირთი ესე უზარმაზარი.

ამ დროს არაგვი ჩანს, ვით ტყეში მზინავი ცვარი,  
და ცაბაურთა, როგორც ჭორი, მოფრინავს შორით.

• • •

როცა აყვავდება ველ-მინდვრები,  
ჭალაკები მწვანეს მოირთავენ,  
წითელს მოირთავენ, ყვითელს მოირთავენ,  
კენარი ბლები თეთრი გვირგვინებით,  
რომ მოირთავენ ქარიან თავებს,  
ორლობის გასწვრივ მიდიან ალვები,  
შორს, გორაკებზე, ცაცხვები სტვეწენ.  
წაეიდა წელიწადი, ძველი. მოვიდა ახალი.  
მწვანედ აწვერილა თამამი ბალახი.  
თამამ-თამამით ჩამოდის მთის წყალი.

იციინს წყურვილე — კბილის მტეხავი.  
პაწია დარდი შეპპარვია მეზობლის ცირას,  
გაუგებარი და უცნაური;  
გულმაეიწყოზა მოსდევს ამ ღღეებს.  
როდის გიყვარდა ამქვეყნად ვინმე?  
როდის გინახავს სახე მისი?  
სად გაიციანი?  
როდის ცხოვრობდი ამქვეყნად კიდევ?  
საიდან გახსოვს ამბავი მწველი?  
საიდან იცი ეს ყველაფერი?  
რაა ეს გრძნობა?

• • •

ამ სიწყნარეში, მარტოობა როცა ეგვრძენი,  
რომ მოვიხედე, და ჩემს გვერდით ვეღარ გიხილე, —  
თავი მივეცი მე სიმარტოვეს,  
და ამგვარად გავიდა ხანი.  
პატარა ნაფი შევაცურე მე წყლის ყურეში,  
დავხსენ ნიჩბები, ზეს მივაბი წყნარი ბაიდა,  
და ჩამოვჯექი მდინარის პირას.  
უცებ შეჩქვიფდა წყლისპირ ცაცხვი, ხე შემრიალდა,  
ამოისუნთქა და გაირინდა...  
და დავიჯერე, რომ ბუნება ჩემს მხარეს იყო,  
მე ბედნიერი ვიყავ მასთან, ვითაარ შენთან;  
ცაა, როგორც უფლის ტაძარი.  
და ახლა რომ ვთქვა მე რაიმე, ასე მგონია,  
რომ ბალახიდან ბალახამდე მივა ჩურჩულით,  
მარცვალი მიწას დაცემული, აღმოცენდება,  
გაიფოთლება და მოისხამს ნაყოფს ხვაერიელს,  
მარცვალი — მარცვალს, სიტყვა — სიტყვას შეეშენება,

და სად წავა ამბავი ჩვენი!  
მარტო არა ხარ, ვინემ სხვისთვის გრჩება სათქმელი.  
რომ მოვიხედე, გვერდით მეღვა ჩემი ხატება.

## სონეტი. რითაც გამოიხატავ გულისწყრომას დააკრბლი ტყისა და გვინაჩის გამო

აქ ხევი იყო და კამკამა დიოდა წყალი,  
ფუნებოდა წყალს მცენარე თმამომწკრივადე,  
აწ აღარ ისმის მხიარული წყაროს ჩხრიალი,  
იმ ტკბილი ჟამის აღარაა ამხანად კვალიც.

ხანდახან ვფიქრობ: ვის მიუძღვის, ნეტავი, ბრალი?  
იმ ალაგს უცხო დაესახლა ადამიანი,  
დაეცა ჩეროც, როს დაეცა ტყე წიწვიანი,  
ხელისგულივით მოასწორა მანქანამ ხრამი.

ცხოვრება მიდის... აქ ტყე იყო, ვუყვები ბავშვებს,  
ზღაპარს ჰყვებიო, იცინიან ტინკები ჩემი;  
მეც მიყვებოდა მამამეში ათასგვარ ამბებს —

აქ, ამ ადგილას, გაუვალი ყოფილა ტვერი,  
და არ მჯეროდა... მაგრამ, ვაი, მერე და მერე,  
თუ შეილებს ჩვენსას აწინდელიც არ დაუჯერეს!

## გაზაფხულის პირველი დღეები

როცა ჰყვავიან მწკრივად თუთები  
ლობეთა გასწვრივ, —  
რალაცნაირი დღეა უთქმელი  
და ჩემი ცაცხვი, —  
შრიალებს, თითქოს ელოდეს ვინმეს  
უცხო მხარიდან —  
მე მახსენდება რაც იყო წინეთ,  
რა დრო გავიდა!  
გაივლის კიდევ ამდენი ხანი —  
და ჩემი ხვირა  
გახედავს ამა ხის აივანით  
ქაფათის მიჯნას, —  
ცა — ზუგდიდს მიღმა არ დამთავრდება,  
ცა — გაიწევა,  
თავთავი ნელა დათავთავდება  
და ვით ტინტველა —

ის მოიკიდებს სივრცეს ტვირთივით,  
და გავა გზაზე,  
ხან აფრინდება ცაში ჩიტვიით,  
ხან კიდევ ასე —  
ივლის მიწაზე ვით მამამისი  
ვლიდა მანამდი,  
ცრემლით, სიცილით, დარდით, ხალისით,  
ვიწრო წარაფით;  
შორს ვხედავ: ხვირას ვაჟი მოჰყვება,  
ვაჟს კიდევ — ვაჟი,  
ამრიგად ველი მე დამოყვრებას  
და დროსთან კავშირს, —  
როცა ჰყვავიან მწკრივად თუთები  
ლობეთა გასწვრივ, —  
რალაცნაირი დღეა უთქმელი  
და მჯერა კაცის!...



მესრის ღობუა ეზოს გასწვრივ და თითქოს მოჩანს  
 დრო როგორ მიდის;  
 წლებულსაც ისევ დაჰფოფინებს მოხუცი ოჯახს,  
 ფუსფუსებს კიდევ.  
 შეაქვს ნაკელი მას ეენახში, ხან ეზოს ხეხილს  
 ათეთრებს კირით,  
 დრო-დრო წამოწევს კაცი თავს და კავკასის გრებილს  
 გააბხედავს ჩრდილით.  
 ინახავს ოჯახს, არ აკარებს აესა და ოჩანს,  
 უფალი დიდი,  
 მაგრამ ღობუთა გასწვრივ თითქოს მკაფიოდ მოჩანს  
 დრო როგორ მიდის.

## მ ღ ი შ ი

სველია დასაგლეფი ფრთა ჩემი დედა-საქართველოსი, —  
 აღმოსავლეთი შშრალია და სინათლიანი.  
 ბნელია სიმღერები ჩემი კუთხისა,  
 ბნელია და გულისდამწველი.  
 ხშირწვიმობის ეამს, ტრიალ მინდორში  
 საზამთრო მსხალზე გარჩენილი ფითრის სიმღერა.  
 ღამით, ტალახში გახიზული მგზავრის სიმღერა —  
 სულის ცეცხლით განათებული.

წანწკარებს ხვეი... და ცვივიან წვეთები როცა, —  
 მგზავრი მიჰყვება ხიდს,  
 ნაწვიმარია და ფოთლიდან ეცემა ფოთოლს  
 წვეთი და-თითქოს წვიმს.

ხელმარცხნივ ტყვა და მერხერი ხეების წილ  
 კულავ მზე მანათებს პირს,  
 მიუდივარ მარტო, და იმგვარი ნათელი დღეა,  
 იმგვარი ტრფობა მჭირს, —  
 რომ აღარ ვიცი, რაა ავი, რაა კეთილი,  
 თავს ველარ ვატან ფიქრს,  
 ნაწვიმარია და ფოთლიდან ცვივა წვეთილი  
 წვეთი და თითქოს წვიმს...

## სხმოვება სალომე ღვთისმშობლისა



— და ჰგავს ამბავი შემოდგომას, როცა ფოთლები ცვივიან ხიდან და უგდებენ ყურს მეზობლები მეზობელს ჰკვივიან, ამბის მცოდნეს და ენამსუბუქს, და რომელიმე იახოვს ჩემად გაახვევს თუთუნს, ფართოა ჩრდილი ჭადრებისა, მზე ცაზე მიდის, წვიმამ წაიღო წყალდიდობას: ტყეურის ხიდი, თავი მოუკლავს ბატონს, ლამაზს, მცირე წყნისთვის, ხოლო სალომე დადიოდა შავში; ვინ იცის, რა გული პქონდა იმას აქეთ დადიანის ქალს, დღეში ორად-ორს თუ იტყვოდა ბეჩაეი სიტყვას, და ისიც, მამინ, თუ ბუნება გაიდარებდა, ისე არავის სიახლოვეს არ იკარებდა, ხან დაჟდებოდა ფიჭრიანი და მწუხრის პირად გაქვავებული და მდუმარი უნახავთ ხშირად. წყალს ჩასცქეროდა ის მიმავალს სასახლის კიდით, დრო მკურნალია, მაგრამ იგი გლოვობდა ვიდრე, თოვლივით აღარ შემოგვადნა ამბავი მისი...

მზეა... ვით სული, ხეივანში ფოფინებს ნისლი.

### ქიქა წყალი

ის ქაში მახსოვს, როს პირველად გნახე ცირია, ოდის წინარე მოლია და მოლზე გვიმია, კიდან ამოგყავს მოკამკამე და გრილი წყალი, ჭანაობს ვედრო, და წვეთები მზეზე ცვივიან.

წყლით ხავეს ჭიქას ოროქლი ადგას, ვით ზღვას ბურუსი, დილით რომ იცის, ანდა კიდევ მზის მიწურულში, დავლიე წყალი, განიფანტა ბურუსი ნელი, მახსოვს რარიგად მომაპყარი თვალები სველი!

მანათობლო! შენით ცოცხლობს ქვეყნად ყოველი, ცხოვრება ჩემი დღეცისმარე შენზე ჰკადია; დავლიე წყალი, მოვიკალი ვინი ცხოველი, მშვიდობით იყავ, მგზავრი ვარ და შორეთს მივდივარ...



სულხან ქეთელაშვილი

## მზრინავი ცისარტყალაუბი

არმანი

4.

ინსტიტუტში გამოცდასწინა კონსულტაციები ერთ თვეს გაგრძელდა. შეჯამდა ყოველ შეცდომასთან დაკავშირებული, ლექტორებს მთელი გუნდისთვის უსმენდა და შინ კამოფილი ბრუნდებოდა. ბევრი საკითხი, რაც მართლაც ვერ გაერკვია, აქ, ამ საერთო სკა-ბასში, აზრთა გაყვლა-გამოცდაში, ყოველმხრივ ნათელი ხდებოდა და შეჯამის იმედსა და რწმენას მძაბრებდა.

მაგრამ კონსულტაციები ძალიან ჩქარა დამთავრდა, ერთმა თვემ შეუმჩნევლად გაირბინა და გამოცდის წინა დღეს ასევე შეუმჩნევლად მოვიდა. შეცდომებს ამ დღეს მშობლიურ ლატერატურაში უნდა მკონოდით, მაგრამ კონსულტანტმა — მალაღობის ახალგაზრდა თამაზიანა ლექტორმა გამოცდის წინა დღეს ჭკუის დასვენება ურჩია. რაც არ იყო, ამ ერთ დღეში მაინც ვეღარ ისწავლით, ხოლო გამოცდაზე დასვენებული გონებით რომ მოხვალთ, უკეთ ჩააბარებთო, უთხრა და გამოუშვა.

დატირებულმა კომპარტი გამოვიდნენ, მაგრამ ქერ ისევ დილა იყო და ასე ადრე შინ წასვლა არცერთს არ უნდოდა. ფეხბორეულები დედაბურჯის ჩრდილში ჩამოდგნენ და ერთმანეთს კითხვის თვალით შეხედეს, რა ვქანათ?

— მოდიო, ექსკურსია მოვაწყოთ და ქალაქი დაავთვლიეროთ. — თქვა ერთ-ერთმა, თანონობის მოვარულმა, უწყვერულმა. მალაღობის ბიჭმა და ზელი ათასწლოვანი ქაღალისაქენ გაიშვირა. — აგერ, თელავის ლეგენდარული ქაღალდი, ბატონის წყარო, ვახუშტიანთ ცი-

ბე... სხვა კიდევ რამდენი რამ არის სანახავი. ქალაქს გავცნობით, სახანოვრო სურათებს გადავიღებთ...

— კარგი აზრია! — ეკერი დაუცრა ქერათონიანმა, ლურჯთვალა გოგონამ, — მომეყვით! — დაიძახა ხმამაღლა და ჭკუის მუხურობისაქენ წაუძღვა.

თამაშებში, პირბეჭში, კორფლიანმა ქალმა კრელი ქობი აიღო და გოგონა-ბიჭები მონასტრის სენაკით ვიწრო, თაღოვან ოთახში შეიყვანა.

— აი აქ, ამ ოთახში დაიბადა და ამავე ოთახში გარდაიცვალა ლეგენდარული პატარა კობი, — დაიწყო ქალმა შთაბეჭდილები. ჩემი ხშირი, როგორც საერთოდ სწვევით მუხურობებსა და განმოსაცავებში ჩამობერებულ ქალებს და ქობი ირგვლივ შემოატარა.

„შემატა შორის საყვირეულები“. — გაახსენდა შეჯამის „სადღეგრძელოს“ სიტყვები და მზერა ბუზის თავეში წამოდგმულ მეფის სურათს გაუშტერა. მუდმივ ომსა და ქვეყნისათვის ზრუნვას მეფის ქარმაგ სახეზე კმუნვისა და დაღლილობის კვალი დაუნია, მაგრამ თვალები — წარბებქვეშ დრამულ ჩამსხდარი, შეტყვევებული, ნაპერქლიანი და შორსმჭვრეტელი ისევ უტუხ სიმამაცესა და ნებისყოფას გამოხატავდნენ. გვერდით სახელმწიფო მდივნის — სოლომონ ლეონიძის სურათი ეყადა. იქვე იყო ჩარჩოში ჩამსული მისი დატირებაც — ერთად შერწყმული გლოვის, მკვერმეტყველებისა და ქართულის საოცარი და სწორუმოვარი ნაშუმი.

— აქ დაიბადა და სიცოცხლის უპეტესი დღენი აქ გაატარა... — ამხსენელი ქალის წყნ-

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10.

რი ხმა კვლავ ურდუ იხმოდა, თითქოს საიდანღაც შორიდან მიდიოდა და ჰკარავ კედლებში წელი ეწინადა. მუხუდების სიძუღარევე თანდათან ახლგაზრდებსაც გადაედოთ. დიდი ბი-არკუნების წასადგურალი, მისი ფეხდანადგამი ადგილი, ზღმუნახები და თვლით ნაშვრები სხა-ნები — ბუხარო, ისრული კარ-ფანჯრები, ფი-ლაქნიანი აატაკი და თაღუანი კერ-კედლები — მათ ვუღებში გაუთვითცნობიერებულ, ჩუმ მოკრძობებს ბადებდა. თითქოს თვითონაც იქ-ვე იყო, მათ გვერდით, გამოდიოდა, სუნთქვა-და, თითქოს თვლით ზედადუნენ, ხმავე ესმო-დით მისი და ექსკურსიის მძღოლ ქალს თითის-წერებზე შეზღვრება და სუნთქვაშერკრულები მიხვედობდნენ.

— ასამდე მარტო დიდი ბრძოლა აქვს გა-ღებლი, — განაგრძობდა ამხსნელი ქალი და უფარულ თვლებს კვლავ შთაგონებით კუბრუ-და. — ბრძოლებთან ერთად კავკასიის ძველი ისტორიაც დაასრულა. აქ, ამ ოთახში გაღაწვი-ტა დიდა საყიბო — რუსეთის კავკასიაში დამ-კვიდრება, რის შედეგადაც საბოლოოდ დაიწ-რატა სისხლიანი პაწავათი, ისლამის უძლიე-ვლობის მითი რუსის მიმტე თოვლის ფიქტი-კით დაღმა და საქართველოს საუფუნების მან-ძილზე წანატრი მშვიდობა და თავისუფლება ეღიარა. მაგრამ შთავარი ეს რთვია, — რუ-სეთის კავკასიაში დამკვიდრებამ ერთგვარად შეცვალა აზია-ევროპის ისტორიაც, ზულ სხვა კლასიკაში მოაქცია და სამშვიდობო მიმართუ-ლება მისცა.

— ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება?  
— ბრძანეთ.

ეს თასინობის მოყვარული, უწვერულვანო ბიჭი წინ წაშოდა.

— აი, წიდან თქვენ ბრძანეთ, რომ ბრძოლა ოქცსმეტი წლისამ დაიწყო და ოთხმოცისამ დაასრულაო...

— აი, მე ვთქვი, სამოცდაოთხამეტისამ-მეთქი, — შენიშნა ამხსნელმა ქალმა და თხელი ტუტები მჭიდრად მოკუმბა.

— სწორია, ეგრე თქვით... და ამ ხნის მან-ძილზე ხმალი ხელიდან არ გაუშვია და არც როდისმე დამარცხებულაო?

ამხსნელმა ქალმა გარშემო წარბემა აზიდა და თვლებში სიერყეს გაუშტერა.

— დამარცხებით როგორ არ დამარცხებულა — მქონდა დროებითი წარუმატებლობები. მაგრამ საბოლოოდ და მთლიანად არცის და-მორჩილებია. თვით ისეთმა ძლიერმა სარდალ-მავე კა, როგორც ალა-მამად-ხანი იყო, თა-ვისი გამარჯვება ბოლოდღე ვერ მიუყვანა. იმის მიშით, თვითონვე არ შეიმოიტიოსო, თბლისს მეთერთმეტე ღღეს ალყა მოხსნა და გაეცაღა-და, ჩვენ ცოტანი ვართ, თორემ... რომის სარ, ღაღს კომპეტუსს თავისი მესიტორიე ორმოცდა-ათი წლის ასაკში უბრალიდ ცხენზე ჯდომასაც დიდ ვაჟაკობად უფვლობ. ჩვენა ერთკლე კი

სიკვდილამდე, ცხენიდან არ ჩამომხდარა... შეი-ღობაზობისას ახლგაზრდებს ზმალს და მარ-თში წერტილია, ხოლო ომში ბრძოლას ხარ-ღობდა და ოთხმოც წელს შიტანებულა ორ-მო-ც თავისი კახუტკა სინაქქითა და მოუღულ-ლი მკლავით შტერსაც კი აწიფებდა.

— მაშ, ძველში რაღად დააპირინეს დასრ-ლი ზმალი? — იკითხა ბიჭმა და პასუხს არ და-რცადა, ისე განაგრძო — თუცა კაცისეული ვერ გაიგებს, რა უჭირავს, ხმალი თუ ხანქლი-უფრო ჭვარსა მგავს, და თანაც ხელია იქ უკო-ლია, სადაც სწორედ არ უნდა ეკიდოს. განა შეიძლება ორღესული მახვილის ასე დაჭერა?

— სიმბოლიცა, — შემწენარებულური დიმილით მიუგო ქალმა, — ბრძოლის დასრულებებს გა-მობხატავს, დასასრულს გუღისმობს.

ბიჭს ნათქვამის კილო არ მოეწონა და გაგუ-ლისებულმა თავისი ვარაუდით უფრო გაბედუ-ლად გამოთქვა:

— სიმბოლიცა სინამდვილის წესტი შეხატე-ვისი უნდა იყოს. მახვილის ძირს დახრა კი, კვლეა ვრს და ზღმში, ევლურობიდან ღღემ-ღე, შორჩილების, დამობის, დამარცხების სიმ-პოლოდ არის მიჩნეული. ხოლო პატარა კახი, როგორც თქვენე ბრძანეთ, არავის დამორჩი-ლებია, მამახადამე...

— ბრძოლა ხომ დასრულდა? ხომ დაასრუ-ლა?! — ჩაუროო ქალმა დაუფარავი გაკვირვ-ებით და ბიჭს კვლავ შემწენარებულრად გაუ-ღიმა.

— დასრულებაც არის და დასრულებაც! — ხმას აუწია ბიჭმა, ადგილი მოინაცვლა და ხე-ლი ერკელეს ძველისაყენ გაიშვირა, — ეს არავის დამორჩილებია, არავის დამონებია და ძველაც სწორედ ამას უნდა გამოხატავდეს.

— უნაყო კვეუნად არაფერია, — შენიშნა ზურგისაყენ თმაშერკეტილმა, გამხდარმა, ულა-მანო გოგონამ.

— უსაფუძლო გამართლებია! — ბიჭი უც-ხლად შემობრუნდა და გოგონს გამომწვევად მი-აშტერდა, — ასეთმა ძველმა საუყუნებს უნდა გაუძღოს, იგი მრავალი თაობის კუთვნილებაა და სწორედ ამიტომ ყოველმხრივ უნაკლოც უნდა იყოს. — ისევე ამხსნელი ქალისაყენ შე-მობრუნდა და დაასრულა, — ერკელეს ძველი კი მთლად ასეთი ვერ არის.

ქალს პირდაპირი პასუხის გაცემა გაუჭირდა და კორღლიან სახეზე აშკარა უემყოფილება დაეძტო.

— დადგამდევ და დაღმის შეზღვევაც შენზე ბევრად უფრო მცოდნე ზალმა, სპეციალის-ტებმა ნახეს და მოიწონეს კიდევ, ასე, რომ... — აღარ დაასრულა ქალმა, ბიჭს ნიშნის მოგე-ბით ახედ-დახედა და კომბეშერული გასახლე-ლისაყენ გაემართა.

გოგო-ბიჭებმაც გამოვიდნენ და ცემენტის კი-ბით თასწლიან ქაღართან ჩავიდნენ. სამხსო-

ერო სურათები გადაიღეს და ახლადრესტავრირებულ ოსმანიან წყაროზე — ბატონის წყაროზე გამოქუნიდნენ.

წყაროსთან ერთი ტანობრილი, გამხდარი ბერიაკი დახვდა. როგორც ძველ ინტელიგენტებს სჩვევიათ, კაცს სადაღ და ფაქონად ეცვა — უკვე გახრწმული, მაგრამ კარგად დაუყოფებელი ღევა შარვალ, ასევე საკუდდაგულად გაკრიალებული ტილოს თეთრი ღია ხალათი და შვინდისფერი ფეხსაცმელი. ერთ ხელში მოხატული არგანი და კილის ქუდი ეკიჩა, მეორე ხელით წყაროს მიყრდნობდა და ჩაფიქრებული აუზში მოხუცებულ წყალს ჩამყურებდა.

ხელის მოაჩრზე გადაძვარა ახლგაზრდებს ცოტა მოკვიანებით ამოხვდა, გამხდარი, მულოტი თავი წელა ასწია და ქერ ისევ განააღად მოშინარალი ცისფერი თვალებით გუდიდა.

— ჩამოდო, სამეფო წყალი დალოდო.

ახლგაზრდები წყაროსთან ჩაიკრიფნენ და მოლილისფრო წყლის ნაკადით სავსე მილებს პეწეები შეეშვირეს.

— უბ, რა გემრიელი წყალია?

— თანაც როგორი ციფი!

— კი, იშვიათი წყალია. — თქვა კაცმა და კილის ქუდი დაიხრია. — ეს ერთადერთი წყაროა შემოკარნი თელავში — ნამდვილი, წმინდა ბუნებრივი, რომელსაც ქერ არავითარი ქლონი და ფილტრაცია არ მიჰყარებია.

— ეიბი აშენებულა, ან როდის? — კითხეს ახლგაზრდებმა.

— ძნელი სათქმელია, — კაცმა სუსტი მხრები აიჩინა, ფეხი აუზის ბიდანზე შემოხვდა და არგანი მკლავზე ჩამოიკიდა; — ქართველებს შენებებლათა სახელების აღწუსება წესად არ გვეჩვენა. ჩანს, ეს საქმე. — ზურთომიძეცვება. — იმდენად ჩვეულებრივი ხელისა იყო ჩვენი წინაპრებისათვის, რომ შეისტორიენ მის მოხსენებას სპიროდ არ თვლიდნენ. ეს წყაროდ ერთი ასეთი ჭეგლითაგანია. უკვე ირი ხარუნი.

კაცმა მსხველი წარბება ოდნავ მოკმუნა, დედაბურცს, სასტუმროსა და ფიქრგორას შუამოქცულა, ახლაც მოსაფლტებუთი მოედინა წელა, ჩაფიქრებით მოათავლიერა და თავიანთის ჩაილაპარაკა:

— ხიდი აქ იყო ქვევით ახლამაინი ხახლები იდგა, წინ ღრმა ზევი გაუღოდა... და ხიდის ყური სახლის კუთხეს ებჭინებოდა.

ფიქრებიდან მოღვეე გამოერცა. ახლგაზრდებს გუდიდა და საკმაოდ მოკრძალებით თავისი სამსახური — მეგზურობა — შესთავაზა.

— თუ მიყადრებთ... ბერის ვერ შეგპირდებით, მაგრამ...

— პირიქით, პირიქით!

— მოკლა... ყველაფერს გაჩვენებთ და შეძლებისდაგვარად ავიხსნით, — არგანი მიატყენა

მკლავზე გადაიკიდა და წელი, გამპროული ნაბიჯით წაუძვდა.

გაიარეს ძველი ბაღი, ცხებგაღაღიში დიხვეულების კარიბჭიდან შევიდნენ და ერთკუდიანული სემინარია და სემინარიის საძირკვლის ქვეშ დატანებული საიდუმლო წყალსაცავი მოინახულეს. კაცი ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა და ვეულოფერს დაწერილებით უხსნიდა:

— ერთკუდის ძნელეულობის ეამს მოხვდა მეფობა, სახელმწიფოს ხშირად ძალიან უჭირდა, რის გამოც ბევრი კარგი, კვეენისათვის სპირობა და სასარგებლო საქმე თუ სურვილი განუზოროცლებელი რჩებოდა. მეფური ფუფუნება არც პირად ცხოვრებაში ჰქონია, მაგრამ სემინარია. ანა და თეატრის, კულტურისა და განათლების ამ არ კერას — ყოველთვის ინახავდა და ინარჩუნებდა. ვის არ უძლიაწია და უხწავლია ამ სემინარიაში: ანტონ კათალიკოსი, დავით და გაიონ რეკტორები, როანე ბეატრატონი, იონა ხელმწიფი — კალმასობის ატორი, უფრო გვიან, მეცხრამეტე საუკუნეში, — ვასილ პირნოვი, რაფელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და კოდვე შარვალი სხვა... ზელოცენებას და სწავლაც განთლებაზე მეფის დიდ ზრუნვას თვითონ ეს საიდუმლო წყალსაცავი ახასტურებს; იგი საკუთრივ სემინარიისათვის იყო განკუთვნილი, რომ მისი სემინარია შტრის უფციარ თავდასხმის დროსაც არ შეწყვეტილიყო, ან არ შეტყუებულყო.

ახლგაზრდებს განსაკუთრებით საიდუმლო წყალსაცავი მოეწონათ. უმეტესობამ მისი არსებობაც არ იცოდა, ხოლო თვითონ არცერთი არ ენახა. იგი შარბილაც რთული ხაინყინარა ნაგებობაა, მოთავსებულთა მოთავარი გაღაგანის შიგნით, სემინარიის ჩრდილო კედლის ქვეშ და გარედან სრულიად უჩინარია და შეუღწევადია. ერთადერთი გზა — მკვეთრად დახრიალი; აგურის შრეკლავიანოგენი საიდუმლო ვეიარბი, რომელიც სემინარიის მოთავარი კოჩხუხის ქვედა საბოთელზე იწეება, ოცდათორშეტადლიამ საფუტრის ოფდის. ვეიარბის ბოლოს, აგურისავე მომტრი აუზში, თიხის მილთა აწკარა, პრო. ლისფერი წყალი გაღმორქვის. წლის ყოველ დროს წყალი თანაბარ რაოდენობით მოდის და ვერც ვალვა ჩასმეს ამჩნევს და ვერც — ხინესტე, მაგრამ ისეაა შენიღბული, რომ კაციშვილი ვერ გაიგებს, ხად იღებს სათავეს და აქ რომელი მხრიდან მოედინება.

— მესტორიეთა და არქეოლოგთათვის თელავში, ამის გარდაც, ბევრი რამ არის სკავილეთი და საძებარი, — განაგრძო კაცმა, როცა სამეფო გაღაგანის კარიბჭიდან გამოვიდნენ და გორიჭრისაკენ მომავალ ქუჩას დააღაგენ. — სწორედ ერთი ასეთთაგანია გორიჭრის ცაზე, რომელიც ძველი გაღაგანის სახელო არის ცნობილი და რომლის სანახავადაც ჩვენ ახლა მოედღვართ. ზოგი მკვლევარი, ვახუშტის დამოწმე-

ბო, მის აწინებან კორიკ დიდს. — კახეთის პირველ გვირგვინოსან მეფეს მიაწერს. და, მაშასადამე, ჩვენი წელთაღრიცხვის შერვე-შეცხვარულ საუკუნით ათარბებს, მაგრამ ვახუშტი თავის „აწერსაში“ უფრო სამეფო ცხიბ-გაღვანის უნდა გულისხმობდეს, რადგან არჩილ მეფის მიერ „აწირადი“ შეცვლა-გადაკეთების კვალი მხოლოდ იმ ცახეს აღკვეთა. ჭველი გაღვანის კი, იმთავითვე ამთავადვე ზღვრულბოდა დგას, და ახ. საშენ მასალას, დედასს, ქვის წყობას, ბუ-რთომოდჭრულ სტოლას და მოცულობასაც გა-ვიყოფაღწინებთ, მისი აწერს და დაბადება უფრო შორსულ წარსულშია საგულისხმოდ, სახელდობრ, მაშინ, როცა საქართველოს დღე-ვანდელ მიწაწაღულ პირველი მსხვილი ქალა-ქებია, — საფაქრო-სახელდოსნი ცენტრები და სა-მოსივლო გზები ჩნდებოდა.

კაცო წინ მიდიოდა, გოგო-ბიჭები — ნახეარ-წრელ მიჰყვებოდნენ. არგანი ისევ მარცხენა მუღაზე ეიოდა. ეტყობოდა, რომ ჩვეულების გამო ატარებდა, რადგან ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დაუჭებია. დაპარკობდა წყნარად, აუჩქარებოდა, მარტივად და ვასაგებად. ხან-დახან რომელიმე შენიბასთან ან გზაჯვარედინ-თან შეჩერდებოდა და ქალაქის რეკონსტრუქციის წარსულის რაღაც ამბავს გაიხსენებდა.

— ბოლოში, თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებო-ბით? — რომელიმე. კაცომა უცბად, შექიამ ვერ გაგო, მაგრამ მასუბის მოლოდინში თვითონ-იც, ყურებოდაკვიტიტა.

კაცო შედგა და ახალგაზრდებისაკენ შექობ-რუნდა.

— არა, ბატონკოსი ვარ, დეკორატორი, — თქვა მოგვიანებით, — ქალაქში, ჭველი ზღის გარდა, ყველა სკვერი და ვაზონი ჩემი ხელით არის გაკეთებული. ახლა შენიბონერი ვარ, ქალაქის დეკორატიული მეთურების გაძღოლა უკვე აღარ შემძლია და ერთ-ერთი საწარმოს ეწო-ბაღს ვუფლა, რატომ შეუიბობით?

— არ, ისტორია... ასე კარგად რომ იცით, კაცომა თავმდაბლად გაიღიმა.

— კარგად ცოდნაზე რა ვთხოვთ, ისე კაცო-მე, ცოტა რაღაც გაშეგება; უფრო მეტი რომ ვერაფერ კი აწობებდა... ხელისგულიბოდა ქვეყანა გვაქვს და მისი ავ-კარგი, წარსულიც და აწმყოც ზოთი თითოთი უნდა ვიცოდეთ.

ჭველი გაღვანთან უკანვე გაშობრდნენ და მიხვეულ-მიხვეული ვერც კუნჩით კეთილარსებ-ბითა და მრად მწვანე ჭურჭლები მობრუნდ-ვორანზე — ვაღორზე გამოქრდნენ. კაცო ზელ კიდურის პირას დადგმულ სკამზე ჩამოქდა, ქმლი მოიხადა და ოფლიანი შუბლი ცუვიდან მონაბერ წიავს მოუჭერა.

— არ ეხვე შეოთხელ ბორცვი, რომლებზეც ჩვენი ქალაქია შეჭრული, თქვა კაცომა და წა-მოდგა. — აჟ, ამ ზევებით დახერხლ, ტყეზექ-ნართან მაწარინა მოჩკვებზე, რაც ისტორიას ახ-

სოვს, მეტი თუ არა, ოცი საუკუნე მაინც არის ერთიმეორაზე გადაბმული — უფროსაუფროსს მანძილზე უფოფუოთბდნენ დაგვიანებულ, ჩამეფუ-ნენ შთამომავლობას, ზარობდნენ ან წუხდნენ, აზრდნენ მიწას, აწუხდნენ ქვას, ქვას, აკურს ავარზე და ავტბდნენ თავდასაცავას და თავმო-საწონს, მაგრამ როდის იცავდა ქალაქი თავს, ან როდის იწინებდა, ისტორია ამაზე ბევრს არადერს ამბობს, ზოლო დღეს თავშესაფარიც რომ დიდა აქვს და თავმოსაწონარაც, ამას თქვენ თვითონაც ხედავთ.

ქვედ-ნ. ქალაქი მართლაც ხელის გულით მოჩანდა: ვაჟე ვახვახიშვილისეული აღმართსა და რიკის უბნის ლეჩან-იანიანი საცხოვრებე-ლი სახლების რიგები, ყვავილნარიოთა და მწვანე ნარგავებით მოხატული, ვაფართოვებული ქუჩა-მოედნები, კულტურისა და დახვეების პარკები — „ზუზუმბო“, „ნადიკარი“, ქალაქის ცენტრალური, ლენინის სახელობის ქუჩის ორ-ივე მხარეზე სამართხ საბრულიანი აღმინისტ-რაციული-საწყვებო შენობები, ასეოივე უნი-ვერსიტეტი, „გოგონ ვორაზე“ შექალაქის ათო-რი კორპუსები, საცურაო აუზი და ზოთოთას-ადგილიანი სპორტული მოედანი, ზარანობ-შემობრტებული კოდეე ერთი ოცსართულიანი სასტუმროცაოამბეჭნი, აბრეშუმსაქსოვი და სამ-კერჯალო ფაბრიკები, კინოკლუბი, ახალი, რვა-ასადგილიანი დრამატული თეატრის, ქვეე მო-ყვანილი საბრქენები, მუსიკალური და სამხატვ-რო სკოლები, ინსტიტუტი და სტუდენტთა სა-ცხოვრებელი ბინები, ტურისტული ბაზა... ყვე-ლაფერი კარგი, დამაზი, დღევანდელი, თან-მედროვე...

— დიას, — გააგრძელა კაცო წუთოერი ჯე-ბილის შემდეგ, თელავებებს დღესათვის თავ-მოსაწონარაც ბევრი გვაქვს და თავშესაქებიც და ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ ზემდ-გობთა დიდ ზრუნვას ოულავებები თვინიო ქალაქისაში გაორკეებელი სივარულიოთა და კეთილი საქმიო მასუბობენ. ამის დასტურად მარტო ერთი სამხატვრო გაღერა-მეწეუმიც კმარა, ვიორგი მეთორმეტის შეილიშვილს, ილია ზარბატიონის ასულს, ბატონიშვილ ანას, რომელიც ახილვე წლის წინათ თავისი ხარკოთ ოულავს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა ქირ-ველი სასწავლებელი დახდებოდა, დღესაც არ გამოდვიან მეშვიდრეზა თუ ქეოვან იაშ-ვილია მშობლარ ქალაქს ზღაოვნების დიშ-ვიოუსი, ნამუშეზე მესწარა, მეორემ, ავტოფეე უხუცესმა მანდილოსანმა, პედაგოგმა მარიამ არუთონოვმა, უზარმაზარი მარადი ბიბლიოთეკა შეწია და წიანოსაცავი და სამკიხველი დარ-ბაზაც საყუთარი დანაშოგიო აუშენა.

ქალაქის დათვლერებოთ ახალგაზრდები მე-ტად კმაყოფილნი დარჩნენ. მართალია, ზოგი-ერთი ბევრ რამეს უამსილად ხელაფდნენ, მაგ-რამ ასე ახლო მისვლა, ახლოდან შეხედვა და

უფრო კი, ყველაფრის დაწვრთვებით ახსნა-განმარტება, ვაცხოზა, მაინც სულ სხვანაირი გამოდგა — ბევრი რამ ისეთი დაანახვა, რაც აქამდე არ ენახათ. არ იცოდნენ, დაანახვა მთელი სიყვადით და გულში ყველას სრულიად უცხო, დღევანდლამდე უცნობი სერული, პასუხისმგებლობა და ერთგვარი სიარტყვილის გრძნობაც აღუძრა, რომ აქ ჯერ მათი ხელი არაფერში ერია, არც ქველში, არც ახალში — ჯერ არაფერში მთელთ მონაწილეობა და ქვეყნისა და ხალხის წინაშე საქმოდ ღიი დიდი ვალი მქონდათ მოსახდელი. ამის შეგრძნებამ თითქოს თავიანთი თავიც უკეთ ვაყნო, რაღაც სხვა მოაგონდა და მომავალზეც სხვაგვარად, უფრო საქმიანად დააფიქრა.

ერთმანეთსაც და თავიანთ შეგრძნობას ახალ-გაზრდები საზოგადო თავისუფლების მოედანზე დაეშვიდობნენ, კაცმა მისამართი და ტელეფონი ჩააწერინა და ყველა საკირი შეშობ-ვევაში თანაგრძნობა და დახმარება აღუთქვა.

— არ მოგერიდოთ, მომკითხეთ და თუ შე-მეძღვება, ყველაფერში დაგეხმარებო...  
 გოგონების ერთმა ნაწილმა მალაზიებში გავ-ლა მოიწადინა, შეჰიაც მათ შეუერთდა. ამ ერთ თვეში, რაც სახლიდან წაბოვიდა, მამამ ორჯერ ისახულა და სახარჯოც ორჯერვე დაუტოვა. თუ-ცა უიღვა არაფრისა უნდოდა, მაგრამ მამის დანატოვარი ფული ვაღებულად ელო ხელჩან-თაში და თუ რამე მოეწონებოდა, უარს არც უიღვანე იტყოდა. არადა, გოგონებისათვის მა-ღალია თვალის შესავლებსა და გულის გადა-საყოფებელს რა გამოადევს!

შინ მშენის ჩასვლისად დაბრუნდა, ჩანთა მავი-დაზე დააგდო, ტანსაცმელი გამოიცვალა, და, მიიღი დღის სიარულით დაქანცული, ტაბტზე გულადმა წაიწვია. თუმცა შინ ამ გადაწყვეტი-ლებით დაბრუნდა, რომ წიგნისათვის ხელი აღ-არ მოეცა და, როგორც კონსულტანტმა ურ-ჩია, გამოცდაზე დასვენებული კონტინი მისუ-ლიყო, მაგრამ ჩვეულებებს მაინც ვერ მოერია და დაწოლამდე კონსულტანტებს, სასკოლო თემებ-სა და კონსულტაციებზე დაშუშავებული სა-კოლოების მოყვე ჩანაწერებს ერთხელ კიდევ მთელი ყურადღებით გადახედა, მართლწერა და პუნტუაცია შეაჩვენა და დააზუსტა, ადგი-ლები ჩაასწორა, ზოგი რამ, რაც ზედმეტად მოეჩვენა, გადახაზა, ზოგი ჩაუმატა, ჩასწორე-ბული ადგილები „შეარგალებზეც“ გადატანა და რა დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგში მკ-ვესო, შეჰი ჩაქრო, ტანთ გაიხადა და სრული რწმუნითა და მიმეით დაიძინა.

• • •

მთელ დამის მშვიდი, უშფოთველი ძლიით ეძინა და ღილსაც ახვეე მხნედ და იმედოვანად გააღვიძა. გარვიძებისთანვე გულადმა გადახ-

რუნდა, სახნიდან მიშველი მკლავები ამოყო და ნებიერად გაიშორა. ღია ფანქრანდეს დღის გრდილი სიო სცემდა და ობობდა...  
 ახლად ამოწერილი მშის მკრალი სხი-ვი გამჭვირვალე ფარღის ნაუშებში გახლართუ-ლიყო და მოპირდაპირე კედელზე მოძრაე შექ-ნრიღლებს ხატავდა. შეჰიამ მწერა გაუშტერა ირიზად გახიღულ მოცახებე შექს და ბავე უნებურმა დიმიღმა გაუყო, დიმილი სახეზე მო-ედო, მაგრამ რას უღამოდა, თვითონაც არ იც-ოდა; უნებად დღევანდელი საწრთნავი მოაგონ-და და ლეკინიდან ჩიტივით წამოფრინდა. ია-ტაზე პირველად მარჯვენა ფეხი ჩამოდა, პატ-კლის პერანგზე საათიანი წამოიცვა და ზღურ-ბლზეც მარჯვენა ფეხით გადმოხაიჭა.

ისევ წყნარი, უღრუბლო დილა იყო. ცას უკვე გადაჰქვროდა დიდი სიციხის მისუქურილი რძისფერი ბურუსი და მარცხ სიციხის წინა-მორბედი ბუღით გაუღმთილიყო. ენოში გა-მოშლილი ქათმები თუთის ქვეშ შეკრებილიყ-ვენენ, აივანს მშვერავებოვით უთავალთვალედ-ნენ და საყენის მოლოდინში ნელა, გაგრძლე-ბულად კრუშქარულობდნენ. თუთის ტატებში და მოიჭენ ვალაქანზე წამოზრდილ შავიკა-რებზე ფუტკარები ბზუოღნენ, ხოლო ხეივანის გრვებლ რტოებში მარტო ჩიტი ეღრტებულენ-და.

„სანამ აოს დაეცელი, თუ ის ჩიტი აფრინდა, ფრიადა მივიღებ“, — გაიხსენა შეჰიამ მოწა-ფეობისდროინდელი ჩეუღუბა და ნელი ჩურ-ჩულით დაფულა დაიწყო:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ჩიტი აფრინდა. შეჰიამ სიყვარულით გადაღუ-ნა თვლი, ეღვრე იგი მეზობელი სახლის კუ-ბებს არ მიეფარა და ენოში ჩახასხვადელი ფიც-რის კიბე ხტუნვა-ხტუნვით ჩიარბინა. პირც აქვე დაიხანა, ოცანზე, თუთის ქვეშ თავმოყ-რილ ჭრელ-ჭრულა ქათმებს ერთი პეშვი წყალი გადაახსა, ააფრთხალა, ააიშყიწა და კიბე კიდეე ოღნე ორი ნახტომით აარბინა. მსებუ-რქად დანაწრდა და გამოცდაზე წახასხვადლად მზადებებს შეუღდა.

ჯერ მებტად ადრე იყო, ჯერ შვიდი საათიც არ შესრულიდებოლო და გამოცდა კი რავნე იწყებოდა. ვარდა აიხა, შეჰიას ჭკუფი რიკით მესამე იყო და გამოცდაზე შესვლა თორმეტ საათამდე არ მოუწევდა, მაგრამ ამ დღეს ნი-ნიშნულ დრომდე ვერცერთი ახალაზრდა ვერ მოიციღის, სხვა მოითმენს, ხოლო შეჰიას არ-ქაბების ეჭვ მიწეზიც მქონდა: ორბის წინა-კერასვე გაუგზავნა წერილი და გამოცდის დღე და საათი შეატოვინა, — დილიდანვე ინსტი-ტუტის შესახვედლთან ექმნები და შენს ჩამო-სვლამდე, გამოცდაზე არ შევალ. „ვიინ იცის, მოვიდა კიდეე და აქ მიღის?“ — გაიფიქრა და უფრო აქაბრდა.

ყველაზე მებტად შექ-ღურჭი, თუთრი მავა-



გულსპირით გაწყოხილი, მოყვნი სხედლები-  
ანი კაბა მოსწონდა, ახალიც იყო და ტანსა და  
სახეზეც უხეზოდა, მაგრამ ახლა სითაღის  
განო არ ჩაიყვანა. ხალხში გაგონილი გაახებინდა,  
-- საღებოს ჩაქმა კარგი ზედის თანაზიარიაო  
და ისევ მოძველებული, მაგრამ ჭრელი ჩოთის  
კაბა ამტოვინა. ფეხებზეც თეთრი, ყელმოსვლე  
წინდები ჩაიყვანა, კარგი იქნებოდა და ძალიანაც  
უფლოდა, რომ ფეხსაცმელიც მზიარული ფერ-  
ის სცემოდა, მაგრამ არ ჰქონდა და საწოდებე-  
შეღან ისევ მოწაფეობისდროინდელი, დაბლ-  
ქუსლა, დეკლისფერი ფეხსაცმელი გამოი-  
ღო.

ჩემს რომ შორან, ერთხელ კიდევ საბოლოო-  
ვად ფართოფართო ამოხრიაკა და ვადათავლი-  
ვად კონსტანტინი, ჩანაწერები, რომ წახალისებო  
არაფერი ღარწნებოდა, შპარგალები ჩანათაში  
ცალკე ჩაილაგა და ზედურბლზე კვლავ მარტყე-  
ნი ფეხით გადმოიხიჭა.

— დედა, იაშზე, მე მივდივარ! — შესძახა  
ღია კარებიდან.

იაშზე, ღამის პერანაკის ახარა, ზურგზეცე-  
ვით იქდა საპირფარეოში მაგიდასთან, ჩარჩო-  
მოყვარაყვებული დიდი სარკის წინ, ხელში ვერ-  
ცხლის მანქანა მათა ეჭირა, თავის გამოსახუ-  
ლებას გულდასმით და ფეტირანად აყვირდებო-  
და და ზედა ღლირებდა. შუქის ზეა რომ გვი-  
გონა, ღლირის შეწყვეტა და მხარზემოვან გა-  
ძობხდა!

— ასე ადრე? ჭრისტე და იღბალი! შეშოდი.  
ერთი, დამეჩახვი.

შუქია შევიდა და შუა ოთახში გაჩერდა.

იაშზე მოძრავე სკამი მოთლი კუთხით შე-  
მოაბრუნა და შუქიას ზედმეტა ეურახლებით  
ახედ-დახედა. უცებ თავლ-წარბზე ძლივსშემაშ-  
წნევი ღმისმთავარი რაღაც გაფრთო და სახის  
შრწნეველი გამოშვტყველებაც მოლიანად გა-  
დაღუსხვაფერდა. იაშზემ ხათვისი წუთი ღვი-  
ჭირა: შუქიას ნაცემლობის დაწახვისთანავე იგ-  
რწნო, რომ საქმეს სწორედ ახლა უნდა შესდ-  
გომოდა, თადეონისათვის მიცემული სიტყვაც  
აესრულებინა და თავისი წაიღაც განხებო-  
ციულებინა — რაც შეიძლება მტბა რაოდენო-  
ბით გაესაღებინა ნაწმუბარი იმპორტული საქო-  
ნელი და თადეონისავე ხარტზე შუქიას გულიც  
მოგვო. იაშზემ ასიც კარგად იყოდა, რომ ამ  
საქმის მარაპარად დაწეება და რისკზე შეჯდებო  
არ იფარგებდა, რადგან ვეღვალზე სათფერი და  
სახითფაო სწორედ პირველი ნაბიჯის ვადაჯგმა  
იყო, და თუ შესაფერ დროს შეურჩევიდა და ამ  
პირველ ნაბიჯს შუქიას ისე ვადააჯგმევენებდა,  
რომ თავის განწრაბვაზე ოდნავ ეჭვსაც არ  
აღლებინებდა, მერე თავისი ჩანაფიქრის ასრუ-  
ლება იხერცავად აღარ გაუჭირდებოდა. იაშუნს  
ვეღვალფერი ეს აწონ-ღაწონილი და გათვალის-  
წინებული ჰქონდა და შუქიას ჩახახლებების პირ-

ველი დედაწვე ყოველ წამსა და წუთს ამ შე-  
საფერ დროს უთვალავებდა.

და ამ ეს ნალოღინევი წუთიც, დედა!

— შენ რა, უყვე გამოცდაზე მიღებარ? —

უცხად ისე ჰკითხა, თითქმის შუქიას ნათქვამა  
ახლად გათწონაო და ნამადაღვეთ გაყვირებით  
თავიდან ფეხებამდე გათვალეირ-ნათვალაერა.

— მო, დედა იაშზე, მივდივარ.

— მერე გამოცდაზე ასე წახვლა შეიძლება?

— აბა, როგორ? — შუქია დაიბნა და თავის-  
დაუნებურად თვითონაც ტანსაცმელზე დაიხე-  
და. — შე სულ ასე დედაფარ.

— ახ, რა ბავშვია ხარ, — იაშზე ნელი ზღაწ-  
ვით წამოვდა, შუქიას აღერსით გავლიმა და  
ხელი მოხეია, — აბა ჩემთან წამოვდი, — შუა  
კარის გასაღები ვადატრიალა და ჩახხვლებულ  
ღარბაში გაიყვანა. ზედის ცეცებით კედელზე  
ჩამრთველი მოწახა და თითი დაიჭირა. კერზე  
დაკიდებულმა, ბროლის წახხავლენი მძივებით  
მორთულმა ბრინჯაოს ჭაღმა ოთახში თვალის-  
მომჭრელი შუქი დააფრქვია და თითქმის კედ-  
ლებიც განწვე გასწია.

შუქიას თავი წუთით ზღაპრად გაგონოლ,  
თვალ-მარგალიტით გამოქვიღელ სრა-ხახხლდში  
წარმოყოფდა. ანდენი ერთად თავმოყრალი  
ბრჭყვალა ნივთი დედაწნდამდე არსად ენა-  
ხა. ამ საგანძურის პირველმა, უცხადებმა დაწახ-  
ვამ წამით თითქმის თავწარა დასცა, დაახინა  
და გულში შიშისა და მოკრძალების გურტყე-  
ველი გრწმობა აღუჭრა. რაღა არ იყო ნაქ, —  
ნაძერწი, ნახვეწი, ნაქველი, ნაქსოვი, ნაქარტი,  
ნახატო თუ ნაფიარისბეველი ძველმოღერი მარ-  
მარილოსფილებინა შე-წითელი ხისა და თა-  
ნაშედრტყე საზღვარგარეთული ბრინჯაოს ზარ-  
ნიშინა კარაღები გამოტენილი თუ ვარაყვინა  
წიგნებითა და ბროლისა და ოქროცურვული  
ფაიფურის სერვისებით. კარაღების თავზე, რო-  
ილზე და კედლებზე დაკიდულ ნაწუქურთმევ  
თარობზე ჩამოღვემული იყო პლასტმასის ევა-  
ვილებინარგული ბროლისავე ღარწაყები, ფე-  
რადი ვეღაღწნულთ მოხატული ფაიფურის  
სურები და სამწვენისები ფრინველთა და ცხო-  
ველთა გამოსახულებანი. თვითონ კედლები კე-  
რადან იატაკამდე თითქმის, მოლიანად დაფა-  
რული იყო ფერებზე აზერნაიანული ზღაღინ-  
ებით, მოსილული გობელენებითა და წახხავო-  
ვანი ოვალური სარკეებით. სარკეებს შუა და  
შუა თითბრის შანდლები, შიშველი ქალების  
ქედური სურათები, ირმისა და ქვირის რქე-  
ბა და მოყვარცხლილი, ვადაქვეარდნებელი  
კიხვის ეანწები ეკადა. ვეღაფერი ძვირფასი,  
ძვირადღარებელი, ძნელსაშოვარი და თანაც  
ბრჭყვალა, კუბატალა, მყვარალა, — შემწანო-  
ბის ესოდენ დამახასიათებელი უწინარხო  
ნივთების ქაოსი, უწახავის გამშავებული, წარს-  
გაღამეღარი სხარბე, რომელმაც არც ზღვარი  
იციბ, არც — საწომი...

შუქია რტდასხმულავით იდგა ღია კარებ-



წინ და მჭერა ერთი წიგნიდან მეორეზე გადაქონდა, მაგრამ ღიბხანს ვერაფერზე ვერ აწერებდა, ადარც კი ახსოვდა, სად იყო და იმწეს იქ ყოფნაც თითქმის გადავიწყვდა. — არ გაუგია, როდის გამოდო იაშვემ ტანსაცმლის კარადის კარები, როდის გამოართია ქვედა თაროვანი შექნითელი ტყვის მობრძღლი ჩემოდანი, როდის შემოდო მავიდაზე, როდის გახსნა და ამოალაგა ქალის საწლავარგარეთული შესამოსელი — ჭრელი, გამქვირვალე კაბები, ფერად მაქმინაინი პერანგები, მავროვანი წინდები, და მხოლოდ მაშინდა გამოერყვა, როცა მისი ხმა გააგონა:

— კახის რა წომას იცვამ?

— რა? — დაბნეული იყოხა შექვიამ და იაშვესაყენ შებრუნდა.

— კახის რომელ ნიშნის იცვამ-მეოცი?

— კახს? რა ვიცი... კაბებს სულ დედა მიკრავდა და... არ ვიცი.

ამ გულუბრყვილო ნათქვამმა იაშვეს ღიბილი მომგვარა, მაგრამ არ დაიმჩნია, შექვიას თვლილი გაზომა, კაბებს იარღილები გაუსინჯა და თფრუკაოთღუფაოლებიანი მუხლიწის კაბა აქოართია.

— შე შეგინი, კარვალ გექნება, — უთხრა შექვიას და კაბა მოაწომა, — სახეტეუ ვახდება შექია შეყრთა და უყარ დაწოა.

— კი, მაგრამ დედა იაშვე... მე... მე შე... იაშვემ არც შექვიას შეყროთმა დაიმჩნია და კვლავ მშვიდად უთხრა:

— აბა, ჩაიცვი, მოართმე.

შექვიას უფრო უყარ მიღება და ხელები გაახატება.

— გაიბინე-მეოცი, გოგო, — გაუწეორა იაშვემ.

— არა, დედა იაშვე, არ მინდა, — უიშით თქვა შექვიამ, — ეგ ისეთი ძვირი ეღირება, რომ... მაგდენ ფულს მე საიდან მოვიტან.

იაშვემ გულკეთილად გაუღიმა.

— შერე, ფულს ვინ გეტანება, გოგო?

— ისე კიდევ სულ არ მინდა, — იწუინა შექვიამ და კარებიხაყენ წყვიდა.

იაშვემ ხელით შეაჩერა და სიცილის უშატა.

— მართლაც რომ ბავშვი ხარ... არც ისე გაძლევ, სიმაფისო რა გვირის, მაგრამ არც წაღება გთხოვ, როცა გექნება, მაშინ მომეცო... აფერ, რაღა დარჩა, სულ მალე სტუდენტი გახდები, სტიპენდიას დაგინიშნავენ... პოღა, წელწელა, ნაწილ-ნაწილ... გამოცდამაც ასე წახვდა კი, ამ კაბით... არა, არაფერი არ შეიძლება.

შექვიამ ისევ დაიხატა ტანსაცმელზე და რატომღაც შერცხვა, გაწითლდა. იაშვემ ეს შეატერა და უფრო შეუტია, — ხარკეს წინ დააყენა და ათვალწუნებით უთხრა:

— აბა, აბა, ვახდება? შეხედე, რასა მკავს სიმახინჯა.

იმ კაბის გვერდით, იაშვემ მკლავზე რომ ჭკონდა გადაყიდებულა, შექვიას მორთულობა

მართლაც მახინჯი ჩანდა, მაგრამ შექვიამ ერთხელ კიდევ სცადა თავის მართლდება.

— რა ვიცი, დედა იაშვე, სხვათაზე რომ ასე აცვიან? იქ, ინსტიტუტში...

— სხვები სხვები არიან და შენ ჩემი ხარ, — შეაწყვეტინა იაშვემ, — ჩემი სახლიდან გადიხარ და... მაშასადამე, ჩემი ხარ, ეგვე არ იყოს, რომელთა იქ შენისთანა? ღამას გოგოს კი ჩაემაყ თავისი შესაფერისი უნდა, — ღამაში, მოხდენილი.

შექვიამ ქებაზე დაიმორცხვა და უფრო გაწითლდა.

— კარგი რა, დედა იაშვე.

— შე სულაც არ ვხეშრობ, — თქვა იაშვემ და კაბა ხელში შეატარიადა, — ახლა გამოცდამზე მიდიხარ, ხოლო გამოცდამდეები, ლექტორები გაგრენობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ.

შექვიამ უნდობლად და გაყვირებით ახედა იაშვემ განატარძო:

— მო, ჩემო, გოგო, მართლს გეუბნები, ასეთები არიან ლექტორები, მაშაყცები... ქოფაკები არიან, მაგრამ მოყვარი ეგ არ არის, პირველ გამოცდამზე, როგორც ენა, წლავ ხალხი მოყვარის თავს, — მშობლები, ახლობლები, გულშემატკივრები, შეიძლება თბილისიდანაც ჩამოვიდნენ, ტაღებტაღიდან და პირველი გამოცდა, ხალხი, ქვეყანა გნახავს, და ამ კაბით? ამ მორთულობით?

იაშვე, როგორც სწავლიდა, ახლაც ისე ლაყბობდა ღამაყაყობდა შედგრა, მოწივიმ ხშირ და სხობ გულუბრყვილო, მიაბიტური გამოშეტყველებით. ცალ ხელს შექვიას თმზე უსკამდა, ცალი ხელით ზურგზე ჩამწერივებულ კაბის ღილებს უხსნიდა და ყოველ სიტყვას თითქოს ყურში ჩამღეროდა. მიუღია მისი მოქმედება არაფრით არ განსხვავდებოდა ყველაზე მოსაყვარულე დედის მზრუნველობისაგან. სიპარტოვამ და მუღმივ აქრძალული ხაქმის ქეთებამ — ან იქნებ ერთმაც და მეორემაც — იაშვნს საჭიროებისდაყვალად გაგრეგანი სათნოების გამოხატვის უნარი განუყოფია. აზრად რა ჭკონდა, ღმერთმა იცოს, შექვიას ქერ ამბის გამოცნობა არ შეეძლო, რასაც თვალთ ხედავდა და ყურით ისმენდა, გულთაყ ის სწეროდა და იაშვნს შეგონების თანდათან ნებდებოდა.

— აი პერანგიც... უკვე მოქველდებულა, — უთხრა კვლავ მჭრუნველად, როცა კაბა გახადა და პერანგის დაყვსილი საშხრეები დაინახა, — ამ კაბის ასეთ პერანგზე ჩაცვა ცოცოა, ადარ მოუღებება... და უნდა გამოიყვალა.

— ვაიშე, პერანგიც... — შეცბა შექვიამ.

— კი პერანგიც... და საერთოდ ყველაფერი რომ გამოიყვალა, აქონებს.

— არა, დედა იაშვე, ასე როგორ შეიძლება? — რა შეიძლება და რა — არა, შე ზომ უფ-

როცა ცილა, — გაუღიმა იამზემ და ჩემოდანი ამოკვეა, ცელოფანის პარკებში ჩაწობილი ნეილონის პერანგები ამოიღო, ღია ვარდისფერი, საფულეამოპარგული პერანგი ამოარჩია და შექიას თვალებში გაუშალა, — ამ კანას სწორედ ეს ფერი მოუხდება.

— დედა იამზე, არა, არ მინდა, მუდარით უხარა შექიამ და თავი დაღუნა, — მარტყენია.

— რასა ვრცხვენია, ვოვო? — ვითომ ვაიოცა იამზემ.

— ამდენს ვერ გადავიხდი.

— გადაიხდი, — დაუვაკუნით უხარა იამზემ, — ისე მოგებერებე, რომ გადაიხდი, არადა, ვითომ შეინი დედა ვინაფიღერა.

— მაინც არ მინდა, ჩვენების დაუყოთხავად არ მინდა... მაშას ეწეინება.

იამზემ ხმაშალა გადაიხარხარა.

— ჩემი პატარა, უკუყო ბავშვი, — თქვა ენამორღულით, შექია გულზე მიიხებდა და თბაზე აჟოცა, — დედას და მაშას უველაფერი კი არ უნდა ვაუშალო, ვოვო? არა, ვენაცუაღეს! მთელ სტუდენტო იქნები, დამოუცილებელი, სრულფუნქციონირი მოკლეც ვახდები, და ეს პატარა საიდუმლო შენც უნდა იქონიო. ვინა ისეთს რას აკეთებ, რომ... რა არის ერთი ხელი ტანსაცმელი? გროშებია და ნები არაფერი. სულ ცოტა, ბოლო წელი მაინც უნდა იცხოვრო ჩემთან? და ხუთ წელიწადში კი ისე გადაიხდი, რომ თვითონაც ვერ ვაკეცე. აჟი ეუბნები, ნაწილ-ნაწილ, ნელნელა-მეუთქია.

ამ საუბარში იამზემ გარდერობიდან მეორე ასეთივე ზომის ჩემოდანიც გამოათრია, გახსნა და შავიდან სხვადასხვა ფერისა და ზომის მაქშინიანი ლიფები, ქვედა საცვლები და კორსეტები დაასორავა.

— აჟ, აჟ უველა ზომებია, ამორჩიე, რომენილიც მოგწონება და მოგერგება და ჩაიცვი, შე მანაზე კანას ნელაზილ უთოს გაცკრავ, — კანა კვლავ მკლავზე გადააფინა და კარებში გასვლისას პრანების კილოთი უხარა, — ჩქარა, შა, ნელარ უოქმანობ, დაგავიანდება.

